F-133
1964

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F-2854

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 1964 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

104. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს საექსპლუატაციო-სახაზო სამმართველოების იმ საგზაო-საექსპლუატაციო უბნებისათვის გარდამავალი წითელი დროშის დაწესების შესახებ, რომლებიც მომსახურებას უწევენ უცხოელ ავტოტურისტებს და რომლებმაც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს.

105. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

106. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობის შესახებ.

107. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკასთან“ საბჭოს დამტკიცების შესახებ.

108. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში შრომის ნორმირების გაუმჯობესების ზომების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

109. საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტთან უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის დაარსების შესახებ.

110. ავტომოტორანსპორტის რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესების, ავტომობილებისა და მოტოციკლების ტექნიკური შემოწმების ჩატარების წესების, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა აღრიცხვის წესების, ავტომოტორანსპორტისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მძღოლებისათვის კვალიფიკაციის მიკუთვნების წესის დებულების საქართველოს სს რესპუბლიკაში შემოღების შესახებ.

111. თიანეთის საშუალო სკოლისათვის პოეტ მირზა გელოვანის სახელის მინიჭების შესახებ.

112. „საქართველოს სსრ ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის დებულების" და „საქართველოს სსრ სახელმწიფო ნაკრძალების დებულების" დამატების შესახებ.

113. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის სამშენებლო საიჯარო ორგანიზაციებისათვის ზედნადები ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ.

114. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 5 აგვისტოს № 497 დადგენილების პირველი და მეორე პუნქტის შესახებ.

115. სახელმწიფო საიჯარო სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებისა და ბურღვის კანტორებისათვის საკუთარი საბრუნავი სახსრების გამოყოფისა და ამასთან დაკავშირებით შემკვეთთა მიერ მათთვის ავანსების მიცემის შეწყვეტის შესახებ.

116. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

117. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების შენობათა გადასახადისა და ინ ნაკვეთების მიწის რენტისაგან განთავისუფლების შესახებ, რომლებიც ამ კოოპერატივების წევრებს მიცემული აქვთ მუდმივი სარგებლობისათვის.

118. კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის კანონის განხორციელებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ.

119. საქართველოს ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების კინოსტუდიის გადარქმევის შესახებ.

120. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შტატში თავმჯდომარის მოადგილის მეორე თანამდებობის დაწესების შესახებ.

121. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 29 აპრილის № 252 დადგენილებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში „სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო საწარმოების მიერ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ" ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

122. იმ საწარმოთა და დაწესებულებათა სიის დამატების შესახებ, რომელთა სახლებიდან შესაძლებელია სასამართლო წესით გამოსახლება საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად.

123. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

124. მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების მოწყობილობით დაკომპლექტების გაუმჯობესების შესახებ.
125. საწარმოების ეკონომიური სტიმულირების სისტემის გაუმჯობესებისა და ახალი ტექნიკის შექმნა-დანერგვით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ.
126. მანქანებისა და მოწყობილობის იმ მაკომპლექტებელი კვანძებისა და დეტალების საბითუმო ფასების დაწესების მოწესრიგების შესახებ, რომლებსაც სპეციალიზებული საწარმოები და საამქროები ამზადებენ კოოპერაციის წესით მისაწოდებლად.
127. კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარების კანონის გატარებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის და საფინანსო ორგანოების შტატებში ცვლილებების შესახებ.
128. კოლმეურნეობის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის ხაბჭოების შექმნის შესახებ.
129. სასკოლო საბავშვო სახლის წესდებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ.
130. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 5 ნოემბრის № 912 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ღადგენილებათა გაუქმებისა და აქედან გამომდინარე ცვლილებების შესახებ.
131. საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესების დამტკიცების შესახებ.
132. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) აღმასკომების შტატების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

133. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 1 ოქტომბრის № 822 დადგენილების „კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების სრულიად საკავშირო ბანკის (სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის) წესდების დამტკიცების შესახებ“ დაგზავნის თაობაზე.
134. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 17 ოქტომბრის № 859 დადგენილების „კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ დაგზავნის შესახებ.
135. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 ნოემბრის № 920 დადგენილების „კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების ღამნიშვნელი კომისიის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ დაგზავნის შესახებ.
136. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 ნოემბრის № 919 დადგენილების „კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ დაგზავნის შესახებ.
137. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 4 ნოემბრის № 915 დადგენილების „კოლმეურნეობის წევრი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ დაგზავნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

104 **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს საექსპლუატაციო-სახაზო სამმართველოების იმ საგზაო-საექსპლუატაციო უბნებისათვის გარდამავალი წითელი დროშის დაწესების შესახებ, რომლებიც მომსახურებას უწევენ უცხოელ ავტოტურისტებს და რომლებმაც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს**

ვინაიდან უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ იმ გზებს, რომლებიც მომსახურებას უწევენ უცხოელ ავტოტურისტებს, და იმ მიზნით, რომ წახალისდეს მუშაობა ამ გზების სანიმუშოდ შენახვისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

1. დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა ერთი ფულადი პრემიით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს საექსპლუატაციო-სახაზო სამმართველოების იმ საგზაო-საექსპლუატაციო უბნების საწარმოთა კოლექტივების დასაჯილდოებლად უცხოელ ავტოტურისტთა ტრასზე გზების სანიმუშოდ შენახვისათვის, რომლებმაც გაიმარჯვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

2. პრემიის ოდენობა განისაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული სკალის მიხედვით, ამასთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველო მიეკუთვნება სამინისტროების მესამე ჯგუფს.

3. ფულადი პრემია გაიცემა საექსპლუატაციო სამმართველოს სახსრების საერთო ეკონომიის ანგარიშში.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს და კავშირგაბმულობის მუშაკთა, საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს შეიმუშაონ და დაამტკიცონ სოციალისტური შეჯიბრების პირო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბები და გადასცენ გარდამავალი წითელი დროშა შეჯიბრებაში გამარჯვებულებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **Გ. ᲩᲝᲒᲝᲕᲐᲫᲔ.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **Შ. ᲓᲝᲚᲘᲫᲔ.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 28 სექტემბერი, № 614.

105 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს და სატყეო, ქაღალდისა და ხის დამუშავების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს დაამტკიცონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრების პირობები ახალი რედაქციით.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრების პირობები, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 12 მარტის № 160 დადგენილებით, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 7 აპრილის № 214 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. დოლიძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 24 დეკემბერი, № 733.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

106 **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობის შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

გ. შ. მიქელაძე	— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე
გ. ლ. ბერიძე	— თავმჯდომარის მოადგილე
ბ. ე. ლომიძე	— თავმჯდომარის მოადგილე

კომიტეტის წევრები:

ი. მ. ბუაჩიძე	— საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი
ა. კ. განგია	— საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ტექნიკური სამმართველოს უფროსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. რ. ღვამიჩავა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის შეჯამებითი დაგეგმვის განყოფილების უფროსი

ნ. რ. ღვინაძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის უცხოეთთან კავშირურთიერთობის განყოფილების უფროსი

რ. რ. დვალი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

გ. ნ. ჯიბლაძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე

გ. ზ. ჯიშკარიანი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის განყოფილების უფროსი

ვ. ა. დიდებულიძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის და ავტომატიზაციის განყოფილების უფროსი

დ. ვ. კეშელავა — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

კ. ს. ქუთათელაძე — საშენ მასალათა მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი

ნ. ა. ლანდია — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. გ. მამაცაშვილი	— საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
ვ. ვ. მახალდიანი	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი
ნ. ი. მუსხელიშვილი	— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი
ბ. ი. ფალავანდიშვილი	— საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოადგილე
ე. კ. ხარაძე	— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი
ი. რ. ხვედელიანი	
ი. მ. ხოხლოვი	— რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე
ვ. ვ. ჭავჭანიძე	— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი
შ. ს. შეყლაშვილი	— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის მეტალურგიის, სამთო საქმისა და ენერგეტიკის განყოფილების უფროსი

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 9 დეკემბრის № 736 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 18 სექტემბერი, № 594.

ეროვნული ბიბლიოთეკა

107 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკასთან“ საბჭოს დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემაში მომხდარ სტრუქტურულ ცვლილებასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას ნაწილობრივი ცვლილებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 აგვისტოს № 494 დადგენილებაში და დამტკიცდეს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკასთან“ საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

1. ხოხოლოვი ი. მ. — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე — საბჭოს თავმჯდომარე;
2. სეხნიაშვილი გ. ს. — რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე — საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. არჩევნიშვილი გ. ს. — გურჯაანის რაიონის სოფ. ჩუმლაყის კოლმეურნეობის მერგოლური;
4. ბადრიშვილი გ. მ. — საქ. სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სოფლის მეურნეობის მეცნიერების, პროპაგანდისა და კადრების მომზადების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე;
5. ბოლქვაძე ა. მ. — გაერთიანება „აჭარსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე;
6. გიგიაშვილი ბ. თ. — „საქსოფლტექნიკის“ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა და საწარმოო დანიშნულების საქონლით ვაჭრობის სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. გურგენიშვილი ვ. ვ. — საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;

8. დალაქიშვილი გ. ა. — თელეთის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი;

9. დევდარიანი გ. მ. — რუისბოლოს მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი;

10. დემეტრაშვილი ა. ი. — გორის რაიონის სოფ. ზეღდულეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

11. ვაშაძე გ. გ. — რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარის მოადგილე;

12. თევდორაშვილი მ. ი. — „საქსოფლტექნიკის" დიღმის სარემონტო ქარხნის დირექტორი;

13. კალატოზიშვილი მ. გ. — საქართველოს სახელმწიფო მანქანათა საგამოცდო სადგურის დირექტორი;

14. მახარაშვილი გ. მ. — „საქსოფლტექნიკის" გორის რაიონული გაერთიანების მმართველი;

15. მორჩილაძე გ. ა. — „საქსოფლტექნიკის" ცხაკაიას რაიონული გაერთიანების მმართველი;

16. მეტრეველი ვ. ი. — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი;

17. ჟუჟუნაშვილი ი. ა. — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნის დირექტორი;

18. რევაზიშვილი ვ. გ. — მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორი;

19. რთველიაშვილი ი. გ. — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

20. რუსიშვილი ო. დ. — „საქსოფლტექნიკის" ყვარლის რაიონული გაერთიანების მმართველი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. როსტოშვილი დ. გ. — „საქსოფლტექნიკის“ გურჯაანის რაიონული გაერთიანების მმართველი;

22. სანაძე ვ. ვ. — ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური;

23. საჩიშვილი ლ. ა. — „საქსოფლტექნიკის“ თელავის რაიონული გაერთიანების მმართველი;

24. ქადაგიძე გ. დ. — რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილე;

25. ღვინჯილია მ. ბ. — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოადგილე;

26. ყაზახაშვილი ვ. ვ. — „საქსოფლტექნიკის“ ახალი ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა-გამოყენების სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი;

27. ყოჩიაშვილი ნ. ს. — სიღნაღის რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

28. შარაშიძე დ. გ. — მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორი;

29. შახბაზოვი ზ. ს. — „საქსოფლტექნიკის“ ბოლნისის რაიონული გაერთიანების მმართველი;

30. შხვაცაბაია გ. ი. — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი;

31. ჩავჩიძე შ. ლ. — წყალტუბოს რაიონის სოფ. გვიშტიბის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

32. ჩიმაკაძე დ. ი. — გაერთიანება „სამხრეთ ოსეთის სოფლტექნიკის“ თავმჯდომარე;

33. ჩხენკელი ო. ნ. — „საქსოფლტექნიკის“ გარდაბნის რაიონული გაერთიანების მმართველი;

34. წივწივაძე ი. ი. — გაერთიანება „აფხაზსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე;

35. წირღვავა ს. მ. — „სოფლტექნიკის“ გულრიფშის რაიონული გაერთიანების მმართველი;

36. ჭეიშვილი ვ. ა. — ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი;

37. ჭირაქაძე გ. ვ. — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოადგილე;

38. ჯამრულიძე კ. ე. — ალვანის საჯიშე მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი;

39. ჯაში კ. დ. — „საქსოფლტექნიკის“ მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და საწარმოო-ტექნიკური მომსახურების სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 18 სექტემბერი, № 595.

108 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში შრომის ნორმირების გაუმჯობესების ზომების შესახებ

აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად წარმოებს სასოფლო-სამეურნეო შრომის დანორმვა.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემაში არსებული სანორმირებო პუნქტები მთელი სისრულით როდი ადგენენ და ნერგავენ წარმოებაში მექანიზებულ და სატრაქტორო სამუშაოების ტექნიკურად დასაბუთებულ ნორმებს, ხოლო ხელითა და ცოცხალი გამწევი ძალით შესრულებულ სამუშაოთა ნორმების შემუშავება სრულიად არ წარმოებს.

ამ პუნქტებს არ გააჩნიათ საკმაო მოწყობილობანი, ინსტრუმენტები და სატრანსპორტო საშუალებანი.

იმ მიზნით, რომ ძირეულად გაუმჯობესდეს შრომის ნორმირება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, შემუშავდეს მექანიზებული და სატრაქტორო სამუშაოების, ხელითა და ცოცხალი გამწევი ძალით შესრულებულ სამუშაოთა ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა სახეობის მიხედვით და დაინერგოს ისინი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან 1965 წლის 1 იანვრიდან მოეწყოს რესპუბლიკური შრომის ნორმატიულ-საკვლევი სადგური სახელმწიფო ბიუჯეტზე და დაეკისროს მას გამომუშავების ნორმების შემუშავება რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მექანიზებულ, სატრაქტორო, ხელით, აგრეთვე ცოცხალი გამწევი ძალით შესრულებული სამუშაოების ყველა სახეობათა მიხედვით.

2. გადაეცეს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" გამგებლობიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან არსებულ რესპუბლიკურ შრომის ნორმატიულ-საკვლევ სადგურს ოთხი სანორმირებო პუნქტი შტატებით, შრომის ხელფასის ფონდებით, შრომის ლიმიტებით, დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებით, აგრეთვე უსასყიდლოდ ბალანსიდან-ბალანსზე გადაეცეს მას 1965 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოწყობილობანი, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ქონება, ამასთან გარდაიქმნან ეს პუნქტები სანორმირებო-საკვლევ პუნქტებად და დამატებით მოეწყოს ოთხი პუნქტი №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ერთი დეკადის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან არსებული რესპუბლიკური ნორმატიულ-საკვლევი სადგურისა და მისი სანორმირებო-საკვლევი პუნქტების საშტატო განრიგი და ხელფასის ფონდის შესახებ.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს რესპუბლიკის 1965 წლის ბიუჯეტის კორექტირების დროს გაითვალისწინოს 1965 წლის 1 იანვრიდან სახსრები საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან არსებული რესპუბლიკური ნორმატიულ-სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლევი სადგურის და მისი სანორმირებო-საკვლევი პუნქტების შესანახად იმ გაანგარიშებათა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მიერ.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის გეგმის კორექტირების დროს გაითვალისწინონ საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისათვის პერსონალის რაოდენობა და ხელფასის ფონდი რესპუბლიკური ნორმატიულ-საკვლევი სადგურისა და მისი სანორმირებო-საკვლევი პუნქტების მოსაწყობად.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" გამოყონ საჭირო რაოდენობის ინვენტარი და მოწყობილობა რესპუბლიკური ნორმატიულ-საკვლევი სადგურისა და მისი სანორმირებო-საკვლევი პუნქტებისათვის.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას", აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საწარმოო სამმართველოებს და რაიაღმასკომებს უზრუნველყონ გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დანერგვა თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, დაწყებული 1965 წლიდან, საბჭოთა მეურნეობების შტატებში გაითვალისწინოს ნორმირების სპეციალისტის თანამდებობა პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მიერ.

რჩევა მიეცეთ დიდ კოლმეურნეობათა გამგეობებს შემოიღონ შტატებში შრომის ნორმირების სპეციალისტის თანამდებობა.

9. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოო სამმართველოებსა და რაიაღმასკომებს გამოუყონ სანორმირებო-საკვლევ პუნქტებს სადგომები, აღმოუჩინონ მათ დახმარება მინდვრის სამუშაოებში ტექნიკური ნორმირებისათვის და მიიღონ საჭირო ზომები სანორმირებო-საკვლევი სადგურების მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 26 სექტემბერი, № 604.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 26 სექტემბრის № 604
დადგენილების დანართი № 1

ს ი ა

სანორმირებო პუნქტებისა, რომლებიც რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ გამგებლობიდან გადაეცა საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან არსებულ რესპუბლიკურ ნორმატიულ-საკვლევ სადგურს

წნორის სანორმირებო პუნქტი — დაბა წნორის წყალი
მცხეთის სანორმირებო პუნქტი — დაბა წეროვანი
მახარაძის სანორმირებო პუნქტი — ქ. მახარაძე
მარნეულის სანორმირებო პუნქტი — ქ. მარნეული.

თვითეულისათვის სამი საშტატო ერთეულით და 260 მან. თვიური ხელფასის ფონდით.

სულ გადაეცემა 12 საშტატო ერთეული 1040 მან. თვიური ხელფასის ფონდით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 26 სექტემბრის № 604
დადგენილების დანართი № 2

ლ ი ს ტ ი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან არსებული რესპუბლიკური ნორმატიულ-საკვლევი სადგურის სანორმირებო-საკვლევი პუნქტებისა

პუნქტები	მომსახურების ზონის საწარმოო სამმართველოები
1. წნორის	სიღნაღის გურჯაანის თელავის ყვარლის
2. მარნეულის	ბოლნისის გარდაბნის თეთრიწყაროს
3. მცხეთის	დუშეთის მცხეთის გორის ხაშურის ლენინგორის ზნაურის
4. მახარაძის	მახარაძის ლანჩხუთის აჭარის ასსრ
5. ახალქალაქის	ახალქალაქის ახალციხის
6. გულრიფშის	აფხაზეთის ასსრ
7. ცხაკაიას	ცხაკაიას ზუგდიდის ჯეგეჭკორის წულუკიძის წყალტუბოს
8. ზესტაფონის	საჩხერის ზესტაფონის მაიაკოვსკის ცაგერის

F-2875

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

109 საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტთან უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის დაარსების შესახებ

იმ მიზნით, რომ სსრ კავშირის ხალხთა მომავალ IV სპარტაკიადაზე რესპუბლიკის სპორტული დელეგაცია დაკომპლექტდეს მხოლოდ და მხოლოდ სპორტის ოსტატებით და გაუმჯობესდეს სსრ კავშირისა და რესპუბლიკის ნაკრები გუნდებისათვის მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადება ნიჭიერი ახალგაზრდობის რიგებიდან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. 1965 წლიდან დაარსდეს უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლა საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტთან.

2. დაწესდეს, რომ აღნიშნულ სკოლაში კონკურსის წესით მიიღებიან ბავშვთა სპორტული სკოლების, ახალგაზრდობის სპორტული სკოლების, საწარმოების, დაწესებულებების, სპეციალური საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურული კოლექტივების სპორტული სექციების აღზრდილი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდები 15-დან 25 წლის ასაკამდე.

ნებადართულ იქნას სასწავლო ჯგუფების გახსნა იმ პირთათვის, რომლებსაც არ შესრულებიათ 15 წლის ასაკი, სპორტის იმ სახეობათა მიხედვით, რომლებშიც დასაშვებია ადრე დასპეციალება.

3. დამტკიცდეს უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი 200 კაცის რაოდენობით, მათ შორის: მძლეოსნობაში — 40 კაცი, ველოსპორტში — (გზატკეცილი და ტრეკი) — 40, კრივში — 20, ძალოსნობაში, სპორტულ ტანვარჯიშში, ცურვაში, წყალში ხტომასა და ფარიკაობაში — 20 კაცი თვითეულში.

4. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ რესპუბლიკის 1965 წლის ბიუჯეტის პროექტით გაითვალისწინოს ასიგნობანი უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის შესანახად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 26 სექტემბერი, № 608.

ეროვნული ბიბლიოთეკა

110 ავტომოტოტრანსპორტის რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესების, ავტომობილებისა და მოტოციკლების ტექნიკური შემოწმების ჩატარების წესების, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა აღრიცხვის წესების, ავტომოტოტრანსპორტისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მძღოლთათვის კვალიფიკაციის მიკუთვნების წესის დებულების საქართველოს სს რესპუბლიკაში შემოღების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ძალაში შევიდეს 1965 წლის პირველი იანვრიდან საქართველოს სს რესპუბლიკაში: ავტომოტოტრანსპორტის რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესები, ავტომობილებისა და მოტოციკლების ტექნიკური შემოწმების ჩატარების წესები, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა აღრიცხვის წესები, ავტომოტოტრანსპორტისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მძღოლთათვის კვალიფიკაციის მიკუთვნების წესის დებულება, რომლებიც ერთიანია სსრ კავშირის მთელი ტერიტორიისათვის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლს 30 სექტემბრის № 1022 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებულია რსფსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 ივლისის № 840 დადგენილებით.

2. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების და მათთან გათანაბრებული სამმართველოების, საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მოაწყონ აღნიშნული წესებისა და დებულების შესწავლა ავტოტრანსპორტის ყველა მუშაკის მიერ და უზრუნველყონ მათი განუხრელი შესრულება.

3. საქდესმა 15 დღის ვადაში ქართულ ენაზე თარგმნოს რსფსრ 1964 წლის 6 ივლისის № 840 დადგენილება წესებითა და დებულებით.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობამ ერთი თვის ვადაში ბროშურად გამოსცეს რსფსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 ივლისის № 840 დადგენილება წესებითა და დებულებით ქართულ და რუსულ ენაზე — თვითეული 600 ეგზემპლარის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გამოყოს საჭირო რაოდენობის ქაღალდი, ხოლო საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ — ფულადი სახსრები.

5. ამ დადგენილების შესრულების, აგრეთვე აღნიშნული წესებისა და დებულების დაცვისადმი კონტროლი დაეკისროს საქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროსა და ლიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 26 სექტემბერი, № 609

ასლი

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 840

1964 წლის 6 ივლისი

მოსკოვი

ავტომოტოტრანსპორტის რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესების, ავტომობილებისა და მოტოციკლების ტექნიკური დათვალიერების წესების, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა აღრიცხვის წესებისა და ავტომოტოტრანსპორტისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების წესის დებულების დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 30 სექტემბრის № 1022 დადგენილების შესასრულებლად რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან შეთანხმებული, თანდართული, სსრ კავშირის მთელი ტერიტორიისათვის ერთიანი ავტომოტოტრანსპორტის რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესები, ავტომობილებისა და მოტოციკლების ტექნიკური დათვალიერების წესები, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა აღრიცხვის წესები და დებულება ავტომოტოტრანსპორტისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების წესის შესახებ, რომლებიც ერთიანია სსრ კავშირის მთელი ტერიტორიისათვის.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ვოროგნოვი.**

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. ტუპიცინი.**

დამტკიცებულია
რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 6 ივლისის № 840
დადგენილებით

ავტომოტოტრანსპორტის რეგისტრაციისა და აღრიცხვის

წ ე ს ე ბ ი

საერთო დებულებანი

1. ეს წესები შემუშავებულია შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 30 სექტემბრის № 1022 დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ“, რომელიც ერთიანია სსრ კავშირის მთელი ტერიტორიისათვის და სავალდებულოა ყველა საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისა და ცალკეული მოქალაქეებისათვის.

2. ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა რეგისტრაციასა და აღრიცხვას ახორციელებენ მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროთა მილიციის ორგანოების სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციები.

ყველა სატრანსპორტო საშუალებათა აღრიცხვას აწარმოებენ სამინისტროები, უწყებები, სახალხო მეურნეობის საბჭოები, საწარმოები, დაწესებულებები, აგრეთვე კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები იმ წესების შესაბამისად, რომლებსაც ამუშავებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოებთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოები ან მოკავშირე რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოები.

შენიშვნა: სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია რეგისტრაციაში არ ატარებს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარების ავტომოტორანსპორტს.

3. საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებანი და ინდივიდუალური მფლობელები ვალდებული არიან გაატარონ რეგისტრაციაში (ხელახალ რეგისტრაციაში) მათი კუთვნილი ავტომოტორანსპორტის საშუალებანი, მიუხედავად მათი ტექნიკური მდგომარეობისა, 5 დღე-ღამის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალებათა შეძენის (მიღების) ან იმ გარემოებათა წარმოშობის მომენტიდან, რომლებიც იწვევს ამ საშუალებათა ხელახალ რეგისტრაციას.

4. რეგისტრაციაში უნდა გატარდეს შემდეგი ავტომოტორანსპორტის საშუალებანი: ავტომობილები, საავტომობილო საწევრები, მოტოციკლები, მოტოროლერები, მოპედები, რომელთა ძრავის სამუშაო მოცულობა სულ ცოტა 49,8 კუბური სანტიმეტრია, მოტოეტლები, მისაბმელები, მათ შორის სახსნელები, ნახევარმისაბმელები, აგრეთვე თვითმავალი მანქანები, ავტომობილების შასიზე დაყენებული (ავტოამწეები, ავტოგუდრონატორები, ქვიშასაფანტავი, საასენიზაციო, თოვლწასაღები, თოვლსაწმენდი, ტროტუარსაგველი, ნაგვისსაზიდი, სარწყავ-სარეცხი, საგველი და სხვა მანქანები).

ქალაქების, დასახლებული პუნქტების ქუჩებში და საერთო სარგებლობის გზებზე აკრძალულია ავტოტრანსპორტის იმ საშუალებათა ექსპლუატაცია, რომლებიც რეგისტრაციაში არ გაუტარებია სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციას.

5. ავტომოტორანსპორტის საშუალებანი რეგისტრაციაში ტარდება საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახელზე. მოქალაქეთა საკუთარი სატრანსპორტო საშუალებანი რეგისტრაციაში ტარდება მხოლოდ ერთი მფლობელის სახელზე.

ავტომოტორანსპორტის საშუალებათა რეგისტრაცია

6. ავტომოტორანსპორტის საშუალებათა რეგისტრაცია წარმოებს:

მფლობელის წერილის (განცხადების) საფუძველზე, რომელშიც მოცემულია ძირითადი მონაცემები სატრანსპორტო საშუალების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ (ტიპი, მარკა, მოდელი, ფერი, ძრავის, ძარის, შასის, ჩარჩოს ნომრები), აღნიშნულია სადგომის ადგილი, საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების მისამართი ან ინდივიდუალური მფლობელის საცხოვრებელი ადგილი, მისი მუშაობის ადგილი და თანამდებობა;

იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც ადასტურებენ, თუ ვის ეკუთვნის სატრანსპორტო საშუალებანი.

რეგისტრაცია წარმოებს, როცა წარდგენილ იქნება ქვითარი, რომ გადახდილია სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის, სანომრო ნიშნისა და ტექნიკური პასპორტის გაცემის გამოსაღები, აგრეთვე როცა ავტომობილებისა და მოტოციკლების ინდივიდუალური მფლობელები წარადგენენ გამოსაღების გადახდის ქვითარს.

7. დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, თუ ვის ეკუთვნის ავტოტრანსპორტის საშუალებანი, შეიძლება იყოს:

ა) სახელმწიფო საწარმოებისათვის, ორგანიზაციებისათვის, დაწესებულებებისათვის, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის:

ამონაწერი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების, სამხარეო აღმასკომის, საოლქო აღმასკომის, სამინისტროს, უწყების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამმართველოს ან ტრესტის გადაწყვეტილებიდან სატრანსპორტო საშუალებათა განაწილების თუ გადაცემის შესახებ;

დამამზადებელი ქარხნის ან იმ ქარხნის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელმაც სპეციალური მოწყობილობა დააყენა სატრანსპორტო საშუალებაზე, საქარხნო პასპორტი ან ანგარიშის (განაწესის) ასლი სატრანსპორტო საშუალების მიღების შესახებ, ხოლო როცა არ არის ეს დოკუმენტები — სხვა დოკუმენტები (რკინიგზის ან წყლის ტრანსპორტის ზედნადები, დამამზადებელი ქარხნის ცნობა მიღება-ჩაბარების აქტის დაკარგვის შემთხვევაში);

ბ) მოქალაქეებისათვის — ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი:

იმ მაღაზიის ანგარიში-ცნობა ან ცნობა, რომელმაც გაყიდა სატრანსპორტო საშუალება;

სამხედრო ოლქის (ფლოტის) მატერიალური ფონდების განყოფილების ან სახელმწიფო ქონების (სახფონდის) ბაზის განაწესი და ანგარიში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საბაჟოს მოწმობა (ნებართვა) სსრ კავშირში შემოტანილ ავტომობილზე;

სასამართლოს გადაწყვეტილება სატრანსპორტო საშუალების კუთვნილების შესახებ ან ნოტარიული წესით დადასტურებული მოწმობა სატრანსპორტო საშუალების მემკვიდრეობით მიღების უფლების შესახებ.

8. საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახელზე სატრანსპორტო საშუალებანი რეგისტრაციაში ტარდება მათი მდებარეობის ადგილის ან სატრანსპორტო საშუალებათა დგომის ადგილის მიხედვით მოკავშირე (რომელსაც არა აქვს საოლქო დაყოფა) ან ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის ფარგლებში, ხოლო მოქალაქეთა სახელზე — მხოლოდ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

9. ინდივიდუალურ მფლობელთა სატრანსპორტო საშუალებანი რეგისტრაციაში ტარდება იმ პირის სახელზე, რომელზეც გამოწერილია მაღაზიის ანგარიში ან ცნობა, ხოლო საზღვარგარეთიდან შემოტანილი ავტომობილისა — პირის სახელზე, რომელსაც მიეცა საბაჟოს მოწმობა (ნებართვა).

მოტოციკლები, მოტოროლერები და მოპოდები, რომლებიც საბჭოთა მოქალაქეებმა შემოიტანეს საზღვარგარეთიდან, რეგისტრაციაში ტარდება მათ სახელზე საბაჟოს ნებადაურთველად იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც ადასტურებენ ამ სატრანსპორტო საშუალებათა მიმართ მათი საკუთრების უფლებას.

10. უცხოელ მოქალაქეთა სახელზე ავტოტრანსპორტის საშუალებანი რეგისტრაციაში ტარდება საერთო საფუძვლებზე.

ქალაქ მოსკოვში მყოფი უცხოეთის დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების, მათი თანამშრომლების, პრესისა და უცხოეთის ორგანიზაციათა მუდმივი წარმომადგენლების სახელზე, აგრეთვე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლობების, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს თანამდებობის პირებისა და მუდმივ წარმომადგენლობათა მათი შესაბამისი კატეგორიების თანამშრომლების სახელზე (სსრ კავშირის მოქალაქეთა გამოკლებით) სატრანსპორტო საშუალებებს რეგისტრაციაში, ხელახლა რეგისტრაციაში ატარებს და აღრიცხვიდან ხსნის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია მხოლოდ სსრ კავშირის საგარეო საქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა სამინისტროს დიპლომატიური კორპუსის მომსახურების სამმართ. თველოს საშუალებით.

11. მიკროლიტრაჟიანი ავტომობილები და მოტოციკლები, გარდა სპორტული მანქანებისა, აგრეთვე ყველა ავტომობილის მისაბმელები და მოტოციკლებისა და მოტოროლერების გვერდითი მისაბმელები, თვითნაკეთი მანქანები რეგისტრაციაში ტარდება რაიონული, საქალაქო სასპორტო საზოგადოების, უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ან ცალკეული პირების სახელზე იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც ადასტურებენ აგრეგატების, დეტალებისა და მასალების კანონიერ შეძენას, და იმ პირობით, თუ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებანი შეესაბამება მათი დამზადების ტექნიკურ მოთხოვნებს, რომლებსაც ამუშავებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ავტოსატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტი, აგრეთვე ტექნიკური მდგომარეობისა და გარეგნობის მოთხოვნებს, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ქალაქების, დასახლებული პუნქტების ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესებით.

12. ავტომეურნეობათა მიერ დამზადებული ავტომისაბმელები რეგისტრაციაში ტარდება მეურნეობის წერილისა და ამ საშუალებათა ბალანსზე მიღების ცნობის საფუძველზე, იმ პირობით, თუ ისინი შეესაბამება მათი დამზადების ტექნიკურ მოთხოვნებს, რომლებიც შეთანხმებულია საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროთა (სამმართველოთა) შესაბამის საკონსტრუქტორო ბიუროებთან, აგრეთვე ტექნიკური მდგომარეობისა და გარეგნობის მოთხოვნებს, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ქალაქების, დასახლებული პუნქტების ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესებით.

13. ახალი ავტომოტოტრანსპორტის საშუალებანი რეგისტრაციაში ტარდება საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების სახელზე, როგორც წესი, დაუთვალიერებლად, ხოლო ინდივიდუალური მფლობელების საშუალებანი — მას შემდეგ, რაც შეადარებენ ძრავის, შასის, ძარის, ჩარჩოს ნომრებს სარეგისტრაციო დოკუმენტების ჩანაწერებთან. ექსპლუატაციაში ყოფილ სატრანსპორტო საშუალებათა მიმართ, მიუხედავად მათი კუთვნილებისა, უნდა მოხდეს ტექნიკური დათვალიერება, ამასთან შედგეს შესაბამისი აქტი.

14. რეგისტრაციაში გატარებულ სატრანსპორტო საშუალებაზე მფლობელს ეძლევა: ტექნიკური პასპორტი, ტექნიკური პასპორტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტალონი და სანომრო ნიშნები, ხოლო მოპედზე — ტექნიკური პასპორტის ტალონი და სანომრო ნიშანი.

მსუბუქი ავტომობილების მისაბმელებზე გაიცემა მხოლოდ სანომრო ნიშნები და ტექნიკური პასპორტის ტალონები, რის შესახებაც შესაბამისი ჩაწერა ხდება ავტომობილის ტექნიკურ პასპორტში.

ყველა ტიპის ავტომობილებსა და თვითმავალ მანქანებზე გაიცემა ორ-ორი სანომრო ნიშანი, ხოლო ყველა სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე თითო სანომრო ნიშანი.

სანომრო ნიშნები ტექნიკურად უწესივრო სატრანსპორტო საშუალებებზე არ გაიცემა ამ უწესივრობათა აღმოფხვრამდე.

არ შეიძლება იმ ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა ექსპლუატაცია, რომლებზეც მიმაგრებულია სხვა სატრანსპორტო საშუალებათა სანომრო ნიშნები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მოქალაქეთა საკუთარ ავტომობილებზე, მოტოციკლებზე, მოტოროლერებზე, მოპედებზე სანომრო ნიშნები გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მფლობელებს ან პირებს, რომლებსაც მიეცათ სარგებლობის მინდობილობა, აქვთ მართვის უფლების შესაბამისი მოწმობები.

15. ავტომობილები, რომლებიც თავისი სვლით მიჰყავთ საავტომობილო და ავტოსარემონტო ქარხნებიდან ან მაღაზიებიდან დანიშნულების ადგილზე სხვა რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია ან მისი ნებართვით ქარხნები თუ მაღაზიები გასცემენ „ტრანზიტის“ სანომრო ნიშნებს, რომლებიც უნდა ჩაბარდეს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციას ავტომობილების რეგისტრაციის დროს.

16. საავტომობილო, ავტოსარემონტო ქარხნებს, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებს, რომლებიც აწარმოებენ ავტომობილების გამოცდას ან გასახმარისებას, სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია მათი თხოვნით აძლევს „გასინჯვის“ სანომრო ნიშნებს და ტექნიკური პასპორტების ტალონებს, რომლებშიც აღნიშნულია „საექსპერიმენტო“ ან „გამოცდა“.

17. რეგისტრაციაში არ ტარდება:

ავტომოტოტრანსპორტის საშუალებანი, რომლებიც შეიძინეს სახელმწიფო, საზოგადოებრივმა თუ კოოპერაციულმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა და კოლმეურნეობებმა საცალო სავაჭრო ქსელის მაღაზიებში ან მოქალაქეებისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატვირთო და სატვირთო-სამგზავრო ავტომობილები, რომლებიც ახლად მიიღეს საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, რომელთა ავტოტრანსპორტი გადაეცა ან უნდა გადაეცეს საერთო სარგებლობის ტრანსპორტის საავტომობილო მეურნეობებს;

მსუბუქი ავტომობილები, გარდა სპეციალური ავტომობილებისა, და ავტობუსები საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ყველა საავტომობილო მეურნეობის სახელზე, გარდა საერთო სარგებლობის ტრანსპორტის საავტომობილო მეურნეობების და ცალკეული უწყებრივი გარაჟებისა, რომელთა ორგანიზაცია გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებით (განკარგულებით);

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სპეციალურ მსუბუქ ავტომობილებს განეკუთვნება: სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო და ვეტერინარული დახმარების, საავარიო-ტექნიკური სამსახურის, გეოლოგია-სადაზვერვო და საძიებო ექსპედიციებისა და პარტიების, საერთო სარგებლობის ტრანსპორტის სახაზო სამსახურში დასაქმებული საგზაო და ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციების მსუბუქი ავტომობილები, კავშირგაბმულობის საწარმოთა ფოსტის საზიდი ავტომობილები, ავტომობილები, რომლებსაც იყენებენ ფულის ინკასაციისათვის, სასწავლო, აგრეთვე სხვა მსუბუქი ავტომობილები, რომლებზეც დადგმულია სპეციალური მოწყობილობა.

ავტომობილები, მოტოციკლები, მოტოროლერები, მოტოეტლები, რომლებიც ააწყვეს ან აღადგინეს წუნდებული მანქანებისაგან;

სატვირთო, სატვირთო-სამგზავრო და სპეციალური ავტომობილები, აგრეთვე სატვირთო მოტოროლერები ინდივიდუალურ მფლობელთა სახელზე;

ავტომობილები და თვითმავალი მანქანები, რომლებსაც ექსპლუატაციას უწევენ მხოლოდ საწარმოთა, მშენებლობათა და სხვ. შემოღობილ ტერიტორიებზე;

სატრანსპორტო საშუალებანი, თუ არ არის ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელიც გათვალისწინებულია ამ წესების მე-6 პუნქტით;

სპორტული ავტომობილები და მოტოციკლები, აგრეთვე საშუალო და დიდი ლიტრაჟის თვითნაკეთი ავტომობილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა რეგისტრაცია ტექნიკური პასპორტის გაუცემლად (ხელახალი რეგისტრაცია)

18. ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა ხელახალი რეგისტრაცია წარმოებს, როცა:

შეიცვალა კუთვნილება (მფლობელი);

შეიცვალა სატრანსპორტო საშუალების სადგომი ადგილი ან მფლობელის საცხოვრებელი ადგილი ამა თუ იმ რაიონის, ქალაქის ფარგლებში;

შეიცვალა მანქანის ტიპი გადაკეთების შედეგად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: არ შეიძლება მოქალაქეთა საკუთარი ავტომობილების გადაკეთება, ამასთან მათი მარკების, მოდელების თუ ტიპების შეცვლა, აგრეთვე ამ ავტომობილებზე სხვა მარკების ავტომობილების ორი ან მეტი ძირითადი აგრეგატის ან სხვა მოდელის ძარის დაყენება.

19. ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა ხელახალი რეგისტრაცია წარმოებს:

მფლობელის წერილის (განცხადების) საფუძველზე;

ავტოსარემონტო ქარხნის ან იმ ქარხნის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელმაც დააყენა სპეციალური მოწყობილობა ან შეცვალა სატრანსპორტო საშუალების ტიპი;

საკომისიო ვაჭრობის მაღაზიის ანგარიშ-ცნობის;

გადაცემის ნებართვის დოკუმენტის საფუძველზე.

20. ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა ხელახალი რეგისტრაცია წარმოებს გამოსაღების გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ, ხოლო თუ არ არის სანომრო ნიშნები — როცა წარადგენენ სანომრო ნიშნების გამოსაღების გადახდის ქვითრებს და ტექნიკურ პასპორტს (ტექნიკური პასპორტის ტალონს), ხოლო მოქალაქეთა საკუთარი ავტომობილებისა და მოტოციკლების ხელახალი რეგისტრაციისათვის ავტომობილებისა და მოტოციკლების გამოსაღების გადახდის ქვითრები უნდა წარადგინონ როგორც უწინდელმა, ისე ახალმა მფლობელმაც.

21. დოკუმენტები, რომლებიც ნებას რთავენ ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა გადაცემას, შეიძლება იყოს:

ა) საწარმოებისათვის, დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის — ზემდგომი ორგანიზაციის გადაწყვეტილება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოქალაქეებისათვის — სასამართლოს გადაწყვეტილება, ანდა კვიდრეობით მიღების უფლების მოწმობა ან ნოტარიული წესით დამოწმებული ნაჩუქრობის ხელშეკრულება.

22. მოქალაქეთა საკუთარი სატრანსპორტო საშუალებების მფლობელის შეცვლის შემთხვევაში და ამ სატრანსპორტო საშუალებათა რესპუბლიკიდან, მხარიდან, ოლქიდან, რაიონიდან თუ ქალაქიდან გატანის დროს, ხელახალი რეგისტრაცია უნდა წარმოებდეს აღრიცხვიდან მოხსნასთან ერთად.

23. ყველა შემთხვევაში, როცა წარმოებს სატრანსპორტო საშუალებათა ხელახალი რეგისტრაცია ან აღრიცხვა, მათი სანომრო ნიშნების გაცემა, შესაბამისი ჩაწერა ხდება ტექნიკურ პასპორტში და გაიცემა ტექნიკური პასპორტების ახალი ტალონები.

სანომრო ნიშნები ხელახალი რეგისტრაციისა და აღრიცხვის დროს გაიცემა მხოლოდ იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც შემოტანილია სხვა რესპუბლიკებიდან, მხარეებიდან და ოლქებიდან.

24. ტექნიკური პასპორტები და ტექნიკური პასპორტების ტალონები ნაცვლად დაკარგული ან უვარგისისა გაიცემა ავტოტრანსპორტის საშუალებათა მფლობელების განცხადებათა საფუძველზე მას შემდეგ, რაც ამ საშუალებებს დაათვალიერებენ არაუგვიანეს 30 დღისა განცხადების შემოსვლის შემდეგ.

25. ხელახალ რეგისტრაციაში არ ტარდება:

ავტოტრანსპორტის საშუალებანი, რომლებიც შეიძინეს სახელმწიფო საზოგადოებრივმა და კოოპერაციულმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა და კოლმეურნეობებმა მოქალაქეებისაგან;

მსუბუქი ავტომობილები, მოტოციკლები, მოტოროლერები, მოპედები, რომლებიც მოქალაქეებმა შეიძინეს სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული საწარმოებისაგან, დაწესებულებებისაგან, ორგანიზაციებისაგან (გარდა საცალო სავაჭრო ქსელის მაღაზიებისა) და კოლმეურნეობებისაგან;

მსუბუქი ავტომობილები, ეტლიანი მოტოციკლები, რომლებიც მოქალაქეებმა შეიძინეს, ინდივიდუალური მფლობელებისაგან ან გაცვლის წესით გადაეცათ სხვა პირებს ნაჩუქრობის ხელშეკრულებებით, რომლებიც დადასტურებული არ არის ნოტარიული წესით, აგრეთვე მინდობილობით სარგებლობაში (განკარგულებაში) გადაცემული;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითნაკეთი. სატრანსპორტო საშუალებანი სხვა ინდივიდუალური მფლობელების სახელზე, გარდა მემკვიდრეობით მიღებული საშუალებებისა;

სატრანსპორტო საშუალებანი, როცა არ არის თუნდაც ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელიც გათვალისწინებულია ამ წესების მე-19 და მე-20 პუნქტებით.

ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა მოხსნა აღრიცხვიდან

26. ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა აღრიცხვიდან მოხსნა წარმოებს მფლობელის წერილის (განცხადების) საფუძველზე იმ შემთხვევებში, როცა:

გააქვს სსრ კავშირიდან, მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკიდან, მხარიდან, ოლქიდან, რაიონიდან ან ქალაქიდან — ექვს თვეზე მეტი ვადით;

გადასცემს სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიებს მოსახლეობისათვის მისაყიდად ან სახფონდში;

წუნს სდებს.

იმ შემთხვევაში, როცა ავტომოტოტრანსპორტის საშუალებანი გააქვთ სხვა რესპუბლიკებში, მხარეებში თუ ოლქებში ერთი თვიდან ექვს თვემდე ვადით (განურჩევლად მგზავრობის მიზნისა), მფლობელები ვალდებული არიან აცნობონ ეს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციას სატრანსპორტო საშუალებათა აღრიცხვის ადგილას, ხოლო დანიშნულების პუნქტში ჩასვლის შემდეგ სულ ცოტა ერთი თვის ვადით — იმ რაიონის, ქალაქის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციას, სადაც სატრანსპორტო საშუალება დროებით უნდა იქნეს აღრიცხული.

27. რესპუბლიკიდან, მხარიდან, ოლქიდან გატანასთან დაკავშირებით სატრანსპორტო საშუალებათა აღრიცხვიდან მოხსნის დროს სანომრო ნიშნები და ტექნიკური პასპორტის ტალონები უნდა ჩაბარდეს, ხოლო მათ ნაცვლად, თუ სატრანსპორტო საშუალება თავისი სვლით უნდა წაიყვანონ დანიშნულების ადგილას, გაიცემა „ტრანზიტის“ სანომრო ნიშნები. იმ სატრანსპორტო საშუალებათა აღრიცხვიდან მოხსნის დროს, რომლებიც არ გააქვთ რესპუბლიკიდან, მხარიდან, ოლქიდან, მათი მფლობელები აბარებენ მხოლოდ ტექნიკური პასპორტების ტალონებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხოვნას „ტრანზიტის“ ნიშნის გაცემის შესახებ მფლობელი აღნიშნავს სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვიდან მოხსნის განცხადებაში.

28. საზღვარგარეთიდან შემოტანილი ავტომობილები შეიძლება მოიხსნას აღრიცხვიდან საკომისიო ვაჭრობის მაღაზიებში გასაყიდად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მფლობელს საბაჟომ მისცა გასხვისების უფლება, ხოლო ხელის მართვის ავტომობილები — თუ მფლობელს აქვს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების ან სანოტარო კანტორების ნებართვა.

გასხვისების ნებართვა არ არის საჭირო, თუ ავტომობილები:

ნაყიდია სამხედრო ოლქების (ფლოტების) ან საზღვარგარეთ მყოფი საბჭოთა ჯარების ჯგუფების მატერიალური ფონდების განყოფილებებში;

მიღებულია მემკვიდრეობით;

გადაეცემა სახფონდს ან სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ბალანსზე;

ექსპლუატაციაში იყო ხუთ წელზე მეტ ხანს სსრ კავშირის ტერიტორიაზე შემოტანის დღიდან;

ტარდება განმეორებით ხელახალ რეგისტრაციაში.

როცა სატრანსპორტო საშუალებანი აღრიცხვიდან იხსნება გასაყიდად, ყველა შემთხვევაში მფლობელებმა უნდა ჩააბარონ სანომრო ნიშნები და ტექნიკური პასპორტის ტალონები.

29. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ავტომოტოტრანსპორტის წუნდებული საშუალებები აღრიცხვიდან იხსნება მას შემდეგ, რაც წარდგენილ იქნება შესაბამისი ორგანიზაციების მიერ დადასტურებული აქტები ან ამონაწერები ბრძანებებიდან წუნდების შესახებ, შემოწმდება სატრანსპორტო საშუალებათა არსებობა და სააღრიცხვო დოკუმენტების ჩანაწერებთან შესაბამისობა.

მოქალაქეთა საკუთარი ავტომობილები და მოტოციკლები აღრიცხვიდან იხსნება წუნდების აქტების საფუძველზე, რომლებსაც ადგენს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია მათი მფლობელების მონაწილეობით, ხოლო ხელის სამართი ავტომობილები და მოტოეტლები აღრიცხვიდან იხსნება, გარდა ამისა, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით; მოტოროლერები და მოპედები აღრიცხვიდან იხსნება მათი მფლობელების განცხადებათა საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეთა საკუთარი ავტომობილების დაშლა აკრძალულია, სანამ მათი წუნდება არ გაფორმდება სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციაში.

წუნდების დროს აუცილებლად უნდა ჩაბარდეს სანომრე ნიშნები, ტექნიკური პასპორტები და ტექნიკური პასპორტების ტალონები.

30. ავტომოტოტრანსპორტის საშუალებანი, რომლებიც საზღვარგარეთ გააქვთ სსრ კავშირში დაუბრუნებლად, აღრიცხვიდან იხსნება შესაბამისად ინსტრუქციისა, რომლითაც გათვალისწინებულია, თუ რა წესით უნდა მიეცეთ სსრ კავშირის მოქალაქეებს სხვა ქვეყნებში გადასაზიდი საშუალებების მართვისა და საერთაშორისო მოძრაობაში მონაწილე გადასაზიდი საშუალებების დოკუმენტები, აგრეთვე სხვა ქვეყნების პირებს — იმ გადასაზიდი საშუალებების მართვის დოკუმენტები, რომლებიც სერავენ სსრ კავშირის საზღვარს. ეს ინსტრუქცია დამტკიცებულია რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 14 ივნისის № 742 დადგენილებით.

31. ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა აღრიცხვიდან მოხსნა, სანომრო ნიშნების ჩაბარება და „ტრანზიტის“ ნომრების გაცემა შესაბამისად უნდა ჩაიწეროს ტექნიკურ პასპორტში.

32. მოქალაქეთა საკუთარი ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა რეგისტრაცია, ხელახალი რეგისტრაცია და აღრიცხვიდან მოხსნა წარმოებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაათვალიერებენ ამ სატრანსპოროტო საშუალებებს და მფლობელი წარადგენს პასპორტს ან პირადობის დამადასტურებელ სხვა დოკუმენტს.

რეგისტრირებულ ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა აღრიცხვა

33. ყველა რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალება უნდა ჩაიწეროს შემოტანილი ავტომოტოტრანსპორტის აღრიცხვის წიგნში და თითოეულ მათგანზე უნდა შეივსოს სარეგისტრაციო ბარათები (დანართი № 1 ან № 2) ორ ცალად, რომელთაგან ერთი ეგზავნება საქალაქო აღმასკომის მილიციის სამმართველოს, საოლქო აღმასკომის, სამხარეო აღმასკომის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს ან ავტონომიური თუ საკავშირო რესპუბლიკის (რომელსაც არა აქვს საოლქო გაყოფა) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციას, ხოლო მეორე რჩება სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციაში რეგისტრაციის ადგილას. დატოვებული ბარათები ჯგუფდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საავტომობილო მეურნეობათა მიხედვით, ხოლო საქალაქო აღმასკომის მილიციის სამმართველოს, საოლქო აღმასკომის, სამხარეო აღმასკომის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს, ავტონომიური ან მოკავშირე რესპუბლიკის (რომელსაც არა აქვს საოლქო გაყოფა) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციაში სანომრო ნიშნების სერიების მიხედვით (სანომრო ნიშნის კარტოთეკა).

34. ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა აღრიცხვიდან მოხსნის დროს სარეგისტრაციო ბარათში უნდა ჩაიწეროს გატანის (დანიშნულების) ადგილი, შესაბამისი აღნიშვნა უნდა იყოს ჩაწერილი გატანილი ავტომოტოტრანსპორტის ტექნიკურ პასპორტსა და აღრიცხვის წიგნში, რის შემდეგ ბარათი ეგზავნება საქალაქო აღმასკომის მილიციის სამმართველოს, საოლქო აღმასკომის, სამხარეო აღმასკომის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს, ავტონომიური ან მოკავშირე რეპუბლიკის (რომელსაც არა აქვს საოლქო დაყოფა) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საავტომობილო ინსპექციას, სადაც იგი ინახება როგორც საკონტროლო ბარათი.

იმ სატრანსპორტო საშუალებათა სარეგისტრაციო ბარათებზე, რომლებიც მოხსნილია აღრიცხვიდან ამა თუ იმ ოლქის, მხარის ან რესპუბლიკის სხვა რაიონში, ქალაქებში წასვლასთან დაკავშირებით, საქალაქო აღმასკომის მილიციის სამმართველოს, საოლქო აღმასკომის, სამხარეო აღმასკომის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს, ავტონომიური ან მოკავშირე რესპუბლიკის (რომელსაც არა აქვს საოლქო დაყოფა) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია აწესებს კონტროლს, სანამ არ მიიღებს დადასტურებას (ბარათს) ახალი რეგისტრაციის ადგილზე სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის შესახებ. მიღებულ ბარათს საკონტროლო ბარათთან მისი შედარების შემდეგ ათავსებენ სანომრო ნიშნის კარტოთეკაში, ხოლო ძველ სარეგისტრაციო ბარათსა და საკონტროლო ბარათს სპობენ.

საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წუნდებულ, აგრეთვე სხვა ოლქებში, მხარეებში, რესპუბლიკებში გადატანილ სატრანსპორტო საშუალებათა სარეგისტრაციო ბარათები ინახება ცალკე ერთი წლის განმავლობაში, ხოლო მოქალაქეთა საკუთარი ავტომობილებისა და მოტოციკლების სარეგისტრაციო ბარათები ინახება 5 წლის განმავლობაში, რის შემდეგ ისპობა აქტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

35. წუნდებულ სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური პასპორტები აღნიშვნით „გაუქმებულია“ ინახება წუნდების სხვა დოკუმენტებთან ერთად.

36. იმ სატრანსპორტო საშუალებათა აღრიცხვა, რომლებიც რესპუბლიკაში, მხარეში თუ ოლქში 6 თვემდე ვადით ჩავიდა, წარმოებს ნებისმიერი ფორმით, ამასთან სანომრო ნიშნები არ იცვლება.

37. გაცემული სანომრო ნიშნების, ტექნიკური პასპორტებისა და მათი ტალონების აღრიცხვა წარმოებს სარეგისტრაციო წიგნში (დანართი № 3) სატრანსპორტო საშუალებათა ტიპების მიხედვით მკაცრად ქრონოლოგიური წესით.

38. შემოტანილი და გატანილი ავტომოტოტრანსპორტის აღრიცხვის წიგნების, აგრეთვე ტექნიკური პასპორტის ტალონების გაცემის წიგნის ფორმებს ამუშავებს მოკავშირე რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრო.

39. ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა რეგისტრაციასთან დაკავშირებულ გამოსაღებს იხდიან დადგენილი წესით.

სანომრო ნიშნებისა და სატრანსპორტო საშუალებათა დოკუმენტების დამზადებისა და შენახვის წესი

40. სანომრო ნიშნების, ტექნიკური პასპორტების და ტექნიკური პასპორტების ტალონების ნიმუშებს ამუშავებს რუსეთის სფსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრო სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროებთან შეთანხმებით.

41. მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს, მხარეებს, ოლქებსა და ქალაქებს სანომრო ნიშნების სერიებს მიაკუთვნებს რუსეთის სფსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრო.

42. სანომრო ნიშნებს ამზადებენ მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროთა ორგანიზაციები.

„ტრანზიტის“ ნიშნებს ამზადებენ მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროთა ორგანიზაციები იმ სანომრო ნიშნების სერიათა გამოყენებით, რომლებიც მიეკუთვნება რესპუბლიკას, მხარეს, ოლქს ან ქალაქს.

43. ტექნიკური პასპორტის ბლანკებს ამზადებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ნიშნების ფაბრიკა მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროთა განცხადებით, ხოლო ტექნიკური პასპორტების ტალონების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლანკებს ამზადებენ მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროების ან სამხარეო აღმასკომების, საოლქო აღმასკომების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოთა ორგანიზაციები.

44. სანომრო ნიშნები და ტექნიკური პასპორტების ბლანკები ინახება როგორც მკაცრი ანგარიშმგებლობის დოკუმენტები.

45. სანომრო ნიშნები და ტექნიკური პასპორტები, რომლებიც აღარ ვარგა ან უნდა გაუქმდეს, უნდა იქცეს ჯართად იმ საშუალებებითა და ხერხებით, რომლებიც გამორიცხავენ მათი განმეორებითი გამოყენების შესაძლებლობას, რაზედაც დგება შესაბამისი აქტები.

46. დოკუმენტები, რომლებიც საფუძვლად დაედო სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციას, ხელახალ რეგისტრაციასა და აღრიცხვიდან მოხსნას, სანომრო ნიშნებისა და ტექნიკური პასპორტების გაცემას ან შეცვლას, უნდა ჩაიკეროს ცალკეულ საქმეებად სარეგისტრაციო წიგნის ჩანაწერების შესაბამისად.

გაცემული სანომრო ნიშნებისა და ტექნიკური პასპორტების სერიები და ნომრები უნდა ჩაიწეროს მფლობელთა განცხადებებში.

47. დოკუმენტები, რომლებიც საფუძვლად დაედო ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა რეგისტრაციას, ხელახალ რეგისტრაციას ან აღრიცხვიდან მოხსნას, ინახება ხუთი წლის განმავლობაში.

შემოტანილი და გატანილი ავტომოტოტრანსპორტის სარეგისტრაციო წიგნები, აღრიცხვის წიგნები ინახება მუდმივად, ხოლო ტექნიკური პასპორტის ტალონების გაცემის წიგნები სამი წლის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ № 1
ავტომოტოტრანსპორტის რეგისტრაციის
და აღრიცხვის წესებისა

ᲡᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝ ᲒᲐᲠᲐᲗᲘ

№ _____ (ნიშნის ნომერი და სერია)

ავტომობილის, საავტომობილო საწევრის, თვითმავალი მანქანის, მოტოციკლის, მოტოროლერის, მოპედის, მოტოეტლისა

№ _____ (ტექნიკური პასპორტისა)

№ _____ (რომელი ნიშნის ნაცვლად)

(რაც არ არის საჭირო, წაიშალოს)

№ _____

1 _____ (ტიპი) 2 _____ (მარკა და მოდელი) 3 _____ (გამოშვების წელი)

4 _____ (შასის, ჩარჩოს ნომერი) 5 _____ (ძრავის ნომერი) 6 _____ (ჩასვლის მისამართი)

7 _____ (დამახასიათებელი ნიშნები)

რეგისტრაციის თარიღი	რომელ უწყებას ეკუთვნის	მფლობელი	მფლობელისა და გარაჟის მისამართი	სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის მუშაკის ხელმოწერა	განსაკუთრებული ნიშნები

მოხსნილია აღრიცხვიდან 19 წლის „_____“ _____

_____ შედეგად

(ბარათის ზომაა 125 × 145)

_____
(სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის მუშაკის ხელმოწერა)

№ 1 დანართის გაგრძელება

ტექნიკური დათვალიერებანი

დეფექტების, ცვეთა და ნაცვლის ჩამონაცვლ-	საერთო გარბენი	წესივრული	მოითხოვს რემონტს	კაპიტალურ რემონტში ან მის მოლოდინშია	სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის მუშაკის ხელმოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ № 2
ავტომოტორანსპორტის რეგისტრაციის
და აღრიცხვის წესებისა

ᲡᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝ ᲒᲐᲠᲐᲗᲘ

№ _____ (ნიშნის ნომერი და სერია) **საავტომობილო მისაბმელის, ნახევარმისაბმელის, სახსნელისა** (რაც არ არის საჭირო, წაიშალოს) № _____ (ტექნიკური პასპორტისა)

№ _____

1 _____ (ტიპი) 2 _____ (მარკა) 3 _____ (გამოშვების წელი)

4 _____ (ძარის, ჩარჩოს ნომერი) 5 _____ (ღერძების რიცხვი) 6 _____ (დამამზადებელი ქარხანა)

რეგისტრაციის თარიღი	რომელ უწყებას ეკუთვნის	მფლობელი	მფლობელისა და გარაჟის მისამართი	სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის მუშაკის ხელმოწერა

მოხსენებულია აღრიცხვიდან 19 წლის „_____" _____

_____ შედეგად

(ბარათის ზომაა 125 × 145)

(სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის მუშაკის ხელმოწერა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2 დანართის გაგრძელება

ტექნიკური დათვალიერებანი

დათვალიერების რიცხვი, თვე და წელი	საერთო გარბენა	წესივრული	მოითხოვს რემონტს	კაპიტალურ რემონტში ან მის მოლოდინშია	სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის მუშაკის ხელმოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი № 3
ავტომოტორანსპორტის რეგისტრაციის
და აღრიცხვის წესებისა

სარეგისტრაციო წიგნი

სანომრო ნიშნების, ტექნიკური პასპორტებისა და მათი ტალონების გაცემისა

№ 3 დანართის გაგრძელება

№№	სანომრო ნიშნისა და ტექნიკური პასპორტის გაცემის რიცხვი, თვე და წელი	ნიშნის ნომერი და სერია	ტექნიკური პასპორტის სერია და ნომერი	სატრანსპორტო საშუალების ტიპი, მარკა და მოდელი	ვის ეკუთვნის მანქანა	ხელმოწერა, რომ მიიღო		
						სანომრო ნიშანი	ტექნიკური პასპორტი	ტექნიკური ტალონი
1	2	3	4	5	6	7	8	9

აღნიშვნა, თუ სად ინახება გაცემის საფუძველი (საქმე № ფურცელი №)	აღნიშვნა სანომრო ნიშნის დაკარგვის შესახებ, გაცემული ახალი ნიშნის თარიღი და ნომერი	აღნიშვნა ტექნიკური პასპორტის დაკარგვის შესახებ, თარიღი და გაცემული ახალი პასპორტის ნომერი	აღნიშვნა ახალი მანქანების რეგისტრაციის, დაკარგული ნიშნებისა და ტექნიკური პასპორტების ნომრების შესახებ	აღნიშვნა მანქანის წასვლის შესახებ (სად წავიდა, თარიღი)	შენიშვნები
10	11	12	13	14	15

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 6 ივლისის № 840
დადგენილებით

ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲢᲝᲪᲘᲙᲚᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ

ᲬᲔᲡᲔᲑᲘ

საერთო დებულებანი

1. ეს წესები შემუშავებულია შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 30 სექტემბრის № 1022 დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ“ და ერთიანია სსრ კავშირის მთელი ტერიტორიისათვის.

2. ავტომოტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერება საექსპლუატაციო სატრანსპორტო საშუალებათა წესივრობისადმი კონტროლის ერთ-ერთი ფორმაა და ხელს უნდა უწყობდეს მათი ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

3. ტექნიკურ დათვალიერებას აწარმოებს ყოველწლიურად 20 მარტიდან 20 მაისამდე მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის ორგანოების სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია სამხედრო კომისარიატებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად იმ მიზნით, რომ გამოარკვიოს სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობა, დააზუსტოს მათი არსებობა და უწყებრივი კუთვნილება.

შენიშვნები: 1. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო აღმასკომებსა და საოლქო აღმასკომებს კლიმატური პირობების გათვალისწინებით შეუძლიათ გადაიტანონ დათვალიერების ვადა 20 თებერვლიდან 20 მაისამდე.

2. მსუბუქი მოტოციკლების ტექნიკური დათვალიერება შეიძლება განხორციელდეს წელიწადის სხვა დროს. მისი მოწყობის ვადას აწესებს მოკავშირე რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერების მოსამზადებელი ღონისძიებანი

4. საავტომობილო მეურნეობანი სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერებისათვის მზადების დროს:

ა) ახორციელებენ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ავტომოტოპარკის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და უზრუნველყოფენ იმას, რომ დროზე წარადგინონ სატრანსპორტო საშუალებანი ტექნიკური დათვალიერებისათვის;

ბ) დათვალიერებამდე 10 დღით ადრე სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ორგანოებს უნდა წარედგინოთ ხელმძღვანელისა და ბუღალტრის მიერ ხელმოწერილი ცნობები სატრანსპორტო საშუალებათა არსებობის შესახებ № 1 დანართის ფორმის თანახმად, ტექნიკური პასპორტები და დათვალიერების გამოსაღების გადახდის ქვითრები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ტექნიკური დათვალიერება არ წარმოებს, თუ წარდგენილ არ იქნა გამოსაღების გადახდის ქვითარი.

5. სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ორგანოები ტექნიკური დათვალიერების წინ:

ა) ადგენენ სახალხო მეურნეობისა და ინდივიდუალური მფლობელების სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერების კალენდარულ გეგმას, რომელშიც აღნიშნავენ დათვალიერების თარიღსა და ადგილს;

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ერთი საავტომობილო მეურნეობის სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერება წარმოებს ხანგამოუშვებლად, როგორც წესი არა უმეტეს 10 კალენდარული დღის ვადაში.

ბ) ქმნიან სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერების კომისიას სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის მუშაკთა, სამხედრო კომისარიატების წარმომადგენელთა, შტატგარეშე და საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა, ავტომობილების ტექნიკური მდგომარეობისადმი საზოგადოებრივი კონტროლის კომისიების წევრთა და საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენელთა (ავტოტრანსპორტის სპეციალობის მქონე ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მექანიკოსების) შემადგენლობით სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერების მოსაწყობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვალიერების მოწყობის კალენდარულ გეგმასა და კომისიის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებენ რაიაღმასკომები, საქალაქო აღმასკომები;

ბ) აუწყებენ კომისიათა წევრების ინსტრუქტაჟს ტექნიკური დათვალიერების ორგანიზაციისა და მოწყობის წესის შესახებ;

დ) აცნობებენ საავტომობილო მეურნეობებსა და ინდივიდუალურ მფლობელებს მათი კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერების თარიღსა და ადგილს არა უგვიანეს 15 დღისა დათვალიერებამდე;

ე) ადარებენ საავტომობილო მეურნეობათა სატრანსპორტო საშუალებების არსებობის ცნობებს თავიანთ სააღრიცხვო მონაცემებთან.

სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერების წესი

6. ტექნიკური დათვალიერება უწესდება ავტომობილებს, საავტომობილო საწევრებს, მისაბმელებს, ნახევარმისაბმელებსა და მოტოციკლებს, რომლებიც მუდმივად ან დროებით არიან აღრიცხული სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციაში ან უნდა აღირიცხონ.

7. დათვალიერება წარმოებს უშუალოდ საავტომობილო მეურნეობებში ან სპეციალურ შესაკრებ პუნქტებში, რომლებსაც აწყობს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია ადგილებში, რომლებიც როგორც წესი, საავტომობილო მეურნეობებთან დაშორებული არის არა უმეტეს 25 კილომეტრით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: აკრძალულია ინდივიდუალური მფლობელის სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერება მფლობელის საცხოვრებელ ადგილზე გასვლით.

8. არ შეიძლება გეგმით გათვალისწინებული დათვალიერების დღის გადატანა დათვალიერებისათვის სატრანსპორტო საშუალებათა მოუმზადებლობის გამო.

9. დათვალიერებას აწარმოებენ სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერების კომისიის წევრები საავტომობილო მეურნეობის წარმომადგენლის ან ინდივიდუალური მფლობელის თანდასწრებით.

10. ინდივიდუალური მფლობელები მათი კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებისას წარადგენენ ტექნიკურ პასპორტს, ტექნიკური პასპორტის ტალონს, მძღოლის მოწმობას. ქვითარს დათვალიერების გამოსაღების გადახდის შესახებ და ქვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარს, რომ გადახდილია მსუბუქი ავტომობილებისა და მოტოციკლების ინდივიდუალურ მფლობელთა დაწესებული წლიური გამოსაღების მთელი თანხა.

თუ ინდივიდუალურ მფლობელს არ შეუძლია დათვალიერებისათვის წარადგინოს მისი კუთვნილი ავტომობილი (მოტოციკლი), იგი ვალდებულია პირადად ან ნდობით აღჭურვილი პირის საშუალებით დანიშნულ დღეს წარუდგინოს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციას იმ მიზეზების წერილობითი ახსნა-განმარტება, რომელთა გამო ვერ წარადგინა დასათვალიერებლად ავტომობილი (მოტოციკლი), და ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები გარდა დათვალიერების გამოსაღების გადახდის ქვითრისა.

11. დათვალიერების დროს ერთმანეთს უნდა შეუდარონ საავტომობილო მეურნეობათა ცნობები სატრანსპორტო საშუალებათა არსებობის შესახებ მათს ფაქტიურ არსებობას. იმ ავტომობილებზე, რომლებიც დათვალიერების დღეს საავტომობილო მეურნეობის გარეთ არიან, უნდა შემოწმდეს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ, თუ სად არის ავტომობილები (ბრძანებანი მძღოლის მივლინების შესახებ, სარემონტო საწარმოთა მიღება-ჩაბარების აქტები და სხვ.). უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად შეესაბამება სანომრო ნიშნები, ძარების, ჩარჩოებისა და ძრავების საქარხნო ნომრები იმ ნომრებს, რომლებიც ჩაწერილია ტექნიკურ პასპორტებში, აგრეთვე სწორად არის თუ არა შევსებული მონაცემები სატრანსპორტო საშუალების გარბენისა და სანომრო აგრეგატების შეცვლის შესახებ.

ნომრების სხვაობის აღმოჩენისას უნდა გამოირკვეს შეუსაბამობის მიზეზები, ხოლო შემთხვევებში, როცა საჭიროა განსაკუთრებული გამოძიება, ეცნობება მილიციის შესაბამის ორგანოებს.

12. სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მდგომარეობა განისაზღვრება ყველა მისი აგრეგატის, მექანიზმებისა და ხელსაწყოების მუშაობის შემოწმებით სვლის დროს, აგრეთვე გარეგანი დათვალიერებით (დაუშლელად), ამასთან გამოიყენება სათვალიერებელი ორმოები, ამწე მოწყობილობანი და საკონტროლო-საზომი ხელსაწყოები და ინსტრუმენტები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ტექნიკური მოთხოვნები სატრანსპორტო საშუალებებისადმი, მათი აგრეგატების, მექანიზმებისა და ხელსაწყოებისადმი აღნიშნულია № 2 დანართში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. კონსერვაციაში მყოფი ავტომობილების დათვალიერებისას მოწმდება მათი დაკომპლექტება. ამ ავტომობილების ტექნიკური მდგომარეობა ირკვევა საავტომობილო მეურნეობის აქტით, რომელიც შედგა ავტომობილების კონსერვაციის დროს. თუ არ არის აქტი ან არის სხვა მიზეზები, რომლებიც იწვევს ეჭვს, რომ ავტომობილები წესივრულია, აუცილებლად უნდა შემოწმდეს მუშაობის დროს ძრავა და ტრანსმისია სადგარიდან ავტომობილების მოუხსნელად.

14. სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის შეფასება წარმოებს ძირითადი აგრეგატების, მექანიზმებისა და ხელსაწყოების იმ მდგომარეობის მიხედვით, რაც გამოირკვა დათვალიერების მომენტში. კატეგორიულად აკრძალულია განმეორებითი დათვალიერებანი ავტოპარკის ტექნიკური მდგომარეობის მაჩვენებელთა გაუმჯობესების მიზნით.

15. ტექნიკური დათვალიერების შედეგები ფორმდება აქტებით დაწესებული ფორმების შესაბამისად (დანართი № 3 ჯგუფისათვის და დანართი № 4 ცალკეული სატრანსპორტო საშუალებებისათვის) და აღინიშნება ტექნიკურ პასპორტებში, ტექნიკური პასპორტების ტალონებსა და სარეგისტრაციო ბარათებში სახელმწიფო საავტომობილო ავტოინსპექციის მიერ.

აქტები საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სატრანსპორტო საშუალებათა დათვალიერების შედეგების შესახებ უნდა შედგეს 2 ცალად, რომლებსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი, და აქტის ასლი ეძლევა საავტომობილო მეურნეობის წარმომადგენელს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ინდივიდუალურ მფლობელთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერების შედეგები ფორმდება აქტით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დათვალიერების დროს აღმოჩნდა ტექნიკური უწესივრობანი, რომელთა გამო აკრძალულია სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაცია, ან როცა ავტომობილები (მოტოციკლები) აღრიცხულია დროებით.

16. დროებით აღრიცხული ავტომობილებისა და მოტოციკლების ტექნიკური დათვალიერების აქტები ეგზავნება სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციას ამ სატრანსპორტო საშუალებათა მუდმივი აღრიცხვის ადგილას.

17. იმ შემთხვევებში, როცა ტექნიკური დათვალიერების დროს გამოირკვა, რომ დაშლილია სატრანსპორტო საშუალებანი, მათი მდგომარეობა უნდა აისახოს ნებისმიერი ფორმის აქტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. დათვალიერების მომენტში გამორკვეული ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით სატრანსპორტო საშუალებანი იყოფა:

ა) წესივრულ საშუალებებად,

ბ) გასარემონტებელ საშუალებებად.

შენიშვნა: ცნობები კაპიტალურ რემონტში ან მის მოლოდინში მყოფ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობის შესახებ უნდა შედგეს საავტომობილო მეურნეობათა მონაცემების საფუძველზე. იმ ტექნიკურ უწესივრობათა სია, რომლებიც საფრთხეს უქმნის მოძრაობის უსაფრთხობას, დადგენილია სსრ კავშირის ქალაქების, დასახლებული პუნქტების ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესებით.

19. რაიალმასკომების, საქალაქო აღმასკომების მილიციის განყოფილებათა სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციები სარეგისტრაციო ბარათებისა და სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერების (20 მაისის მდგომარეობით) აქტების საფუძველზე ადგენენ ცნობებს ტრანსპორტის არსებობისა და ტექნიკური მდგომარეობის შესახებ იმ ფორმებით, რომლებსაც ამუშავებს რუსეთის სფსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

20. სატრანსპორტო საშუალებათა არსებობისა და ტექნიკური მდგომარეობის ცნობებს მოკლე მოხსენებით ბარათთან წარადგენენ:

ა) რაიალმასკომების, საქალაქო აღმასკომების მილიციის განყოფილებანი, სამმართველოები — სამხარეო აღმასკომების, საოლქო აღმასკომების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოებში, ავტონომიური ან მოკავშირე რესპუბლიკების (რომლებსაც არ აქვთ საოლქო დაყოფა) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროებსა და რაიონულ, საქალაქო სამხედრო კომისარიატებში — 5 ივნისისათვის;

ბ) სამხარეო აღმასკომების, საოლქო აღმასკომების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოები, ავტონომიური რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროები — მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროებსა და ქალაქების, ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სამხედრო კომისარიატებში — 15 ივნისისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროები ამ ცნობებსა და განმარტებით ბარათებს ადგენენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებში, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებში, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებსა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში — არა უგვიანეს 15 აგვისტოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДАНАРТИ № 1
ავტომობილებისა და მოტოციკლების
ტექნიკური დათვალიერების წესებისა

ცნობები საავტომობილო მეურნეობის შესახებ

საერთო ცნობები

საავტომობილო მეურნეობის დასახელება, მისი მისამართი და უწყებრივი კუთვნილება _____

საერთო ცნობები	სატრანსპორტო საშუალებანი				
	ავტომობილები	საავტომობილო საწევრები	მისაბმელები	ნახევარმისაბმელები	მოტოციკლები
ბალანსზეა					
კაპიტალურ რემონტში ან მის მოლოდინშია					
დროებით გავიდა სხვა მიზეზების გამო					
წარდგენილია ტექნიკური დათვალიერებისათვის .					

ავტომოტოტრანსპორტი ტიპებისა და მარკების მიხედვით

№№	მანქანის ტიპი და მარკა	გამოშვების წელი	სანომრო ნიშანი	ნომრები				გავლილია კილომეტრი ექსპლუატაციის დაწყებიდან (ათასობით)	მანქანის ადგილსამყოფელი	შენიშვნა
				ძარის	შასის	ძრავის	ტექნიკური პასპორტისა			

მეურნეობის ხელმძღვანელი _____
(თანამდებობა, გვარი)

ბუღალტერი (ან პირი, რომელიც განაგებს აღრიცხვას) _____
(თანამდებობა,
_____
გვარი)

19 წლის „_____“ _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДАНАРТИ № 2
ავტომობილებისა და მოტოციკლების
ტექნიკური დათვალიერების წესებისა

ტექნიკური მოთხოვნები სატრანსპორტო საშუალებებისადმი, მათი აგრეგატების, მექანიზმებისა და ხელსაწყოებისადმი

სატრანსპორტო საშუალებათა უწესივრობანი ირკვევა სატრანსპორტო საშუალებათა ყველა ქვემოჩამოთვლილი აგრეგატის მექანიზმისა და ხელსაწყოს ტექნიკური დათვალიერების შედეგად.

წესივრულ საშუალებად ითვლება მთლიანად დაკომპლექტებული სატრანსპორტო საშუალება, რომლის ტექნიკური მდგომარეობა უზრუნველყოფს მოძრაობის უსაფრთხოებასა და ექსპლუატაციის საიმედოობას.

თუნდაც ერთ-ერთი აგრეგატის უწესივრობის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალება ითვლება უწესივრო საშუალებად — მოითხოვს რემონტს.

ძრავა

წესივრულად ითვლება ძრავა, რომელიც მუშაობს საიმედოდ და შეუფერხებლივ ყველა საექსპლუატაციო რეჟიმის დროს, ავითარებს სატრანსპორტო საშუალების ნორმალური წევის თვისებათა უზრუნველყოფისათვის საკმარის სიმძლავრეს და დაწესებული ნორმების ფარგლებში ხარჯავს სათბობსა და ზეთს.

სატრანსპორტო საშუალება უწესივროა, როცა არის ძრავის თუნდაც ერთ-ერთი შემდეგი უწესივრობა:

1. ისმის კაკუნი მუხლა ლილვის საკისრებში, დგუშების მკვეთრი კაკუნი ცილინდრებში და გაზის განაწილების დეტალების მკვეთრი კაკუნი (გახურებული ძრავის მუშაობის დროს).

2. 1 კილოგრამ/კვადრატულ სანტიმეტრზე ნაკლებია ზეთის წნევა მუხლა ლილვის საშუალო ბრუნებაზე მომუშავე სავსებით გახურებული ძრავის შეზეთვის სისტემაში.

3. ძრავის ამუშავება ჰაერის დადებითი ტემპერატურის პირობებში გართულებულია და ძრავა შეფერხებით მუშაობს უქმი სვლის დროს.

4. ძრავა მუშაობს შეფერხებით და ზედმეტად ხურდება.

5. სათბობი მოედინება კვების სისტემის ნაერთებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. წყალი მოედინება წყლის ტუმბოს ჩობალებსა და გაგრილების სისტემის მილსადენების სხვა ნაერთებში, აგრეთვე რადიატორიდან.

7. უწესივროა მაყუჩი ან შემჩნეულია გადიდებული კვამლიანობა.

ძალური გადაცემა

სატრანსპორტო საშუალების ძალური გადაცემა წესივრულია, თუ უზრუნველყოფს იმას, რომ გადიდებული ხმაურის, კაკუნისა და გაკვრის გარეშე ძრავა მდორედ გადასცემს ძალვას წამყვან თვლებს ტექნიკური დახასიათებით ამა თუ იმ სატრანსპორტო საშუალებისათვის შესაძლო ყოველი დატვირთვისა და მოძრაობის სიჩქარის პირობებში.

სატრანსპორტო საშუალება უწესივროა, როცა არის ძალური გადაცემის თუნდაც ერთ-ერთი შემდეგი უწესივრობა:

1. ბუქსაობს ან სრულიად ითიშება გადაბმულობა.

2. გადაბმულობის ჩართვისას არის მკვეთრი გაკვრები და კაკუნი.

3. გადაბმულობის სატერფულის თავისუფალი სვლის სიდიდე არ შეესაბამება დამამზადებელი ქარხნის ინსტრუქციის მოთხოვნებს.

4. გაისმის კაკუნი გადაცემათა კოლოფში ყოველი სიჩქარით ავტომობილის მოძრაობისას ან გადაცემათა გადართვის ბერკეტის ნეიტრალურ მდგომარეობაში, როცა ძრავა მუშაობს.

5. ხდება გადაცემის თვითნებური გამორთვა ან გაძნელებული ჩართვა.

6. მნიშვნელოვნად მოედინება საზეთი ჩობალებში, მართვის სიბრტყესა და გადაცემათა კოლოფის სამაგრებში.

7. იგრძნობა კარდანის ლილვის შესამჩნევი ვიბრაცია და გაკვრები (როცა ჩართულია გადაცემები ან მოძრაობა ინერციით წარმოებს).

8. კარდანის ლილვის მილის ზედაპირზე არის შენატლექები, ბზარები და ბზარები კარდანული გადაცემის სხვა დეტალებზე.

9. ისმის კაკუნი ან გადიდებული ხმაური უკანა ხიდში ყოველი სიჩქარით მოძრაობის დროს პირდაპირ და მოსახვევებზე, აგრეთვე მოძრაობის რეჟიმის შეცვლის ან ადგილიდან დაძვრის დროს.

10. მნიშვნელოვნად მოედინება საზეთი უკანა ხიდის კარტერის ჩობალებიდან და სხვა შემკვრივებებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭესამართი

წესივრულია საჭესამართი, რომელიც უზრუნველყოფს წინა თვლების მსუბუქ და საიმედო მართვას ყველა სიჩქარის დროს, რომელსაც სატრანსპორტო საშუალება ავითარებს გზის ყოველ პირობებში.

უწესივროა სატრანსპორტო საშუალება, როცა არის საჭესამართის თუნდაც ერთ-ერთი შემდეგი უწესივრობა:

1. საჭესამართის ლუფტი, რომელიც იზომება საჭის თვალზე, აღემატება 25 გრადუსს (გარდა 1946 წლამდე გამოშვებული ავტომობილებისა), რომელთათვის ლუფტი არ უნდა აღემატებოდეს 36 გრადუსს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: როცა არის საჭის გამაძლიერებელი, შემოწმება წარმოებს მოქმედი გამაძლიერებლის მუშაობის დროს.

2. დაზიანებული ან შესუსტებულია საჭის მექანიზმის კარტერისა და სვეტის სამაგრები.

3. გაძნელებულია საჭის თვლის ბრუნვა, ღუნები და შენატყლეჟებია საჭის სვეტზე ან არის სხვა დაზიანებანი.

4. შესუსტდა სამაგრი, არ არის ჭილიბყურა ან შესამჩნევად გადიდებულია საჭის წევათა სახსროვანი ნაერთების ფოლხვა.

5. საჭის სიგრძივ და განივ წევებს აქვს ღუნი, ბზარები, დაზიანებულია საცობებისა და ბუნიკების კუთხვილები.

მუხრუჭები

წესივრულია მუხრუჭები, რომლებიც უზრუნველყოფენ სატრანსპორტო საშუალების (ავტომატარებლის) შეუფერხებელ გაჩერებას, ყველა თვლის დამუხრუჭების დაწყების ერთდროისობას და ნორმების შესაბამის დამუხრუჭების ეფექტიანობას.

სატრანსპორტო საშუალება უწესივროა, როცა არის მუხრუჭის თუნდაც ერთ-ერთი შემდეგი უწესივრობა:

ფეხისა:

1. მუხრუჭის სატერფელზე ფეხის ერთჯერადი დაჭერით არ ხდება სრული დამუხრუჭება.

2. მუხრუჭის სატერფულის თავისუფალი სვლა არ შეესაბამება დამამზადებელი ქარხნის ინსტრუქციის მოთხოვნებს.

3. მოედინება სითხე ჰიდრავლიკური ამძრავიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დარღვეულია პნევმატური ამძრავის ჰერმეტულობა (ბალონის დინება შეინიშნება სმენით ან წნევის დაცემა სისტემაში აღემატება 1 კილოგრამ/კვადრატულ სანტიმეტრს საათში).

5. არ მუშაობს ან უწესივროა პნევმატური ამძრავის მანომეტრი.

6. ჰაერის წნევა, რომელსაც კომპრესორი ქმნის პნევმატური ამძრავის სისტემაში, ნაკლებია იმაზე, რასაც დამამზადებელი ქარხნის ინსტრუქცია მოითხოვს.

7. დამუხრუჭების დროს სატრანსპორტო საშუალება ვერ იცავს სწორხაზოვან მოძრაობას ან ხდება თვლების ჩასოლვა.

8. არ არის ან ჩაურთველია ნახევარმისაბმელის თუ ორღერძიანი მისაბმელის, აგრეთვე 4 და მეტი ტონა ტვირთამწეობის სახსნელი მისაბმელის სამუხრუჭე მოწყობილობა.

9. დამუხრუჭების ეფექტიანობა არ არის საკმარისი და მშრალ ჰორიზონტალურ გზაზე უტვირთო (მძღოლით) სატრანსპორტო საშუალების დამუხრუჭებისას არ სრულდება შემდეგი ნორმები.

	სამუხრუჭო გზა მეტრობით (როცა სიჩქარე კილომეტრია საათში) არა უმეტესი	მაქსიმალური შენელება (მ. კვ. წამი) არა ნაკლები
მსუბუქი ავტომობილები და მათ ბაზაზე დაკონსტრუირებული სხვა მანქანები .	7,2	5,8
4,5 ტონამდე ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილები და 7,5 მეტრამდე სიგრძის ავტობუსები	9,5	5,0
4,5 ტონაზე მეტი ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილები და 7,5 მეტრზე მეტი სიგრძის ავტობუსები	11,0	4,2
უეტლო მოტოციკლები*)	7,5	5,5
ეტლიანი მოტოციკლები*)	8,2	5,0

ხელისა:

1. ხელის მუხრუჭის ბერკეტს (სახელურს) ვერ აჩერებს ჩამკეტი მოწყობილობა.

2. სავსებით დატვირთულ ავტომობილს ვერ აჩერებს ხელის მუხრუჭი 16 გრადუს ქანობზე (ავტომატარებელს — 8 გრადუს ქანობზე) ან ცარიელი ავტომობილის დამუხრუჭებისას, რომელიც

*) ფეხისა და ხელის მუხრუჭების ერთდროული მოქმედების დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საათში 15 კილომეტრი სიჩქარით მოძრაობს, სამუხრუჭო გზა აღემატება 6 მეტრს, ხოლო შენელება შეადგენს 2 მეტრ/კვადრატულ წამზე ნაკლებს.

წინა ღერძი

წინა ღერძი წესივრულია, თუ უზრუნველყოფს წინა თვლების დაყენებას ტექნიკური პირობების შესაბამისად ავტომობილებსა და მისაბმელებზე და საჭის ამძრავისა და სავალი ნაწილის დამაგრების საიმედოობას.

სატრანსპორტო საშუალება უწესივროა, როცა არის წინა ღერძის თუნდაც ერთ-ერთი შემდეგი უწესივრობა:

1. თვლების დაყენების კუთხეები არ შეესაბამება დამამზადებელი ქარხნის ინსტრუქციის მოთხოვნას.

2. საბურთა გვერდულების შუაგულის ქვედა ნაწილში მიზომილი წინა თვლების ლუფტი აღემატება 1,5 მილიმეტრს მსუბუქ და 2,5 მილიმეტრ სატვირთო ავტომობილებში.

3. მოღუნულობა და ბზარები აქვს წინა ხიდის კოჭს ან დამოუკიდებელი საკიდრის დეტალებს.

4. გაძნელებულია თვლების ბრუნვა (სწორად არ არის რეგულირებული საკისრები).

ჩარჩო და საკიდარი

ჩარჩო წესივრულია, თუ უზრუნველყოფს სატრანსპორტო საშუალების ყველა აგრეგატისა და კვანძის ურთიერთდაყენების საიმედოობასა და სისწორეს.

საკიდარი წესივრულია, თუ შთანთქამს და ანელებს ბიძგებს, რომლებსაც აღიქვამს სატრანსპორტო საშუალების შეურესორებელი ნაწილები უსწორმასწორ გზაზე მოძრაობის დროს, და უზრუნველყოფს ჩარჩოზე წინა და უკანა ხიდების მიმაგრების საიმედოობას.

სატრანსპორტო საშუალება უწესივროა, როცა არის ჩარჩოსა და საკიდრის თუნდაც ერთ-ერთი შემდეგი უწესივრობა:

1. ჩარჩოს ლონჟერონებში, განივებში ან ბრჯენებში არის ბზარები.

2. არ არის ან შესუსტებულია მოქლონები ჩარჩოს დეტალების ნაერთებში.

3. გატეხილია რესორების ფურცლები ან საკიდრის დეტალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. გატეხილია რესორების ცენტრული ჭანჭიკები ან გაცვეთილია მათი კუთხვილები.

5. უწესივროა ამორტიზატორები ან მოედინება სითხე ამორტიზატორებიდან.

საწევ-გადასაბმელი მოწყობილობა

საწევ-გადასაბმელი მოწყობილობა წესივრულია, თუ უზრუნველყოფს გადაბმის საიმედოობას (გამორიცხავს ავტომატარებლის თვითმოხსნას), ბიძგებისა და დარტყმების შთანთქმას, რომლებიც წარმოიქმნება მოძრაობის დროს და მისაბმელის (ნახევარმისაბმელის) მოძრაობას ავტომობილის უკან ბიძგებისა და მიმოქანების გარეშე.

სატრანსპორტო საშუალება უწესივროა, როცა არის საწევ-გადასაბმელი მოწყობილობის (საწევრისა და ნახევარმისაბმელის საყრდენ-გადასაბმელი მოწყობილობის) თუნდაც ერთ-ერთი შემდეგი უწესივრობა:

1. მისაბმელის გადასაბმელ ყულფს ან ავტომობილის საწევ კაკვს (საწევ ჩანგალს) აქვს ბზარი.

2. მოღუნულია საწევი კაკვის (საწევი ჩანგლის) უკანა ნაწილი. საწევი კაკვი (ჩანგალი) არ ბრუნავს თავისი სიგრძივი ღერძის გარშემო და ცუდად მოძრაობს ღერძის გასწვრივ.

3. გატეხილია საწევ-გადასაბმელი მოწყობილობის საამორტიზაციო ზამბარა.

4. შესუსტებულია ან არ არის მოქლონები (ჭანჭიკები) სატრანსპორტო საშუალების კოჭებსა და განივებზე საწევ-გადასაბმელი მოწყობილობის სამაგრში.

5. საწევი კაკვის (ჩანგლის) უკანა ნაწილის ქანჩი არ არის დაჭილიბყურებული, კუთხვილს აქვს დეფექტები.

6. მისაბმელის გადასაბმელი ყულფის საჩერებელ ჭანჭიკს არა აქვს წინაღქანში.

7. დაზიანებულია საწევი კაკვის საკეტის სასხლეტის ზამბარა.

8. საწევ კაკვში (ჩანგალში) ხდება გადასაბმელი ყულფის ჩამაგრება.

9. არ არის დამცველი (საავარიო) მოწყობილობა ტროსების ან ჯაჭვების სახით, რომლებითაც დაკავშირებულია მისაბმელი და საწევარი, თუ მისაბმელს არა აქვს ავტომატური გაჩერების მუხრუჭები გადასაბმელის გაწყვეტის დროს

10. მისაბმელის გადასაბმელი ყულფი ან საწევი კაკვი (ჩანგალი) არასტანდარტული (შინამრეწველური) დამზადებისაა.

11. ჩამკეტი მუშტი ცუდად ინაცვლებს, როცა იმ მდგომარეობაშია, რომელიც კეტავს ტაბიკს. არ არის საკეტის სასხლეტის ჭილიბურა. საკეტის სასხლეტი არ აჩერებს ჩამკეტ მუშტს იმ მდგომარეობაში, რომელიც უზრუნველყოფს ტაბიკის თავისუფალ გასავალს ტუჩების (სატაცების) გაშლილობის არეში.

12. თვითმოხსნის დამცველი არ ბრუნავს ხელით.

13. უნაგირი და ბალანსირი ძნელად ბრუნავენ ღერძებზე.

14. აწყობილი უნაგირის გვერდული ქანაობის შემზღუდველები ვერ უზრუნველყოფენ უნაგირის გვერდული ქანაობის რეგულირებას 7 ± 2 გრადუსამდე ორივე მხარეს.

თვლები და სალტეები

სალტეები და თვლები წესივრულია, თუ უზრუნველყოფენ სატრანსპორტო საშუალების (მისაბმელის) მოძრაობის საიმედოობას.

სატრანსპორტო საშუალება უწესივროა, როცა არის სალტეების ან თვლების თუნდაც ერთ-ერთი შემდეგი უწესივრობა:

1. არ არის ან სუსტად არის მოჭერილი ქანჩები, დისკოს სამაგრები ან თვლის საკისრები, დაჭილიბყურებული არ არის თვლის საკისრის ქანჩი.

2. თვლების დისკოებში სამაგრის სარჭების ნახვრეტი დამუშავებულია ისე, რომ არღვევს ქანჩებით მათი დამაგრების საიმედოობას, გაღუნულია თვლების დისკოები.

3. უწესივროდ ან არასწორად დაყენებულია თვლის დისკოს საკეტი რგოლი.

4. სალტე თავისი ზომით არ შეესაბამება ავტომობილის ტექნიკურ დახასიათებასა და თვლის დისკოს.

5. მთლიანად გაცვეთილია სალტის პროტექტორის გამოსახულება.

6. სალტეს აქვს გამჭოლი დაზიანება, განშრევება და სხვა მექანიკური დაზიანებანი.

7. ჰაერის წნევა სალტეში არ შეესაბამება დაწესებულ ნორმას.

8. მოძრაობისას სალტე ემსახურება საკიდრის ან ძარის დეტალებს.

9. პროტექტორის მიმართული გამოსახულებანი გადიდებული გამავლობის სალტის ბრუნვის მიმართულების მაჩვენებელი არ ემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვევა თვლის ბრუნვის მიმართულებას, როცა ავტომობილი ტრიალებს მიდის.

10. უკანა გაორებული სალტეების პროტექტორის გაცვეთის სხვაობა აღემატება 5 მილიმეტრს საბურავის გარეგან დიამეტრზე გაზომვისას.

11. მსუბუქი ავტომობილის ან ავტობუსის წინა თვლებზე დამონტაჟებულია აღდგენილი პროტექტორიანი სალტეები.

12. ერთ ღერძზე ერთად არის დამონტაჟებული სხვადასხვა სახეობის სალტეები, აგრეთვე სხვადასხვა ტიპის გამოსახულების პროტექტორიანი სალტეები (საგზაო, კომბინირებული, გადიდებული გამავლობისა).

ძარა, კაბინა, ფრთები და სატვირთო ბაქანი

მსუბუქი ავტომობილის, ავტობუსის ძარა და სატვირთო ავტომობილის კაბინა წესივრულია, თუ მათი ტექნიკური მდგომარეობა უზრუნველყოფს მგზავრთა მგზავრობის უსაფრთხობასა და მოხერხებულობას და საჭირო პირობებს ქმნის მძღოლის ნორმალური მუშაობისათვის.

სატვირთო პლატფორმა ან სატვირთო ძარა-ფურგონი წესივრულია, თუ მათი ტექნიკური მდგომარეობა უზრუნველყოფს გადასაზიდი ტვირთის შენახვას.

სატრანსპორტო საშუალებანი უწესივროა, როცა არის ძარის, კაბინის ფრთებისა და სატვირთო ბაქნის თუნდაც ერთ-ერთი შემდეგი უწესივრობა:

1. ფრთების, კაბინისა და ძარის დეტალებზე არის შენატლექები და გაგლეჯილია.

2. დაზიანებულია ლითონის ზედაპირთა შეფარდება.

3. ძარის (კაბინის) კარები გადაცერებულია, რაც აძნელებს მის გაღებას.

4. უწესივროა ძარის (კაბინის) კარის საკეტი.

5. ჩამსხვრეულია ძარის (კაბინის) მინები, ფანჯრები არ იღება ან არ იხურება.

6. შუბლის მინას ან უკანა ხედის სარკეს აქვს ბზარები ან სხვა დეფექტები, რომლებიც აძნელებენ გზის ხილვადობასა და ხედვის არეს.

7. არ არის ან არასწორად დადგმულია უკანა ხედის სარკეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. უწესივროა ან არ არის მინასაწმენდი, გამთბობი (ზამთარში) შუბლის მინის მინაშემოსარეცხი, თუ ისინი გათვალისწინებულია კონსტრუქციით.

9. დამტვრეულია კოჭები, ბორტისა და იატაკის ფიცრები.

10. დაზიანებულია ფურგონის პირნაკეთობა და სახურავი.

11. უწესივროა სატვირთო ბაქნის ბორტების საკეტები.

12. უწესივროა მგზავრთა კარის მართვის ამძრავი და შესაბამისი სიგნალიზაცია.

ელექტრომოწყობილობა და საკონტროლო ხელსაწყოები

ელექტრომოწყობილობა წესივრულია, თუ უზრუნველყოფს ძრავის საიმედო ამუშავებას სტარტერის საშუალებით, ძრავის ცილინდრებში ნარევის შეუფერხებელ და დროულ ანთებას, აგრეთვე განათების, სიგნალიზაციის ხელსაწყოებისა და ელექტრული საკონტროლო ხელსაწყოების შეუფერხებელ მუშაობას.

სატრანსპორტო საშუალება უწესივროა, როცა არის ელექტრომოწყობილობის ან საკონტროლო ხელსაწყოების თუნდაც ერთ-ერთი შემდეგი უწესივრობა.

1. დაზიანებულია ელექტროსადენების იზოლაცია.

2. აკუმულატორის ბატარეას აქვს დინება. მანჭვალების სუსტი ჩამოცმა, არასაიმედო სამაგრი, გენერატორი ვერ უზრუნველყოფს აკუმულატორის ბატარეის დამუხტვას.

3. უწესივროა ასანთი სანთელი, ასანთი კოჭა, მწყვეტარა-გამანაწილებელი, ბგერითი სიგნალი.

4. არ არის მოწყობილობა, რომელიც აღმოფხვრის რადიომიღების დაბრკოლებებს.

5. უწესივროა ან დაუპლომბავია (გარდა ინდივიდუალურ მფლობელთა კუთვნილი ავტომობილებისა) სპიდომეტრი.

6. უწესივროა საკონტროლო ხელსაწყოები: ამპერმეტრი, წყლის ტემპერატურის, სათბობის დონის, ზეთის წნევის მაჩვენებლები.

7. ფარები არ არის მოწესრიგებული ან ანათებენ გზას 100 მეტრზე ნაკლებ მანძილზე შორი სინათლის დროს და 30 მეტრზე ნაკლებ მანძილზე ახლო სინათლით.

8. უწესივროა ფარების შუქის გადამრთველი.

9. სანომრო ნიშნის განათება არ უზრუნველყოფს იმას, რომ მოჩანდეს იგი კარგი ამინდის პირობებში 20 მეტრზე მეტ მანძილზე.

10. არ მუშაობს სტოპ-სიგნალი ან მობრუნების მაჩვენებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. არ ანთია უკანა ან წინა გაბარიტის შუქი.

12. დაზიანებულია ან არ არის სატრანსპორტო საშუალების კონსტრუქციით გათვალისწინებული სინათლის ამრეკლი (კატაფოტი).

13. განათებული არ არის სამგზავრო ტრანსპორტის სამარშრუტო ნიშანი.

14. არ ანთია იმ მისაბმელის (ნახევარმისაბმელის) წინა გაბარიტის შუქი, რომელიც აღემატება საწევრის სიგანეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1. აკრძალულია პროჟექტორი ფარების, მაძიებელი ფარებისა და სხვა დამატებითი ფარების (გარდა ნისლსაწინააღმდეგო ფარების) გამოყენება წინიდან, გვერდიდან ან უკნიდან, თუ მათი დაყენება არ არის გათვალისწინებული დამამზადებელი ქარხნის მიერ.

2. აკრძალულია წითელი შუქისა და ამრეკლების გამოყენება, რომლებიც წინიდან მოჩანს; თეთრი შუქისა და თეთრი ან ყვითელი ამრეკლების გამოყენება, რომლებიც უკნიდან მოჩანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 3
ავტომობილებისა და მოტოციკლების
ტექნიკური დათვალიერების წესებისა

ავტომობილების, მოტოციკლების, მისაბმელებისა და ნახევარმისაბმელების 19 წლის „———“ ტექნიკური დათვალიერების

ა ქ ტ ი

———————————————————
(მილიციის ორგანოს დასახელება)

სახელმწიფო საავტომობილო ინსპექტორმა ———————————
(წოდება, გვარი)

——————— სამხედრო კომისარიატის წარმომადგენელთან ———————
(დასახელება) (გვარი)

და კომისიის წევრებთან ——————— ერთად საავტომობილო
(გვარები)

მეურნეობის წარმომადგენლის ——————— დასწრებით
(გვარი)

აწარმოა ———————————————————
(საავტომობილო მეურნეობის დასახელება და რომელ უწყებას ეკუთვნის)

ავტომობილების, მოტოციკლების, მისაბმელებისა და ნახევარმისაბმელების ტექნიკური დათვალიერება.

ამასთან გამოირკვა

№№	სატრანსპორტო საშუალების ტიპი და ნომერი	სანომრო ნიშანი	გარბენა ექსპლუატაციის დაწყებიდან (ათას კილომეტრ.)	ძირითადი უწესივრობანი, რომლებიც ახასიათებს აგრეგატების მექანიზმებისა და ხელსაწყოების მდგომარეობას	დასკვნა ტექნიკური მდგომარეობის შესახებ; წესივრული, საჭიროა რემონტი, კაპიტალური რემონტი ან მის მოლოდინში

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 3 დანართის გაგრძელება

——————— დათვალიერებული სატრანსპორტო საშუალებიდან ჰქონდა:

ა) ტექნიკური უწესივრობანი, რომლებითაც არ შეიძლება სატრანსპორტო საშუალებების, ——————— ავტომობილების, მოტოციკლების, მისაბმელებისა და ნახევარმისაბმელების ექსპლუატაცია;

ბ) ——————— ავტომობილების, მოტოციკლების, მისაბმელებისა და ნახევარმისაბმელების სალტეები, რომლებიც უნდა შეკეთდეს;

გ) ——————— ავტომობილების (მოტოციკლების) უწესივრო ან დაუპლომბავი სპიდომეტრები;

დ) ——————— ავტომობილების (მოტოციკლების) მოწყობილობა, რომელიც აღმოფხვრის რადიომიღების დაბრკოლებებს.

——————— წესივრული ავტომობილი, მოტოციკლი, მისაბმელი და ნახევარმისაბმელი მოცდენილი იყო სალტეების უქონლობის გამო.

ხელმოწერა:

სახელმწიფო საავტომობილო ინსპექტორი ———————

სამხედრო კომისარიატის წარმომადგენელი ———————

კომისიის სხვა წევრები ———————

———————

სახელმწიფო საავტომობილო ინსპექტორის რეკომენდაციები სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ———————

———————

———————

———————

———————

———————

———————

196 წლის „———“ ——————— სახელმწიფო საავტომობილო ინსპექტორი ———————

აქტის ასლი მიიღო: ———————

(თანამდებობა, გვარი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 4
ავტომობილებისა და მოტოციკლების
ტექნიკური დათვალიერების წესებისა

ავტომობილის, მოტოციკლის, მისაბმელისა და ნახევარმისაბმელის
196 წლის „———“ ტექნიკური დათვალიერების

ა ქ ტ ი

1. ვის ეკუთვნის ავტომობილი, მოტოციკლი, მისაბმელი, ნახევარმისაბმელი ———————————————————

(მფლობელის გვარი ან საავტომობილო მეურნეობის დასახელება და მისი უწყებრივი კუთვნილება)

2. მფლობელის ან საავტომობილო მეურნეობის მისამართი ——
ტელეფონი ———————————————————
3. გარაჟ-სადგომის მისამართი ———————————
4. მძღოლის გვარი, სახელი, მამის სახელი ———————
5. ავტომობილის, მოტოციკლის, მისაბმელის, ნახევარმისაბმელის ტიპი ———————————
6. მარკა ——————— 7. სანომრო ნიშანი ——————
8. ტექნიკური პასპორტის № ——————— 9. ძრავის № ——————
10. შასის (ჩარჩოს) № ——————— 11. გამოშვების წელი ——————
12. გარბენა ექსპლუატაციის დაწყებიდან ——————— კილომეტრი
13. აღმოჩენილი ტექნიკური უწესივრობანი ———————
———————————————————
———————————————————
14. სალტეებით უზრუნველყოფა და მათი მდგომარეობა ——————
15. დაბრკოლებადამცავი მოწყობილობებით უზრუნველყოფა —
———————————————————
16. სპიდომეტრის მდგომარეობა ———————
17. დასკვნა ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ———————

ხელმოწერა: სახელმწიფო საავტომობილო ინსპექტორი ———————

———————————————————

(მილიციის ორგანოს დასახელება, გვარი, წოდება)

კომისიის წევრები ———————————————

(გვარები)

სახელმწიფო საავტომობილო ინსპექტორის რეკომენდაციები ———

სახელმწიფო საავტომობილო ინსპექტორი ———————

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 6 ივლისის № 840
დადგენილებით

ᲡᲐᲒᲖᲐᲝ-ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲗᲐ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

1. ეს წესები შემუშავებულია შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 30 სექტემბრის № 1022 დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ“ და ერთიანია სსრ კავშირის მთელი ტერიტორიისათვის.

2. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა აღრიცხვას აწარმოებენ მილიციის ორგანოები, საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებსაც აქვთ სატრანსპორტო საშუალებანი, ტრაქტორები და თვითმავალი მანქანები, აგრეთვე საგზაო ორგანიზაციები.

3. საგზაო-სატრანსპორტო საშუალებათა აღრიცხვა ხორციელდება იმ მიზეზების შესწავლისა და აღმოფხვრის მიზნით, რომლებიც წარმოშობენ ამ შემთხვევებს.

4. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს განეკუთვნება შემთხვევები, რომლებიც წარმოიშვა სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის რეგისტრაციაში გასატარებელი ავტომობილების, მოტოციკლების, მოტოროლერების, მოტოეტლების, მოპედების, ტრამვაიების, ტროლეიბუსების, თვლიანი ტრაქტორებისა და საავტომობილო შასზე დაყენებული თვითმავალი მანქანების მოძრაობის პროცესში ქალაქის, დასახლებული პუნქტების ქუჩებში, ყველა გზაზე და რომლებმაც გამოიწვია ადამიანთა დაღუპვა ან სხეულის დაზიანება, სატრანსპორტო საშუალებათა, ნაგებობათა, ტვირთის გაფუჭება ან სხვა მატერიალური ზარალი.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს არ განეკუთვნება:

იმ ჭაპანტრანსპორტისა და მოტოსაშუალებათა შემთხვევები, რომლებიც არ უნდა გატარდეს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის რეგისტრაციაში, აგრეთვე ველოსიპედისტების, ქვეითად მოსიარულეების, მგზავრების შემთხვევები ამ პუნქტში აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებათა მონაწილეობის მიუღებლად ან თუ ეს სატრანსპორტო საშუალებანი არ მოძრაობდნენ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანძარი სატრანსპორტო საშუალებებზე, რომელიც არ არის დაკავშირებული მათს ერთმანეთთან დაჯახებასთან, გადაყირავებასთან ან დაბრკოლებაზე დაჯახებასთან;

ტრაქტორებისა და თვითმავალი მანქანების შემთხვევები საწარმოო პროცესების დროს (გზების მშენებლობა და რემონტი, დასატვირთ-გადმოსატვირთი სამუშაოები და სხვ.).

შემთხვევები ბორნებსა და ფონის გადასასვლელებზე;

შემთხვევები სამრეწველო საწარმოთა, საავტომობილო ბაზების, ტრამვაისა და ტროლეიბუსების დეპოების, საწყობების, ელევატორების სამშენებლო მოედნების, სატვირთო სადგურების, კარიერების, დასვენების პარკების, აეროდრომების, ჯარის ნაწილების ტერიტორიებზე, კალოებზე, საცხოვრებელი სახლების ეზოებში და სხვ.

5. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები დაიყოფა შემდეგ სახეობებად:

ა) სატრანსპორტო საშუალებათა დაჯახება;

ბ) სატრანსპორტო საშუალებათა გადაყირავება;

გ) სატრანსპორტო საშუალებათა დაჯახება დაბრკოლებებზე;

დ) სატრანსპორტო საშუალებათა დაჯახება ქვეითად მოსიარულეებზე;

ე) სატრანსპორტო საშუალებათა დაჯახება ველოსიპედისტებზე;

ვ) მგზავრთა დავარდნა;

ზ) სხვა შემთხვევები.

6. დაჯახებას განეკუთვნება შემთხვევები, რომლებიც წარმოიშვა სატრანსპორტო საშუალებათა ერთმანეთთან ან რკინიგზის მოძრავ შემადგენლობასთან დაჯახების შედეგად.

7. გადაყირავებას განეკუთვნება შემთხვევები, როცა სატრანსპორტო საშუალებამ დაკარგა მდგრადობა და გადაყირავდა არახელსაყრელი საგზაო პირობების, ტექნიკური უწესივრობის, ტვირთზიდვის წესების დარღვევის, აგრეთვე მართვის არასწორი ხერხების შედეგად. ამ სახეობათა შემთხვევებს არ განეკუთვნება გადაყირავება, რაც გამოიწვია სატრანსპორტო საშუალებათა ერთმანეთთან დაჯახებამ ან დაჯახებამ უძრავ საგნებზე.

8. დაბრკოლებებზე დაჯახებას განეკუთვნება შემთხვევები, როცა სატრანსპორტო საშუალება დაეჯახა უძრავ საგნებს, რომლებიც იყო გზის (ქუჩის) გასავლელ ნაწილზე ან გზისპირას (საშენი მასალები, მექანიზმები, ხიდების საბრჯენები, ღობეები, ანძები და სხვ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ქვეითად მოსიარულეებზე დაჯახებას განეკუთვნება შემთხვევები, რომლებიც წარმოიშვა იმის შედეგად, რომ სატრანსპორტო საშუალებები დაეჯახა ქუჩაში ან გზაზე მყოფ ადამიანებს, მათ შორის შემთხვევებიც, როცა თვით ადამიანები დაეჯახნენ მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას.

10. ველოსიპედისტებზე დაჯახებას განეკუთვნება შემთხვევები, რომლებიც გამოიწვია სატრანსპორტო საშუალებათა დაჯახებამ ველოსიპედით მოსიარულე ადამიანის, მათ შორის შემთხვევებიც, როცა ველოსიპედისტები თვითონ დაეჯახნენ მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას, ამ სახეობის შემთხვევას განეკუთვნება დაჯახება ადამიანებზე, რომლებიც მოძრაობენ მოტოსაშუალებებით, რომლებიც არ უნდა გატარდეს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის რეგისტრაციაში.

11. მგზავრთა დავარდნას მიეკუთვნება შემთხვევები, როცა მგზავრები (მტვირთავები) ჩამოვარდნენ სატრანსპორტო საშუალებიდან ან დაეცნენ მის ძარაში, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებაში შესვლის თუ სატრანსპორტო საშუალებიდან გამოსვლის დროს ადამიანთა გადაყვანის წესების ან ტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევის შედეგად. ამ სახეობის შემთხვევას არ განეკუთვნება დაცემა, რაც მოხდა სატრანსპორტო საშუალებათა ერთმანეთთან დაჯახების ან გადაყირავების დროს, აგრეთვე უძრავ საგნებზე მათი დაჯახების დროს.

12. სხვა შემთხვევებს განეკუთვნება რელსებიდან ტრამვაის გადმოსვლა, რასაც არ გამოუწვევია დაჯახება ან გადაყირავება, სატრანსპორტო საშუალებათა დაჯახება ჭაპანტრანსპორტზე და სხვა შემთხვევები, გარდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევებისა.

13. უნდა აღრიცხოს ყველა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, მიუხედავად ადამიანთა სხეულის დაზიანების სიმძიმისა და გამოწვეული მატერიალური ზარალის ოდენობისა.

14. სააღრიცხვო მონაცემების საფუძველზე უნდა შედგეს ანგარიშგება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა შესახებ, რომელიც მოხსენებით ბარათთან ერთად უნდა წარედგინოს შესაბამის ზემდგომ ორგანიზაციებს, სამინისტროებსა და უწყებებს. ანგარიშგების შედგენისას დაღუპულთა რიცხვში შეტანილ უნდა იქნენ პირები, რომლებიც გარდაიცვალნენ შემთხვევის ადგილას ან მიღებული ჭრილობებისაგან შემთხვევის შემდეგ გავლილ 7 დღის განმავლობაში. ანგარიშგებას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა თავიდან აცილების განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ ადგენენ ეს სამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტროები, უწყებები და ორგანიზაციები სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ან მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით დაქვემდებარების მიხედვით.

15. მილიციის ორგანოების, სატრანსპორტო და საგზაო საწარმოთა და ორგანიზაციათა ანგარიშგებაში შეტანილ უნდა იქნეს ყველა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა:

ა) რომელთა შედეგად ტრავმებს, თანახმად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის ან სამედიცინო დაწესებულების ცნობისა, არ გამოუწვევიათ ადამიანთა ჯანმრთელობის თუნდაც ხანმოკლე მოშლილობა ან შრომის უნარიანობის უმნიშვნელო მყარი დაკარგვა;

შენიშვნა: როცა არ არის დასკვნა, თუ რამდენად სერიოზულად არის დაშავებული სხეული შემთხვევის შედეგად, ანგარიშგებაში არ უნდა შეიტანოთ შემთხვევები, როცა დაშავებულნი გადიოდნენ სტაციონარულ ან ამბულატორულ მკურნალობაზე 7 დღეზე ნაკლებ ხანს ან გამოკვლევაზე მისი ხანგრძლიობის მიუხედავად.

ბ) რომელთა შედეგად მატერიალური ზარალი შეადგენს 200 მანეთზე ნაკლებს (ზარალი სატრანსპორტო საშუალებათა მოცდენის შედეგად და რემონტთან დაკავშირებული ზედნადები ხარჯები ზარალის თანხაში არ შედის);

გ) რომლებიც მოჰყვა დაშავებულის ცდებს მოეკლა თავი;

დ) იმ პირთა მიზეზით, რომლებიც თავს აღწევდნენ დევნას, აგრეთვე იმ შემთხვევათა მიზეზით, რომლებიც წარმოიშვა მძღოლებისა და სხვა პირების წინასწარგანზრახული მოქმედების შედეგად.

მილიციის ორგანოების ანგარიშგებაში არ შედის შემთხვევები, რომლებიც მოხდა არასაერთო სარგებლობის გზებზე (კალოების, საველე ბანაკების, მეცხოველეობის ფერმების, საძოვრების, ტყის უბნების, გეოლოგსაზვერვი პარტიების, კარიერების მისასვლელებსა და სხვა გზებზე, რომლებიც საწარმოებს უკავშირებენ გზების საერთო ქსელს და მომსახურებას უწევენ უპირატესად მათ საჭიროებებს).

16. იმ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შესახებ, რომლებსაც მოჰყვა მძიმე შედეგები, ზემდგომ ორგანიზაციებს, სამინისტროებსა და უწყებებს უნდა წარედგინოთ რიგგარეშე მოხსენებანი. ასეთი შემთხვევების ნუსხასა და მათ შესახებ მოხსენებათა წარდგენის წესს ადგენენ შესაბამისი სამინისტროები და უწყებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმო, ორგანიზაცია და დაწესებულება და სატრანსპორტო საშუალებათა ცალკეული მფლობელები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აცნობონ მილიციის ადგილობრივ ორგანოებს მათი სატრანსპორტო საშუალებების ყველა საგზაო შემთხვევა. სამედიცინო დაწესებულებებმა, აფთიაქებმა და ცალკეულმა ექიმებმა, აგრეთვე დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ მილიციის ორგანოებს ყველა იმ პირის ამბავი, რომლებმაც მიმართეს მათ დახმარებისათვის დაშავების ან დაზიანების გამო, რომლებიც მათ მოძრავმა სატრანსპორტო საშუალებებმა მიაყენეს, ხოლო საცხედრებისა და ქსენონების ადმინისტრაციამ — საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს იმ დაღუპულთა ამბავი, რომლებიც მათთან მიასვენეს.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა აღრიცხვა მილიციის ორგანოებში

18. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა აღრიცხვას მილიციის ორგანოები აწარმოებენ ტერიტორიული ნიშნით.

19. მილიციის ორგანოში შემოსული ყველა ზეპირი, წერილობითი ცნობები, განცხადებანი საგზაო-სატრანსპორტო საშუალებების ან შემთხვევის დროს დაზარალებულ პირთა შესახებ უნდა ჩაიწეროს შემთხვევათა აღრიცხვის წიგნში. საჭიროებისამებრ მილიციის ორგანოები შემთხვევებს ატყობინებენ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ადმინისტრაციას.

20. ყოველი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამო დგება სააღრიცხვო ბარათი (დანართი № 1), რომელსაც ავსებენ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაზე არსებული პირველადი დოკუმენტების საფუძველზე (შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, შემთხვევის ადგილის სქემა, სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების ოქმი და სხვ.), რომელთა ფორმებს აწესებს მოკავშირე რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრო.

შემთხვევის გამოძიების ან შესაბამისი მასალების განხილვის შედეგებით სააღრიცხვო ბარათში შეტანილ უნდა იქნეს საჭირო დამატებანი და ცვლილებანი.

21. სააღრიცხვო ბარათი უნდა შედგეს ორ ცალად. ერთი ცალი ეგზავნება საქალაქო აღმასკომის მილიციის სამმართველოს ან საოლქო აღმასკომის, სამხარეო აღმასკომის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს ან ავტონომიური თუ საკავშირო რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკის (რომელსაც არა აქვს საოლქო დაყოფა), საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს, მეორე — რჩება მილიციის ორგანოში, რომლის ტერიტორიაზე მოხდა შემთხვევა.

მაშინ, როცა შემთხვევა მოხდა სხვა რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული სატრანსპორტო ორგანიზაციის მძღოლის მიზეზით, უნდა შედგეს ბარათის დამატებითი ეგზემპლარი, რომელიც ეგზავნება მილიციის ორგანოს სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ადგილას.

22. საქალაქო აღმასკომის მილიციის სამმართველოში, საოლქო და სამხარეო აღმასკომების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოში, ავტონომიური ან მოკავშირე რესპუბლიკის (რომელსაც არა აქვს საოლქო დაყოფა), საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროში საღრიცხვო ბარათების საფუძველზე შეიძლება შეიქმნას შემთხვევის ადგილის მიხედვით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების, ტრანსპორტის უწყებრივი კუთვნილების ბარათები და სხვ.

23. ცნობები საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისა და დაზარალებულ პირთა შესახებ სულ ცოტა ერთხელ მაინც თვეში უნდა შეედაროს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურების, საავადმყოფოებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებების მონაცემებს.

24. ანგარიში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისა და ავარიულობის მდგომარეობის შესახებ ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებში უნდა შედგეს პირველი კვარტალის, ნახევარი წლის, 9 თვისა და მთლიანად წლის მიხედვით (დანართები № 2 და 3).

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა აღრიცხვა საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში

25. საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში უნდა აღრიცხოს ყველა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, აგრეთვე სხვა შემთხვევები, რომლებიც მოხდა ამა თუ იმ საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის დროს.

26. შემთხვევათა აღრიცხვას აწარმოებენ მუშაკები, რომლებიც ინიშნებიან ბრძანებებით საწარმოებისადმი, ორგანიზაციების ან დაწესებულებებისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27. საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მოსული ცნობები შემთხვევების შესახებ უნდა გატარდეს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა აღრიცხვის ჟურნალში (დანართი № 4) და შეედაროს მილიციის ორგანოების მონაცემებს.

28. იმ შემთხვევების შესახებ, რომლებიც ანგარიშგებაში უნდა შევიდეს, არაუგვიანეს 7 დღისა შემთხვევის შემდეგ სამმართველოს (ტრესტს და სხვა) ეგზავნება პატაკი (დანართი № 5). პატაკების საფუძველზე სამმართველოები (ტრესტები და სხვ.) ადგენენ I კვარტალის, ნახევარი წლის, 9 თვისა და მთლიანად წლის ანგარიშებს (დანართი № 6), რომლებიც ეგზავნება ზემდგომ ორგანიზაციებს.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა აღრიცხვა საგზაო ორგანიზაციებში

29. საგზაო ორგანიზაციებში უნდა აღირიცხოს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, რომლებიც დაკავშირებულია გზის იმ უბნის არადამაკმაყოფილებელ პირობებთან, რომელსაც ეს ორგანიზაცია ემსახურება (სავალი ნაწილის, გზისპირების, ხელოვნური ნაგებობების მდგომარეობა, გზების მოწყობა და სხვ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. რკინიგზის გადასასვლელების არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს საგზაო ორგანიზაციები არ აღრიცხავენ.

30. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა აღრიცხვა წარმოებს საერთო სახელმწიფო, რესპუბლიკური და საოლქო მნიშვნელობის გზებზე და მას ახორციელებენ საგზაო-საექსპლუატაციო ან საგზაო უბნები.

31. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა აღრიცხვა წარმოებს სახაზო ჟურნალში (დანართი № 7), რომელიც უნდა შეივსოს როგორც იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც საგზაო ორგანიზაციაშია, ისე მილიციის ორგანოების მონაცემების მიხედვითაც. პერიოდულად, მაგრამ სულ ცოტა ერთხელ კვარტალში, საგზაო ორგანიზაციები მილიციის ორგანოების მონაცემებთან ადარებენ მონაცემებს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შესახებ, რომლებიც მათ აქვთ.

32. გზების არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობასთან დაკავშირებულ ყოველ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას საგზაო-საექს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლუატაციო ან საგზაო უბნები შემთხვევის შემდეგ 24 საათის განმავლობაში პატაკს უგზავნის ზემდგომ ორგანიზაციას (საავტომობილო გზის სამმართველოს, საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტის სამმართველოს) და შესაბამის მთავარ სამმართველოებს — გზატკეცილების მთავარ სამმართველოს, გზების მთავარ სამმართველოს, მოკავშირე რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს ან მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ შესაბამის სამმართველოს (დანართი № 8).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მილიციის ორგანოს, საქალაქო აღმასკომის მილიციის სამმართველოს, სამხარეო, საოლქო აღმასკომის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს, ავტონომიური, მოკავშირე რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს დასახელება)

დანართი № 2
საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა აღრიცხვის წესებისა

სტატისტიკური ანგარიშგება

საფოსტო-კვარტალური

უგზავნიან:

1) მილიციის საქალაქო, რაიონული ორგანოები საქალაქო აღმასკომის მილიციის სამმართველოს, საოლქო, სამხარეო აღმასკომების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოებს, ავტონომიური ან მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროებს კვარტალისას — 5 აპრილისათვის, ნახევარი წლისას — 5 ივლისისათვის, 9 თვისას — 5 ოქტომბრისათვის, წლისას — 5 იანვრისათვის;

2) საქალაქო აღმასკომის მილიციის სამმართველოები, საოლქო, სამხარეო აღმასკომების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოები, ავტონომიური რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროები მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროებს კვარტალისას — 15 აპრილისათვის, ნახევარი წლისას — 15 ივლისისათვის, 9 თვისას — 15 ოქტომბრისათვის, წლისას — 15 იანვრისათვის.

ა ნ გ ა რ ი შ ი

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შესახებ

(რაიონი, ქალაქი, ოლქი, მხარე, რესპუბლიკა)

196 წლის „——“ ——————

№№	მაჩვენებელთა დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა	
		სულ	აქედან სიკვდილის შემთხვევები
	I. შემთხვევათა სახეობანი		
1	სატრანსპორტო საშუალებათა დაჯახება		
2	სატრანსპორტო საშუალებათა გადაყირავება		
3	სატრანსპორტო საშუალებათა დაჯახება დაბრკოლებებზე . . .		

№ 2 დანართის გაგრძელება

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№	მაჩვენებელთა დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა	
		სულ	აქედან სიკვდილის შემთხვევები
4	სატრანსპორტო საშუალებათა დაჯახება ქვეითად მოსიარულეებზე		
5	სატრანსპორტო საშუალებათა დაჯახება ველოსიპედისტებზე . .		
6	მგზავრთა დავარდნა		
7	სხვა შემთხვევები		
	სულ . . .		
	II. შემთხვევის ადგილი		
1	რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ცენტრები		
2	სხვა ქალაქები და დასახლებული პუნქტები		
3	საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის გზები		
4	რესპუბლიკური მნიშვნელობის გზები		
5	საოლქო, რაიონული და სასოფლო გზები		
	შემთხვევათა საერთო რიცხვიდან შემთხვევები მოხდა რკინიგზის გადასასვლელებზე:		
	ა) დაცულ		
	ბ) დაუცველ		
	III. შემთხვევები სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების მიზეზით		
1	ავტომობილებისა		
	აქედან:		
	ა) ავტობუსებისა		
	ბ) სატვირთო ავტომობილებისა, რომლებსაც ხალხი გადაჰყავთ		
2	მოტოციკლების, მოტოროლერების, მოპედების და მოტოქროლებისა		
3	ტროლეიბუსებისა		
4	ტრამვაიებისა		
5	ტრაქტორებისა		
6	თვითმავალი მანქანებისა . . .		

№ 2 დანართის გაგრძელება

№№	მაჩვენებელთა დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა	
		სულ	აქედან სიკვდილის შემთხვევები
	IV. შემთხვევათა მიზეზები		
1	მძღოლების მიერ მოძრაობის წესების დარღვევა		
	აქედან:		
	ა) მოძრაობის სიჩქარის გადაჭარბება		
	ბ) გასწრების წესების დაუცველობა		
	გ) გადასვლა გზის მარცხენა მხარეზე		
	დ) გზაჯვარედინების გავლის წესების დაუცველობა .		
	ე) ფარების შუქით შემხვედრი ტრანსპორტის თვალის მოჭრა		
	ვ) რკინიგზის გადასასვლელების გავლის წესების დარღვევა		
	ზ) სატვირთო ავტომობილებით ხალხის გადაყვანის წესების დარღვევა . .		
2	ტექნიკურად უწესივრო ავტომობილების ექსპლუატაცია . . .		
	აქედან:		
	ა) მუხრუჭების		
	ბ) საჭესამართის		
	გ) გახათების ან სიგნალიზაციის ხელსაწყოების . .		
	დ) ავტომობილის სალტეების უწესივრობა . . .		
3	მძღოლთა გადაღლა		
4	ქვეითად მოსიარულეების მიერ მოძრაობის წესების დარღვევა, მათ შორის ნასვამი ქვეითად მოსიარულების მიერ		
5	მგზავრთა მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევა		
	მათ შორის ნასვამი მგზავრების მიერ		
6	ველოსიპედისტების მიერ მოძრაობის წესების დარღვევა . . .		

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2 დანართის გაგრძელება

№№	მაჩვენებელთა დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა	
		სულ	აქედან სიკვდილის შემთხვევები
7	მათ შორის ნასვამი ველოსიპედისტების მიერ გზების ცუდი მდგომარეობა .		
	აქედან:		
	ა) მოლიპული საფარი . .		
	ბ) საფარის დეფექტები .		
	გ) მრუდის მცირე რადიუსი		
	დ) გზისპირების ცუდი მდგომარეობა		
	ე) ტროტუარების უქონლობა		
	ვ) ბარიერებისა და ბოძკინტების უქონლობა . .		
	ზ) ცუდი ხილვადობა ნაგებობების, ნარგავებისა და სხვა დაბრკოლებათა გამო .		
	შემთხვევათა საერთო რიცხვიდან ჩადენილია ნასვამი მძღოლების მიერ		

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2 დანართის გაგრძელება

V. დაზარალებულთა რაოდენობა

№№	დაზარალებულთა კატეგორიები	პირთა რიცხვი	
		დაიღუპა	დაშავდა
1	სულ . . .		
	მათ შორის:		
	ა) ქვეითად მოსიარულეები		
	ბ) ველოსიპედისტები . .		
	გ) მგზავრები		
	დ) მძღოლები		
	დაზარალებულთა საერთო რიცხვიდან — 16 წლამდე ბავშვები		
	დაზარალებულ ქვეითად მოსიარულეებისა და ველოსიპედისტების რიცხვიდან — 7 წლიდან 16 წლამდე ბავშვები		

VI. მატერიალური ზარალი

№№		რაოდენობა
1	დაზიანებულია ავტომობილები .	
2	მატერიალური ზარალი (მანეთობით)	

მილიციის განყოფილების უფროსი _____

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსი _____

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი _____

(გვარი)

(წოდება)

196 წლის „——“ _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მილიციის ორგანოს, საქალაქო აღმასკომის მილიციის სამმართველოს, სამხარეო, საოლქო აღმასკომის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს, ავტონომიური, მოკავშირე რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს დასახელება)

ДАНАРТИ № 3
საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა აღრიცხვის წესებისა

სტატისტიკური ანგარიშგება

საფოსტო-კვარტალური

უგზავნიან:

1) მილიციის საქალაქო, რაიონული ორგანოები საქალაქო აღმასკომის მილიციის სამმართველოს, საოლქო, სამხარეო აღმასკომების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოებს, ავტონომიური ან მოკავშირე რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროებს კვარტალისას — 5 აპრილისათვის, ნახევარი წლისას — 5 ივლისისათვის, 9 თვისას — 5 ოქტომბრისათვის, წლისას — 5 იანვრისათვის.

2) საქალაქო აღმასკომის, საოლქო აღმასკომების, მილიციის სამმართველოები, ავტონომიური რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროები მოკავშირე რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს კვარტალისას — 15 აპრილისათვის, ნახევარი წლისას — 15 ივლისისათვის, 9 თვისას — 15 ოქტომბრისათვის, წლისას — 15 იანვრისათვის.

ა ნ გ ა რ ი შ ი

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შესახებ, რომლებიც მოხდა ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების საავტომობილო მეურნეობათა მძღოლების მიზეზით

(რაიონი, ქალაქი, ოლქი, მხარე, რესპუბლიკა)

196 წლის „——“ ——————

№№	სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა	დაიღუპა (კაცი)	დაშავდა (კაცი)	მატერიალური ზარალის თანხა (მანეთობით)	დაზიანდა ავტომობილი, ტრამვაი, ტროლეიბუსი
1	თავდაცვის სამინისტრო .	——	——	——	——	——
2	გზათა სამინისტრო . .	——	——	——	——	——

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№	სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა	დაიღუპა (კაცი)	დაშავდა კაცი	მატერიალურ-ი ზარალის თანხა (მანეთობით)	დაზიანდა ავტომობილი, ტრამვაი, ტროლეიბუსი
3	ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო					
4	სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკა“					
5	ცენტროსოიუზი . . .					
6	სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტი					
7	სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტი . . .					
8	მოკავშირე რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტრო . .					
	აქედან:					
	ა) საერთო სარგებლობის ავტობუსები .					
	ბ) მსუბუქი ტაქსები .					
9	მშენებლობის სამინისტრო					
10	ვაჭრობის სამინისტრო .					
11	სახალხო მეურნეობის საბჭოების საავტომობილო მეურნეობანი					
12	სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო					
	აქედან კოლმეურნეობები					
13	კომუნალური მეურნეობის სამინისტრო . . .					
	აქედან:					
	ა) ტრამვაიები . . .					
	ბ) ტროლეიბუსები . .					
14	გაქირავებული ავტომობილები					

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№	სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა	დაღუპა (კაცი)	დაშავდა (კაცი)	მატერიალური ზარალის თანხა (მანეთობით)	დაზიანდა ავტომობილი, ტრამვაი, ტროლეიბუსი
15	ავტომობილების ინდივიდუალური მფლობელები .					
16	სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროები და უწყებები					
17	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროები					

მილიციის განყოფილების უფროსი _____

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსი _____

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი _____

(წოდება)

196 წლის „——“ _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

თუ როგორ უნდა შედგეს ანგარიშგება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა შესახებ

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა შესახებ მილიციის ორგანოების ანგარიშის III კარში აღინიშნება მხოლოდ ის შემთხვევები, რომლებიც მოხდა მძღოლთა მიზეზით. აღრიცხვა წარმოებს სატრანსპორტო საშუალების ყოველი სახეობის მიხედვით, განურჩევლად იმისა, თუ რამდენად დამნაშავეა მძღოლი. მაგალითად, თუ ავტომობილისა და ტრამვაის შეჯახება მოხდა როგორც ერთი, ისე მეორე მძღოლის მიზეზით, შემთხვევა აღინიშნება (პუნქტში) „ავტომობილები" (და მე-4 პუნქტში „ტრამვაიები"). იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილისა და ტრამვაის შეჯახება მოხდა მხოლოდ ავტომობილის მძღოლის მიზეზით, შემთხვევა აღინიშნება მხოლოდ I პუნქტში.

ერთი სახეობის სატრანსპორტო საშუალებათა შეჯახების დროს შემთხვევა აღირიცხება შესაბამის პუნქტში ერთხელ, მიუხედავად იმისა, ერთ-ერთი თუ ორივე მძღოლია დამნაშავე.

IV კარის I პუნქტში აღინიშნება შემთხვევები, რომლებიც მოჰყვა მძღოლის მიერ მოძრაობის წესების დარღვევას. შემთხვევა აღირიცხება ერთხელ, მიუხედავად იმისა, მოხდა იგი ერთი თუ რამდენიმე მძღოლის მიერ მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად, აგრეთვე მიუხედავად ჩადენილ დარღვევათა რაოდენობისა. „ა", „ბ", „გ", „დ", „ე", „ვ", „ზ" ქვეპუნქტებში აღინიშნება შემთხვევები, რომლებიც მოხდა მოძრაობის იმ წესების დარღვევის შედეგად, რომლებიც აღნიშნულია ამ ქვეპუნქტებში. რამდენადაც ერთი შემთხვევის მძღოლმა შეიძლება დაარღვიოს მოძრაობის რამდენიმე წესი, მაგალითად, გადააჭარბოს მოძრაობის სიჩქარეს, გადავიდეს გზის მარცხენა მხარეზე და სხვ. „ა", „ბ", „გ", „დ", „ე", „ვ", „ზ" აღნიშნული ქვეპუნქტების მაჩვენებელთა ჯამი შეიძლება აღემატებოდეს I პუნქტში აღნიშნულ შემთხვევათა რაოდენობას. თუ შემთხვევა გამოიწვია მძღოლის ერთი და იგივე დარღვევამ, იგი ერთხელ აღირიცხება შესაბამის ქვეპუნქტში.

ასევე აღირიცხება შემთხვევები IV კარის სხვა პუნქტებშიც.

თუ შემთხვევა მოხდა IV კარის 1-7 პუნქტებში აღნიშნული რამდენიმე მიზეზის შედეგად, იგი აღირიცხება ყოველ ამ პუნქტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად, შემთხვევა მოხდა მძღოლის მიერ მოძრაობის წესების დარღვევისა და გზის ცუდი მდგომარეობის გამო, მაშინ შემთხვევა აღინიშნება როგორც I პუნქტში, ისე მე-7 პუნქტშიც. ამასთან დაკავშირებით IV კარის 1-7 პუნქტების მაჩვენებელთა ჯამი გადააჭარბებს 1 კარის ჯუმლობრივ მონაცემებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: IV კარის I პუნქტის „დ" ქვეპუნქტში უნდა შევიდეს სააღრიცხვო ბარათის XII კარის მე-11 და მე-15 პუნქტების მაჩვენებელთა ჯამი.

IV კარში არ აღირიცხება ინდივიდუალურ მფლობელთა ავტომობილები. ანგარიშში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა შესახებ, რომლებიც მოხდა ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მძღოლთა მიზეზით, შემთხვევა აღინიშნება მიუხედავად იმისა, თუ რამდენად დამნაშავეა მძღოლი. მაგალითად, ერთმანეთს დაეჯახა ორი სხვადასხვა სამინისტროს ავტომობილები და გამოირკვა, რომ ამაში ორივე მძღოლია დამნაშავე. შემთხვევა აღინიშნება თითოეული სამინისტროს მიხედვით თუ შემთხვევა მოხდა ერთი და იგივე სამინისტროს მძღოლთა მიზეზით, შესაბამის პუნქტში იგი ერთხელ აღირიცხება.

შემთხვევები, რომლებიც დაუშვეს სხვა მოკავშირე რესპუბლიკის საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროების სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლებმა, აღინიშნება მე-16 პუნქტში.

ანალოგიურად ადგენენ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ანგარიშს საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები.

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ № 4
საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა
აღრიცხვის წესებისა

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ, ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ, ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲐᲝ-ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲗᲐ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

№№	შემთხვევის თარიღი და დრო	მონაცემები მძღოლის შესახებ: ა) გვარი, სახელი და მამის სახელი ბ) კლასი და მუშაობის სტაჟი; გ) მუშაობის რომელ საათზე მოხდა შემთხვევა	სატრანსპორტო საშუალების მოდელი და მისი სანომრო ნიშანი	შემთხვევის სახეობა	შემთხვევის ადგილი	შემთხვევის გარემოებანი	შედეგები				შემთხვევის მიზეზები	მიღებული ზომები	პატაკის გაგზავნის თარიღი და ნომერი	შენიშვნა
							დაღუპა (კაცი)	დაშავდა (კაცი)	მატერიალური ზარალი (მანეთობით)					
									ნოკრავი შემადგენლობისა	ტვირთისა				
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15

ეროვნული ბიბლიოთეკა

(საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების, სამმართველოს, ტრესტის და სხვ. დასახელება)

ДАНАРТИ № 5
საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა
აღრიცხვის წესებისა

КАТААКИ

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შესახებ

1. შემთხვევის თარიღი, დრო და ადგილი _____

2. სატრანსპორტო საშუალების მოდელი და სანომრო ნიშანი _____

3. ვინ მართავდა სატრანსპორტო საშუალებას _____

(გვარი, სახელი, მამის სახელი, ქლასი, მუშაობის სტაჟი)

4. მძღოლის მუშაობის რომელ საათზე მოხდა შემთხვევა, მძღოლის მდგომარეობა _____

5. შემთხვევის სახეობა და მოკლე აღწერა _____

6. ამინდი, ხილვადობის პირობები _____

7. გზის პირობები _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. შემთხვევის მიზეზები _____

_____

_____

_____

9. შემთხვევის შედეგები: _____

ა) დაიღუპა ან გარდაიცვალა ჭრილობებისაგან (კაცი) _____

მათ შორის:

მძღოლი, კონდუქტორი, მგზავრები _____

ქვეითად მოსიარულეები _____

ბ) დაშავდნენ _____

მათ შორის:

მძღოლი, კონდუქტორი, მგზავრები _____

ქვეითად მოსიარულეები _____

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. საჭიროებისამებრ უნდა აღინიშნოს გვარი, სახელი, მამის სახელი, თანამდებობა, ასაკი და სხვ.

გ) სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მდგომარეობა და მისი დაზიანებით გამოწვეული მატერიალური ზარალი (მანეთობით) _____

_____

_____

_____

დ) სხვა ზარალი (ტვირთის დაკარგვა და ა. შ.) _____

_____

10. საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების რომელი მუშაკი წავიდა შემთხვევის ადგილას _____

_____

11. პროფილაქტიკური ღონისძიებანი, რომლებიც ამ შემთხვევის გამო განხორციელდა _____

საწარმოს, ორგანიზაციის,

დაწესებულების ხელმძღვანელი _____

(გვარი)

196 „——“ _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

(სამმართველოს, ტრესტის და სხვ. დასახელება)

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ № 6
საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა
აღრიცხვის წესებისა

სტატისტიკური ანგარიშგება
საფოსტო-კვარტალური

უგზავნიან ტრესტები (სამმართველოები) ზემდგომ ორგანიზაციებს კვარტალისას 10 აპრილისათვის, ნახევარი წლისას — 10 ივლისისათვის, 9 თვისას — 10 ოქტომბრისათვის, წლისას — 10 იანვრისათვის.

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შესახებ

_____ 196 წლის „____“ _____

(სამმართველო, ტრესტი და სხვ.)

№№ რიგზე		მოცემული ორგანიზაციის სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევების რაოდენობა	
		სულ	აქედან ამ ორგანიზაციის მუშაკთა მიზეზით
	I. ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲝᲒᲐᲜᲘ		
1	სატრანსპორტო საშუალებათა დაჯახება		
2	სატრანსპორტო საშუალებათა გადაყირავება		
3	სატრანსპორტო საშუალებათა დაჯახება დაბრკოლებებზე		
4	სატრანსპორტო საშუალებათა დაჯახება ქვეითად მოსიარულეებზე		
5	სატრანსპორტო საშუალებათა დაჯახება ველოსიპედისტებზე		
6	მგზავრების დავარდნა		
7	სხვა შემთხვევები		
	სულ		
8	მოცემული ორგანიზაციის სატრანსპორტო საშუალებათა სხვა შემთხვევები .		

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. შემთხვევათა ადგილი

1	ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ქუჩები		
2	საერთო სარგებლობის გზები . . .		
3	საუწყებო გზები		
4	სხვა ადგილები		

№ 6 დანართის გაგრძელება

№№ რიგზე		შემთხვევათა რაოდენობა მოცემული ორგანიზაციის მუშაკთა მიზეზით

III. შემთხვევები სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების მიზეზით

1	ავტომობილებისა	
	აქედან:	
	ა) ავტობუსებისა	
	ბ) სატვირთო ავტომობილებისა, რომლებსაც ხალხი გადაჰყავთ .	
	გ) მსუბუქი ტაქსებისა	
	დ) გაქირავებული მანქანებისა . .	
2	მოტოციკლების და მოტოროლერებისა	
3	ტროლეიბუსებისა	
4	ტრამვაიებისა	

IV. შემთხვევათა მიზეზები

1	მძღოლების მიერ მოძრაობის წესების დარღვევა	
	აქედან:	
	ა) მოძრაობის სიჩქარის გადაჭარბება	
	ბ) გასწრების წესების დაუცველობა	
	გ) გადასვლა გზის მარცხენა მხარეზე	
	დ) მგზავრთა ჩასხმა-გადმოსხმის წესების დარღვევა	
	ე) გზაჯვარედინების გავლის წესების დაუცველობა . . .	

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 6 დანართის - გაგრძელება

	ვ) რკინიგზის გადასასვლელების გავლის წესების დარღვევა . .	
	ზ) სატვირთო ავტომობილებით ხალხის გადაყვანის წესების დარღვევა	
	თ) ტვირთზიდვის წესების დარღვევა	
2	ტექნიკურად უწესივრო სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაცია . . .	
	აქედან:	
	ა) მუხრუჭების	
	ბ) საჭესამართისა	
	გ) განათების ან სიგნალიზაციის ხელსაწყოების	
	დ) ავტომობილის სალტეების უწესივრობა	
3	მძღოლთა გადაღლა	
	შემთხვევათა საერთო რაოდენობიდან მოახდინეს ნასვამმა მძღოლებმა . . .	

V. დაშავებულთა რაოდენობა

№№ რიგზე	დაშავებულთა კატეგორია	პირთა რიცხვი	
		დაიღუპა	დაშავდა
1	სულ		
	მათ შორის:		
	ა) ქვეითად მოსიარულეები		
	ბ) ველოსიპედისტები		
	გ) მგზავრები		
	დ) მძღოლები		

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI. მატერიალური ზარალი

№№ რიგზე	დასახელება	ს უ ლ	უნდა ჩამოიწეროს
1	დაზიანებულია სატრანსპორტო საშუალებანი		
	აქედან:		
	ა) ავტომობილები		
	ბ) ტროლეიბუსები		
	გ) ტრამვაიები		
	თანხა მანეთობით:		
2	სატრანსპორტო საშუალებათა დაზიანებით გამოწვეული ზარალი		
3	ტვირთის დაზიანებით გამოწვეული ზარალი		

სამმართველოს, ტრესტის და სხვ.
ხელმძღვანელი _____

196 წლის „——“ _____

ДАНАРТი № 7
საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა
აღრიცხვის წესებისა

საგზაო ორგანიზაციების საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა აღრიცხვის სახაზო ჟურნალი

№ რიგზე	შემთხვევის თარიღი და დრო	შემთხვევის ადგილი	შემთხვევის სახეობა	სატრანსპორტო საშუალების მოდელი და სანომრო ნიშანი	შედეგები			ამინდის მდგომარეობა	საგზაო პირობების დახასიათება					
					დაიღუპა (კაცი)	დაშავდა (კაცი)	მატერიალური ზარალი (მანეთობით)		საფეხლი ნაწილის საფარის ტიპი და მდგომარეობა	გზისპირების სიგანე და მდგომარეობა	გრძივი და განივი პროფილი	ხილვადობის პირობები	ნიშნები და დანიშნები	გზის დაფებები ან ტ. წ. სიგნალიზაცია დაკავშირებულია შემთხვევა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15

ეროვნული ბიბლიოთეკა

_____
საგზაო ორგანიზაციის დასახელება

ДАНАРТИ № 8
საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა
აღრიცხვის წესებისა

ᲞᲐᲢᲐᲙᲘ

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შესახებ

1. შემთხვევის თარიღი და დრო _____

2. შემთხვევის ადგილი _____

(გზის დასახელება, კილომეტრი, მეტრი, მანძილი

_____

უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე)

3. გზის დახასიათება შემთხვევის ადგილას _____

(საფარის ტიპი, სავალი

_____

ნაწილის სიგანე, გრძივი და განივი პროფილი, დამრგვალების რადიუსი და სხვ.)

4. ხილვადობის პირობები _____

(ნათელია, ბნელა, ნისლია, თოვს, წვიმს და სხვ).

5. ცნობები სატრანსპორტო საშუალებებისა და მძღოლების შესახებ

_____

(სატრანსპორტო საშუალების მოდელი და ტიპი, სანომრო ნიშანი, მფლობელი, მძღოლის გვარი)

6. შემთხვევის გარემოებანი _____
7. შემთხვევის მიზეზები _____
8. შემთხვევის შედეგები:
   ა) დაიღუპა (კაცი) _____
   ბ) დაშავდა (კაცი) _____
   გ) დაზიანდა სატრანსპორტო საშუალებანი _____
   დ) მატერიალური ზარალი (მანეთობით):
   სატრანსპორტო საშუალებათა დაზიანების შედეგად
   ტვირთის გაფუჭების ან დაკარგვის შედეგად
   საგზაო ნაგებობათა დაზიანების შედეგად
9. მიღებული ზომები _____

საგზაო-საექსპლუატაციო (საგზაო) უბნის უფროსი:

196 წლის „——“ _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 6 ივლისის № 840
დადგენილებით

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ავტომოტორანსპორტისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ

ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დებულება შემუშავებულია შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 30 სექტემბრის № 1022 დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ“ და საერთოა სსრ კავშირის მთელი ტერიტორიისათვის.

2. დადგენილია ავტომოტორანსპორტისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მძღოლების შემდეგი კატეგორიები:

ავტომობილის მძღოლი,
მოტოციკლის მძღოლი,
მოპედის მძღოლი,
მოტოეტლის მძღოლი,
ტრამვაის მძღოლი,
ტროლეიბუსის მძღოლი.

ავტომობილის მძღოლი შეიძლება იყოს პროფესიონალი ან მოყვარული.

3. თეორიული ცოდნის, მართვის პრაქტიკული ჩვევებისა და მუშაობის სტაჟის მიხედვით ავტომობილის მძღოლებს (პროფესიონალებს) შეიძლება ჰქონდეთ შემდეგი კვალიფიკაცია:

მესამე (3) კლასის ავტომობილის მძღოლი.
მეორე (2) კლასის ავტომობილის მძღოლი,
პირველი (1) კლასის ავტომობილის მძღოლი.

მესამე, მეორე და პირველი კლასის ავტომობილის მძღოლის კვალიფიკაცია განისაზღვრება შესაბამისი საკვალიფიკაციო დახასიათებით (დანართი № 1).

მესამე კლასის ავტომობილის მძღოლს უფლება აქვს მართოს ყველა ტიპისა და მარკის ავტომობილი (მათ შორის თვითმავალი მანქანები, რომლებიც დადგმულია ავტომობილის შასიზე), გარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტობუსებისა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების და სახანძრო ავტომობილებისა, აგრეთვე იმ ავტომობილებისა, რომლებიც აღჭურვილია „სირენის“ ტიპის ხმოვანი სიგნალით ან სხვა სპეციალური სიგნალებით.

მეორე და პირველი კლასის ავტომობილის მძღოლებს უფლება აქვთ მართონ ყველა ტიპისა და მარკის ავტომობილი.

ავტობუსზე სამუშაოდ დანიშვნამდე მეორე და პირველი კლასის ავტომობილის მძღოლებმა 10 დღის განმავლობაში სტაჟირება უნდა გაიარონ ავტომეურნეობებში. თითოეულ სტაჟიორზე უნდა შეივსოს სტაჟის გავლის ფურცელი (დანართი № 2).

ავტომობილის მძღოლებს (პროფესიონალებს), რომლებსაც ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ უმუშავნიათ სატრანსპორტო საშუალებების მძღოლებად, ავტომობილის მართვის უფლება აქვთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციას ჩააბარებენ გამოცდებს მოძრაობის წესებში და ავტომობილის მართვაში, ხოლო იმათ, ვისაც 3 წელზე მეტი აღარ უმუშავია მძღოლად, გარდა ამისა, სამედიცინო შემოწმების შემდეგ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მძღოლებისაგან, რომლებსაც გარკვეული დროის მანძილზე სპეციალობით აღარ უმუშავიათ, გამოცდა მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ ავტომეურნეობის მიმართვა.

ავტომობილის მძღოლები (პროფესიონალები), რომლებსაც სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლებად აღარ უმუშავიათ 10 წელზე მეტ ხანს, კარგავენ წინათ მინიჭებულ კვალიფიკაციას და მათთვის ავტომობილის მძღოლის (პროფესიონალის) კვალიფიკაციის ხელახლა მინიჭება წარმოებს საერთო საწყისებზე, როგორც იმ პირებისათვის, რომლებსაც პირველად ენიჭებათ ასეთი კვალიფიკაცია.

4. ავტომობილის მოყვარულ მძღოლს უფლება აქვს მართოს მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები, მაგრამ უფლება არა აქვს დაქირავებით იმუშაოს მძღოლად.

ავტომობილის მძღოლს უფლება აქვს მართოს მოტოეტლი. მოტოციკლის მძღოლს უფლება აქვს მართოს ყველა ტიპისა და მარკის მოტოციკლი, მოტოროლერი და მოპედი.

მოპედის მძღოლს უფლება აქვს მართოს მხოლოდ მოპედი, ხოლო მოტოეტლის მძღოლს — მხოლოდ მოტოეტლი.

5. ავტომობილის მოყვარული მძღოლი, მოტოციკლის, მოპედის, მოტოეტლის მძღოლი ვალდებულია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცოდეს სსრ კავშირის ქალაქების, დასახლებული პუნქტების ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესები;

იცოდეს შესაბამისად ავტომობილის, მოტოციკლის, მოპედის, მოტოეტლის მართვა ყოველგვარ ვითარებაში, ყოველგვარი გზის პირობებში;

იცოდეს როგორ განსაზღვროს და აღმოფხვრას გზაში შექმნილი უწესივრობანი სატრანსპორტო საშუალებაზე არსებული ინსტრუმენტების მეშვეობით.

6. ტრამვაისა და ტროლეიბუსის მძღოლს, თეორიული ცოდნის, პრაქტიკული გამოცდილებისა და მუშაობის სტაჟის მიხედვით შეიძლება ჰქონდეს შემდეგი კვალიფიკაცია:

მესამე (3) კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლი,

მეორე (2) კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლი,

პირველი (1) კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლი.

მესამე, მეორე და პირველი კლასის ტრამვაის მძღოლისა და, მესამე, მეორე და პირველი კლასის ტროლეიბუსის მძღოლის კვალიფიკაცია განისაზღვრება შესაბამისი საკვალიფიკაციო დახასიათებით (დანართი № 3).

მესამე კლასის ტრამვაის მძღოლს უფლება აქვს მართოს ყველა ტიპის ტრამვაი, გარდა შენაწევრებული და ისეთი ტრამვაისა, რომელიც მრავალი ერთეულის სისტემით მუშაობს.

მესამე კლასის ტროლეიბუსის მძღოლს უფლება აქვს მართოს ყველა ტიპის ტროლეიბუსი, გარდა შენაწევრებული ან მისაბმელიანი ტროლეიბუსისა.

მესამე კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლს აკრძალული აქვს გზის რთული პროფილის მქონე მარშრუტებზე მუშაობა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მესამე კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლებს, გამონაკლისის სახით, შეუძლიათ ყველა მარშრუტზე;

იმ ქალაქებში, სადაც ტრამვაის (ტროლეიბუსის) გზებს უპირატესად რთული პროფილი აქვს მოკავშირე რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ნებართვით;

იმ ქალაქებში, სადაც ტრამვაის (ტროლეიბუსის) გზებს აქვს რთული პროფილის ცალკეული მონაკვეთები, იმ პირობით, რომ მძღოლს ჰქონდეს ერთ წელზე მეტი მუშაობის სტაჟი და ამ დროის მანძილზე არ ჰქონდეს მოძრაობის წესების დარღვევა — კომუნალური მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების ნებართვით (დროებით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე და პირველი კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლს უფლება აქვს მართოს ყველა ტიპის ტრამვაი (ტროლეიბუსი) დიმუშაოს ყველა მარშრუტზე.

7. იმ პირებს, რომლებსაც ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლის კვალიფიკაცია აქვთ და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მძღოლად არ უმუშავნიათ ექვს თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, აგრეთვე ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლებს, რომლებიც ერთი ქალაქის საწარმოდან მეორე ქალაქის საწარმოში გადავიდნენ სამუშაოდ, ტრამვაის (ტროლეიბუსის) მართვის უფლება აქვთ მხოლოდ ათი დღის განმავლობაში სტაჟის გავლის შემდეგ.

იმ შემთხვევაში, თუ ამ მძღოლებს ერთ წელზე მეტი ხანია არ უმუშავიათ ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლად, მართვის უფლება აქვთ მხოლოდ წინათ მინიჭებული კვალიფიკაციის პროგრამით ხელმეორედ სწავლებისა და მას შემდეგ, რაც საატესტაციო კომისიები შეამოწმებენ მათ ცოდნასა და მართვის ჩვევებს საკვალიფიკაციო დახასიათების დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

თუ ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლის კვალიფიკაციის მქონე პირს საქალაქო ელექტროტრანსპორტის მძღოლად აღარ უმუშავია სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, იგი კარგავს წინათ მინიჭებულ კვალიფიკაციას და ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლის კვალიფიკაცია ხელახლა მიენიჭება საერთო საწყისებზე როგორც პირს, რომელსაც პირველად სურს ასეთი კვალიფიკაციის მიღება.

8. მესამე კლასის ავტომობილის მძღოლის კვალიფიკაციას, მოტოციკლის, მოპედის, მოტოეტლის, ტრამვაის (ტროლეიბუსის) მესამე კლასის მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭებას და შესაბამისი მოწმობის გაცემას ავტომოტოტრანსპორტისა და საქალაქო ავტოტრანსპორტის მართვის უფლების შესახებ, მათ შორის ავტომობილის მოყვარული მძღოლისთვისაც, აწარმოებს მოკავშირე რესპუბლიკათა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის ორგანოების სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია.

9. მეორე და პირველი კლასის ავტომობილის მძღოლის, მეორე და პირველი კლასის ტრამვაისა და ტროლეიბუსის მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭებას აწარმოებენ საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებანი, რომლებშიც მძღოლი მუშაობს.

10. ტრამვაისა ან ტროლეიბუსის მძღოლს, ელექტროტრანსპორტის მართვის უფლების შესაბამისი მოწმობის გარდა, უნდა ჰქონდეს მძღოლის წიგნაკი, რომლის ფორმა და გაცემის წესი უნდა დაადგინოს მოკავშირე რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ.

11. ავტომოტორანსპორტის და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მართვის უფლება შეიძლება მიეცეთ იმ პირებს, რომლებმაც მიაღწიეს დადგენილ ასაკს, ჯანმრთელობის მდგომარეობა აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს, აქვთ მუდმივი გაწერა, ან გაწერილი არიან დროებით, მაგრამ მუშაობენ ან სწავლობენ მოცემულ ადგილას.

12. იმ ავტომობილების, მოტოციკლების მართვის საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც საერთაშორისო მოძრაობაში მონაწილეობენ, გაიცემა დადგენილი წესით.

13. სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციას უფლება აქვს საჭირო შემთხვევაში შეამოწმოს მძღოლი, იცის თუ არა სსრ კავშირის ქალაქების, დასახლებული პუნქტების ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესები.

თუ მძღოლი გამოცდაზე ვერ გამოავლენს აღნიშნული წესების ცოდნას, მას მძღოლის მოწმობა და მოწმობის ტალონი ჩამოერთმევა, განმეორებითი გამოცდა დაინიშნება არა უადრეს 5 დღისა.

14. მძღოლისათვის ავტომოტორანსპორტის ან საქალაქო ელექტროტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევა წარმოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მესამე კლასის ავტომობილის, ტრამვაისა და ტროლეიბუსის მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების წესი

15. მესამე კლასის ავტომობილის, ტრამვაისა და ტროლეიბუსის მძღოლის კვალიფიკაცია შეიძლება მიენიჭოთ იმ პირთ, რომლებსაც, სულ ცოტა, 7 კლასის განათლება აქვთ.

16. მესამე კლასის ავტომობილის მძღოლის კვალიფიკაცია ენიჭებათ მოძრაობის წესებისა და ავტომობილის მართვის გამოცდის ჩაბარების შემდეგ სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციაში:

იმ პირებს, რომლებმაც სწავლის კურსი გაიარეს მესამე კლასის ავტომობილის მძღოლის მომზადების პროგრამით, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, და რომლებმაც მიიღეს შესაბამისი მოწმობა (დანართი № 4);

ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებსა და სამხედრო ვალდებულებს, რომლებიც სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს დადგენილებით სწავლობენ ავტომობილის მძღოლის პროფესიას იმ პროგრამების მიხედვით, რომლებსაც ამუშავებს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეტთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების საბჭოსა, წიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტთან და რუსეთის სფსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, თუ მათ მიღებული აქვთ შესაბამისი მოწმობა (დანართი № 4).

იმ პირებს, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებელი საავტომობილო სპეციალობით, აგრეთვე საავტომობილო ფაკულტეტები ან სხვა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლის საავტომობილო განყოფილება, მიიღეს ავტოტრანსპორტის მართვის ცოდნა და ჩვევები მესამე კლასის ავტომობილის მძღოლის მომზადების პროგრამის მოთხოვნათა მოცულობით;

საავტომობილო ინსტიტუტების სტუდენტებს ტექნიკუმებისა ან სხვა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებს, რომლებმაც გაიარეს სწავლება მესამე კლასის ავტომობილის მძღოლის მომზადების პროგრამის მოთხოვნათა მოცულობით;

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებს, რომლებმაც გაიარეს მესამე კლასის ავტომობილის მძღოლის სწავლების კურსი პროგრამით, რომელიც შემუშავებულია რუსეთის სფსრ განათლების სამინისტროს მიერ მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით;

მესამე კლასის ტრამვაისა და ტროლეიბუსის მძღოლის კვალიფიკაცია ენიჭებათ იმ პირთ, რომლებმაც გაიარეს მომზადება პროგრამით, რომელიც შემუშავებულია რუსეთის სფსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით მიიღეს მოწმობა (დანართი № 5) და ჩააბარეს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციაში გამოცდა მოძრაობის წესებში.

ავტომობილის მოყვარული მძღოლის მოწმობის გაცემისა და მოტოციკლის, მოპედისა და მოტოეტლის მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების წესი

18. ავტომობილის მოყვარული მძღოლის მოწმობა შეიძლება მიეცეს, ან მოტოციკლისა და მოპედის მძღოლის კვალიფიკაცია მიენიჭოს იმ პირთ, რომლებმაც გაიარეს სწავლება პროგრამით, რომელიც შემუშავებულია სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის მიერ რუსეთის სფსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, და რომლებმაც მიიღეს შესაბამისი მოწმობა (დანართი № 6), აგრეთვე იმ პირთ, რომლებიც დამოუკიდებლად მოემზადნენ და სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციაში ჩააბარეს გამოცდები მოძრაობის წესებში და ავტომობილის, მოტოციკლის, მოპედის მართვაში.

19. იმ პირთ, რომლებსაც აქვთ ავტომობილის მძღოლის კვალიფიკაცია, მოტოციკლისა და მოპედის მძღოლის კვალიფიკაცია მიენიჭებათ მხოლოდ მოტოციკლისა ან მოპედის მართვაში გამოცდის ჩაბარების შემდეგ, ამ შემთხვევაში სავალდებულო სწავლება საჭირო არ არის.

20. მოტოეტლის მძღოლის კვალიფიკაცია ენიჭებათ იმ პირთ, რომლებმაც გაიარეს სწავლება პროგრამით, რომელიც შემუშავებულია რუსეთის სფსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ რუსეთის სფსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, და რომლებმაც ჩააბარეს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციაში გამოცდები მოძრაობის წესებში და მოტოეტლის მართვაში.

მეორე და პირველი კლასის ავტომობილის, ტრამვაისა და ტროლეიბუსის მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების წესი

21. ავტომობილის, ტრამვაისა და ტროლეიბუსის მძღოლებს მეორე ან პირველი კლასის მძღოლის კვალიფიკაცია ენიჭებათ მუშაობის ადგილას იმ საატესტაციო კომისიების წარდგენით, რომლებსაც ავტომეურნეობების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები ქმნიან.

22. საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში შეჰყავთ ადმინისტრაცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, კადრების განყოფილებების (სამმართველოების) მუშაკები.

პატარა ავტომეურნეობებში მომუშავე მძღოლებისათვის მეორე ან პირველი კლასის ავტომობილის მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭებისას საატესტაციო კომისიაში შეჰყავთ ზემდგომი ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საატესტაციო კომისიები ამოწმებენ, შეესაბამება თუ არა მძღოლის ცოდნა და ტრანსპორტის მართვის ჩვევები იმ მოთხოვნებს, რომლებიც დადგენილია საკვალიფიკაციო დახასიათებით.

23. მეორე და პირველი კლასის ავტომობილის მძღოლის კვალიფიკაცია შეიძლება მიენიჭოთ ავტომობილის მძღოლებს:

რომლებსაც სულ ცოტა სამი წელი უმუშავიათ მესამე კლასის ავტომობილის მძღოლად — მეორე კლასის ავტომობილის მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების დროს, და სულ ცოტა ორი წელი უმუშავიათ მეორე კლასის ავტომობილის მძღოლად — პირველი კლასის ავტომობილის მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების დროს (მოცემულ საწარმოში მუშაობის სტაჟის მიუხედავად);

რომლებმაც გაიარეს ხელახალი მომზადება (დასწრებულად ან დაუსწრებლად) მეორე და პირველი კლასის ავტომობილის მძღოლის მომზადების პროგრამით, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, და რომლებმაც მიიღეს შესაბამისი მოწმობა (დანართი № 7);

კარგ ტექნიკურ მდგომარეობაში აქვთ მათთვის გამოყოფილი სატრანსპორტო საშუალებანი, აქვთ კარგი საწარმოო მაჩვენებლები და უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არ დაურღვევიათ მოძრაობის წესები, რასაც შედეგად მოჰყოლია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა ან მძღოლის უფლების ჩამორთმევა;

24. კოლმეურნეობაში მომუშავე მძღოლებს (პროფესიონალებს) მეორე ან პირველი კლასის ავტომობილის მძღოლის კვალიფიკაციას ანიჭებს კოლმეურნეობის გამგეობა „სოფლტექნიკის" რაიონული გაერთიანებისა ან განყოფილების საატესტაციო კომისიის წარდგენის საფუძველზე, რომელთა შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო საავტომობილო ინსპექტორები.

25. ტრამვაის (ტროლეიბუსის) მეორე ან პირველი კლასის მძღოლის კვალიფიკაცია შეიძლება მიენიჭოს ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლებს:

რომლებსაც სულ ცოტა ორი წელი უმუშავიათ მესამე კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლად — მეორე კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების დროს — და სულ ცოტა სამი წელი უმუშავიათ მეორე კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლად—პირველი კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების დროს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებმაც გაიარეს ხელახალი მომზადება (დასწრებულ-დაუსწრებლად) მეორე და პირველი კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლის მომზადების პროგრამით, რომელიც შემუშავებულია რუსეთის სფსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, და რომლებმაც მიიღეს მოწმობა (დანართი № 7);

აქვთ კარგი საწარმოო მაჩვენებლები და უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არ ჰქონიათ მოძრაობის წესების დარღვევები, რომლებმაც გამოიწვიეს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, ან იწვევენ მძღოლის უფლების ჩამორთმევას, აგრეთვე უკანასკნელი წლის განმავლობაში არ ჰქონიათ ტექნიკური ექსპლუატაციის, უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქციების უხეში დარღვევები.

მეორე ან პირველი კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლის კვალიფიკაცია ელექტროტრანსპორტის მძღოლებს შეიძლება მიენიჭოთ ვადამდე, სწავლების გავლის შემდეგ.

მეორე კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლის კვალიფიკაცია მძღოლს ვადამდე შეიძლება მიენიჭოს, თუ სულ ცოტა ერთი წელი უმუშავია ტრამვაის (ტროლეიბუსის) მესამე კლასის მძღოლად, ხოლო პირველი კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლის კვალიფიკაცია — თუ სულ ცოტა წელიწადნახევარი უმუშავია მეორე კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლად და თუ მესამე ან მეორე კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლებმა უჩვენეს მუშაობის მოწინავე მეთოდები, სრულყოფილად აითვისეს მოძრავი შემადგენლობა და მართვის ტექნიკა, აგრეთვე შესაბამისი პერიოდის მანძილზე არ დაურღვევიათ მოძრაობის წესები, ტექნიკური ექსპლუატაციის წესები, უსაფრთხოების ტექნიკის წესები და შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქციები.

26. ავტომობილის მძღოლებისათვის (პროფესიონალებისათვის) და ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლებისათვის მეორე ან პირველი კლასის მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, გამოცხადდება ავტომეურნეობის, საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით ან კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებით.

საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ბრძანების ან კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი შეტანილ უნდა იქნეს სწავლის დამთავრების მოწმობაში, რაც უნდა დადასტურდეს ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27. მძღოლის მიერ სამუშაო ადგილის გამოცვლის დროს იგი ინარჩუნებს მეორე და პირველი კლასის ავტომობილის მძღოლისა და მეორე და პირველი კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლის კვალიფიკაციას.

თუ ავტოტრანსპორტისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მძღოლმა დაკარგა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ მისთვის მეორე და პირველი კლასის ავტომობილის მძღოლის, აგრეთვე მეორე და პირველი კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლის კვალიფიკაციას, ადრე მინიჭებული კვალიფიკაციის დადასტურების საკითხს განიხილავენ ავტომეურნეობის, საწარმოსა და დაწესებულების ხელმძღვანელები საატესტაციო კომისიის წარდგენით მას შემდეგ, რაც მძღოლი წარმოადგენს დუბლიკატს მოწმობისას, რომ მან გაიარა სწავლება დადგენილი პროგრამით, შემოწმებულია ტრანსპორტის მართვის ცოდნა და ჩვევები საკვალიფიკაციო დახასიათების მოთხოვნის შესაბამისად.

ავტომოტოტრანსპორტისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მძღოლთა სამედიცინო შემოწმების მოწყობის წესი

28. ყველა პირმა, რომელსაც სურს მიიღოს ავტომოტოტრანსპორტისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მძღოლის კვალიფიკაცია, აგრეთვე ავტომობილის მოყვარული მძღოლის მოწმობა, უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება, თუ რამდენად გამოდგება სატრანსპორტო საშუალებების მართვისათვის, იმ წესით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ რუსეთის სფსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

29. ავტომოტოტრანსპორტის ყველა მძღოლმა ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, ხოლო საქალაქო ელექტროტრანსპორტის მძღოლმა ყოველ 3 წელიწადში ერთხელ უნდა გაიაროს სამედიცინო ხელახალი შემოწმება ავტომეურნეობების, სატრანსპორტო საწარმოების, ტრამვაისა და ტროლეიბუსის პარკების ხელმძღვანელთა მიმართვით. სამედიცინო დაწესებულებათა ცნობები მძღოლის ხელახალი შემოწმების შესახებ ინახება მძღოლის სამუშაო ადგილას.

ავტომეურნეობების, სატრანსპორტო საწარმოების, ტრამვაისა და ტროლეიბუსების პარკების ხელმძღვანელები ვალდებულნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან თვალყური ადევნონ, რომ მძღოლებმა დროულად გაიარონ სამედიცინო შემოწმება.

ინდივიდუალური ავტომოტოტრანსპორტის მფლობელი მძღოლები სამედიცინო ხელახალ შემოწმებას გადიან ყოველ 5 წელიწადში ერთხელ სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის მიმართვით. სამედიცინო ხელახალი შემოწმების შესახებ ცნობები უნდა წარედგინოს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციას და ინახება სატრანსპორტო საშუალების მფლობელთან.

30. სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციას, ავტომეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, თუ ეჭვი ეპარებათ ავტომოტოტრანსპორტისა ან საქალაქო ელექტროტრანსპორტის მძღოლის ჯანმრთელობაში, შეუძლიათ ექსპერტიზის წესით გაგზავნონ მძღოლი სამედიცინო შემოწმებისათვის.

თუ სამედიცინო კომისია უვარგისად ცნობს მძღოლს ავტომოტოტრანსპორტისა ან საქალაქო ელექტროტრანსპორტის მართვისათვის, მძღოლს ჩამოერთმევა მძღოლის შემოწმება, ადრე მინიჭებული კვალიფიკაცია უქმდება და შრომის წიგნაკში დათხოვნისა ან სხვა სამუშაოზე გადაყვანის დროს წარმოებს ჩაწერა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იმ პირთ, რომლებიც უვარგისად ცნეს ტრანსპორტის მართვისათვის, ცნობები ხელზე არ მიეცემათ, არამედ გადაიგზავნება სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციაში.

გამოცდილების მიღებისა და მძღოლის მოწმობის გაცემის სამუშაოთა მოწყობა

31. ავტომოტოტრანსპორტის მძღოლისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მძღოლის კვალიფიკაციის მისანიჭებლად, აგრეთვე ავტომობილის მოყვარული მძღოლის მოწმობის მისაღებად გამოცდების მოწყობისათვის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის შემადგენლობაში იქმნება საგამოცდო კომისიები.

სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის განყოფილებების საგამოცდო კომისიები იბარებენ გამოცდებს და კვალიფიკაციას ანიჭებენ ყველა სახეობის ავტომოტოტრანსპორტისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მძღოლებს.

იმ მილიციის ორგანოებში, სადაც არ არის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის განყოფილებანი, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინი-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სტროების, სამხარეო აღმასკომების, საოლქო აღმასკომების ცენტრ. გადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოების ნებართვით შეიძლება შეიქმნას საგამოცდო კომისიები მოტოციკლის, მოპედისა და მოტოეტლის მძღოლის კვალიფიკაციის მისანიჭებლად და ავტომობილის მოყვარული მძღოლის მოწმობის მისაღებად.

32. საგამოცდო კომისიების შემადგენლობაში შეჰყავთ სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის მუშაკები, რომლებსაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო ტექნიკური განათლება, აქვთ ავტომობილებისა და მოტოციკლების მართვის საკმარისი ჩვევები, იციან მოძრაობის წესები და გამოცდების მოწყობის მეთოდიკა; შეჰყავთ აგრეთვე იმ სასწავლებლების წარმომადგენლები, რომლებიც ამზადებენ მძღოლებს, და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

33. ავტომოტოტრანსპორტისა ან საქალაქო ელექტროტრანსპორტის მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭებისათვის, აგრეთვე ავტომობილის მოყვარული მძღოლის მოწმობის მისაღებად სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციაში წარდგენილ უნდა იქნას:

მოწმობა დადგენილი პროგრამის მიხედვით სწავლების გავლის შესახებ;

სამედიცინო დაწესებულების ცნობა იმის შესახებ, რომ შეუძლია მოცემული სატრანსპორტო საშუალების მართვა (სამედიცინო დაწესებულების ცნობა მძღოლის პირადი ბარათის ნაწილია);

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულების ქვითარი გამოცდისათვის დადგენილი გამოსაღების გადახდის შესახებ;

პასპორტისათვის დადგენილი ფორმის ორი ფოტოსურათი 3×4 სანტიმეტრის ზომისა.

გარდა ამისა, წარდგენილ უნდა იქნეს პასპორტი ან სხვა, პიროვნების დამადასტურებელი მოწმობა.

საავტომობილო სპეციალობის ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა და საშუალო სპეციალური სასწავლებლისა და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებმა სწავლების შესახებ მოწმობის ნაცვლად შესაბამისად უნდა წარადგინონ:

დიპლომი სასწავლებლის დამთავრების შესახებ ან მისი ასლი, შემოწმებული ნოტარიული წესით;

უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის ცნობა, რომელიც ადასტურებს, რომ ამ პირმა ჩააბარა სასწავლებელში გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდები მესამე კლასის ავტომობილის მძღოლის მომზადების პროგრამის მის მოთხოვნათა მოცულობით.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ცნობა, რომ ამ პირმა ჩააბარა გამოცდები ავტომობილის აგებულებაში, ტექნიკურ მომსახურებასა და ექსპლუატაციაში, მოძრაობის წესებსა და მართვის ჩვევებში, აგრეთვე ცნობა სტაჟის გავლის შესახებ (დანართი № 8).

34. ყველა პირზე, რომელსაც სურს მიღოს ავტომოტორანსპორტისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მძღოლის კვალიფიკაცია, აგრეთვე ავტომობილის მოყვარული მძღოლის მოწმობა, უნდა შეივსოს მძღოლის პირადი ბარათი (დანართი № 9).

35. გამოცდები წარმოებს ჯერ მოძრაობის წესებში, ხოლო შემდეგ სატრანსპორტო საშუალების მართვაში.

მოძრაობის წესებში გამოცდა წარმოებს ამ მიზნისათვის მოწყობილ კაბინეტებში. სატრანსპორტო საშუალებათა მართვის ჩვევები მოწმდება ქუჩებში და გზებზე ამოცანის დასახვით, რომელიც გათვალისწინებულია მძღოლის მომზადების პროგრამით.

მოძრაობის წესებში გამოცდა მიიღება იმ ბილეთების მიხედვით, რომლებიც შემუშავებულია მოკავშირე რესპუბლიკათა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროთა სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციების მიერ სსრ კავშირის ქალაქების, დასახლებული პუნქტების ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესების საფუძველზე და მძღოლების მომზადების პროგრამების შესაბამისად.

ავტომობილის მართვის პრაქტიკული ჩვევები მოწმდება ავტომობილებზე, რომლებიც აღჭურვილია გადაბმულობის მექანიზმისა და მუხრუჭის ორმაგი სატერფულებით.

ავტომობილის მძღოლის კვალიფიკაციის მიღების მსურველებმა გამოცდა ავტომობილის მართვაში უნდა ჩააბარონ მხოლოდ სატვირთო ავტომობილზე. თუ ავტომობილის მძღოლთა მომზადება წარმოებდა სპეციალურად ტაქსმოტორის პარკში მუშაობისათვის, ამ შემთხვევაში მართვის გამოცდის მიღება შეიძლება მსუბუქ ავტომობილზე.

ავტომობილის მოყვარული მძღოლის მოწმობის მიღების მსურველ პირთაგან ავტომობილის მართვის გამოცდა მიიღება მსუბუქ ან სატვირთო ავტომობილზე. ის პირნი, რომლებსაც ამპუტირებული ან დამბალადაცემული აქვთ ქვედა კიდურები, გამოცდას აბარებენ საკუთარ ავტომობილებზე, რომელიც გადაკეთებულია ხელით მართვისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტოციკლის მართვის გამოცდა მიიღება, როგორც წესი, უეტლზე-მოტოციკლზე.

მოტოეტლის მართვის გამოცდა მიიღება მძღოლების სწავლების ადგილას სასწავლო მოტოეტლზე, რომელიც აღჭურვილია გადაბმულობის მექანიზმისა და მუხრუჭის ორმაგი სატერფულებით.

36. იმ პირთაგან, რომლებმაც სწავლება გაიარეს ავტოსკოლებში ან სხვა სასწავლებლებში, გამოცდები, როგორც წესი, მიიღება უშუალოდ სწავლების ადგილას და განაცხადების შესაბამისად, რომლებიც სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციაში წარდგენილ უნდა იქნეს არა უგვიანეს წინა თვის 25 რიცხვისა, თუ ჯგუფში სულ ცოტა 20 კაცია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ყველა სასწავლო ორგანიზაცია, რომელიც ავტომოტოტრანსპორტის მძღოლებს ამზადებს, რეგისტრაციაში უნდა გატარდეს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციაში მეცადინეობის დაწყებამდე.

37. ის პირნი, რომლებსაც არ ჩაუბარებიათ გამოცდა მოძრაობის წესებში, ავტომოტოტრანსპორტის მართვის გამოცდაზე არ დაიშვებიან, ამასთან განმეორებით გამოცდა დაინიშნება სულ ცოტა 10 დღის შემდეგ.

ის პირნი, რომლებმაც სწავლება გაიარეს ავტოსკოლასა ან სხვა სასწავლებელში, განმეორებითს გამოცდაზე დაიშვებიან დამატებითი სწავლების გავლის შესახებ ცნობის წარმოდგენის შემდეგ.

ის პირნი, რომლებიც დამოუკიდებლად მოემზადნენ გამოცდებისათვის ავტომობილის მოყვარული მძღოლის მოწმობის, მოტოციკლისა ან მოპედის მძღოლის მოწმობის მისაღებად და ვერ ჩააბარეს გამოცდები მოძრაობის წესებსა ან სატრანსპორტო საშუალებათა მართვაში, განმეორებითს გამოცდებზე დაიშვებიან სულ ცოტა 20 დღის შემდეგ და სულ ბევრი სამჯერ, რის შემდეგაც გამოცდების ჩასაბარებლად დაიშვებიან მხოლოდ ავტოსკოლაში, ავტომოტოკლუბში, კურსებზე და სხვაგან სწავლის შემდეგ.

38. მოძრაობის წესებში გამოცდის დროს მიღებული დადებითი შეფასება ძალაში რჩება სამი თვის მანძილზე.

ის პირნი, რომლებსაც საპატიო მიზეზის გამო გამოცდები არ ჩაუბარებიათ უშუალოდ სწავლის დამთავრების შემდეგ, გამოცდებზე შეიძლება დაიშვან მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში სწავლების დამთავრების შესახებ მოწმობის მიღების მომენტიდან.

39. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოწმობა გაიცემა საგამოცდო კომისიის ოქმის საფუძველზე (დანართი № 10)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწმობის გაცემის დავთარში პირადი ხელმოწერით (დანართი № 11) პასპორტისა ან სხვა. პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით.

მძღოლის მოწმობის გაცემა მინდობილობით აკრძალულია.

სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოწმობის გაცემისას სწავლების დამთავრების შესახებ მოწმობებში წარმოებს ჩანაწერი, რომელმა სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციამ და როდის გასცა მოწმობა, მოწმობის სერია და ნომერი, ამის შემდეგ მოწმობა მფლობელს უბრუნდება.

მძღოლის მოწმობასთან ერთად გაიცემა ტალონები, ტალონის სერია და ნომერი აღინიშნება მძღოლის პირად ბარათში და მოწმობის გრაფაში (განსაკუთრებული აღნიშვნები).

სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობას უტალონოდ ძალა არა აქვს.

40. სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციას ახალი მოწმობა აღნიშვნით „დუბლიკატი" შეუძლია გასცეს მძღოლის პირადი ბარათის საფუძველზე მას შემდეგ, რაც იგი ჩააბარებს გამოცდებს მოძრაობის წესებში და ავტომოტოტრანსპორტის მართვაში.

იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივ სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციაში არა აქვთ მძღოლის პირადი ბარათი, ოფიციალური დოკუმენტებით კი დასტურდება, რომ მას მძღოლად უმუშავია, შეიძლება მიეცეს დროებითი ტალონი, სამ თვემდე ვადით მას შემდე, რაც იგი ჩააბარებს გამოცდებს მოძრაობის წესებში და ავტომობილის (მოტოციკლის, ტრამვაის, ტროლეიბუსის) მართვაში. ამ ვადის განმავლობაში სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია, რომელმაც დროებითი ტალონი გასცა, ვალდებულია გამოითხოვოს მძღოლის პირადი ბარათი იმ სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციიდან, რომელმაც მოწმობა გასცა.

მოწმობის დართული ტალონის დაკარგვის შემთხვევაში ახალი ტალონი გაიცემა მოძრაობის წესების ცოდნის შემოწმების შემდეგ.

დაკარგულის ნაცვლად ახალი მოწმობა და დართული ტალონი გაიცემა მხოლოდ მუდმივი გაწერის ადგილას, ხოლო სამხედრო მოსამსახურეებისათვის — ნაწილის დისლოკაციის ადგილას.

41. სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებმაც დროებითი მძღოლის მოწმობა მიიღეს სამხედრო საკვალიფიკაციო კომისიებში, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების საკავშირო ნიმუშის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწმობა მიეცემათ მას შემდეგ, რაც გაივლიან სამედიცინო შემოწმებას და გამოცდებს ჩააბარებენ მოძრაობის წესებში და ავტომობილის (მოტოციკლის) მართვაში სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციაში მუდმივ საცხოვრებელ ადგილას.

42. სსრ კავშირში უცხოეთის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობათა თანამშრომლებს, უცხოეთის პრესის და უცხოეთის სხვა ორგანიზაციების მუდმივ წარმომადგენლებს (გაცვლის საფუძველზე), აგრეთვე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს თანამშრომლებს, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მუდმივ წარმომადგენლებს, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს თანამდებობრივ პირებს და მათი კატეგორიის მუდმივ წარმომადგენლობათა თანამშრომლებს (გარდა სსრ კავშირის მოქალაქეებისა), თუ მათ აქვთ შესაბამისი ეროვნული ან საერთაშორისო მძღოლის მოწმობა, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობა მიეცემათ სამედიცინო შემოწმების გაუვლელად და დაწესებული გამოცდების ჩაუბარებლად.

თუ აღნიშნულ პირებს არა აქვთ ეროვნული ან საერთაშორისო მძღოლის მოწმობა, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობა მიეცემათ საერთო საფუძველზე.

ამ პუნქტში აღნიშნულ წარმომადგენლობათა და ორგანიზაციათა თანამშრომლებს, რომლებიც ქ. მოსკოვში იმყოფებიან, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობა მიეცემათ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური კორპუსის მომსახურების სამმართველოს მეშვეობით.

43. იმ პირებს, რომლებსაც ავტოტრანსპორტის მართვის უფლების უცხოური მოწმობა აქვთ, შესაბამისი საბჭოთა მოწმობა მიეცემათ მას შემდეგ, რაც ეს პირები გაივლიან სამედიცინო შემოწმებას, აგრეთვე შემოწმდება, იციან თუ არა სსრ კავშირის ქალაქების, დასახლებული პუნქტების ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესები და აქვთ თუ არა ავტომოტოტრანსპორტის მართვის ჩვევები.

44. მძღოლებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ პატიმრობა და სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად ჩამორთმეული არა აქვთ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება მათთვის ადრე მინიჭებული კვალიფიკაციის ავტომობილის მძღოლის მოწმობა შეიძლება მიეცეთ სასჯელის მოხდის ადგილას სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციაში პატიმრობის ადგილის ადმინისტრაციის შუამდგომლობით მას შემდეგ, რაც ისინი ჩააბარებენ გამოცდებს მოძრაობის წესებში და ავტომობილის მართვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

45. გამოცდებისათვის და ავტომოტოტრანსპორტისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მართვის უფლების მოწმობის გაცემისათვის დადგენილი წესით გადახდილ უნდა იქნეს გამოსაღები.

46. მძღოლის მოწმობისა და დართული ტალონების ბლანკები მკაცრი ანგარიშგების დოკუმენტებია და ეს ბლანკები უნდა შეიმუშაოს რუსეთის სფსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროებთან შეთანხმებით. აღნიშნული ბლანკები მზადდება სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ნიშნების დამამზადებელ ფაბრიკებში მოკავშირე რესპუბლიკათა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროთა განაცხადებით.

ავტოსკოლებისა და იმ სხვა სასწავლებლების დამთავრების შესახებ მოწმობები, რომლებიც ავტომობილის მძღოლებს (პროფესიონალებს) და ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლებს ამზადებენ, მკაცრი ანგარიშგების დოკუმენტებია, აქვთ სასტამბო რიგითი ნომერი და მზადდება იმ სამინისტროების, უწყებებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოების მიერ, რომლებსაც ეს სასწავლებლები ექვემდებარებიან.

დ ა ნ ა რ თ ი № 1
დებულებისა ავტომოტოტრანსპორტის
და საქალაქო ელექტროტრანსპორტის
მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების
წესის შესახებ

საკვალიფიკაციო დახასიათება

I. პ რ ო ფ ე ს ი ა — ავტომობილის მძღოლი

კ ვ ა ლ ი ფ ი კ ა ც ი ა — მესამე (3) კლასი

მესამე კლასის ავტომობილის მძღოლმა უნდა ი ც ო დ ე ს:

ავტომობილების აგრეგატების, მექანიზმებისა და ხელსაწყოების დანიშნულება, მოქმედების პრინციპი და მოწყობილობა;

სსრ კავშირის ქალაქების, დასახლებული პუნქტების ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესები;

ავტომობილის ექსპლუატაციის პროცესში წარმოშობილი ძირითადი უწესივრობის ნიშნები და მიზეზები, მათი აღმოფხვრის საშუალებანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითადი სამუშაოები და მათი შესრულების წესები ავტომობილის ტექნიკური მომსახურების დროს;

ავტომობილის ექსპლუატაციის წესები, მისი მუშაობის ძირითადი მაჩვენებლები;

ავტომობილების შენახვის წესები გარაჟებში და ღია ადგილას წლის სხვადასხვა დროს;

სათბობის, საცხები და სხვა საექსპლუატაციო მასალების დაზოგვის ღონისძიებანი;

ტვირთის დატვირთვის, გადაზიდვისა და გადმოტვირთვის ხერხები და წესები;

საწარმოო სანიტარიისა და ჰიგიენის, უსაფრთხოების ტექნიკის წესები, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი ტექნიკური მომსახურების, მართვის, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების, ავტომობილების შენახვისა და საექსპლუატაციო მასალების ხმარების დროს.

მესამე კლასის ავტომობილის მძღოლმა უნდა იცოდეს:

ავტომობილის (უმისაბმელო და მისაბმელიანი) მართვა გზისა და კლიმატის სხვადასხვა პირობებში; ავტომობილის ბუქსირზე აყვანა მოქნილი და ხისტი გადასაბმელით;

ავტომობილის ტექნიკური მომსახურების ჩატარების შესრულება, ზეინკალთა ხელმძღვანელობით, რომელიმე ერთ-ერთ შესასწავლ მოდელზე;

გზაში წარმოქმნილი საექსპლუატაციო უწესივრობის აღმოფხვრა, რომელიც ავტომობილის მექანიზმის დაშლას არ მოითხოვს;

სააკუმულატორო ბატარეების და ავტომობილის სალტეების სწორი ექსპლუატაცია;

მარტივი საზეინკლო სამუშაოების შესრულება;

სათბობის, საცხები და სხვა საექსპლუატაციო მასალების დაზოგვის ღონისძიებანი;

ავტომობილის მუშაობის აღრიცხვის პირველადი დოკუმენტების შევსება;

ახალი ან კაპიტალურად შეკეთებული ავტომობილის გამოსახმარისება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების მოწყობა დატვირთვის დოკუმენტების გაფორმება.

II. პ რ ო ფ ე ს ი ა — ავტომობილის მძღოლი

კ ვ ა ლ ი ფ ი კ ა ც ი ა — მეორე (2) კლასი

მეორე კლასის ავტომობილის მძღოლმა, იმ ჩვევებისა და ცოდნის გარდა, რომლებსაც მესამე კლასის ავტომობილის მძღოლის საკვალიფიკაციო დახასიათება ითვალისწინებს, უნდა ი ც ო დ ე ს:

სამამულო წარმოების ყველაზე გავრცელებული ავტომობილების, მათ შორის დიზელისა და გაზობალონიანი ავტომობილების აგებულება, მუშაობა და ტექნიკური მოწყობილობის წესები;

ძირითადი მიზეზები, რომლებიც ავტომობილის დეტალების ნაადრევ ცვეთას იწვევენ;

ტექნიკური მომსახურების სამუშაოთა მოცულობა, პერიოდულობა და შესრულების ხერხები, აგრეთვე ავტომობილებისა და აგრეგატების რემონტიდან რემონტამდე მუშაობის ნორმები;

მარტივი კონსტრუქციის იმ ძირითადი საგარაჟო მოწყობილობის სარგებლობის წესები, რომლებსაც ტექნიკური მომსახურებისა და ავტომობილის მიმდინარე რემონტის დროს იყენებენ;

საექსპლუატაციო მასალების ძირითადი ხარისხები, მათი თვისებები, შენახვის, ტრანსპორტირების წესები და გამოყენების პირობები, საექსპლუატაციო მასალების ხარჯვის ნორმები და მათი დაზოგვის ღონისძიებანი;

ავტომობილის სალტეების გარბენის გადიდებისა და სააკუმულატორო ბატარეების გამოსადეგობის ვადის გადიდების ღონისძიებანი;

მოწინავე მძღოლების მუშაობის მეთოდები ავტომობილების მწარმოებლობის გასადიდებლად;

უავარიო მუშაობის მეთოდები, საზოგადოებრიობის მონაწილეობის ფორმები საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა თავიდან აცილებაში.

მეორე კლასის ავტომობილის მძღოლმა უნდა ი ც ო დ ე ს:

ყველა ტიპისა და მარკის ავტომობილის მართვა;

ავტომობილებისა და ავტომატარებლების ეკონომიური მართვის მეთოდების გამოყენება;

ავტომობილების მექანიზმების, აგრეგატებისა და ხელსაწყოების საექსპლუატაციო უწესივრობათა განსაზღვრა და აღმოფხვრა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტომობილების ყველა სახეობის ტექნიკური მომსახურეობის შესრულება კვალიფიციურ ზეინკლებთან ერთად, აგრეთვე იმ სარეგულაციო სამუშაოების შესრულება, რომლებიც დაკავშირებულია ყველაზე გავრცელებული სამამულო მარკების ავტომობილების, მათ შორის დიზელისა და გაზობალონიანი ავტომობილების აგრეგატების, მექანიზმებისა და ხელსაწყოების დაშლასთან;

ავტომობილებისა და მისაბმელების ტექნიკური მომსახურების და მიმდინარე რემონტის სამუშაოთა ხარისხის შემოწმება;

ავტომობილისა და ავტომატარებლის ერთ ცვლაში მწარმოებლობის გამოანგარიშება.

III. პ რ ო ფ ე ს ი ა — ავტომობილის მძღოლი

კ ვ ა ლ ი ფ ი კ ა ც ი ა — პირველი (1) კლასი

პირველი კლასის ავტომობილის მძღოლმა, გარდა ჩვევებისა და ცოდნისა, რომლებიც გათვალისწინებულია მესამე და მეორე კლასის ავტომობილის მძღოლის საკვალიფიკაციო დახასიათებაში, უნდა ი ც ო დ ე ს:

ძირითადი მონაცემები იმ მასალებზე, რომლებსაც ავტომობილების ძირითადი დეტალების დამზადებისა და რემონტისათვის იყენებენ;

სამუშაოთა მოცულობა, შესრულების წესები და იმ სამუშაოთა ტექნიკური პირობები, რომლებიც ავტომობილების მიმდინარე რემონტის დროს სრულდება.

ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის მოწყობის პრინციპები;

ავტომობილებისა და აგრეგატების სარემონტოდ ჩაბარების ტექნიკური პირობები და კაპიტალური რემონტიდან ავტომობილებისა და აგრეგატების მიღება;

მოძრავი შემადგენლობის ექსპლუატაციის საფუძვლები: საწარმო სანიტარიის, უსაფრთხოების ტექნიკის წესები და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი ავტომეურნეობებში და ავტომობილში.

პირველი კლასის ავტომობილის მძღოლმა უნდა ი ც ო დ ე ს:

ძირითადი სარეგულაციო სამუშაოების წარმოება და იმ სამუშაოების წარმოებაც, რომლებიც აგრეგატებისა და მექანიზმების ავტომობილიდან მოხსნას და დაშლას მოითხოვენ, მათ შორის ელექტრომოწყობილობის ხელსაწყოებისა და კარბურატორული და დიზელის ძრავიანი ავტომობილების კვების სისტემის მოხსნა და დაშლა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტომობილების რემონტის სამუშაოთა წარმოება იმ მოცულობით, რომელიც მეორე თანრიგის ზეინკალ-მემონტაჟის კვალიფიკაციას შეესაბამება, ავტოტრანსპორტის საწარმოს სატარიფო-საკვალიფიკაციო მოქმედი ცნობარის თანახმად.

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ № 2
დებულებისა ავტომოტოტრანსპორტის
და საქალაქო ელექტროტრანსპორტის
მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების
წესის შესახებ

სახაზო ავტობუსზე სტაჟის გავლის

ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ

მძღოლი _____

(სახელი, მამის სახელი, გვარი)

_____

(ავტომეურნეობის, საწარმოს დასახელება)

1. იმუშავა გადასარბენზე _____ დღე

   გარაჟის უფროსი _____ (ხელმოწერა)

2. იმუშავა ხაზზე _____ საათი

   ავტოკოლონის უფროსი _____ (ხელმოწერა)

   ავტომობილის ხელმძღვანელი მძღოლი _____ (ხელმოწერა)

3. შეისწავლა მარშრუტები _____

   საექსპლუატაციო განყოფილების უფროსი _____

   (ხელმოწერა)

დაიშვას

სახაზო ავტობუსზე დამოუკიდებლად სამუშაოდ

მთავარი ინჟინერი (ხელმოწერა)

19 წ. „_____“ _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДАНАРТИ № 3
დებულებისა ავტომოტორანსპორტის
და საქალაქო ელექტროტრანსპორტის
მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების
წესის შესახებ

საკვალიფიკაციო დახასიათება

I. პროფესია — ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლი

კვალიფიკაცია — მესამე (3) კლასი

მესამე კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლმა უნდა იცოდეს:

ტრამვაის (ტროლეიბუსის) ვაგონების მექანიკური, პნევმატური და ელექტრომოწყობილობის აგებულება, მოქმედების პრინციპი და შესაძლო უწესივრობანი მესამე კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლის მომზადების კურსის მოცულობით;

ტრამვაის (ტროლეიბუსის) ტექნიკური ექსპლუატაციის წესები;

სსრ კავშირის ქალაქების, დასახლებული პუნქტების ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესები;

თანამდებობრივი ინსტრუქცია;

ტრამვაით (ტროლეიბუსით) სარგებლობის წესები და ყველა არსებული ფორმის სამგზავრო ბილეთები;

უსაფრთხობის ტექნიკის წესები;

ელექტროენერგიის დაზოგვის ინსტრუქცია;

მოძრავი შემადგენლობის მართვის თავისებურებანი შემოდგომა-ზამთრის პირობებში;

მგზავრების მომსახურების წესი უკონდუქტოროდ მუშაობის დროს;

გზის პროფილი, მარშრუტების მიმართულებისა და გადაკვეთის გზა; მატარებლის დოკუმენტაციის გაფორმების წესი;

მოძრავი შემადგენლობის შემოწმებისა და რემონტების პერიოდულობა.

მესამე კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლმა უნდა იცოდეს:

ყველა ტიპის ტრამვაის ვაგონებისა და ტროლეიბუსების მართვა, რომლებსაც ექსპლუატაციას უწევენ მოცემულ მეურნეობაში, გარდა შენაწევრებული ტრამვაიებისა (ტროლეიბუსებისა) მრავალი ერთეულის სისტემით მომუშავე ტრამვაიებისა და მისაბმელით მომუშავე ტროლეიბუსებისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძრავი შემადგენლობის მოწყობილობის მოვლა, მართვის ყველა ხელსაწყოს სწორად გამოყენება;

დაზიანების სწრაფად მონახვა და მისი აღმოფხვრის ღონისძიებათა სასწრაფოდ განხორციელება;

ვაგონის სამუშაოდ მიღება დეპოში და ხაზზე;

მუხრუჭებისა და სხვა მოწყობილობის მოქმედების შემოწმება;

შემადგენლობის წაყვანა განრიგების მიხედვით და მოძრაობის უსაფრთხობის წესების შესრულება დეპოში და ხაზზე, განსაკუთრებით არახელსაყრელ პირობებში (გაუნათებელი ქუჩები, ნისლი, კოკისპირული წვიმა, ქარბუქი, თოვლი, ფოთოლცვენა, მოყინულობა და სხვ);

ტრამვაის ხაზისა და საკონტაქტო ქსელის სპეციალური ნაწილების მონაკვეთების სწორად გავლა;

ბუქსირების წარმოება და ბუქსირიანი მატარებლის მართვა;

რადიოდანადგარით სარგებლობა უკონდუქტოროდ მგზავრების მომსახურების დროს;

ელექტროენერგიის დაზოგვა;

მოძრავი შემადგენლობის მოწყობილობის კარგად მოვლა და მარტივი უწესივრობის აღმოფხვრა;

II. პ რ ო ფ ე ს ი ა — ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლი

კ ვ ა ლ ი ფ ი კ ა ც ი ა — მეორე (2) კლასი.

მეორე კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლმა, იმ ჩვეულებისა და ცოდნის დაუფლების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია მესამე კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლის საკვალიფიკაციო დახასიათებით, უნდა ი ც ო დ ე ს:

იმ უახლესი ტიპის მოძრავი შემადგენლობის მექანიკური, პნევმატური და ელექტრომოწყობილობის აგებულება, მოქმედების პრინციპი და შესაძლო უწესივრობანი, რომლებსაც ექსპლუატაციას უწევენ მოცემულ მეურნეობაში. აგრეთვე შენაწევრებული ტრამვაიებისა (ტროლეიბუსებისა), მოძრავი შემადგენლობისა, რომლებიც მრავალი ერთეული სისტემით მუშაობენ, და მისაბმელიანი ტროლეიბუსებისა;

მოძრავი შემადგენლობის ექსპლუატაციის წესები მოძრაობის მძიმე პირობების მქონე მარშრუტებზე;

საკონტროლო შემოწმების ტექნოლოგია № 0;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალური მოწყობილობა, სამონტაჟო სამარჯვები, საკონტროლო ხელსაწყოები და ინსტრუმენტები, რომელსაც იყენებენ № 0 საკონტროლო შემოწმების დროს;

მოძრავი შემადგენლობის მოწყობილობის ელემენტების მონტაჟისა და დემონტაჟის წესები და ამისათვის გამოსაყენებელი ინსტრუმენტები;

მოსწავლე მძღოლების სტაჟის გავლის მიღება და მეთოდები;

უავარიო მუშაობის მეთოდები, საზოგადოებრიობის მონაწილეობის ფორმები საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა თავიდან აცილებაში;

მეორე კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლმა უნდა ი ც ო დ ე ს:

იმ უახლესი ტიპის მოძრავ შემადგენლობათა მართვა, რომლებსაც ექსპლუატაციას უწევენ მოცემულ მეურნეობაში, აგრეთვე შენაწევრებული ტრამვაიებისა (ტროლეიბუსებისა), მოძრავი შემადგენლობისა, რომელიც მრავალი ერთეულის სისტემით მუშაობს, და მისაბმელიანი ტროლეიბუსებისა;

მოძრავი შემადგენლობის მართვა მოძრაობის მძიმე პირობების მქონე მონაკვეთებზე;

იმ მოძრავი შემადგენლობის სამუხრუჭე სისტემის რეგულირება, რომელსაც ექსპლუატაციას უწევენ მოცემულ მეურნეობაში;

იმ მოწყობილობით, სპეციალური სამარჯვებით, საკონტროლო ხელსაწყოებითა და ინსტრუმენტებით სარგებლობა, რომლებსაც იყენებენ № 0 საკონტროლო შემოწმების დროს, და უწესივრობათა აღმოფხვრა შეკვეთებით.

III. პ რ ო ფ ე ს ი ა — ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლი;

კ ვ ა ლ ი ფ ი კ ა ც ი ა — პირველი (1) კლასი.

პირველი კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლმა, იმ ჩვევებისა და ცოდნის დაუფლების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია მესამე და მეორე კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლების საკვალიფიკაციო დახასიათებით, უნდა ი ც ო დ ე ს:

ტრამვაის (ტროლეიბუსის) მოძრავი შემადგენლობის ყველა სახეობის მოწყობილობის რეგულირება;

პროფილაქტიკური რემონტის ტექნოლოგია № 1;

სპეციალური მოწყობილობა, სამონტაჟო სამარჯვები, საკონტროლო ხელსაწყოები და ინსტრუმენტები, რომლებსაც № 1 პროფილაქტიკური რემონტის დროს იყენებენ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრამვაის (ტროლეიბუსის) მოძრავი შემადგენლობის მოწყობილობის ცალკეული დეტალების ცვეთის ხასიათი, მიზეზები და ნომრები;

პირველი კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლმა უნდა იცოდეს:

ტრამვაის (ტროლეიბუსის) მოძრავი შემადგენლობის ყველა სახეობის მოწყობილობის რეგულირება;

იმ მოწყობილობით, სპეციალური სამარჯვებით, საკონტროლო ხელსაწყოებითა და ინსტრუმენტებით სარგებლობა, რომლებსაც № 1 პროფილაქტიკური რემონტის დროს იყენებენ;

ტრამვაის (ტროლეიბუსის) მოძრავი შემადგენლობის გამოსახმარისება რემონტის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ № 4
დებულებისა ავტომოტორანსპორტის და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების წესის შესახებ

სამინისტროს, უწყების დასახელება, რომელსაც სასწავლებელი ექვემდებარება

_____

(სასწავლებლის დასახელება)

ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐ №———

მოწმობა ეძლევა მოქ. _____

_____

(სახელი, მამის სახელი, გვარი)

რომ იგი სწავლობდა 19 წ. „——“ ———— დან 19 წ. „——“ ———— მდე მესამე კლასის ავტომობილის მძღოლის პროგრამით და გამოსაშვებ გამოცდებზე 19 წ. „——“ ———— № ——— ოქმის თანახმად მიიღო შემდეგი შეფასებანი:

ავტომობილი (მოწყობილობა, ტექნიკური მომსახურება), მოძრავი შემადგენლობის ექსპლუატაციის საფუძვლები ————

————————

სსრ კავშირის ქალაქების, დასახლებული პუნქტების ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესები ————————

ავტომობილის მართვა ————————

დირექტორი

ბ. ა. **სასწავლო ნაწილის გამგე**

სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციამ მიანიჭა მესამე (3) კლასის ავტომობილის მძღოლის კვალიფიკაცია და მიეცა მოწმობა № ——— 19 წ. „——“ ———— თარიღით.

ბ. ა.

(ხელმოწერა)

ავტომობილის მართვის უფლების დოკუმენტად არ გამოდგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДАНАРТИ № 3
დებულებისა ავტომოტორანსპორტის
და საქალაქო ელექტროტრანსპორტის
მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების
წესის შესახებ

სამინისტროს, უწყების დასახელება, რომელსაც სასწავლებელი ექვემდებარება

_____

(სასწავლებლის დასახელება)

მ ო წ მ ო ბ ა № ——

მოწმობა ეძლევა მოქ. _____

_____

(სახელი, მამის სახელი, გვარი)

რომ იგი სწავლობდა 19 წ. „——“ ———— დან 19 წ. „——“ ———— მდე მესამე კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლის მომზადების პროგრამით და გამოსაშვებ გამოცდებზე 19 წ. „——“ ———— № ———— ოქმის თანახმად გამოავლინა შემდეგი ცოდნა:

ტრამვაის (ტროლეიბუსის) მოწყობილობა ————

ტექნიკური ექსპლუატაციის წესები ————

სსრ კავშირის ქალაქების, დასახლებული პუნქტების ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესები ————

ტრამვაის (ტროლეიბუსის) პრაქტიკულად მართვა ————

————

დირექტორი

ბ. ა. **სასწავლო ნაწილის გამგე**

სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციამ მიანიჭა მესამე კლასის ტრამვაის (ტროლეიბუსის) მძღოლის კვალიფიკაცია და 19 წ. „——“ ———— მიეცა მოწმობა № ————

ბ. ა.

(ხელმოწერა)

ტრამვაის (ტროლეიბუსის) მართვის უფლების დოკუმენტად არ გამოდგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДАНАРТИ № 6
დებულებისა ავტომოტორანსპორტის
და საქალაქო ელექტროტრანსპორტის
მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების
წესის შესახებ

სამინისტროს, უწყების დასახელება. რომელსაც სასწავლებელი ექვემდებარება

_____

(სასწავლებლის დასახელება)

მ ო წ მ ო ბ ა № ———

მოწმობა ეძლევა მოქ. _____

_____

(სახელი, მამის სახელი, გვარი)

რომ იგი სწავლობდა 19 წ. „———" _____ დან 19 წ. „———" _____ მდე მომზადების პროგრამით და გამოსაშვებ გამოცდებზე 19 წ. „———" _____ № _____ ოქმის თანახმად მიიღო შემდეგი შეფასებანი:

ავტომობილი, მოტოციკლი, მოპედი (მოწყობილობა, ტექნიკური მომსახურება) _____

სსრ კავშირის ქალაქების, დასახლებული პუნქტების ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესები _____

ავტომობილის, მოტოციკლის, მოპედის მართვა _____

_____

ბ. ა. **დირექტორი**

სასწავლო ნაწილის გამგე

სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციამ მიანიჭა _____ _____ კვალიფიკაცია და მიეცა _____ სერიის „———" № ——— მოწმობა

ბ. ა.

(ხელმოწერა)

_____ მართვის უფლების დოკუმენტად არ გამოდგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДАНАРТИ № 7
დებულებისა ავტომოტორანსპორტის
და საქალაქო ელექტროტრანსპორტის
მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების
წესის შესახებ

სამინისტროს, უწყების დასახელება, რომელსაც სასწავლებელი ექვემდებარება

_____

(სასწავლებლის დასახელება)

მოწმობა № _____

მოწმობა ეძლევა მოქ. _____

_____

(სახელი, მამის სახელი, გვარი)

რომ მან დაამთავრა სწავლა და ჩააბარა გამოცდები _____
_____ კლასის მომზადების პროგრამით _____

(სასწავლებლის დასახელება)

_____ ში. და მიიღო შემდეგი შეფასებანი:

ავტომობილი, ტრამვაი, ტროლეიბუსი (მოწყობილობა, ტექნიკური მომსახურება და რემონტი), მოძრავი შემადგენლობის ექსპლუატაციის საფუძვლები.

_____

სსრ კავშირის ქალაქების, დასახლებული პუნქტების ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესები _____

ბ. ა. **დირექტორი**
სასწავლო ნაწილის გამგე

ქალაქ _____ 19 წ. „_____“ _____

ავტომობილის მართვის უფლების დოკუმენტად არ გამოდგება.

_____

(ორგანიზაციის დასახელება)

19 წ. „_____“ _____ № _____ ბრძანებით
მოქ. _____

(სახელი, მამის სახელი, გვარი)

მიენიჭა _____ კვალიფიკაცია

საწარმოს ხელმძღვანელი _____
ბ. ა. **მთავარი ინჟინერი** _____

19 წ. „_____“ _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДАНАРТИ № 8
დებულებისა ავტომოტორანსპორტის
და საქალაქო ელექტროტრანსპორტის
მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების
წესის შესახებ

ცნობა

მიეცა მოსწავლეს _____
(სახელი, მამის სახელი, გვარი)

რომ მან გაიარა საწარმოო სწავლება _____

_____ ში,

_____
(სკოლის დასახელება)

ჩააბარა შესამოწმებელი გამოცდები მესამე კლასის ავტომობილის მძღოლის მომზადების პროგრამით და მიიღო შემდეგი შეფასებანი:

1. ავტომობილის მოწყობილობა _____
2. სსრ კავშირის ქალაქების, დასახლებული პუნქტების ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესები _____
3. ავტომობილის მართვა _____

მოსწავლე _____
(სახელი, მამის სახელი, გვარი)

შეიძლება დაიშვას სტაჟიორად სამუშაოდ.

ბ. ა. **საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე**

სკოლის დირექტორი

ქალაქი _____ 19 წ. „_____“ _____

მოსწავლე _____ მუშაობდა სტაჟიორად

19 წ. „_____“ _____ დან 19 წ. „_____“ _____ მდე

მოძრაობის წესები არ დაურღვევია
სტაჟის გავლის შეფასება _____

საწარმოს ხელმძღვანელი

სკოლის დირექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДАНАРТИ № 9
დებულებისა ავტომოტორანსპორტის
და საქალაქო ელექტროტრანსპორტის
მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების
წესის შესახებ

მძღოლის პირადი გარათი

_____
(სახელი, მამის სახელი, გვარი)

დაბადების ადგილი _____
(ოლქი, რაიონი ქალაქი, სოფელი)

დაბადების წელი _____ განათლება _____

მისამართი _____

პასპორტი სერია _____ № _____ გაცემულია _____
(ვის მიერ და როდის)

მძღოლის პირადი ხელმოწერა _____

დაამთავრა _____
(ავტოსკოლისა ან სხვა სასწავლებლის დასახელება)

მოწმობა № _____ გაცემულია 19 წ. „____“ _____

_____
(სასწავლებლის ხელმძღვანელის ხელმოწერა)

სასწავლებლის
ბ. ა.

პირადი გარათი შეავსო სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციამ _____

_____ ხელმოწერა

ავტომობილის მძღოლი	ავტომობილის მოყვარული მძღოლი	მოტოციკლის მძღოლი	მოტოფეტლის მძღოლი	მოპედის მძღოლი	ტრამვაის მძღოლი	ტროლეიბუსის მძღოლი

მე-2 გვერდი (შიდა მხარე)

ცნობა № _____

მოქ. _____

(სახელი, მამის სახელი, გვარი)

გაიარა სამედიცინო შემოწმება 19 წ. „____“ _____

_____ ში,

(დაწესებულების დასახელება)

ექიმების დასკვნა

ფოტო სურათის ადგილი

ქირურგი _____

თერაპევტი _____

ნევროპათოლოგი _____

ყელ-ყურის ექიმი _____

ოკულისტი _____

სამედიცინო დაწ. ბეჭედი

შეუძლია მართოს: ავტომობილები ტონაჟის მიუხედავად, მსუბუქი ავტომობილები, მოტოციკლები, ტროლეიბუსები, ტრამვაი (რაც საჭირო არ არის, წაიშალოს).

სამედიცინო კომისიის თავმჯდომარე _____

მდივანი _____

სამედიცინო დაწესებულების
ბ. ა.

№ 9 დანართის გაგრძელება

სახელმწიფო გამოსაღები
გამოცდებისათვის

ქვითრის სერია და №	გადახდის ადგილი და თარიღი	სახელმწიფო ავტოინსპექციის ხელმოწერა

განსაკუთრებული აღნიშვნები

_____

_____

_____

_____

_____

მე-3 გვერდი (შიდა მხარე)

№ 9 დანართის გაგრძელება

გამოცდების შედეგები

(ჩააბარა თუ არა)

პროგრამის ნაწილი	გამოცდის თარიღი	ბილეთის თითოეულ კითხვაზე										მთელ ბილეთში	საგამოც. კომისიის წევრების ხელმოწერა
მოძრაობის წესები													
ავტომობილის (მოტოციკლის) მართვა													

გაიცა მოწმოგები

მოწმობის სახეობა	სერია	მოწმობის №	ტალონის №	გაცემის თარიღი	ოქმის №	ოქმის თარიღი	საქმისა და გვერდის №, სადაც ინახება დოკუმენტები	საგამოც. კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე-4 გვერდი (შიდა მხარე) № 9 დანართის გაგრძელება

დარღვევებისა და სასჯელის აღრიცხვა

დარღვევის თარიღი	დარღვევის მოკლე დახასიათება	სასჯელის დადების თარიღი	სასჯელის ზომა

დ ა ნ ა რ თ ი № 10
დებულებისა ავტომოტოტრანსპორტის
და საქალაქო ელექტროტრანსპორტის
მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების
წესის შესახებ

ო ქ მ ი № _____

_____ **სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის საგამოცდო კომისიისა**

19 წ. „_____“ _____

კომისიის შემადგენლობა: თავმჯდომარე _____ წევრები: _____

რიგ. №	სახელი, მამის სახელი, გვარი	რომელი მოწმობის მისაღებად აბარებს გამოცდას	სასწავლებელი, რომელშიც გამოსაცდელი სწავლობდა	გამოცდების შედეგები			
				მოძრაობის წესებში		მმართვის ჩვევებში	
				პირველად თუ მეორედ	ჩააბარა, არ ჩააბარა	პირველად თუ მეორედ	ჩააბარა, არ ჩააბარა

თავმჯდომარე _____ წევრები: _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 11
დებულებისა ავტომოტორანსპორტის
და საქალაქო ელექტროტრანსპორტის
მძღოლის კვალიფიკაციის მინიჭების
წესის შესახებ

მოწმობების გაცემის

დავთარი

რიგ. №	სახელი, მამის სახელი, გვარი	დაბადების წელი	გაცემის თარიღი	მოწმობის სერია და №	ტალონის სერია და №	ხელმოწერა მიღების შესახებ

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა საღრიცხვო ბარათი

I. ბარათი № _____ № _____ წელი _____ თვე _____ რიცხვი _____ საათი _____ წუთი
(ბრძოლ. საქმ. ან რაიონული კოდ.) (სულ. საფუძ. ინდ.) (ნაირი, ფასიანი, ბუნებრ. ქვეშ, საფუძ. ან, ერთ. კოლოსტერეული)

(საკრანსპორტო საშუალების მარკა, ბიდელი, სანომარი ნიშანი) (რიგით ეწყვის ეკუთვნის, ბეკრნების ეანაცვლები) (ბრალის ხარეი, ზარის ხარეი, ეკონ)

1 ☐	ფიზიკური ბრალი ფირი
	ზარ ზარის
2 ☐	ადგილი ბრალი ეკონომიური
3 ☐	ადგილი ბრალი ეკონომიური
4 ☐	...ბა
5 ☐	...ბა ადგილი
6 ☐	...ბა
7 ☐	...ბა ...ბა
8 ☐	...ბა
9 ☐	...ბა
10 ☐	...ბა ...ბა
11 ☐	...ბა
12 ☐☐	...ბა ...ბა
13 ☐	...ბა

II. შემთხვევის ადგილი

1☐	...ბა ...ბა ...ბა ...ბა
2☐	...ბა ...ბა ...ბა
3☐	...ბა ...ბა ...ბა
4☐	...ბა ...ბა ...ბა
5☐	...ბა ...ბა ...ბა
6☐	...ბა ...ბა
7☐	...ბა ...ბა ...ბა
8☐	...ბა ...ბა
9☐	...ბა ...ბა

ზარ ზარის 1–9 პუნქტებიდან

1☐	...ბა ...ბა ...ბა
2☐	...ბა ...ბა ...ბა
3☐	...ბა ...ბა ...ბა
4☐	...ბა ...ბა ...ბა
5☐	...ბა ...ბა ...ბა
6☐	...ბა ...ბა ...ბა
7☐	...ბა ...ბა ...ბა
8☐	...ბა ...ბა ...ბა
9☐	...ბა ...ბა ...ბა
10☐	...ბა ...ბა ...ბა
11☐	...ბა ...ბა ...ბა

IV. ...ბა

1☐	...ბა
2☐	...ბა
3☐	...ბა ...ბა
4☐	...ბა
5☐	...ბა
6☐	...ბა

V. ...ბა ...ბა

1☐	...ბა
2☐	...ბა
3☐	...ბა
4☐	...ბა

VI. ...ბა

1☐	...ბა ...ბა	4☐	...ბა
2☐	...ბა ...ბა	5☐	...ბა
3☐	...ბა	☐	

VII. ...ბა ...ბა ...ბა

1☐	...ბა
2☐	...ბა
3☐	...ბა ...ბა
4☐	...ბა
5☐	...ბა ...ბა
6☐	...ბა ...ბა
7☐	...ბა ...ბა ...ბა

VIII. ...ბა

1☐	...ბა
2☐	...ბა
3☐	...ბა
4☐	...ბა
5☐	...ბა
6☐	...ბა
7☐	...ბა
8☐	...ბა ...ბა ...ბა ...ბა

X. ...ბა ...ბა ...ბა

		...ბა	...ბა
1☐	...ბა ...ბა		
2☐	...ბა ...ბა		
3☐	...ბა		
4☐	...ბა		
5☐	...ბა ...ბა ...ბა		
6☐	...ბა ...ბა ...ბა		
7☐	...ბა ...ბა ...ბა		
8☐	...ბა ...ბა ...ბა		
9☐	...ბა ...ბა ...ბა		
10☐	...ბა ...ბა ...ბა		
11☐	...ბა ...ბა ...ბა		

IX. ...ბა ...ბა ...ბა

1☐☐	1 ...ბა	5☐☐	...ბა ...ბა								
2☐☐	...ბა-2 ...ბა	6☐☐	...ბა ...ბა	1☐☐	1 ...ბა	1☐☐	25 ...ბა	1☐☐	1-7 ...ბა		
3☐☐	...ბა-3 ...ბა	7☐☐	...ბა ...ბა	2☐☐	3 ...ბა	2☐☐	25-60 ...ბა	2☐☐	7-12 ...ბა		
4☐☐	...ბა	8☐☐	...ბა, ...ბა ...ბა ...ბა ...ბა	3☐☐	3 ...ბა ...ბა	3☐☐	60 ...ბა ...ბა	3☐☐	12 ...ბა ...ბა		

III								XI										
	...ბა ...ბა ...ბა	...ბა ...ბა ...ბა	...ბა ...ბა ...ბა	...ბა ...ბა ...ბა ...ბა	...ბა ...ბა ...ბა	...ბა ...ბა	...ბა ...ბა		...ბა	...ბა ...ბა	...ბა ...ბა ...ბა	...ბა	...ბა	...ბა	...ბა	...ბა	...ბა	...ბა
	1☐	2☐	3☐	4☐	5☐	6☐	7☐		1☐☐	2☐☐	3☐☐	4☐☐	5☐☐	6☐☐	7☐☐	8☐☐	9☐☐	10☐☐

XII. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა მიზეზები და მათი წარმოშობის ხელშემწყობი ფაქტორები

მძღოლები

1□□	სიჩქარის გადაჭარბება
2□□	დისტანციის დაუცველობა
3□□	გზის მარცხენა მხარეს გადასვლა
4□□	ჩასვლიდან მოედანზე ან ეზოებიდან გადასვლა
5□□	ტროტუარზე გადასვლა
6□□	გასწორების წესების დარღვევა
7□□	მძღოლმა სიგნალი არ მისცა ან სწორად არ მისცა
8□□	რეგიონის ეფექტური გამოყენა
9□□	სავალ ნაწილზე გაჩერება გაფრთხილებლად
10□□	შემხვედრი ტრანსპორტის ფარებით თვალის მოჭრა
11□□	გაფლის რეგულირების დარღვევა
12□□	გაჩერება გზაჯვარედინიდან 20 მეტრზე ახლოს, ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელზე ან მასთან 5 მეტრზე ახლოს
13□□	დიდებულად გაფლა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებისადან
14□□	რეკონგზის გადასასვლელზე მოძრაობის წესების დარღვევა
15□□	არ დაფარბილი შეკნიშნის სიგნალებს
16□□	არ დაფარბილი ნიშნებსა და შაბვენებლებს
17□□	არ დაფარბილი დანიშნის ჩაბვა
18□□	სატვირთო ავტომობილებით ხიდის გადაკვეთის წესების დარღვევა
19□□	ტვირთის დატვირთვის, გადაზიდვის და დამაგრების წესების დარღვევა
20□□	ნასვამობის დრის ტრანსპორტის მართვა
21□□	თვალთმაქცობა
22□□	მოძრაობის სხვა წესების დარღვევა
23□□	ბინდი
24□□	საჭესთან ჩაძინება
25□□	ფიზიკური ნაკლი
26□□	ველოსიპედისტის მიერ მოძრაობის წესების დარღვევა
27□□	ბრიგადის მიერ მოძრაობის წესების დარღვევა

ქვეითად მოსიარულეები

1□	გადასვლა დაწესებულ ადგილს
2□	სავალ ნაწილის გასწვრივ სიარული, როცა არის ტროტუარი.
3□	ახლო მიმავალ ტრანსპორტის წინ გადასვლა
4□	ტრანსპორტიდან მოულოდნელი გამოსვლა
5□	სავალ ნაწილზე ბავშვების თამაში
6□	გადასვლა აკრძალული სიგნალის დროს
7□	ნასვამობა
8□	თვალთმაქცობა
9□	

მგზავრები

1□	მოძრავ ტრანსპორტში შასვლა ან გამოსვლა
2□	მგზავრობა საფეხურებზე და გამოშვეულ ნაწილებში
3□	ნასვამობა
4□	თვალთმაქცობა
5□	

სატრანსპორტო საშუალებანი

1□□	ეუსაფური მეხრეტები
2□□	ეუსაფური საჭესამართი
3□□	ეუსაფური სავალი ნაწილი
4□□	ეუსაფური, მოძრავეფექტიანი ფარები
5□□	ეუსაფური: სტოპ-სიგნალი, საგანგებო ფარები, მობილური ტელეფონი
6□□	ეკალი ხვეის სარის ეფექტური ფაქტორება ან ეკონომია
7□□	ეუსაფური ბანის სიფაფეი ან მისი ეკონომია
8□□	მრავალწინაფენიანი წინაფრის ეკონომია
9□□	შეზღუდული ხედვის ან მბრუნავსაფეხურ
10□□	სალტიანის გაფეთილი პრიტეპტორი.
11□□	გამსაფარი სალტე
12□□	ეუსაფური გადასაბმელი სამარაგი
13□□	

XIII. შემთხვევის აღწერა და ხელი

1□	მოლიანელი საფარი
2□	ღრანტეულიანი საფარი
3□	მორბილის ნაკეთეულიანი საფარი
4□	ამინდების მიზეზით ეუსაფარსაფარი საფარი
5□	მორეული მკერდ. რადიუსი
6□	ფიფა ფარბილობა
7□	გზის მირის ეკონომია, ირასაფარსი სიგნ. ან ცუდი მდგომარეობა
8□	სავალი ნაწილის ჩამორეცა ავტობუსის მიერ შეღრმავებული გაჩერების ეკონომიის გამო
9□	ავტომობილების ან გზის მირის შეეხარე სიგნალის მიერ სავალი ნაწილის შეფერეცვა
10□	ტროტუარების ეკონომია
11□	საჭირო ადგილებში მარეგულირებლისა და ბოძების ეკონომია
12□	სამეშოიანი წარმოების ადგილები შემოღობილი
13□	სავალი ნაწილი მოეწინწიანა
14□	საჭირო ადგილებში ნიშნების ეკონომია
15□	ცუდი ხილვადობა ხეებისაგან, ნარგაოთა და სხვა დამბაჯებულთა გამო
16□	ცუდი ხილვადობა შტრის გამო
17□	ნიშნების ცუდი ხილვადობა
18□	შეკნიშნის სიგნალების ცუდი ხილვადობა
19□	სავალი ნაწილის ცუდი ვარგისობა
20□	გაჩერებათა არასწორი განლაგება
21□	რეკონგზის გადასასვლელი არ შეესაბამება საჭირო მოთხოვნებს
22□	

ცნობები ავტომობილებში მიყენებული შესახებ

სახელ., ბრანდ. სახელ., ფერი	ინვენტარული	საერ. გაფრენა ბანერი	გადაფარეულობა სიჩქარის გამო

ბოლოდროინდელი ზომები

განსაკუთრებული აღნიშვნები

(დამნაშავეთა სატრანსპორტო საშუალებანი)

(მატერიალური ზარალი ბანეთობით)

ბარათი შეადგინა _____

მილიციის კაპიტანის უფროსი _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

111 თიანეთის საშუალო სკოლისათვის პოეტ მირზა გელოვანის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს თიანეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და თიანეთის საშუალო სკოლას მიენიჭოს პოეტ მირზა გელოვანის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ძიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 26 სექტემბერი, № 611.

112 „საქართველოს სსრ ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის დებულების“ და „საქართველოს სსრ სახელმწიფო ნაკრძალების დებულების“ დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 აგვისტოს № 536 დადგენილებით დამტკიცებულ „დებულებას საქართველოს სსრ ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის შესახებ“ პუნქტი 28ა და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„28ა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს მუშაკებს, სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობათა მუშაკებს (გარდა საანგარიშო და ტექნიკური პერსონალისა), ნადირობის სახელმწიფო ინსპექტორებს, ნადირობათმცოდნეებს ნება ეძლევათ ატარონ რევოლვერი, ხოლო ნადირობის სახელმწიფო ეგერებს — კარაბინი.

იარაღის გაცემა, ტარება, შენახვა და გამოყენება ხდება დადგენილი წესების შესაბამისად“.

2. დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 სექტემბრის № 611 დადგენილებით დამტკიცებულ „დებულებას საქართველოს სსრ სახელმწიფო ნაკრძალების შესახებ“ პუნქტი 12ა და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„12ა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს მუშაკებს და სახელმწიფო ნაკრძალების მუშაკებს (გარდა საანგარიშო და ტექნიკური პერსონალისა) ნება ეძლევათ ატარონ რევოლვერი, ხოლო ნაკრძალების მეთვალყურეებს — კარაბინი.

იარაღის გაცემა, ტარება, შენახვა და გამოყენება ხდება დადგენილი წესების შესაბამისად“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 30 სექტემბერი, № 618.

113 საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის სამშენებლო საიჯარო ორგანიზაციებისათვის ზედნადები ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნას სსრ კავშირის „ცენტროსოიუზის“ და ცეკავშირის წინადადება და ნება დაერთოს საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს გამოიყენონ 1964 წლის 1 იანვრიდან ზედნადები ხარჯების ზღვრული ნორმა 16,2 პროცენტის ოდენობით, მათ შორის ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებისა 6,5 %, იმ სამშენებლო სამუშაოებზე, რომლებსაც ასრულებენ საიჯარო წესით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 30 სექტემბერი, № 619.

ეროვნული ბიბლიოთეკა

114 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 5 აგვისტოს № 497 დადგენილების პირველი და მეორე პუნქტის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 5 აგვისტოს № 497 დადგენილების პირველი და მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ნება დაერთოს თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის, რუსთავის, გორის, ბათუმის, სოხუმის, ტყვარჩელის, ცხინვალის, სამტრედიის, ზესტაფონის, თელავის, ტყიბულის, წყალტუბოს, კასპის, ბორჯომის, ქობულეთის, ოჩამჩირისა და ზუგდიდის საქალაქო საბჭოების სახალხო განათლების განყოფილებებს, სადაც ჯერ ცენტრალიზებული ბუღალტერია არ არის შექმნილი, მასწავლებელთა ხელფასის გაცემა აწარმოონ უშუალოდ სკოლებში“.

„2. დაწესდეს, რომ ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სასოფლო დაწესებულებათა მუშაკების — მასწავლებლების, მედიცინისა და სხვა მუშაკთა ხელფასის გაცემა ხდება თვეში ერთხელ: 18 რიცხვიდან 22 რიცხვამდე (გარდა რაიცენტრებისა, სადაც ხელფასი იცემა თვეში ორჯერ).“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 3 ოქტომბერი. № 628.

115 სახელმწიფო საიჯარო სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებისა და ბურღვის კანტორებისათვის საკუთარი საბრუნავი სახსრების გამოყოფისა და ამასთან დაკავშირებით შემკვეთთა მიერ მათთვის ავანსების მიცემის შეწყვეტის შესახებ

საქართველოსსსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 7 აგვისტოს № 659 დადგენილება დაეგზავნოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს შესასრულებლად და სახელმძღვანელოდ.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ მშენებლობის და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს, რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო საიჯარო სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებს:

— განსაზღვრონ და შეათანხმონ შემკვეთებთან 1965 წლის საიჯარო ხელშეკრულებათა მიხედვით, მშენებლობებზე სამუშაოთა მოცულობის საფუძველზე, იმ ავანსების ოდენობა (პროცენტი), რომლებიც ფაქტიურად მიღებულია 1963 წლის 1 ოქტომბრისათვის საშენი მასალების, კონსტრუქციების, დეტალების დასამზადებლად და სხვა ხარჯებისათვის, და იმ სახსრების თანხები, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას შემკვეთებისაგან, გარდა კოლმეურნეობებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, და წარუდგინონ ეს მონაცემები საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ სახმშენს და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას.

— სახსრების მიღება და გადაცემა განახორციელონ 1965 წლის პირველ კვარტალში, მაგრამ არა უგვიანეს 1965 წლის 1 აპრილისა, იმ წესით, რასაც შეიმუშავებენ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის სახმშენი და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, ვაჭრობის სამინისტროს, კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკის სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები აქვთ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია საკუთარი საბრუნავი სახსრების მიცემა სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებისათვის დაწესებული ნორმატივების ფარგლებში და რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწყდეს ამასთან დაკავშირებით მათთვის ავანსების მიცემა შემკვეთების მიერ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 6 ოქტომბერი, № 632.

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 659

1964 წლის 7 აგვისტო

მოსკოვი, კრემლი

სახელმწიფო საიჯარო სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებისა და ბურღვის კანტორებისათვის საკუთარი საბრუნავი სახსრების გამოყოფისა და ამასთან დაკავშირებით შემკვეთთა მიერ მათთვის ავანსების მიცემის შეწყვეტის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ სახელმწიფო კომიტეტის, სამინისტროების, უწყებების, საწალხო მეურნეობის საბჭოების და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სახელმწიფო საიჯარო სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებს და ბურღვის კანტორებს მიეცემათ საკუთარი საბრუნავი სახსრები დაწესებული ნორმატივების ფარგლებში იმისათვის, რომ:

შეიქმნას ძირითადი მასალების, კონტრუქციებისა და დეტალების, მცირეფასოვანი და სწრაფცვეთადი საგნების, სათბობის, დამხმარე და სხვა მასალების მარაგი;

დაიფაროს დანახარჯები დაუმთავრებელ წარმოებაზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის, დამხმარე წარმოებებისათვის, რომლებიც არ არიან გამოყოფილი სამრეწველო ბალანსზე;

შეიქმნას სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგი დამხმარე სასოფლო მეურნეობაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწეულ იქნას ხარჯები მომავალი პერიოდებისათვის, განხორციელდეს ანგარიშსწორება დაწესებულ ვადებში და შეიქმნას ფულადი სახსრების ნაშთი.

2. დაწესდეს, რომ 1965 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო საიჯარო, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებს და ბურღვის კანტორებს გადაეცემათ საკუთარი საბრუნავი სახსრების გასადიდებლად, ნორმატივის შესაბამისი შეცვლით, შემკვეთთა ავანსები სამუშაოთა ყველა სახეობის მიხედვით, გარდა იმ მშენებლობისათვის მიღებული ავანსებისა, რომელიც ხორციელდება კოლმეურნეობების, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე.

სახელმწიფო საიჯარო, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებისა და ბურღვის კანტორებისათვის გადასაცემი სახსრების თანხა განისაზღვრება 1965 წლის საიჯარო ხელშეკრულებებით მშენებლობათა სამუშაოების მოცულობისა და იმ ავანსების ოდენობის (პროცენტის) საფუძველზე, რომლებიც ფაქტიურად მიღებულია 1963 წლის 1 ოქტომბრისათვის საშენი მასალების, კონსტრუქციების, დეტალების დასამზადებლად და სხვა ხარჯებისათვის.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც გადასაცემი სახსრების თანხა აღემატება იმ ავანსების ოდენობას, რაც ფაქტიურად მიიღეს სახელმწიფო საიჯარო სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებმა და ბურღვის კანტორებმა მათთვის ავანსების გადაცემამდე, დანაკლისი თანხები გადაერიცხებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს და კანტორებს კაპიტალურ დაბანდებათა იმ საერთო ასიგნობების ხარჯზე, რომლებიც გამოეყოთ მშენებლობებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს 1965 წლის გეგმით, ხოლო შესაბამის შემთხვევებში — მშენებლობის დაფინანსების სპეციალური წყაროების ან სხვა სახსრების ხარჯზე, რომლებიც განკუთვნილია იმ სამუშაოთა ასანაზღაურებლად, რომლებსაც ასრულებენ სახელმწიფო საიჯარო, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციები და ბურღვის კანტორები. ის სახსრები, რაც სახელმწიფო საიჯარო, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებმა და ბურღვის კანტორებმა მიიღეს ავანსების სახით იმ თანხების გადამეტებით, რაც მათთვის უნდა გადაეცათ ავანსების მიცემის შეწყვეტასთან დაკავშირებით, დაუბრუნდებათ შემკვეთებს.

3. იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო საიჯარო, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებს და ბურღვის კანტორებს მიეცათ საკუთარი საბრუნავი სახსრები ამ დადგენილების შესაბამისად, შეწყდეს, მათთვის ავანსების გადაცემის შემდეგ, მაგრამ არა უგვია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეს 1965 წლის 1 აპრილისა, შემკვეთთა ავანსების მიცემა ამ ორგანიზაციებისა და კანტორებისათვის და მათ მიერ კონსტრუქციებისა და დეტალების ღირებულების ანაზღაურება.

შენარჩუნებულ იქნას შემკვეთთა ავანსების მიცემის და მათ მიერ კონსტრუქციებისა და დეტალების ღირებულების ანაზღაურების მოქმედი წესი ისეთი მშენებლობისათვის, რომელსაც სახელმწიფო საიჯარო სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციები და ბურღვის კანტორები ახორციელებენ კოლმეურნეობებისა, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის.

4. დაევალოს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს აძლიოს სახელმწიფო საიჯარო, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებს და ბურღვის კანტორებს მოკლევადიანი კრედიტი საშენი მასალების, კონსტრუქციების, დეტალების, ბლოკების, საკაბელო პროდუქციის, სადენის, საწვავისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა დასამზადებლად ნორმატივის გადამეტებით, მომავალი პერიოდისათვის მათზე არსებული გეგმიანი მოთხოვნილების, სამუშაოთა მოცულობისა და სტრუქტურის, აღნიშნულ ფასეულობათა შემოტანისა და წარმოების გათვალისწინებით, აგრეთვე კრედიტი 60 დღის ვადით გეგმის შესრულების პროცესში წამოჭრილი დროებითი საჭიროებისათვის.

სახელმწიფო საიჯარო, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებს და ბურღვის კანტორებს, რომლებიც ასრულებენ დაგროვების დაწესებულ გეგმებს და ინარჩუნებენ საკუთარ საბრუნავ სახსრებს, კრედიტი დროებითი საჭიროებისათვის მიეცემათ 90 დღემდე ვადით.

5. დაევალოთ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმშენს და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს 1964 წლის 1 დეკემბრამდე დაამტკიცონ მითითებანი სახელმწიფო საიჯარო, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებისა და ბურღვის კანტორებისათვის იმ სახსრების გადაცემის წესის შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია ავანსების მისაცემად, აგრეთვე კონსტრუქციებისა და დეტალების ღირებულების ასანაზღაურებლად.

6. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განიხილონ და საჭიროების შემთხვევაში გადაწყვიტონ საკითხი, რომ მიეცეთ სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებს საკუთარი საბრუნავი სახსრები დაწესებული ნორმატივების ფარგლებში და ამასთან დაკავშირებით შეწყდეს მათთვის შემკვეთთა ავანსების მიცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახმშენთან და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკთან ერთად, წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა ნუსხა, რომლებიც ძალადაკარგულად ითვლებიან ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. უსტინოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **მ. სმირტიუკოვი.**

116 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის წინადადება და გარდაიქმნას ამ კომიტეტის შემდეგი განყოფილებები:

ქიმიის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის განყოფილება — სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის განყოფილებად;

მეტალურგიის, სამთო საქმისა და ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის განყოფილება — მეტალურგიის, სამთო საქმისა და ენერგეტიკის განყოფილებად;

მანქანათმშენებლობისა და ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის განყოფილება — მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის განყოფილებად;

კვებისა და მსუბუქი მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის განყოფილება — კვებისა და მსუბუქი მრეწველობის განყოფილებად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის განყოფილება — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განყოფილებად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 9 ოქტომბერი, № 637.

117 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების შენობათა გადასახადისა და იმ ნაკვეთების მიწის რენტისაგან განთავისუფლების შესახებ, რომლებიც ამ კოოპერატივების წევრებს მიცემული აქვთ მუდმივი სარგებლობისათვის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

„ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 10 აპრილის ბრძანებულების მე-2 მუხლის საფუძველზე, განთავისუფლებულ იქნან 1965 წლის 1 იანვრიდან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები შენობათა გადასახადისა და იმ ნაკვეთების მიწის რენტისაგან, რომლებიც ამ კოოპერატივების წევრებს მიცემული აქვთ მუდმივი სარგებლობისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 23 ოქტომბერი, № 642.

ეროვნული ბიბლიოთეკა

118 კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის კანონის განხორციელებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 3 სექტემბრის № 746 დადგენილებისა „კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში კოლმეურნეობათა შემოსავლიდან ანარიცხების გადარიცხვის წესისა და ოდენობის და კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის კანონის განხორციელებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) ფართოდ განუმარტონ სოფლის მოსახლეობას კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის კანონი, პენსიებისა და დახმარების დანიშვნის პირობები, ნორმები და წესი;

ბ) მიიღონ ზომები, რათა მოწესრიგდეს კოლმეურნეობებში იმ კოლმეურნეთა შრომითი საქმიანობისა და შემოსავლის აღრიცხვა, რომლებსაც კანონით ენიჭებათ პენსიებისა და დახმარების მიღების უფლება;

გ) დაუთმონ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს, მათი მუშაობის მოცულობისა და შტატების გადიდებასთან დაკავშირებით, სათანადო სადგომები და ინვენტარი, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებანი, რათა საჭირო შემთხვევებში მოეწყოს პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიების გამსვლელი სხდომები;

დ) დააკომპლექტონ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები კვალიფიციური კადრებით, რომელთაც უნარი შესწევთ უზრუნველყონ კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის კანონის სწორად შეფარდება;

ე) შექმნან კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული, საოლქო და რესპუბლიკური (ასსრ) საბჭოები, აგრეთვე ჩაატარონ სოციალური უზრუნველყოფის საბჭოების არჩევნები კოლმეურნეთა საერთო კრებებზე (რწმუნებულთა კრებებზე).

მოაწყონ სოციალური უზრუნველყოფის საბჭოების წევრებისათვის სემინარები კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დახმარების დანიშვნის კანონის განხორციელების საკითხებზე;

ვ) შექმნან კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივ საბჭოებთან პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიები.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს:

ა) უზრუნველყოს ორგანიზაციულ-მეთოდური დახმარება ადგილობრივი ორგანოებისადმი კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის კანონის განხორციელების დროს და პერიოდულად მოაწოდოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ინფორმაცია რესპუბლიკაში ამ კანონის შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

ბ) შეიმუშაოს დოკუმენტაცია კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნისა და მიცემის შესახებ და დროზე დაგზავნოს ადგილებზე ამ დოკუმენტაციის ბლანკები;

გ) მიმდინარე წლის ნოემბერში ჩაატაროს რესპუბლიკური თათბირი-სემინარი კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის კანონის განხორციელების საკითხებზე.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დამატებით გამოუყოს მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საპენსიო დოკუმენტაციის ბლანკების დასამზადებლად 14,1 ტონა საწერი ქაღალდი, 15 ტონა საყდე მუყაო და 9 ტონა საბარათო ქაღალდი.

დანაკლისი რაოდენობა საწერი ქაღალდისა (9 ტონა), საბარათო ქაღალდისა (9 ტონა) და მუყაოსი (5 ტონა) გამოძებნოს და გამოყოს უმოკლეს ვადაში.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს დაამზადოს 1964 წლის ნოემბერში საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შეკვეთით კოლმეურნეებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის დოკუმენტაციის ბლანკები.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს, რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და თევზჭერის კოლმეურნეობათა გამგეობებს უზრუნველყონ კოლმეურნეობათა საერთო შემოსავლის გამოანგარიშება საბუღალტრო ანგარიშის საფუძველზე, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დაწესებული ერთიანი მეთოდიკის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საარქივო სამმართველომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა უმოკლეს ვადაში მოიყვანონ წესრიგზე კოლმეურნეობათა საარქივო მასალები და დაუბრკოლებლივ აძლიონ კოლმეურნეობათა გამგეობებს და კოლმეურნეობათა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოებს მათთვის საჭირო ცნობები.

7. იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკური საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები დატვირთული არიან მუშაობით, რაც ხშირად ადგილებზე წასვლას მოითხოვს და რომ კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის კანონის განსახორციელებლად საჭიროა ამ მუშაობის გაძლიერება, — წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადასცეს მიმდინარე წლის IV კვარტალში საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს რესპუბლიკური საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიისათვის „მოსკვიჩის“ მარკის ერთი სპეციალიზებული სამედიცინო ავტომანქანა.

8. სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო ორგანოების აპარატის რაოდენობის, მისი შენახვის ხარჯების, აგრეთვე ხელფასის ფონდების გადიდების საკითხები გადაიჭრას მას შემდეგ, რაც საკავშირო ორგანოებისაგან იქნება მიღებული შესაბამისი ლიმიტები.

9. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 3 სექტემბრის № 746 დადგენილება „კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში კოლმეურნეობათა შემოსავლიდან ანარიცხების გადარიცხვის წესისა და ოდენობის და კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის კანონის განხორციელებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და განუხრელად შესრულებისათვის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 26 ოქტომბერი, № 652.

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 746

1964 წლის 3 სექტემბერი

მოსკოვი, კრემლი

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში კოლმეურნეობათა შემოსავლიდან ანარიცხების გადარიცხვის წესისა და ოდენობის და კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის კანონის განხორციელებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ

კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის სსრ კავშირის კანონის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს იმ კომისიის წინადადებათა შესაბამისად, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ შეიმუშაოს წინადადებანი კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში ანარიცხების გადარიცხვის წესისა და ოდენობის შესახებ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ ყველა კოლმეურნეობა, თევზჭერის კოლმეურნეობათა ჩათვლით, აწარმოებს ფულის გადარიცხვას კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში 1964 წელს კოლმეურნეობის 1964 წლის საერთო შემოსავლის თანხის 2,5 პროცენტის და 1965 წელს კოლმეურნეობის 1965 წლის საერთო შემოსავლის თანხის 4 პროცენტის ოდენობით. ამასთან 1964 წელს კოლმეურნეობები გადარიცხვას აწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოებენ კოლმეურნეობათა 1963 წლის წლიური ანგარიშების მონაცემების თანახმად ან, მათი შეხედულებით, 1964 წლის საერთო შემოსავლის ნავარაუდევი ოდენობის საფუძველზე, ორივე შემთხვევაში შემდგომი გადაანგარიშებით 1965 წელს კოლმეურნეობათა 1964 წლის წლიური ანგარიშების საფუძველზე.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ 1964 წლის 1 ოქტომბრამდე აცნობოს კოლმეურნეობებს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებული მითითებანი მიმდინარე წლისათვის კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში ანარიცხების გადარიცხვის წესისა და ვადების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ კოლმეურნეობებმა დროზე არ გადარიცხეს სახსრები კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში, უფლება მიენიჭოთ რაიონულ საფინანსო განყოფილებებს გადაახდევინონ ეს სახსრები უდავო გადახდევინების წესით, იმ რიგითობის მიხედვით, რაც დაწესებულია სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შესატანების გადასახდევინებლად.

2. დაწესდეს, რომ წინადადებებს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში კოლმეურნეობათა ანარიცხების ოდენობის შესახებ ყოველწლიურად წარუდგენენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

3. გათვალისწინებულ იქნას სსრ კავშირის 1965, 1966 და 1967 წლების სახელმწიფო ბიუჯეტებით ასიგნობების გამოყოფა კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში 40 მილიონი მანეთის ოდენობით ყოველწლიურად.

4. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობათა შემოსავლიდან ანარიცხები და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასიგნობანი კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში შეიტანება (ჩაირიცხება) განსაკუთრებულ ანგარიშზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში.

5. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ კოლმეურნეებისათვის პენსიებისა და დახმარების მიცემასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად შეიქმნას კოლმეურნეობებში, რაიონებში, ოლქებში, მხარეებში, ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკებში კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოები. კოლმეურნეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური უზრუნველყოფის საბჭოები მოქმედებენ საზოგადოებრივ საწყისებზე და წარმოადგენენ კოლმეურნეობათა წარმომადგენლობითს ორგანოებს.

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოებს აირჩევენ კოლმეურნეთა საერთო კრებები (რწმუნებულთა კრებები).

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ საბჭოებს შექმნიან კოლმეურნეობათა წარმომადგენლებისაგან — შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საოლქო და სამხარეო საბჭოები, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული, საოლქო, სამხარეო საბჭოს შემადგენლობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით შედიან აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საოლქო ან სამხარეო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე და საფინანსო განყოფილების გამგე; რესპუბლიკური საბჭოს შემადგენლობაში შესაბამისად შედიან ავტონომიური ან მოკავშირე რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი და ფინანსთა მინისტრი.

6. დაწესდეს, რომ კოლმეურნეთა წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დასანიშნავად კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული საბჭოები შექმნიან კოლმეურნეებისათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელ კომისიებს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული საბჭოს წევრის (კომისიის თავმჯდომარის), სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილების და რაიონული საფინანსო განყოფილების წარმომადგენელთა შემადგენლობით. კოლმეურნეებისათვის პენსიების ან დახმარების დანიშვნის საკითხის განხილვაში მონაწილეობას იღებს გადამწყვეტი ხმის უფლებით შესაბამისი კოლმეურნეობის წარმომადგენელი.

პენსიები და დახმარება კოლმეურნეებს დაენიშნებათ კოლმეურნეობათა გამგეობების და სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოების ერთობლივი წარდგინებით ან კოლმეურნეთა განცხადებით, რომლებსაც უნდა ექნეს კოლმეურნეობის გამგეობის და სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოს დასკვნა.

კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დასანიშნავად საჭირო მასალების მომზადება კოლმეურნეებისათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიების მიერ განსახი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლველად, კოლმეურნეობათა შრომისუუნარო წევრების საექიმო-შრომითი ექსპერტიზის განხორციელება, აგრეთვე კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების მიცემა დაეკისროთ სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო ორგანოებს.

კოლმეურნეებისათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ საბჭოში, რომლის დადგენილება საბოლოოა.

დაეკისროთ კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ საბჭოებს კონტროლი კოლმეურნეებისათვის პენსიებისა და დახმარების სწორად დანიშვნისა და მიცემისადმი, კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში სახსრების სწორად გადარიცხვისადმი, აგრეთვე ამ სახსრების სწორად ხარჯვისადმი.

7. დაწესდეს, რომ კოლმეურნეებისათვის პენსიების დასანიშნავად საჭირო მუშაობის სტაჟი განისაზღვრება დოკუმენტების საფუძველზე.

თუ არ მოიპოვება დოკუმენტები კოლმეურნეობაში 1965 წლამდე მუშაობის სტაჟის შესახებ და შეუძლებელია მათი მიღება საარქივო მონაცემების უქონლობის გამო, სტაჟს დაადგენს, ორი ან მეტი მოწმის ჩვენების საფუძველზე, სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭო, რომლის გადაწყვეტილებას დაამტკიცებს კოლმეურნეობის გამგეობა.

უფლება მიენიჭოთ კოლმეურნეობათა გამგეობებს და კოლმეურნეებისათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელ კომისიებს არ ჩათვალონ პენსიის დასანიშნავად საჭირო მუშაობის სტაჟში ის პერიოდები, როდესაც კოლმეურნეობაში არსებული დოკუმენტების მიხედვით კოლმეურნე საპატიო მიზეზის გარეშე სისტემატურად არ გამოდიოდა სამუშაოზე და თავს არიდებდა საზოგადოებრივ შრომას.

მუშაობის იმ სტაჟის გამოანგარიშების დროს, რომელიც იძლევა პენსიის მიღების უფლებას, 1965 წლის შემდგომ პერიოდში გამოირიცხება ის წლები, რომლებშიაც კოლმეურნეობის წევრს საპატიო მიზეზის გარეშე არ გამოუმუშავებია შრომადღეების (კაცდღეების) დაწესებული მინიმუმი.

კოლმეურნეობის წევრები, რომლებიც ფაქტიურად გასული არიან კოლმეურნეობიდან (გარდა იმ პირებისა, რომლებიც კოლმეურნეობაში შევიდნენ კოლექტივიზაციის პირველ წლებში, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო შეწყვიტეს მუშაობა კოლმეურნეობაში და არა აქვთ პენსიის დასანიშნავად საჭირო მუშაობის სტაჟი), არ იქნებიან წარდგენილი პენსიის დასანიშნავად.

8. პენსიონერებს, რომლებიც განაგრძობენ მუშაობას კოლმეურნეობებში ან სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებში, კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის კანონის შესაბამისად დანიშნული პენსიები მიეცემათ მთლიანად, დამოუკიდებლად იმ შემოსავლისა, რასაც ისინი იღებენ კოლმეურნეობაში ან სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. პენსიონერებს, რომლებიც მუშაობენ მუშებად ან მოსამსახურეებად (გარდა კოლმეურნეობებში ან სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებში მომუშავეებისა), პენსიები აღნიშნული კანონის თანახმად არ მიეცემათ.

9. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების (საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების) საწარმოო სამმართველოებს, თევზჭერის კოლმეურნეობათა კავშირებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს უზრუნველყონ კოლმეურნეობათა საერთო შემოსავლის გამოანგარიშება საბუღალტრო აღრიცხვის საფუძველზე, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დაწესებული ერთიანი მეთოდიკის მიხედვით.

10. დაევალოს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს აწარმოოს კოლმეურნეობათა პენსიების ნახევარი წლის ანგარიშგება მუშა-მოსამსახურეთა პენსიების ანგარიშგების მოქმედი სისტემის შესაბამისად, ხოლო 1965 წლისათვის — აგრეთვე ყოველთვიური შემცირებული ანგარიშგება კოლმეურნეობის წევრ პენსიონერთა რაოდენობისა და კოლმეურნეებისათვის დანიშნული პენსიების ოდენობის შესახებ.

11. იმასთან დაკავშირებით, რომ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს დაეკისრათ კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნასთან და მიცემასთან დაკავშირებული სამუშაოები დაევალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად, ორი კვირის ვადაში მოამზადოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ გადიდდეს 1964 წლის 1 ოქტომბრიდან სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განოების აპარატის რაოდენობა, მისი შენახვის ხარჯები და ხელფასის ფონდები.

12. დაევალოთ სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის მონაწილეობით, უზრუნველყონ, 1965 წლიდან დაწყებული, კოლმეურნეობათა წევრების შრომითი საქმიანობის აღრიცხვის ერთიანი სისტემის და კოლმეურნეთა შრომის წიგნაკების შემოღება.

13. დაწესდეს, რომ განმარტებებს კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიების დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ დებულების და კოლმეურნეობის წევრი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო პენსიების დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ დებულების შეფარდების საკითხებზე იძლევიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო.

14. დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარმომადგენლების მონაწილეობით, შეიმუშაონ და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროექტები დებულებისა კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოების შესახებ და კოლმეურნეებისათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიების შესახებ.

15. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მიიღონ საჭირო ზომები კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის კანონის დროულად განხორციელების უზრუნველყოფისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ხრუშჩოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. სტეპანოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

119 **საქართველოს ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების კინოსტუდიის გადარქმევის შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების კინოსტუდიას გამოეცვალოს სახელი და ეწოდოს საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 27 ოქტომბერი, № 654.

120 **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შტატში თავმჯდომარის მოადგილის მეორე თანამდებობის დაწესების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს 1964 წლის 1 ნოემბრიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შტატში თავმჯდომარის მოადგილის მეორე თანამდებობა (იგივე უმაღლესი განათლების განყოფილების უფროსი) კომიტეტის შტატისა და ხელფასის ფონდის გაუდიდებლად.

2. დაინიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის უმაღლესი განათლების განყოფილების უფროსი ამხ. გ. გ. დოლიძე ამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 10 ნოემბერი, № 678.

ეროვნული ბიბლიოთეკა

121 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 29 აპრილის № 252 დადგენილებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში „სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო საწარმოების მიერ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ“ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 9 სექტემბრის № 573 დადგენილებისა „ნისიად გაყიდული ხანგრძლივი სარგებლობის საქონლისათვის ანგარიშსწორების მოწესრიგების შესახებ“, შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი ინსტრუქციაში „სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო საწარმოების მიერ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 29 აპრილის № 252 დადგენილებით:

ა) მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„**შენიშვნა:** აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროებს, თბილისის საქალაქო საბჭოს ვაჭრობის სამმართველოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, ქალაქ ქუთაისისა და რუსთავის აღმასკომების ვაჭრობის განყოფილებებს შეუძლიათ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ, შეიტანონ დამატებანი და ცვლილებანი ნისიად გასაყიდი საქონლის ნუსხაში, ადგილობრივი პირობებისა და საქონლის რესურსების გათვალისწინებით.“

პუნქტი 8 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საქონლის ნისიად გაყიდვის დროს მყიდველს გადახდება სავაჭრო ორგანიზაციის სასარგებლოდ:

როდესაც ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდა ხდება 6 თვემდე — ფაქტიურად მიცემული კრედიტის თანხის 1 პროცენტი;

როდესაც ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდა ხდება 6-დან 9 თვემდე — ფაქტიურად მიცემული კრედიტის 1,5 პროცენტი;

როდესაც ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდა ხდება 9-დან 12 თვემდე — ფაქტიურად მიცემული კრედიტის 2 პროცენტი.“

დაემატოს ინსტრუქციას პუნქტები 17 და 18 შემდეგი შინაარსისა:

„17. საქონლის ყიდვის უფლების შესახებ ცნობების გაცემის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის; რომ დროზე დაუკავდეთ მუშა-მოსამსახურეებს ხელფასიდან საგადამხდელო დავალება-ვალდებულებებით ნისიად ნაყიდი საქონლისათვის მორიგი შესატანები, შესაბამისი სავაჭრო ორგანიზაციების (საწარმოების) სახელზე ამ თანხების გადარიცხვისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ დროზე შეატყობინონ სავაჭრო ორგანიზაციებს (საწარმოებს) იმ პირთა დათხოვნა ან სხვა საწარმოში (ორგანიზაციაში, დაწესებულებაში) გადაყვანა, რომლებსაც აქვთ ნისიად შეძენილი საქონლის დავალიანება, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს და მთავარ (უფროს) ბუღალტრებს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა".

„18. იმისადმი კონტროლს, რომ სწორად იქნას დაყენებული აღრიცხვა და ცნობების გაცემა, აგრეთვე დროზე იქნას გასწორებული ანგარიში ნისიად გაყიდული საქონლისათვის, განახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები."

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 10 ნოემბერი, № 679.

122 იმ საწარმოთა და დაწესებულებათა სიის დამატების შესახებ, რომელთა სახლებიდან შესაძლებელია სასამართლო წესით გამოსახლება საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოებისა და დაწესებულებების სიას, რომელთა სახლებიდან, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62 მუხლის შესაბამისად, შესაძლებელია იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი დამოკიდებულება, საკუთარი სურვილით დათხოვნასთან ან შრომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებით, ან დანაშაულის ჩადენისათვის, შემდეგი პუნქტები:

57. გაგრის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის საცხოვრებელი სახლები;

58. გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკის საცხოვრებელი სახლები;

59. გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა „სიხარულის“ საცხოვრებელი სახლები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 18 ნოემბერი, № 691.

123 საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წესდება, რომელიც მოწონებულია საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების III რესპუბლიკური კონფერენციის დადგენილებით 1964 წლის ოქტომბერში.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წესდება, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 13 აპრილის № 270 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 20 ნოემბერი, № 694.

უფროსული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 20 ნოემბრის № 694
დადგენილებით

წესდება

საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოებისა

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება არის მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს საზოგადოების წევრთა ინიციატივისა და თვითმოქმედების საფუძველზე და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სახანძრო უსაფრთხობას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში, რისთვისაც მოიზიდოს მოსახლეობის ფართო ფენები ხანძრის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის.

2. საზოგადოების საქმიანობას საფუძვლად უდევს ეს წესდება და იგი ხორციელდება საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტით.

3. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ძირითადი ამოცანებია:

ა) ისეთ პროფილაქტიკურ და ორგანიზაციულ-მასობრივ ღონისძიებათა განხორციელება საზოგადოების ძალებითა და საშუალებებით, რომლებიც მიმართულია ხანძრის თავიდან აცილებისა და მისი წარმატებით ჩაქრობისაკენ;

ბ) საზოგადოებრივი კონტროლის მოწყობა საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების მეშვეობით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სახანძრო უსაფრთხობის წესების დაცვისადმი;

გ) სახანძრო-ტექნიკური ცოდნის პროპაგანდა და გავრცელება საზოგადოების წევრთა შორის და მოსახლეობაში.

4. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება თავისი ამოცანების შესასრულებლად:

ა) განუმარტავს მოსახლეობას საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს, წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში სახანძრო უსაფრთხობის ზომების დაცვის აუცილებლობას; მოაწყობს და ჩაატარებს საზოგადოების წევრთა შორის და მოსახლეობაში ტექნიკური მინი-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მუმის მეცადინეობას, ლექციებს, მოხსენებებსა და საუბრებს; აგრეთვე მოიყენებს სახანძრო-ტექნიკური ცოდნის, ხანძრის თავიდან აცილებისა და მათი ჩაქრობის საშუალებათა პროპაგანდისა და გავრცელებისათვის პრესას, რადიოს, ტელევიზიას, კინოს, კლუბებს და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს;

ბ) მოაწყობს და გაატარებს საზოგადოების წევრებისა და მოსახლეობისათვის ხანძრის თავიდან აცილების და ჩაქრობის საშუალებებისა და ხერხების სწავლებას; მოაწყობს და ჩაატარებს სასწავლო შეკრებებს, სახანძრო-ტექნიკურ მეცადინეობას, ხანძრის ჩაქრობის ვარჯიშს, სახანძრო ქვეგანაყოფებისა და სახანძრო ტექნიკის მუშაობის დემონსტრაციას, საზოგადოების წევრთა და ორგანიზაციათა შეჯიბრებებს სპორტის სახანძრო-გამოყენებითს სახეობებში;

გ) მონაწილეობას მიიღებს საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დასახლებული პუნქტებისა და საცხოვრებელი სახლების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერების მოწყობაში; ხელს შეუწყობს ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების შექმნასა და მომზადებას საწარმოებში და დასახლებულ პუნქტებში;

დ) მოაწყობს ნორჩ მეხანძრეთა ნებაყოფლობითს რაზმეულებს და ჩაატარებს მათთან მეცადინეობას ხანძრის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის საკითხებზე;

ე) ხელს შეუწყობს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის გაშლას სახანძრო საქმეში და დახმარებას გაუწევს მუშაობაში სახანძრო-ტექნიკურ კომისიებს სახალხო მეურნეობის ობიექტებზე.

II. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების უფლებები

5. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება და მისი ადგილობრივი ორგანიზაციები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით.

6. საქართველოს ნებაყოფლობითს სახანძრო საზოგადოებას უფლება აქვს:

ა) დადოს ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, რომლებიც შეესაბამებიან საზოგადოების ამოცანებსა და მიზნებს, გასცეს ვალდებულებანი და მინდობილობანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) წარადგინოს სარჩელები და დაიცვას თავისი ინტერესები სამართლო და საარბიტრაჟო ორგანოებში;

გ) მოაწყოს კურსები, შეკრებები, ნორჩ მეხანძრეთა ნებაყოფლობითი რაზმეულების ბანაკები, სემინარები და წრეები, სახანძრო-ტექნიკური გამოფენები, კაბინეტები და სახანძრო პოლიგონები, რათა საზოგადოების წევრებმა და მოსახლეობამ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ შეისწავლონ ხანძრის თავიდან აცილებისა და მისი ჩაქრობის საშუალებანი, აგრეთვე საზოგადოების ორგანიზაციების მუშაობის ფორმები და მეთოდები.

დ) დადგენილი წესით გამოსცეს მოსახლეობაში მასობრივი ხანძარსაწინააღმდეგო საგიტაციო მუშაობის ჩატარების მიზნით, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოსთან ერთად, ქართულ და რუსულ ენაზე ბეჭდვითი ორგანო — მრავალტირაჟიანი გაზეთი „საქართველოს მეხანძრე", სასწავლო, სახანძრო-ტექნიკური სახელმძღვანელოები, ბიულეტენები, ცნობარები და მეთოდური დამხმარე სახელმძღვანელოები, პლაკატები, ლოზუნგები, ფურცლები და სამახსოვროები; მოაწყოს გამოფენები, ფოტოვიტრინები, აგრეთვე შეუკვეთოს შესაბამის სახელმწიფო ორგანიზაციებს კინოფილმები, მაგნიტოფილმები, დიაფილმები და გრამფირფიტები ხანძრის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის, აგრეთვე საზოგადოების საქმიანობის საკითხებზე; იყოლიოს სასწავლო და საგიტაციო მანქანები;

ე) შეიძინოს ქონება და ფლობდეს მას, შექმნას დადგენილი წესით საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა შეესაბამება საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებით, მოაწყოს სახანძრო რაზმები, საგუშაგოები და სხვა ხანძარსაწინააღმდეგო ფორმირებანი, შეინახოს საზოგადოების სახსრებით ამ ქვეგანაყოფების უფროსები, შოფრები და მოტორისტები.

ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების უზრუნველყოფა საჭირო სამსახურებრივი სადგომებით ეკისრებათ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს;

ვ) აშენოს და შეაკეთოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ხარჯზე სახანძრო დეპოები, ფარდულები, საწარმოო და დამხმარე სადგომები, რომლებიც საზოგადოებას ეკუთვნის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) დაინტერესებულ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად შეკრულებებითა და შეთანხმებებით ჩაატაროს სახანძრო უსაფრთხობის ზომების სწავლება მშრომელებისათვის, მოაწყოს ტექმინიმუმის სწავლება, ლექციები, მოხსენებები, საუბრები და კონსულტაციები სახანძრო უსაფრთხობის საკითხებზე;

თ) შეასრულოს დაქვემდებარებული წარმოებითი საწარმოებისა და ორგანიზაციების მეშვეობით შემდეგი სამუშაოები და მომსახურება:

— ცეცხლსაქრობებისა და მათი მუხტების დამზადება;

— ცეცხლსაქრობების გამოცდა, შეკეთება, დამუხტვა და ხელახლა დამუხტვა;

— ყველა სახის სათბობი და სახურებელი ღუმელების, კერებისა და საკვამლეების შემოწმება, შეკეთება, გადაწყობა და გაწმენდა, აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო ძგიდეების მოწყობა;

— შენობათა და ნაგებობათა ხის კონსტრუქციების, იწვებადი ნაკეთობების, ქსოვილებისა და თეატრალური დეკორაციების ცეცხლისაგან დაცვა, აგრეთვე სახანძრო სახელოების ლპობის საწინააღმდეგო გაჟღენთვა;

— მეხამრიდების მოწყობა და მათი წესივრობისათვის თვალყურის დევნება:

— სახანძრო ტექნიკის, მოწყობილობისა და საჭურვლის რემონტი, სახანძრო სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის მონტაჟი და რემონტი და მათი ტექნიკური მდგომარეობისათვის თვალყურის დევნება;

— საზოგადოების საჭიროებისათვის აუცილებელი ინსტრუმენტისა და სათადარიგო ნაწილების წარმოება;

— ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების (კასრები, ვედროები, ნიჩბები, ძალაყინები, ბაგერები, ცულები, ფარები, საქვიშარები და ა. შ.) დამზადება;

— სხვადასხვა სახის ნაპერწკალმქრობების დამზადება;

— შინაგანი ელექტროგაყვანილობის იზოლაციის წინააღმდეგობის შემოწმება, ელექტროდანადგარების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესაბამისად;

ი) დაამტკიცებს დებულებებს საზოგადოების წარმოებითი საწარმოებისა და სასწავლო ორგანიზაციების შესახებ;

კ) ნებაყოფლობითს სახანძრო საზოგადოებას უფლება აქვს იყოს საქალაქო მეურნეობისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების იურიდიული წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება ეხმარება სუხისმგებელია თავისი ვალდებულებებით საკუთარი სახსრებისა და ქონების ფარგლებში, გარდა იმ ქონებისა, რომლის მიმართ კანონის თანახმად არ შეიძლება მიმართულ იქნას გადახდევინება.

8. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საბჭოებს, საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ გახსნან და დახურონ ანგარიშები სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის შესაბამის დაწესებულებებში.

9. საქართველოს ნებაყოფლობითს სახანძრო საზოგადოებას აქვს თავისი ალამი, ემბლემა, საწევრო სამკერდე ნიშანი, აგრეთვე სამკერდე ნიშნები „ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წარჩინებული“ და „ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საპატიო წევრი“.

ალმისა და ემბლემის ნიმუშებსა და აღწერილობებს, აგრეთვე დებულებებს სამკერდე ნიშნის — „ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წარჩინებული“ და სამკერდე ნიშნის „ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საპატიო წევრის“ შესახებ დაამტკიცებს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

ამ პუნქტით გათვალისწინებული სამკერდე ნიშნების ნიმუშებს და ყოველწლიურ ტირაჟებს დაამტკიცებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 6 მაისის № 343 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

10. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საბჭოებს, საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს აქვთ ბეჭედი, რომელზედაც აღნიშნულია მათი სახელწოდება და გამოსახულია საზოგადოების ემბლემა.

საზოგადოების ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის ბეჭდების და კუთხის შტამპების ნიმუშებს შეიმუშავებს საქართველოს ნება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფლობითი სახანძრო საზოგადოების პრეზიდიუმი და მათი დამტკიცება იწარმოებს დადგენილი წესით.

III. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

11. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევრებად შეიძლება იყვნენ სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებსაც 18 წელი შეუსრულდათ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ის პირები, რომლებსაც 18 წელი არ შესრულებიათ, გაერთიანდებიან ნორჩ მეხანძრეთა ნებაყოფლობითს რაზმეულებში. ეს რაზმეულები მოქმედებენ თანახმად დებულებისა, რომელსაც დაამტკიცებს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან და საქართველოს განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

12. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევრად მიღებას აწარმოებს პირველადი ორგანიზაციის საბჭო, წერილობითი ან სიტყვიერი განცხადების თანახმად.

13. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს გადამწყვეტი ხმის უფლებით ყველა საკითხის განხილვაში საზოგადოების წევრთა კრებებზე, აირჩიოს და არჩეულ იქნას საზოგადოების ყველა ხელმძღვანელ ორგანოში;

ბ) მონაწილეობა მიიღოს სახანძრო ფორმირებათა და სხვა ორგანიზაციათა მუშაობაში, რომლებსაც საზოგადოება შექმნის;

გ) მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრებებში, კონკურსებში, გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებში, რომლებსაც საზოგადოება მოაწყობს და გაატარებს;

დ) აჭაროს საზოგადოების ნიშანი;

ე) ინვალიდობის შემთხვევაში, რაც მოხდა ხანძრის ჩაქრობასთან დაკავშირებით ან ამ წესდების თანახმად სხვა მოვალეობათა შესრულების დროს, საზოგადოების წევრებს, გარდა კანონით გათვალისწინებული საზღაურისა დასახიჩრებისათვის, უფლება აქვთ აგრეთვე მიიღონ საზოგადოებისაგან ერთდროული დახმარება. საზოგადოების წევრის დაღუპვის შემთხვევაში ერთდროული დახმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება მიეცემა მის ოჯახს. დახმარების ოდენობას დააწესებს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

ცალკეულ შემთხვევებში, საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, მატერიალური დახმარება სამკურნალოდ შეიძლება გაეწიოს საზოგადოების წევრს, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ხანძრის ჩაქრობაში და პროფილაქტიკურ მუშაობაში.

14. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევრი მოვალეა:

ა) მიიღოს აქტიური მონაწილეობა პირველადი ორგანიზაციის მუშაობაში, შეასრულოს ყოველგვარი დავალება და დროზე გადაიხადოს საწევრო გადასახადი;

ბ) შეისწავლოს სახანძრო საქმე, დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების წესები წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში, მიიღოს მასზე დამოკიდებული ყოველგვარი ზომები ამ წესების დარღვევის აღმოსაფხვრელად;

გ) განმარტოს და პროპაგანდა გაუწიოს მოსახლეობაში საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს, ხელი შეუწყოს მოქალაქეთა მოზიდვას საზოგადოების წევრებად;

დ) შეასრულოს საზოგადოების წესდებისა და ხელმძღვანელი ორგანოების მოთხოვნები.

15. ხანძრის ჩაქრობის, ადამიანთა და ქონების გადარჩენის დროს გამბედაობისა და საზრიანობისათვის, საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების სახანძრო ფორმირებათა მაღალი საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფისათვის, აქტიური პროფილაქტიკური მუშაობისა და საზოგადოების გაფართოება-განმტკიცების ხაზით მუშაობისათვის როგორც შტატის მუშაკები, ისე აქტივისტები წახალისებული იქნებიან მოქმედ დებულებათა საფუძველზე.

განსაკუთრებით თვალსაჩინო დამსახურებისათვის საზოგადოების წევრები შეიძლება წარდგენილ იქნან კანონით დადგენილი წესით ჯილდოებზე.

16. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევრების მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ აღმზრდელობისა და საზოგადოებრივი ზეგავლენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგი ზომები: გაკიცხვა, შენიშვნა, საყვედური და, როგორც უკიდურესი ზომა, საზოგადოების წევრობიდან გარიცხვა.

საკითხი საზოგადოების იმ წევრთა შესახებ, რომლებსაც არ გადაუხდიათ საპატიო მიზეზის უქონლად საწევრო გადასახადი ერთი წლის განმავლობაში განხილულ უნდა იქნას პირველადი ორგანიზაციის საბჭოს სხდომაზე.

პირველადი ორგანიზაციის გადაწყვეტილება საზოგადოების წევრობიდან გარიცხვის შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნას საზოგადოების საქალაქო, რაიონული ორგანიზაციის საბჭოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

IV. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა

17. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ორგანიზაციები შეიქმნება ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქებში, რაიონებში, დაბებში, სოფლის დასახლებულ პუნქტებში, საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, საბინაო და საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებში, სახლმმართველობებში, სახლთა ჯგუფებსა და ცალკეულ საცხოვრებელ სახლებში და მოქმედებენ ამ წესდების საფუძველზე.

18. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოების და სარევიზიო კომისიების, ოლქის, ქალაქების, რაიონების და საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების საბჭოებისა და სარევიზიო კომისიების, აგრეთვე საზოგადოების ყრილობებისა და კონფერენციების დელეგატების არჩევნები წარმოებს ღია კენჭისყრით.

საზოგადოების ყრილობების, კონფერენციების, კრებებისა და სხვა ხელმძღვანელი ორგანოების ყველა გადაწყვეტილება მიიღება ხმების უბრალო უმეტესობით.

19. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების დროს დაცულ უნდა იქნას მათი შემადგენლობის სისტემატური განახლებისა და ხელმძღვანელობის მონაცვლეობის პრინციპი.

ყოველ მორიგ არჩევნებზე საზოგადოებისა და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განახლდება დაახლოებით სანახევროდ. ამასთან საზოგადოებისა და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების წევრები, როგორც წესი, შეიძლება არჩეულ იქნან არა უმეტეს ორი ვადისა ზედიზედ. კონფერენციებს და საერთო კრებებს შეუძლიათ აირჩიონ საზოგადოების და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში ესა თუ ის მუშაკი უფრო ხანგრძლივი ვადითაც. ასეთ შემთხვევაში ასარჩევად საჭიროა კენჭისყრის მონაწილე დელეგატთა (საზოგადოების წევრთა) ხმების არანაკლებ სამი მეოთხედისა.

საზოგადოების წევრები, რომლებიც გავიდნენ საზოგადოების და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობიდან ამ ორგანოში ყოფნის ვადის გასვლასთან დაკავშირებით, შეიძლება ახლად იქნან არჩეული შემდგომი არჩევნების დროს.

20. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების წევრები თავიანთ საქმიანობაში უნდა ამართლებდნენ იმ მაღალ ნდობას, რაც მათდამი გამოიჩინეს საზოგადოების წევრებმა. იმ შემთხვევაში, თუ ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს, საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოს წევრი ვერ ამართლებს ამ ნდობას, იგი შეიძლება გამოყვანილ იქნას საბჭოს შემადგენლობიდან საზოგადოების მოცემული საბჭოს გადაწყვეტილებით.

გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ მას ხმა მისცა საზოგადოების მოცემული საბჭოს წევრთა სულ ცოტა ორმა მესამედმა.

იმის საკითხი, რომ საზოგადოების შესაბამისი ორგანიზაციების სარევიზიო კომისიების წევრები გამოყვანილ იქნან ამ კომისიების შემადგენლობიდან, — გადაწყდება კომისიების სხდომებზე იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საზოგადოების საბჭოების წევრებისათვის.

საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური ორგანოები

21. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების უმაღლესი ორგანოა საზოგადოების ყრილობა, რომელსაც მოიწვევს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკური საბჭო ოთხ წელიწადში ერთხელ მაინც. საზოგადოების რიგგარეშე ყრილობები შეიძლება მოწვეულ იქნას საზოგადოების საბჭოს ინიციატივით ან საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო ორგანიზაციების სულ მცირე ერთი მესამედის მოთხოვნით.

ყრილობის მოწვევის თარიღს და დღის წესრიგს გამოაცხადებს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ყრილობამდე არა უგვიანეს თვენახევრისა.

ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმებს და დელეგატთა არჩევნების წესს დაადგენს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

საზოგადოების ყრილობა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება არჩეული დელეგატების სულ ცოტა ორი მესამედი მაინც.

22. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრები, რომლებიც არ არიან არჩეული ყრილობის დელეგატებად, მონაწილეობას იღებენ მის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით.

23. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ყრილობა:

ა) მოისმენს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიის ანგარიშს და მიიღებს მათ გამო გადაწყვეტილებებს;

ბ) განსაზღვრავს საზოგადოების მორიგ ამოცანებს;

გ) დაამტკიცებს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წესდებას;

დ) აირჩევს საზოგადოების საბჭოს და სარევიზიო კომისიას.

24. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საბჭო და სარევიზიო კომისია აირჩევიან იმ შემადგენლობით, რასაც ყრილობა განსაზღვრავს, ოთხი წლის ვადით.

25. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების მთელი საქმიანობის ხელმძღვანელობას ყრილობათა შორის პერიოდში განახორციელებს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო, რომლის სხდომები მოიწვევა ნახევარ წელიწადში ერთხელ მაინც.

რესპუბლიკური საბჭოს სხდომების გასაძღოლად აირჩევიან წევრთა რიცხვიდან თავმჯდომარე და მდივანი.

26. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო:

ა) აირჩევს საზოგადოების საბჭოს შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმს შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგი შემადგენლობით: პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, პრეზიდიუმის მდივანი და წევრები იმ რაოდენობით, რასაც საზოგადოების საბჭო განსაზღვრავს;

ბ) მოიწვევს საზოგადოების ყრილობას და მოამზადებს მისთვის მოხსენებებს, ანგარიშებს, დადგენილებათა პროექტებს და სხვა მასალებს:

გ) მოისმენს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის საბჭოების ანგარიშებს;

დ) შექმნის საზოგადოების რესპუბლიკურ (ასსრ), საოლქო, საქალაქო, რაიონულ ორგანიზაციებს, აგრეთვე საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

ე) განიხილავს სხვა საკითხებს, რომლებსაც გამოიტანს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

27. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქმიანობის ხელმძღვანელობას რესპუბლიკური საბჭოს სხდომებს შორის განახორციელებს საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმი.

28. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი:

ა) განახორციელებს ხელმძღვანელობას საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოებისადმი, შეათანხმებს და წარმართავს მათს საქმიანობას საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, მისცემს მითითებებსა და განმარტებებს საზოგადოების ადგილობრივ ორგანოებს მათი საქმიანობის ორგანიზაციის და შინაარსის, აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებზე, განაზოგადებს და გაავრცელებს საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას;

ბ) ხელმძღვანელობას გაუწევს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების საწარმოო და საფინანსო საქმიანობას;

გ) განიხილავს და დაამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, საქალაქო რაიონული და მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საბჭოების საწარმოო-საფინანსო გეგმებს და შეჯამებულ ბალანსებს, ხარჯთაღრიცხვებს, ანგარიშებს და კონტროლს გაუწევს დამტკიცებული გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესრულებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) განიხილავს და დაამტკიცებს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების, აგრეთვე მათი წარმოებითი საწარმოების საბუღალტრო ანგარიშებს, შეადგენს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების შეჯამებულ საბუღალტრო ანგარიშებს;

ე) მოაწყობს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების ხელმძღვანელ მუშაკთა მომზადებას და გადამზადებას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს საზოგადოების ძირეული რგოლის მუშაკთა, სპეციალისტთა და საზოგადოებრივი აქტივის მომზადებისათვის;

ვ) დააწესებს და დაამტკიცებს საზოგადოების საწევრო ბილეთების, მარკების, აგრეთვე თასების, პრიზების, დიპლომების, სიგელების, გარდამავალი დროშების, ალმების და სხვა წახალისებითი განსხვავების ნიმუშებს;

ზ) გამოვა საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წარმომადგენლად ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში და განახორციელებს საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის, უფლებებს.

29. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომები მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც.

30. ხელშეკრულებებს, ვალდებულებებსა და მინდობილობებს ხელს მოაწერს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე. ფულად და მატერიალურ ფასეულობათა დოკუმენტებს ხელს მოაწერენ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე (ან მისი მოადგილე) და მთავარი ბუღალტერი.

საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო ორგანიზაციები

31. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო საბჭოების უმაღლესი ორგანოა შესაბამისად საზოგადოების რესპუბლიკური და საოლქო კონფერენცია.

საზოგადოების თბილისის საქალაქო ორგანიზაციაში, რომელიც საოლქო ორგანიზაციის უფლებით მუშაობს, უმაღლესი ორგანოა საქალაქო კონფერენცია.

32. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ორგანიზაციები ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში მუშაობენ საზოგადოების შესაბამისი რესპუბლიკური და საოლქო საბჭოების ხელმძღვანელობით.

33. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო ორგანიზაციების კონფერენციები მოიწვევა ორ წელიწადში ერთხელ მაინც.

რიგგარეშე კონფერენცია მოიწვევა საზოგადოების საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების სულ მცირე ერთი მესამედის მოთხოვნით, ან საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების შესაბამისი საბჭოს, ან რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით. კონფერენციის მოწვევა და დღის წესრიგი გამოცხადდება კონფერენციამდე არა უგვიანეს ერთი თვისა.

კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმებს დააწესებს საზოგადოების შესაბამისი საბჭო.

34. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო ორგანიზაციების კონფერენცია უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება არჩეული დელეგატების სულ ცოტა ორი მესამედი,

35. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო საბჭოების წევრები, რომლებიც არ არიან არჩეული კონფერენციის დელეგატებად, მის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სათათბირო ხმის უფლებით.

36. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო ორგანიზაციის კონფერენცია:

ა) მოისმენს და დაამტკიცებს საზოგადოების შესაბამისი საბჭოს და სარევიზიო კომისიის ხარჯთაღრიცხვებს;

ბ) დასახავს საზოგადოების შესაბამისი ორგანიზაციების მორიგ ამოცანებს;

გ) აირჩევს საზოგადოების რესპუბლიკურ (ასსრ) და საოლქო საბჭოს და სარევიზიო კომისიას;

დ) აირჩევს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ყრილობის დელეგატებს.

37. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო საბჭო და სარევიზიო კომისიები აირჩევიან წევრთა იმ რაოდენობით, რასაც კონფერენცია დააწესებს, ორი წლის ვადით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

38. კონფერენციებს შორის პერიოდში საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო ორგანიზაციის საქმიანობას ხელმძღვანელობს საზოგადოების შესაბამისი საბჭო. საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო საბჭოს სხდომები მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც.

39. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო საბჭო:

ა) აირჩევს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო საბჭოს შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით საბჭოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს;

ბ) მოიწვევს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო ორგანიზაციების კონფერენციებს, მოამზადებს, მათთვის მოხსენებებს, ანგარიშებს, დადგენილებათა პროექტებს და სხვა მასალებს:

გ) მოისმენს საზოგადოების შესაბამისი საბჭოების ანგარიშებს;

დ) განიხილავს სხვა საკითხებს, რომლებსაც საზოგადოების ძირეული საბჭოები გამოიტანენ.

40. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო ორგანიზაციის საქმიანობის ხელმძღვანელობას საზოგადოების შესაბამისი საბჭოს სხდომებს შორის განახორციელებს საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე.

41. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო საბჭო:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს საზოგადოების შესაბამისი ორგანიზაციის საორგანიზაციო-მასობრივი, საწარმოო და საფინანსო საქმიანობას, წარმართავს მას ამ წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად;

ბ) დაგეგმავს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო ორგანიზაციის მთელ საქმიანობას;

გ) მოაწყობს საზოგადოების საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების შემოწმებას და ინსტრუქტაჟს მათი საქმიანობის ყველა საკითხზე;

დ) მოაწყობს და ხელმძღვანელობას გაუწევს საზოგადოების საქალაქო რაიონული და პირველადი ორგანიზაციების შეჯიბრებას;

ე) განაზოგადებს საზოგადოების საქალაქო, რაიონული, პირველადი ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკას, გაავრცელებს მოწინავე გამოცდილებას: მოაწყობს საზოგადოების საქალაქო და რაიონული საბჭოების მუშაკთა და აქტივისტთა მომზადებას და გადამზადებას, აგრეთვე მოსახლეობისათვის სახანძრო უსაფრთხოების ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მების სწავლებას; მიაწვდის შესაბამის საბჭოთა ორგანიზაციებს და საზოგადოებრიობას ინფორმაციას თავისი მუშაობის შესახებ;

ვ) განიხილავს და დაამტკიცებს საზოგადოების საქალაქო, რაიონული საბჭოების და მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების წარმოების, საფინანსო გეგმებსა და ხარჯთაღრიცხვებს და შეამოწმებს მათს შესრულებას;

ზ) განიხილავს და დაამტკიცებს საზოგადოების საქალაქო, რაიონული საბჭოების და დაქვემდებარებული ორგანიზაციების საბუღალტრო ანგარიშებს: შეადგენს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო საბჭოს შეჯამებულ საბუღალტრო ანგარიშს.

42. ხელშეკრულებებს, ვალდებულებებსა და მინდობილობებს ხელს მოაწერს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ან მოადგილე. ფულად და მატერიალურ ფასეულობათა დოკუმენტებს ხელს მოაწერენ შესაბამისი საბჭოს თავმჯდომარე (ან მისი მოადგილე) და მთავარი (უფროსი) ბუღალტერი.

საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები

43. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქალაქო, რაიონული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა საზოგადოების საქალაქო, რაიონული კონფერენცია.

44. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქალაქო, რაიონული ორგანიზაციის კონფერენციას მოიწვევს საზოგადოების საქალაქო, რაიონული საბჭო ორ წელიწადში ერთხელ მაინც, რიგგარეშე კონფერენცია მოიწვევა საზოგადოების საქალაქო, რაიონული ან ზემდგომი საბჭოს გადაწყვეტილებით, აგრეთვე საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით.

საზოგადოების საქალაქო, რაიონული კონფერენციის მოწვევა და დღის წესრიგი გამოცხადდება კონფერენციამდე არა უგვიანეს ერთი თვისა.

კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმებს დააწესებს საზოგადოების საქალაქო, რაიონული კონფერენცია.

კონფერენცია უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება არჩეული დელეგატების სულ ცოტა ორი მესამედი მაინც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

45. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქალაქო, რაიონული საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრები, რომლებიც არ არიან არჩეული კონფერენციის დელეგატებად, მონაწილეობას იღებენ მის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით.

46. საქალაქო, რაიონული კონფერენცია მოისმენს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქალაქო, რაიონული საბჭოს და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს და მიიღებს მათ გამო გადაწყვეტილებებს, აირჩევს საქალაქო, რაიონულ საბჭოს, სარევიზიო კომისიას და საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო კონფერენციის დელეგატებს.

47. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქალაქო, რაიონული საბჭო და სარევიზიო კომისია აირჩევიან ორი წლის ვადით იმ რაოდენობით, რასაც კონფერენცია დააწესებს.

48. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქალაქო, რაიონული საბჭო:

ა) უხელმძღვანელებს საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების მთელ საქმიანობას ქალაქში, რაიონში; ინსტრუქტაჟსა და კონტროლს გაუწევს მათ; შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს საზოგადოების საქალაქო, რაიონული ორგანიზაციის საქმიანობის გასაფართოებლად, რისთვისაც შექმნის ახალ პირველადს ორგანიზაციებს, ნორჩ მეხანძრეთა ნებაყოფლობითს რაზმეულებს, მოიზიდავს ახალ წევრებს საზოგადოების რიგებში; მოაწყობს საზოგადოებრივ კონტროლს სახალხო მეურნეობაში სახანძრო უსაფრთხობისადმი, შეასწავლის მოსახლეობას ხანძრის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის წესებსა და ხერხებს; განახორციელებს სხვა ღონისძიებებს საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად;

ბ) განიხილავს ორგანიზაციულ-მასობრივი და საწარმოო საქმიანობის შედეგებს, გაავრცელებს მუშაობის მოწინავე გამოცდილებას; მოაწყობს საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების შეჯიბრებას და ხელმძღვანელობას გაუწევს მას;

გ) შესაბამის საბჭოთა ორგანოებს მიაწვდის ინფორმაციას საზოგადოების საქალაქო, რაიონულ ორგანიზაციებში საქმის მდგომარეობის შესახებ.

49. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქალაქო და რაიონული საბჭოს სხდომები მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც. საზოგადოების საქალაქო, რაიონული ორგანიზაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის საბჭოს სხდომებსა ირჩევა საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე.

საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები

50. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საფუძველს წარმოადგენენ პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ ღონისძიებებს ხანძრის თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლისათვის.

პირველადი ორგანიზაცია შედგება იმ წევრებისაგან, რომლებიც მუშაობენ ერთ საწარმოში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სწავლობენ ერთ სასწავლებელში ან ცხოვრობენ ერთ სასოფლო დასახლებულ პუნქტში, ერთი სახლმმართველობის ან საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის სახლებში.

51. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები თავიანთ მუშაობას საფუძვლად უდებენ საზოგადოების წევრთა ინიციატივასა და თვითმოქმედებას საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ და კოოპერაციულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში: დახმარებას უწევენ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, სასწავლებლების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ადმინისტრაციას ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებაში.

52. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები:

ა) განუმარტავენ მოსახლეობას საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს და იმას, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური ქონებისა და მოქალაქეთა პირადი ქონების დაცვა ხანძრისაგან;

ბ) მოაწყობენ და ჩაატარებენ საზოგადოების წევრებს შორის და მოსახლეობაში ლექციებს, მოხსენებებსა და საუბრებს ხანძარსაწინააღმდეგო თემებზე;

გ) შექმნიან და მოაწყობენ სახანძრო-ტექნიკურ კაბინეტებს, ოთახებსა და კუთხეებს, სახანძრო საქმის შემსწავლელ წრეებს და ხელმძღვანელობას გაუწევს მათს მუშაობას;

დ) მოაწყობენ და ჩაატარებენ სახანძრო-ტექნიკურ მეცადინეობას, ექსკურსიებს სახანძრო-ტექნიკურ გამოფენებზე, სახანძრო ნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილებსა და სახანძრო-ტექნიკურ სასწავლებლებში, შეჯიბრებებს სახანძრო-გამოყენებითი სპორტის და მისი სხვა სახეობათა საბრძოლო გაშლისათვის;

ე) განახორციელებენ საზოგადოებრივ კონტროლს სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვისადმი, სახანძრო დეპოებისა და ფარდულების, წყალმომარაგების წყაროებისა და მათთან მისასვლელი გზების, სახანძრო ტექნიკის, ინვენტარის, მოწყობილობისა და ხანძრის ჩაქრობის პირველად საშუალებათა წესიერ მდგომარეობაში შენახვისადმი;

ვ) მოისმენენ საზოგადოების წევრთა ანგარიშებს იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ ისინი ნებაყოფლობითს სახანძრო რაზმებში, საბრძოლო სახანძრო გუნდებში და, როგორც სახანძრო დაცვის რწმუნებულნი, საცხოვრებელ სახლებში;

ზ) საჭირო შემთხვევებში მიაწვდიან ინფორმაციას საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებს სახანძრო უსაფრთხობის წესების დარღვევის დაშვებული ფაქტების შესახებ, შეიტანენ წინადადებებს ამ საკითხებზე;

თ) მონაწილეობას მიიღებენ შეჯიბრებებისა და საზოგადოებრივი დათვალიერების ორგანიზაციის და ჩატარების საქმეში, რათა უზრუნველყოფილ იქნას სახანძრო უსაფრთხობა საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, დასახლებულ პუნქტებში, დაწესებულებებში, სახლმმართველობებში, საცხოვრებელ სახლებში და ა. შ.; ხელს შეუწყობენ სახანძრო-ტექნიკური კომისიების მოწყობასა და მუშაობას საწარმოებში;

ი) დახმარებას გაუწევენ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ადმინისტრაციას იმ მხრივ, რომ შეასწავლონ მუშებს, მოსამსახურეებსა და მოსახლეობას სახანძრო-ტექნიკური მინიმუმი, რომ მოეწყოს ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმები და სახანძრო საგუშაგოები, აგრეთვე მონაწილეობას მიიღებენ ხანძრის ჩაქრობაში.

53. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია შეიქმნება იმ შემთხვევაში, თუ არის საზოგადოების სულ ცოტა 10 წევრი.

54. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საზოგადოების წევრთა საერთო კრება (კონფერენცია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრება (კონფერენცია) უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება საზოგადოების წევრთა (დელეგატთა) ნახევარზე მეტი. პირველადი ორგანიზაციების საერთო კრებების (კონფერენციების) მოწვევის ვადები განისაზღვრება ამ ორგანიზაციების მუშაობის გეგმებით.

55. მიმდინარე მუშაობის საწარმოებლად საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები, რომლებშიაც ირიცხება 15 და მეტი წევრი, აირჩევენ საერთო კრებებზე (კონფერენციებზე) ერთი წლის ვადით საბჭოებს იმ რაოდენობით, რასაც განსაზღვრავს კრება (კონფერენცია). საბჭო თავისი შემადგენლობიდან აირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს. ორგანიზაციებში, სადაც 15 წევრზე ნაკლებია, მიმდინარე მუშაობის საწარმოებლად აირჩევიან პირველადი ორგანიზაციების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები.

მსხვილ პირველადს ორგანიზაციებში საწევრო შენატანების შეგროვებისა და აღრიცხვისათვის არჩეული იქნება საზოგადოებრივი ხაზინადარი.

56. მსხვილ პირველადს ორგანიზაციებში შეიძლება შეიქმნას საზოგადოების ძირეული ორგანიზაციები (უჯრედები) საწარმოს საამქროებსა და ცვლებში, კოლმეურნეობის ბრიგადებში, საბჭოთა მეურნეობის განყოფილებებში, დასახლებულ პუნქტებში, დაწესებულების განყოფილებებში, სასწავლებლის ფაკულტეტებზე, საბინაო და საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების უბნებში, სახლების ჯგუფებსა და ცალკეულ საცხოვრებელ სახლებში. ძირეული ორგანიზაციების შექმნისა და საქმიანობის წესს დაადგენს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების სარევიზიო კომისიები

57. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების სარევიზიო კომისიები შეამოწმებენ საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესრულებას, სახსრების ხარჯვისა და მატერიალურ ფასეულობათა გამოყენების სისწორეს, აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებას, განახორციელებენ კონტროლს მშრომელთა წერილებისა და განცხადებების დროულად განხილვისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარევიზიო კომისიები მუშაობენ საზოგადოების ზემდგომი სარევიზიო კომისიების ხელმძღვანელობით და თავიანთი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებენ საზოგადოების წევრთა კონფერენციებსა და საერთო კრებებს შესაბამის საბჭოებთან ერთად.

სარევიზიო კომისიები თავიანთი შემადგენლობიდან აირჩევენ თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს.

სარევიზიო კომისიას შეუძლია მონაწილეობა მიაღებინოს თავის მუშაობაში ექსპერტებად აქტივს საზოგადოების წევრთა, ბუღალტერთა და სხვა სპეციალისტთა რიცხვიდან.

შენიშვნა: სარევიზიო კომისიაში არ შეიძლება არჩეულ იქნან საზოგადოების საბჭოს წევრები ან მოცემული ორგანიზაციის შტატის მუშაკები.

58. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების სარევიზიო კომისიების წევრები მონაწილეობას იღებენ საზოგადოების შესაბამისი საბჭოს და პრეზიდიუმის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით.

V. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საბჭოების სექციები

59. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საბჭოებთან შეიძლება შეიქმნას საორგანიზაციო, სასწავლო მუშაობის, ხანძარსაწინააღმდეგო ფორმირებათა მუშაობის, სახანძრო-გამოყენებითი სპორტის, ნორჩ მეხანძრეთა ნებაყოფლობითი რაზმეულების, სახანძრო პროფილაქტიკის, ხანძარსაწინააღმდეგო პროპაგანდის, საწარმოო საქმიანობისა და სხვა სექციები.

საზოგადოების სექციების მუშაობის წესს განსაზღვრავს დებულება სექციების შესახებ, რომელსაც დაამტკიცებს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

VI. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების სახსრები

60. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ფულადი სახსრები შედგება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) საზოგადოების წევრთა შესასვლელი და საწევრო შენატანებისაგან. შესასვლელი შენატანები 5 კაპიკის ოდენობით გადახდილი იქნება საზოგადოების წევრად შესვლის დროს. საწევრო გადასახადს საზოგადოების წევრები იხდიან წელიწადში 10 კაპიკის ოდენობით;

ბ) საზოგადოების საწარმოო, სასწავლო და იმ სხვა საქმიანობის შემოსავლიდან, რაც გათვალისწინებულია ამ წესდებით.

61. საწარმოო საქმიანობისაგან მიღებულ მოგებას, რაც დარჩენილია საშემოსავლო გადასახადის გადახდის შემდეგ და იმ სახსრებს, რომლებიც სხვა წყაროებიდან შემოდის, საწევრო შენატანების ჩათვლით, საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება და მისი ადილობრივი ორგანიზაციები დახარჯავენ საზოგადოების მიზნებისა და ამოცანებისაგან გამომდინარე ღონისძიებათა განსახორციელებლად, გეგმებით გათვალისწინებული წესით.

62. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური აპარატის, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოებათა საბჭოების აპარატის შენახვა, აგრეთვე ცენტრალიზებულ ღონისძიებათა განხორციელება წარმოებს საზოგადოების რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკების) საოლქო, საქალაქო, რაიონული და სადაბო ორგანიზაციების იმ საბალანსო მოგებიდან ანარიცხების ხარჯზე, რაც მიღებულია მათი საწარმოო საქმიანობისაგან. ამ ანარიცხების ოდენობას წესსა და ვადებს განსაზღვრავს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო.

63. ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოებათა საბჭოების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შენახვა ხდება საზოგადოების სახსრების ხარჯზე და ეს პერსონალი რეგისტრირებულ უნდა იქნას საფინანსო ორგანოებში.

VII. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ლიკვიდაციის წესი

64. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქმიანობა შეიძლება შეწყდეს საზოგადოების ყრილობის გადაწყვეტილებით, რომელიც უნდა დაამტკიცოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო, რაიონული ორგანიზაციის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს საზოგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოების შესაბამისი კონფერენციის გადაწყვეტილებით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნას საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

65. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონებისა და სახსრების გადაცემა მოხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მითითებით.

საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო, რაიონული ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება და სახსრების გადაცემა მოხდება შესაბამის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და საოლქო აღმასკომის მითითების თანახმად.

124 მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების მოწყობილობით დაკომპლექტების გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების მოწყობილობით დაკომპლექტების საქმეს სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. ასეთი საწარმოების მხოლოდ მცირე რიცხვისათვის არის გათვალისწინებული სახალხო-სამეურნეო გეგმებით მატერიალური რესურსები, რომლებიც მიზნობრივი დანიშნულებით გამოიყოფა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 8 სექტემბრის № 731 დადგენილების შესაბამისად და იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს პასუხისმგებლობა რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების მოწყობილობით დროულად და სრულად დაკომპლექტებისათვის, აღმოფხვრას შეკვეთილი სპეციფიკაციებითა და ტექნიკური დოკუმენტაციით მშენებლობების უზრუნველყოფის საქმეში არსებული დიდი ნაკლოვანებანი, გადიდდეს მიმწოდებელი ქარხნების პასუხისმგებლობა მიწოდების ვადების, მისაწოდებელი მოწყობილობის კომპლექტურობისა და ხარისხის დაცვისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნას რესპუბლიკის მრეწველობის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების მოწყობილობით და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპლექტების სამმართველო (სამეურნეო ანგარიშზე), საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა საერთო რაოდენობის ფარგლებში და დაამტკიცოს სამმართველოს სტრუქტურა და შტატი 75 ერთეულის რაოდენობით დანართის თანახმად. თანამდებობრივი განაკვეთები შეთანხმებულ იქნას სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან.

2. დაწესდეს, რომ რესპუბლიკის მრეწველობის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების მოწყობილობით დაკომპლექტების სამმართველო:

დააკომპლექტებს რესპუბლიკის მრეწველობის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფ ყველა საწარმოს (გარდა ქიმიური, ნავთობგადამამუშავებელი, ნავთობქიმიური და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის და ქიმიური მანქანათმშენებლობის საწარმოებისა, აგრეთვე მრეწველობის სხვა დარგების საწარმოებისა 1,5 მილიონი მანეთის და მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით, იმ ნუსხის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო) ყოველგვარი სახის ტექნოლოგიური, ელექტროტექნიკური, საერთო-საქარხნო მოწყობილობით (არასტანდარტიზებული მოწყობილობის ჩათვლით), ფიტინგებით, ფლანცებითა და მაღალი წნევის სარჭებით, არმატურით, ხელსაწყოებით, ავტომატიზაციის, კავშირგაბმულობის საშუალებებითა და საკაბელო ნაკეთობებით;

არის ფონდმქონე და თავის საქმიანობას განახორციელებს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და მოწყობილობისა და სხვა ნაკეთობათა მიმწოდებელ ქარხნებთან სახელშეკრულებო საწყისებზე;

შეადგენს მოწყობილობისა და მაკომპლექტებელ ნაკეთობათა კომპლექსური მიწოდების გეგმებსა და გრაფიკებს;

პასუხისმგებელია აღნიშნული პროდუქციის იმ ვადებში კომპლექტური მიწოდებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ობიექტებისა და საწარმოო სიმძლავრეთა დროულად გადაცემას საექსპლუატაციოდ;

მონაწილეობას მიიღებს მოწყობილობის, კერძოდ, არასტანდარტიზებული მოწყობილობის დამზადების შეკვეთების განაწილებაში, შენდებადი ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის ვადებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გრაფიკების შესაბამისად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარუდგენს განაცხადებს, რომ გამოიყოს მოწყობილობა, ხელსაწყოები, საკაბელო და სხვა ნაკეთობანი რესპუბლიკის მრეწველობის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოებისათვის;

შეიმუშავებს საქართველოს სსრ სახმშენთან ერთად ღონისძიებებს დაუყენებელი და ზედმეტი მოწყობილობის უსწრაფესად გამოყენებისათვის;

საჭირო შემთხვევებში გადაანაწილებს გამოყოფილ მოწყობილობასა და ნაკეთობებს რესპუბლიკის მრეწველობის მშენებლობებს შორის;

მონაწილეობას მიიღებს კაპიტალური მშენებლობისა და ახალ სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმების შემუშავებაში, აგრეთვე განახორციელებს კონტროლს შეკვეთილი მოწყობილობის სპეციფიკაციების დროულად გაცემისადმი.

3. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარეს, მინისტრებსა და უწყებათა ხელმძღვანელებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა:

კომპლექტური მოწყობილობის სამონტაჟოდ გადაცემისათვის სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა გრაფიკების შესაბამისად და იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ასამუშავებელი ობიექტების გადაცემა საექსპლუატაციოდ დაწესებულ ვადებში;

მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების დასაკომპლექტებლად შეკვეთილი საჭირო მოწყობილობისა და მაკომპლექტებელ ნაკეთობათა სპეციფიკაციების დროულად დამტკიცებისათვის;

მოწყობილობასა და მაკომპლექტებელ ნაკეთობებზე განაცხადების დროულად და სწორად შედგენისათვის;

არასტანდარტიზებული მოწყობილობის დამზადების შეკვეთების განაწილებისა და მისი დამზადებისათვის, აგრეთვე იმ ლითონის, მილეგისა და მაკომპლექტებელ ნაკეთობათა გამოყოფისათვის, რომლებიც საჭიროა არასტანდარტიზებული მოწყობილობის დასამზადებლად, რაც მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფ საწარმოებს სჭირდებათ;

რესპუბლიკის მრეწველობის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების მოწყობილობით დაკომპლექტების სამმართველოსთან შეკვეთებისა და ხელშეკრულებათა დროულად გაფორმებისათვის და მისგან შემოსული მოწყობილობის მიღებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობებზე მიღებული მოწყობილობის დროულად დაფინანსებისა და მისი პირდაპირი დანიშნულებით გამოყენებისათვის.

4. დაევალოთ შენდებადი საწარმოების დირექტორებს:

დროულად დადონ ხელშეკრულებანი რესპუბლიკის მრეწველობის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების მოწყობილობით დაკომპლექტების სამმართველოსთან მოწყობილობისა და მაკომპლექტებელ ნაკეთობათა მიწოდების შესახებ;

დროულად და სწორად შეადგინონ საშეკვეთო სპეციფიკაციები და წარუდგინონ ისინი დაკომპლექტების სამმართველოს დაწესებულ ვადებში;

მოახდინონ შეკვეთილი არასტანდარტიზებული მოწყობილობის რეალიზაცია;

დროზე აანაზღაურონ მოწყობილობა, რომელსაც მშენებლობა ღებულობს კაპიტალურ დაბანდებათა და დადებულ ხელშეკრულებათა გეგმების შესაბამისად;

უზრუნველყონ მიღებული მოწყობილობის დაცვა-შენახვა და მისი გადაცემა სამონტაჟოდ, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გრაფიკებისა და სამრეწველო სიმძლავრეთა და ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმების შესაბამისად.

5. დაეკისროთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების მრეწველობის საწარმოებს განაგებს, მანქანათმშენებელი ქარხნებისა და იმ სხვა საწარმოების დირექტორებსა და მთავარ ინჟინრებს, რომლებიც მოწყობილობასა და მაკომპლექტებელ ნაკეთობებს ამზადებენ, — იმისათვის პირადი პასუხისმგებლობა, რომ დროზე დამზადდეს და მიეწოდოს საწარმოებს დაწესებული კომპლექტურობისა და სათანადო ხარისხის მოწყობილობა.

6. დაწესდეს, რომ მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოებისათვის მოწყობილობის დაწესებულ ვადებში მიწოდების შესრულება საწარმოთა მუშაობის შეფასების დროს განიხილება როგორც სახელმწიფო გეგმების შესრულების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი.

საწარმოთა ხელმძღვანელები და მთავარი ინჟინრები, აგრეთვე სხვა თანამდებობის პირები, რომლებიც დამნაშავენი იქნებიან მოწყობილობის მიწოდების ჩაშლაში, არაკომპლექტური მოწყობილობის მიწოდებასა და მის დაბალ ხარისხში, სასტიკად უნდა დაისაჯონ და ჩამოერთვათ პრემიალური ჯილდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გაითვალისწინოს სამრეწველო პროდუქციის განაწილების გეგმებით, რომ ცალკეულ სტრიქონად გამოეყოს მრეწველობის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების მოწყობილობით დაკომპლექტების სამმართველოს მოწყობილობა, ხელსაწყოები, საკაბელო და სხვა ნაკეთობანი იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს სიმძლავრეთა დროულად გადაცემას საექსპლუატაციოდ.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას გაითვალისწინოს, 1965 წლიდან დაწყებული, რომ რესპუბლიკის საწარმოებში დამზადდეს არასტანდარტიზებული მოწყობილობა რესპუბლიკის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოებისათვის, რესპუბლიკის მრეწველობის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების მოწყობილობით დაკომპლექტების სამმართველოს განაცხადებით.

9. დაწესდეს, რომ მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების დირექციები გადაურიცხავენ რესპუბლიკის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების მოწყობილობით დაკომპლექტების სამმართველოს სახსრებს არმატურის, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა ღირებულების ერთი პროცენტის რაოდენობით და ამ საწარმოებისათვის მისაწოდებელი მოწყობილობის, საკაბელო და სხვა ნაკეთობათა ღირებულების 0,7 პროცენტის რაოდენობით.

10. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ გამოეყოს საჭირო საბრუნავი სახსრები რესპუბლიკის მრეწველობის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების მოწყობილობით დაკომპლექტების სამმართველოს.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და სახმშენმა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად დასაგეგმავი წლის დაწყებამდე არა უგვიანეს 9 თვისა მრეწველობის იმ შენდებადი ობიექტების სიები, რომლებიც უნდა დააკომპლექტოს რესპუბლიკის მრეწველობის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების მოწყობილობით დაკომპლექტების სამმართველომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს შეიმუშაოს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით ორი თვის ვადაში წარმოადგინონ ძირითადი დებულებანი მშენებლობის და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების დაკომპლექტებისა მოწყობილობით, ხელსაწყოებით, საკაბელო და სხვა ნაკეთობებით, აგრეთვე დებულება მოწყობილობის მიმწოდებლების, შემკვეთებისა და მომხმარებლების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

13. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა მიიღონ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 8 სექტემბრის № 731 დადგენილება „მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების მოწყობილობით დაკომპლექტების გაუმჯობესების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 21 ნოემბერი, № 697.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 21 ნოემბრის № 697
დადგენილების დანართი

საშტატო განრიგი

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების მოწყობილობით დაკომპლექტების სამმართველოსი

სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება	საშტატო-ერთეულების რაოდენობა
ხელმძღვანელობა	
სამმართველოს უფროსი	1
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2
იურისკონსულტი	1
უფროსი ინსპექტორი კადრების დარგში	1
მდივანი-სტენოგრაფისტი	1
სულ	6
შეჯამებული გეგმებისა და ბალანსების განყოფილება	
განყოფილების უფროსი — —იგივე სამმართველოს უფროსის მოადგილე	1
განყოფილების უფროსის მოადგილე	1
უფროსი ინჟინერი	1
ინჟინერი	3
უფროსი ტექნიკოსი	1
სულ	7
მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების კურირების განყოფილება	
განყოფილების უფროსი	1
განყოფილების უფროსის მოადგილე	1
უფროსი ინჟინერი	1
ინჟინერი	3
სულ	6

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება	საშტატო-ერთეულების რაოდენობა
არასტანდარტული მოწყობილობის განყოფილება	
განყოფილების უფროსი	1
უფროსი ინჟინერი	1
ინჟინერი	2
უფროსი ტექნიკოსი	1
სულ	5
სამშენებლო ობიექტების დაკომპლექტების განყოფილება	
განყოფილების უფროსი	1
უფროსი ინჟინერი	1
ინჟინერი	1
სულ	3
მძიმე მანქანათმშენებლობის მოწყობილობის განყოფილება	
განყოფილების უფროსი	1
უფროსი ინჟინერი	1
ინჟინერი	4
სულ	6
ქიმიური, სატუმბო-საკომპრესორო და ნავთობის მოწყობილობის განყოფილება	
განყოფილების უფროსი	1
უფროსი ინჟინერი	1
ინჟინერი	4
სულ	6
სამანქანათმშენებლო, სანტექნიკური და საევნტილაციო მოწყობილობის განყოფილება	
განყოფილების უფროსი	1
უფროსი ინჟინერი	1
ინჟინერი	4
უფროსი ტექნიკოსი	1
სულ	7

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება	საშტატო-ერთეულების რაოდენობა
ელექტროტექნიკური მოწყობილობისა და საკაბელო ნაკეთობათა განყოფილება	
განყოფილების უფროსი	1
უფროსი ინჟინერი	2
ინჟინერი	3
უფროსი ტექნიკოსი	1
სულ	7
კავშირგაბმულობის, რადიოტექნიკისა და ელექტრონიკის მოწყობილობის განყოფილება	
განყოფილების უფროსი	1
უფროსი ინჟინერი	1
ინჟინერი	1
უფროსი ტექნიკოსი	1
სულ	4
საიმპორტო მოწყობილობის განყოფილება	
განყოფილების უფროსი	1
უფროსი ინჟინერი	1
ინჟინერი	1
უფროსი ტექნიკოსი	1
სულ	4
ბუღალტერია	
მთავარი ბუღალტერი	1
მთავარი ბუღალტრის მოადგილე	1
ბუღალტერი	3
მოლარე-ინკასატორი	1
ეკონომისტ-ფინანსისტი	1
სულ	7

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება	საშტატო-ერთეულების რაოდენობა
ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება	
განყოფილების უფროსი	1
საქმის მწარმოებელი	1
უფროსი ინსპექტორი	1
მემანქანე	2
შიკრიკი-დამლაგებელი	1
დამლაგებელი	1
სულ . . .	7
მთლად . . .	75

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

125 საწარმოების ეკონომიური სტიმულირების სისტემის გაუმჯობესებისა და ახალი ტექნიკის შექმნა-დანერგვით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1964 წლის 25 აგვისტოს № 81 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1964 წლის 25 აგვისტოს № 81 დადგენილება „საწარმოების ეკონომიური სტიმულირების სისტემის გაუმჯობესებისა და ახალი ტექნიკის შექმნა-დანერგვით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ“ დაეგზავნოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს, უწყებებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ უფრო ეფექტიანად გამოყენება საწარმოთა ფონდებისა მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის, ახალი ტექნიკის და სახსრების ათვისების ფონდებისა, რომლებიც გამოიყოფა საწარმოების, სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და გეოლოგიურ-სადაზვერვო ორგანიზაციების მუშაკთა დასაჯილდოებლად ახალი ტექნიკის ხაზით შესრულებული სამუშაოებისათვის, იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს პროდუქციის საიმედოობა, გამძლეობა და მისი ხარისხის სხვა მაჩვენებლები და ამაღლდეს მეცნიერებისა და ტექნიკის დონე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 26 ნოემბერი, № 701.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ებ ა № 81

1964 წლის 25 აგვისტო

მოსკოვი, კრემლი

საწარმოების ეკონომიური სტიმულირების სისტემის გაუმჯობესებისა და ახალი ტექნიკის შექმნა-დანერგვით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ საწარმოთა ეკონომიური სტიმულირებისა და ახალი ტექნიკის შექმნა-დანერგვით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებანი, რომლებიც განხორციელებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 23 ივნისის № 687 დადგენილებით, ხელს უწყობდნენ სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვას.

ამასთან ერთად, საწარმოთა ეკონომიური სტიმულირების და ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის მუშაკთა დაჯილდოების მოქმედ სისტემებში, აგრეთვე ამ სისტემების გამოყენების პრაქტიკაში სერიოზული ნაკლოვანებანია. ბევრ საბჭოთა მეურნეობაში, სამინისტროებსა და უწყებებში სუსტად არის დაყენებული მუშობა ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომიური ეფექტიანობის და ახალი ტექნიკის შექმნა-დანერგვის გამო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა პრემიების ოდენობის განსაზღვრისათვის. მთელ რიგ შემთხვევებში შექმნილი მანქანები და მოწყობილობა არ შეესაბამებიან ტექნიკის თანამედროვე დონეს. ისინი დაბალი ეკონომიური მაჩვენებლებით ხასიათდებიან და კონკურენციის უნარმოკლებულნი არიან.

საწარმოების ეკონომიური სტიმულირების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების და ახალი ტექნიკის შექმნა-დანერგვით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სახელმწიფო დარგობრივმა და საწარმოო კომიტეტებმა, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ უფრო ეფექტიანი გამოყენება საწარმოების ფონდებისა მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის, ახალი ტექნიკის და სახსრების ათვისების ფონდებისა, რომლებიც გამოიყოფა საწარმოების, სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და გეოლოგიურ-სადაზვერვო ორგანიზაციების მუშაკთა დასაჯილდოებლად ახალი ტექნიკის ხაზით შესრულებული სამუშაოებისათვის, იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს პროდუქციის საიმედოობა, გამძლეობა და მისი ხარისხის სხვა მაჩვენებლები, მიღწეულ და გადამეტებულ იქნას მეცნიერებისა და ტექნიკის მსოფლიო დონე.

2. დაწესდეს, რომ ანარიცხები მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფის საწარმოს ფონდში გეგმური მოგებიდან (ან თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებული ეკონომიის თანხიდან), რაც მიღებულია ახალი ტექნიკის ნაკეთობათა და პროდუქციის ახალ სახეობათა გამოშვების შედეგად, რომლებიც გათვალისწინებულია საწარმოს ახალი ტექნიკის წლიური გეგმებით, მათი სერიული გამოშვების პირველი წლის განმავლობაში გადარიცხავენ მრეწველობის ქიმიური, ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობქიმიური დარგების სამრეწველო საწარმოები 15 პროცენტის ოდენობით, ხოლო მრეწველობის მეტალურგიული, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამმუშავებელი დარგების და საშენ მასალათა მრეწველობის სამრეწველო საწარმოები — 10 პროცენტის ოდენობით, თუ საწარმომ შეასრულა პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 4 თებერვლის № 99 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა (პუნქტი 2) მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფის ფონდის შესახებ.

3. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების მე-2 პუნქტში აღნიშნული მრეწველობის დარგების საწარმოებში საწარმოს ფონდის ანარიცხების ზღვრული ოდენობა გადიდდება, როდესაც ახალი ტექნიკის ნაკეთობათა და პროდუქციის ახალ სახეობათა ხვედრითი წონა წარმოების საერთო მოცულობაში შეადგენს 10-დან 15 პროცენტს, სამრეწველო საწარმოს პერსონალის ხელფასის წლიური ფონდის 6 პროცენტამდე, 15-დან 20 პროცენტს — 6,5 პროცენტამდე და 25 პროცენტს ზევით — 7 პროცენტამდე.

4. ნება დაერთოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც ამზადებენ მრეწველობის ქიმიური, ნავთობგადამმუშავებელი, ნავთობქიმიური, მეტალურგიული, ცელულოზა-ქაღალდის და ჰიდროიზოლაციის დარგების სამოქალაქო პროდუქციას, აგრეთვე მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების სამოქალაქო პროდუქციას, შექმნან ამ პროდუქციის თვითღირებულებიდან საწარმოთა ანარიცხების ხარჯზე ახალი ტექნიკის ათვისების ფონდი. მრეწველობის ჩამოთვლილი დარგების საწარმოთა გეგმური დანახარჯები ახალი სახის სამოქალაქო პროდუქციის წარმოების მომზადებისა საკონსტრუქტორო, საცდელი და სხვა სამუშაოებისათვის, რომლებიც განხორციელებულია პროდუქციის სერიული გამოშვების დაწყებამდე (სპეციალური ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების, აგრეთვე პირველი საცდელი ნიმუშის ან პირველი საცდელი სერიის, ნაკეთობათა პარტიის პირვანდელი კომპლექტის დამზადების ჩათვლით), არ მიეკუთვნოს უშუალოდ ამ პროდუქციის თვითღირებულებას, არამედ ანაზღაურდეს ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის სახსრების ხარჯზე.

შენარჩუნებულ იქნას, როგორც გამონაკლისი, მოქმედი წესი დანახარჯების ანაზღაურებისა გემების, ლოკომოტივების, მაგისტრალური სატვირთო ვაგონების, სამოქალაქო საჰაერო ფლოტისათვის თვითმფრინავებისა და საავიაციო ძრავების, აგრეთვე ახალი ტექნიკის საცდელი ნიმუშების (სერიების, პარტიების) და იმ ახალი სახის პროდუქციის წარმოების მომზადებისათვის, რომელიც მზადდება ერთჯერადი (ერთეული) შეკვეთებით.

5. დაწესდეს, რომ ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის შექმნის წესი და მრეწველობის ქიმიური, ნავთობგადამმუშავებელი, ნავთობქიმიური, მეტალურგიული, ცელულოზა-ქაღალდის და ჰიდროლიზური დარგების ახალი სახეობის სამოქალაქო პროდუქციის წარმოების ათვისების დანახარჯების ანაზღაურების, აგრეთვე ახალი სახის ტრაქტორების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების ათვისების წესი, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით, შემოღებული იქნება სამოქმედოდ 1965 წლის 1 იანვრიდან, ხოლო მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების სამოქალაქო პროდუქციისათვის (გარდა ახალი სახის ტრაქტორების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა), — ამ დადგენილების მიღების დღიდან.

მრეწველობის დარგების მიხედვით ახალი ტექნიკის ათვისების ფონდში სამოქალაქო პროდუქციის თვითღირებულებიდან საწარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ანარიცხების ოდენობა დამტკიცდება დადგენილი წესით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სსრ კავშირის სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს წარდგენით.

6. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების მე-4 პუნქტში აღნიშნული მრეწველობის დარგების სამოქალაქო პროდუქციის ახლად ათვისებულ სახეობათა საბითუმო ფასები უნდა განისაზღვროს წინათ ათვისებული ანალოგიური ან კონსტრუქციის, ან დანიშნულების მიხედვით მსგავსი პროდუქციის მოქმედი საბითუმო ფასების დონის შესაბამისად, მისი უფრო მაღალი მწარმოებლურობის გათვალისწინებით, აგრეთვე ახლად გამოშვებული პროდუქციის მომხმარებლისათვის სხვა ტექნიკურ-ეკონომიურ უპირატესობათა გათვალისწინებით (პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, წარმოების ხარჯების შემცირება და შრომის პირობების გაადვილება).

სამოქალაქო პროდუქციის პრინციპულად ახალი სახეობებისათვის, რომელთა ათვისება პირველად წარმოებს სსრ კავშირში და არა აქვს ანალოგია დამზადებულ პროდუქციასთან, საბითუმო ფასები დაწესდეს დამზადებულ საწარმოში გეგმური თვითღირებულების (ისე, რომ არ იქნას შეტანილი მასში დანახარჯები, რომლებიც ანაზღაურებულ უნდა იქნას ამ დადგენილების მე-4 პუნქტის შესაბამისად ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის სახსრების ხარჯზე) და საშუალო გეგმური რენტაბელობის საფუძველზე. მაგრამ არა უმეტეს 10 პროცენტისა.

7. სახელმწიფო დარგობრივმა კომიტეტებმა შეიმუშაონ მრეწველობის იმ დარგებისათვის, რომლებშიაც დანახარჯების ანაზღაურება ახალი ტექნიკის ასათვისებლად უნდა ხდებოდეს ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის სახსრების ხარჯზე, და, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, 1965 წლის 1 ივლისამდე დაამტკიცონ დარგობრივი მეთოდური დებულებანი ახლად ასათვისებელი სახეობის სამოქალაქო პროდუქციის საბითუმო ფასების დადგენის წესის შესახებ, ნაკეთობათა ტექნიკურ-ეკონომიური დახასიათებების (პარამეტრების) და მათი გამოყენების ეკონომიური ეფექტიანობის გათვალისწინებით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტეტის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით 1964 წლის 1 ოქტომბრამდე შეიმუშაოს აღნიშნულ დარგობრივ მეთოდურ დებულებათა ძირითადი პრინციპები.

8. დაწესდეს, რომ 1966 წლის 1 იანვრიდან ის ორგანიზაციები, რომლებიც იძლევიან პროდუქციის ახალ სახეობათა შემუშავების დავალებებს, მოვალენი არიან ამ დავალებებში შესატან პარამეტრებში აღნიშნონ პროდუქციის ზღვრული ფასები, რომლებიც უნდა დაწესდეს ამ დადგენილების მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დარგობრივი მეთოდური დებულებების შესაბამისად.

დაევალოთ ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ პროდუქციის ახალ სახეობათა სახელმწიფო გამოცდას, წარუდგინონ ამ პროდუქციის ფასების დამწესებელ ორგანოებს რეკომენდაციები მისი ფასების ოდენობის შესახებ, ჩატარებული ცდების შედეგების გათვალისწინებით, აგრეთვე წარუდგინონ ამ რეკომენდაციების საჭირო ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთებანი.

9. უფრო სრულყოფილი ტექნიკის უსწრაფესად გამოშვების სტიმულირების მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალოს მანქანათმშენებლობისა და მრეწველობის იმ სხვა დარგების პროდუქციის ცალკეულ სახეობათა საბითუმო ფასების გადასინჯვა, რომლის პროდუქციის ნომენკლატურა სწრაფად ახლდება მათი ფასების მოძველების მიხედვით, ისე, რომ არ დაელოდონ საბითუმო ფასების საერთო გადასინჯვას.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დაამტკიცოს, 1965 წლიდან დაწყებული, მორიგი წლისა და მორიგი წლის მომდევნო წლისათვის მრეწველობის ცალკეული დარგების პროდუქციის ფასების გადასინჯვის გეგმები, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა ფასების გადასინჯვის განხორციელება, როგორც წესი, ისეთ ვადებში, რომ მისი შედეგების გათვალისწინება შეიძლებოდეს სახალხო მეურნეობის შემდგომი წლის გეგმის პროექტით.

10. უფლება მიენიჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, გაავრცელოს საჭიროების შემთხვევაში, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახელმწიფო დარგობრივი და საწარმოო კომიტეტების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების წინადადებებით, ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის შექმნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესი, სამოქალაქო პროდუქციის ახალ სახეობათა წარმოების ათვისების დანახარჯების ანაზღაურების წესი და ამ პროდუქციის ფასების დადგენის წესი, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილების მე-4 პუნქტში აღნიშნული მრეწველობის დარგებისათვის, მრეწველობის სხვა დარგებზე, რომლებშიაც ახალი სამოქალაქო პროდუქციის გამოშვება დაკავშირებულია მისი ათვისების მნიშვნელოვან დანახარჯებთან.

11. სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სახელმწიფო დარგობრივმა და საწარმოო კომიტეტებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, დაამტკიცონ, 1964 წლის 1 ოქტომბრიდან დაწყებული, პროდუქციის ახალ სახეობათა შრომატევადობის ნორმატივები, ამასთან გაითვალისწინონ საჭირო შემთხვევებში შრომითი დანახარჯების გადიდების შესაძლებლობა, როდესაც ეს დაკავშირებულია პროდუქციის საიმედოობის, გამძლეობისა და მისი ხარისხის სხვა მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან, აგრეთვე დაამტკიცონ გამოშვებული პროდუქციის შრომატევადობის შემცირების დავალებანი და გაითვალისწინონ ისინი შრომისა და თვითღირებულების გეგმის მაჩვენებლების განსაზღვრის დროს.

12. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს და სსრ კავშირის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად, 3 თვის ვადაში დაამტკიცონ ინსტრუქცია იმ დანახარჯების დაგეგმვის, კალკულირების, აღრიცხვისა და დაფინანსების წესის შესახებ, რომლებიც გაიწევა ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის ანგარიშში.

13. აწარმოონ მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის საწარმოების და „სოფლტექნიკის" რაიონულ გაერთიანება და განყოფილებათა საწარმოო ქვეგანაყოფების, აგრეთვე გეოლოგიურ-სადაზვერვო, სამეცნიერო-საკვლევ, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოება ახალი ტექნიკის დარგში სამუშაოთა შესრულებისათვის იმ ეკონომიური ეფექტიანობის გათვალისწინებით, რაც მიღებულია სახალხო მეურნეობაში ამ სამუშაოთა შესრულების შედეგად. ამასთან „სოფლტექნიკის" რაიონულ გაერთიანებათა და განყოფილებათა საწარმოო ქვეგანაყოფების მუშაკებისათვის დაჯილდოება შემოღებულია 1964 წლის 1 ოქტომბრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოება მოხდეს:

ა) ახალი, ტექნიკურად სრულყოფილი, საიმედო, გამძლე და ეკონომიურად ეფექტური მანქანების, მექანიზმების, აპარატების, ხელსაწყოებისა და სხვა ნაკეთობების, ახალი სახეობის ნედლეულისა და მასალების შექმნისა და დანერგვისათვის, აგრეთვე მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიური პროცესების და სამუშაოთა წარმოების პროგრესული მეთოდების შემუშავებისა და დანერგვისათვის;

ბ) წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შემუშავებისა და დანერგვისათვის, წარმოების ელექტროფიკაციისა და ქიმიზაციისათვის, მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაციისათვის;

გ) წარმოების ორგანიზაციის ეფექტიანი მეთოდების შემუშავებისა და დანერგვისათვის;

დ) შენობათა და ნაგებობათა აწყობისა და მონტაჟის მექანიზებული ნაკადური პროცესების, ახალი, ეკონომიურად ეფექტიანი სამშენებლო კონსტრუქციებისა და მასალების შემუშავებისა და დანერგვისათვის, აგრეთვე ახალი მშენებლობისა და ტექნიკური რეკონსტრუქციის პროექტების შექმნისათვის, ამასთან უზრუნველყოფილ უნდა იქნას კაპიტალურ დაბანდებათა მაღალი ეკონომიური ეფექტიანობა;

ე) სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების დაზვერვის ახალი პროგრესული, მაღალმწარმოებლურ საშუალებათა შემუშავებისა და დანერგვისათვის;

ვ) ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ტექნიკურად სრულყოფილ და ეკონომიურად ეფექტურ ახალ საშუალებათა დანერგვისათვის, აგრეთვე ტვირთზიდვისა და კავშირის ორგანიზაციის მაღალმწარმოებლური მეთოდების შემუშავებისა და დანერგვისათვის;

ზ) ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის სხვა სამუშაოთა შესრულებისათვის, აგრეთვე თეორიულ, საკვლევ და საძიებო სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის.

14. დაწესდეს ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის ერთდროული პრემიების შემდეგი ოდენობა იმ წლიური ეკონომიური ეფექტიანობის მიხედვით, რაც მიღებული იქნება სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის სამუშაოთა შესრულების შედეგად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლიური ეკონომიური ეფექტიანობა	პრემიის ოდენობა წლიური ეკონომიური ეფექტიანობის პროცენტულად
10 ათას მანეთამდე	6-დან 25 პროც.-მდე, მაგრამ არა უმეტეს 2 ათას მანეთისა
10 ათასიდან 20 ათას მანეთამდე . .	5-დან 20 „ „ „ 3,4 „
20 ათასიდან 50 ათას მანეთამდე . .	4-დან 17 „ „ „ 6 „
50 ათასიდან 100 ათას მანეთამდე . .	3-დან 12 „ „ „ 10 „
100 ათასიდან 500 ათას მანეთამდე . .	2-დან 10 „ „ „ 35 „
500 ათასიდან 2 მილიონ მანეთამდე . .	1-დან 7 „ „ „ 80 „
2 მილიონიდან 5 მილიონ მანეთამდე .	0,7-დან 4 „ „ „ 150 „
5 მილიონ მანეთს ზევით	0,5-დან 3 „ „ „ 200 „

ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემიების ოდენობა განისაზღვროს ეკონომიური ეფექტიანობის წინასწარი გაანგარიშების საფუძველზე ახალი ტექნიკის წლიური გეგმების დამტკიცების დროს.

პრემიების გაცემა მოხდეს ეკონომიური ეფექტიანობის დაზუსტებული გაანგარიშების საფუძველზე მთლიანად მუშაობის ან მისი ცალკეული ეტაპების დამთავრებიდან არა უგვიანეს ორი თვისა (ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავება, საცდელი ნიმუშის შექმნა და ა. შ.).

ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის სამუშაოთა შესრულებისათვის, აგრეთვე საკვლევ, საპროექტო და საძიებო სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის, როდესაც შეუძლებელი ხდება ეკონომიური ეფექტიანობის გაანგარიშება, პრემიის თანხა განისაზღვროს ხელფასის ფონდის 20 პროცენტამდე, რაც გამოანგარიშებულია ამ სამუშაოებზე დასაქმებულ მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთების მიხედვით, გეგმით დაწესებული პერიოდისათვის.

15. ნება დაერთოს სახალხო მეურნეობის საბჭოებს სახელმწიფო დარგობრივ და საწარმოო კომიტეტებს, სამინისტროებს, უწყებებს, სამხარეო აღმასკომებს და საოლქო აღმასკომებს იმ შემთხვევებში, როდესაც ახალი ტექნიკის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები ვადამდე სრულდება, გაუდიდონ 25 პროცენტამდე პრემიები საწარმოთა (ორგანიზაციათა) მუშაკებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოთა შესრულების დროს დაირღვა გეგმით დაწესებული ვადები საწარმოებისაგან (ორგანიზაციებისაგან) დამოუკიდებელი მიზეზებით, გასცენ პრემიების არა უმეტეს 50 პროცენტისა, რომლებიც განისაზღვრება ამ დადგენილების მე-14 პუნქტის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. დაწესდეს, რომ წლიური ეკონომიური ეფექტიანობის გამორკვევა, რაც მიღებული იქნება სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად, წარმოებს იმ მეთოდიკის მიხედვით, რომელსაც შეიმუშავებენ და დაამტკიცებენ სსრ კავშირის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის სახმშენი, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია.

17. სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სახელმწიფო დარგობრივმა და საწარმოო კომიტეტებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, სამხარეო აღმასკომებმა და საოლქო აღმასკომებმა გაითვალისწინონ მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოების, „სოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებათა და განყოფილებათა საწარმოო ქვეგანაყოფების, აგრეთვე გეოლოგიურ-სადაზვერვო ორგანიზაციების პროდუქციის თვითღირებულების (სამუშაოთა) გეგმებით სახსრების გადარიცხვა მუშაკთა დასაჯილდოებლად ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ან ძირითადი საქმიანობის პერსონალის ხელფასის ფონდის შემდეგი ოდენობით (პროცენტობით):

მრეწველობის ქიმიური, ნავთობგადამმუშავებელი, ნავთობქიმიური, მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი დარგების სამრეწველო საწარმოებში . . .	1
მრეწველობის შავი და ფერადი მეტალურგიის, ნავთობმომპოვებელი და გაზის დარგების, მრეწველობის, საშენ მასალათა, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის და ხისდამმუშავებელი დარგების სამრეწველო საწარმოებში, ელექტროენერგიისა და თბოენერგიის წარმოების სამრეწველო საწარმოებში	0,5
მრეწველობის დანარჩენი დარგების სამრეწველო საწარმოებში, სამშენებლო ორგანიზაციებში, „სოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებათა და განყოფილებათა საწარმოო ქვეგანაყოფებში	0,3
ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებსა და გეოლოგიურ-სადაზვერვო ორგანიზაციებში	0.2

დაწესდეს, რომ საწარმოები (ორგანიზაციები) აღნიშნული სახსრების 50—75 პროცენტს გადაურიცხავენ სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სახელმწიფო დარგობრივ და საწარმოო კომიტეტებს, სამინისტროებს, უწყებებს, სამხარეო აღმასკომებს და საოლქო აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასკომებს დაქვემდებარების მიხედვით, რათა შეიქმნას ცენტრალიზებული ფონდი ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის დასაჯილდოებლად და ამ სახსრების 25-დან 50 პროცენტამდე დაიტოვებენ თავიანთ განკარგულებაში ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის დასაჯილდოებლად. იმ სახსრების ოდენობას, რაც დატოვებულ უნდა იქნას საწარმოების (ორგანიზაციების) ხელმძღვანელთა განკარგულებაში, განსაზღვრავენ ზემდგომი ორგანიზაციები ახალი ტექნიკის იმ სამუშაოთა მოცულობის კვალობაზე, რომლებსაც ასრულებენ საწარმოები (ორგანიზაციები).

სახსრების ცენტრალიზებული ფონდიდან ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის დასაჯილდოებლად დაიხარჯება მუშაკთა წასახალისებლად იმ უმნიშვნელოვანესი სამუშაოების შესრულებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის საბჭოების, სახელმწიფო დარგობრივი და საწარმოო კომიტეტების, სამინისტროების, უწყებების, სამხარეო აღმასკომების და საოლქო აღმასკომების ახალი ტექნიკის სახალხო-სამეურნეო გეგმებითა და წლიური გეგმებით.

საწარმოს (ორგანიზაციის) სახსრები ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის დასაჯილდოებლად დაიხარჯება მუშაკთა წასახალისებლად იმ სამუშაოთა შესრულებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია საწარმოების (ორგანიზაციების) ახალი ტექნიკის წლიური გეგმებით, იმ ეკონომიური ეფექტიანობის მიხედვით, რაც მიღებული იქნება ამ სამუშაოთა შესრულების შედეგად მოცემულ საწარმოში (ორგანიზაციაში).

18. დაწესდეს, რომ სახსრები სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების იმ მუშაკებისათვის პრემიების მისაცემად, რომლებიც ასრულებენ ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის სამუშაოებს, ამ დადგენილების შესაბამისად, გათვალისწინებული იქნება ამ ორგანიზაციების შენახვის ხარჯთაღრიცხვებით (დანახარჯების ხარჯთაღრიცხვებით) ხელფასის წლიური ფონდის 4-8 პროცენტის ოდენობით, ხოლო ქიმიური მრეწველობის და ქიმიური მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვებით — ხელფასის წლიური ფონდის 6-10 პროცენტის ოდენობით.

სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციები აღნიშნული სახსრების 50 პროცენტამდე გადაურიცხავენ ზემდგომ ორგანიზაციებს, რათა შეიქმნას ცენტრალიზებული ფონდი ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის, დასაჯილდო-

ებლად, ხოლო ამ სახსრების დანარჩენ ნაწილს დაიტოვებენ თავიანთ განკარგულებაში, იმ სახსრების ოდენობას, რაც დატოვებული იქნება სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა განკარგულებაში, განსაზღვრავენ ზემდგომი ორგანიზაციები.

აღნიშნული ცენტრალიზებული ფონდიდან სახსრები უნდა დაიხარჯოს სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშაკთა წასახალისებლად ახალი მანქანებისა და მოწყობილობის ნიმუშების, ახალი სახის ნედლეულისა და მასალების, მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებისა და შექმნისათვის და ახალი ტექნიკის სხვა სამუშაოთა შესრულებისათვის, ახალი მშენებლობისა და ტექნიკური რეკონსტრუქციის პროექტების შემუშავებისათვის, აგრეთვე ახალი ტექნიკის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის, მიღებული ეკონომიური ეფექტიანობის მიხედვით.

სამეცნიერო-საკვლევი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების განკარგულებაში დატოვებული სახსრები დაიხარჯება მუშაკთა წასახალისებლად სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა თემატიკური გეგმების წარმატებით შესრულებისა და იმისათვის, რომ დახმარება გაეწიოთ საწარმოებს ამ სამუშაოთა შედეგების დანერგვაში.

საპროექტო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა განკარგულებაში დატოვებული სახსრები დაიხარჯება მუშაკთა წასახალისებლად შესრულებული საპროექტო და სხვა სამუშაოთა მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისათვის, ტიპობრივი პროექტების წარმატებით შემუშავებისათვის, საპროექტო და საძიებო სამუშაოთა ვადამდე შესრულებისათვის, აგრეთვე საპროექტო და საძიებო სამუშაოთა თემატიკური გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

იმ სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციებში, რომლებშიაც ამ დადგენილების შესაბამისად შეიქმნება ფონდი ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის დასაჯილდოებლად, — არ უნდა შეიქმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 5 ივნისის № 660 დადგენილებით გათვალისწინებული ფონდი მეცნიერების მუშაკთა დასაჯილდოებლად სამეცნიერო პრობლემების წარმატებით გადაჭრისა და წარმოებაში სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევების დანერგვისათვის.

19. დაწესდეს, რომ ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის სამუშაოთა შესრულებისათვის დაჯილდოებული იქნებიან მრეწველო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, „სოფლ-ტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებათა და განყოფილებათა საწარმოო ქვეგანაყოფების, გეოლოგიურ-სადაზვერვო, სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების (უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების ჩათვლით), საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშები, ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერი მუშაკები და სხვა სპეციალისტები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ ახალი ტექნიკის შექმნასა და დანერგვაში.

აღნიშნული საწარმოებისა და ორგანიზაციების სხვა მუშაკები, რომლებიც აქტიურად უწყობდნენ ხელს ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის დავალებათა შესრულებას დანიშნულ ვადაში ან ვადამდე, შეიძლება დაჯილდოებულ იქნან საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მიერ იმ პრემიების თანხების ფარგლებში, რაც დაწესებულია ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის, ამასთან ამ მუშაკთა დასაჯილდოებლად შეიძლება დაიხარჯოს პრემიების საერთო თანხის არა უმეტეს 10 პროცენტისა.

მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოთა დირექტორების და მთავარი ინჟინრების, აგრეთვე „სოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებათა და განყოფილებათა საწარმოო ქვეგანაყოფების, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ხელმძღვანელების და მათი მოადგილეების (წარმოებისა და სამეცნიერო ნაწილში) დაჯილდოებას ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის აწარმოებს ზემდგომი ორგანიზაცია ახალი ტექნიკის სამუშაოთა ეკონომიური ეფექტიანობის მიხედვით. პრემიების გაცემა მოხდეს ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების (სამუშაოთა ეტაპების) მიხედვით; იმ პირობით, თუ შესრულებულია ახალი ტექნიკის შესაბამისი პერიოდის გეგმა საწარმოში (ორგანიზაციაში).

20. დაწესდეს, რომ ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემიები არ უნდა აღემატებოდეს ერთი მუშაკისათვის:

მრეწველობის ქიმიურ, ნავთობგადამმუშავებელ, ნავთობქიმიურ, მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების დარგებში, სამეცნიერო-საკვლევ, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში — ექვს თანამდებობრივ განაკვეთს (თვიურ სატარიფო სარგოს) წელიწადში;

მრეწველობის დანარჩენ დარგებში, აგრეთვე მშენებლობაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებსა და ორგანიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციებში, „სოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებათა და გაყოფილებათა საწარმოო ქვეგანაყოფებში და გეოლოგიურ-სადაზვერვო ორგანიზაციებში — სამ თანამდებობრივ განაკვეთს (თვიურ სატარიფო სარგოს) წელიწადში. უფლება მიენიჭოთ სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სახელმწიფო დარგობრივ და საწარმოო კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, სსრ კავშირის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით დააჯილდოონ ცალკეულ შემთხვევებში სახალხო მეურნეობის აღნიშნული დარგების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკები ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის დარგში ისეთ უმნიშვნელოვანესი სამუშაოების დავალებათა შესრულებისათვის, რომლებსაც აქვთ საერთო სახელმწიფო მნიშვნელობა და რომლებიც შეტანილია სახალხო-სამეურნეო გეგმაში, ექვსი თანამდებობრივი განაკვეთის (თვიური სატარიფო სარგოს) ოდენობით წელიწადში.

ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემიების ოდენობა, რაც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით, შეთანხმებულ იქნას შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან.

21. დაწესდეს, რომ ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემიები გაიცემა დამოუკიდებლად იმისა, შესრულებულია თუ არა საწარმოების (ორგანიზაციების) საქმიანობის სხვა მაჩვენებლების გეგმა, ხელფასის გეგმური ფონდის გადამეტებით, ხოლო ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაჯილდოება სამეურნეო საქმიანობის შედეგებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივლისის № 710 დადგენილების შესაბამისად, წარმოებს დამოუკიდებლად ახალი ტექნიკის გეგმის შესრულებისა.

22. ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემიები მიეცეთ ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს სამეურნეო საქმიანობის შედეგებისათვის პრემიების გადამეტებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივლისის № 710 დადგენილების შესაბამისად, ხოლო მუშებს, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ ახალი ტექნიკის შექმნასა და დანერგვაში, — პრემიების მათთვის დაწესებული მაქსიმალური ოდენობის გადამეტებით.

23. გამოგონებებისათვის, რომლებზედაც გაცემულია საავტორო მოწმობები და გაცემულია გასამრჯელო სსრ კავშირის მინისტრთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 435 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, გამოგონებათა ავტორებს, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ მათს დანერგვაში ახალი ტექნიკის გეგმის თანახმად, მიეცემათ ამ დადგენილების მე-14 პუნქტით დაწესებული პრემიების შესაბამისი ნაწილი.

დაწესდეს, რომ მუშაკებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ აღნიშნულ გამოგონებათა დანერგვას ახალი ტექნიკის გეგმის თანახმად, შეიძლება მიეცეთ პრემია ამ დადგენილების მე-19 პუნქტის შესაბამისად. ამ შემთხვევაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 435 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციით გათვალისწინებული პრემია არ იქნას გაცემული.

24. დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად, შეიმუშაონ ამ დადგენილების შესაბამისად და სამი თვის ვადაში დაამტკიცონ დებულება ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ.

25. დაწესდეს, რომ მრეწველობის ქიმიური, ნავთობგადამმუშავებელი, ნავთობქიმიური, მეტალურგიული, ცელულოზა-ქაღალდის, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამმუშავებელი დარგების და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების (საამქროების, უბნების), აგრეთვე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების და სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის" სისტემის სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებიც ეწევიან ახალი ტექნიკის გამოშვების ათვისებას, პრემიების ოდენობა, რაც დამტკიცებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივლისის № 710 დადგენილების შესაბამისად, შეიძლება გაუდიდდეთ დარიცხული თანხის 50 პროცენტამდე წარმოების საერთო მოცულობაში ახალი პროდუქციის ხვედრითი წონის მიხედვით, იმ პერიოდისათვის, რაც გათვალისწინებულია გეგმით მის ასათვისებლად, მაგრამ არა უმეტეს ამ დადგენილებით დაწესებული პრემიების ზღვრული ოდენობისა.

დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, პროფესიულ კავშირთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად, დაამტკიცოს წესი პრემიების გადიდებისა ამ პუნქტის შესაბამისად.

26. ნება დაერთოს საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს გადაიყვანონ, პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებთან შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში ახალი ტექნიკის შექმნის, დანერგვისა და ათვისების სამუშაოებზე დასაქმებული მუშები, ამ სამუშაოთა შესრულების პერიოდში, 6 თვემდე ვადით, ხოლო ახალი ტექნიკის ცალკეულ რთულ სახეობათა მიხედვით — ერთ წლამდე ვადით, შრომის დროებრივ-პრემიალურ ანაზღაურებაზე, ამასთან შეუფარდონ მათ მენარდეთა სატარიფო განაკვეთები და მისცენ პრემიები სატარიფო განაკვეთის 40 პროცენტამდე სამუშაოთა ხარისხიანად და ვადამდე შესრულებისათვის.

27. დაევალოთ სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს შეიტანონ სსრ კავშირის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის მონაწილეობით იმ ეკონომიური ეფექტიანობის აღრიცხვის მოქმედ წესში, რომელიც მიღებულია სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის სამუშაოთა შესრულების შედეგად, აგრეთვე ამ სამუშაოთა შესრულებისათვის დაჯილდოების სახსრების ხარჯვის, აღრიცხვის წესში ამ დადგენილებიდან გამომდინარე საჭირო ცვლილებები.

სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ შეიტანოს მიმდინარე ანგარიშგების მაჩვენებლებში მონაცემები ახალი ტექნიკის ათვისების ფონდებიდან ახალი ტექნიკის გეგმებით სამუშაოთა შესრულების დანახარჯების თანხებისა და ახალი ტექნიკის შექმნა-დანერგვისათვის დაჯილდოების ფონდებიდან ხარჯების თანხების შესახებ, ხოლო წლიური ანგარიშის მაჩვენებლებში — ცნობები იმ სამუშაოთა ეკონომიური ეფექტიანობის შესახებ, რომლებიც ახალი ტექნიკის გეგმით სრულდება.

28. დაწესდეს, რომ ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის დასაჯილდოებლად განკუთვნილი სახსრები და ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის სახსრები, რომლებიც არ ყოფილა გამოყენებული მიმდინარე წელს, არ უნდა იქნას ამოღებული და შეიძლება გამოიყენონ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, აგრეთვე სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სახელმწიფო დარგობრივმა და საწარმოო კომიტეტებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, სამხარეო აღმასკომებმა და საოლქო აღმასკომებმა შემდგომ წლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ, სსრ კავშირის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, დადგენილი წესით წარმოადგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნას წინათ მიღებულ გადაწყვეტილებებში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დ. უსტინოვი.**

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის
უმაღლესი საბჭოს მდივნის მოადგილე **ა. პალმინი.**

126 მანქანებისა და მოწყობილობის იმ მაკომპლექტებელი კვანძებისა და დეტალების საბითუმო ფასების დაწესების მოწესრიგების შესახებ, რომლებსაც სპეციალიზებული საწარმოები და საამქროები ამზადებენ კოოპერაციის წესით მისაწოდებლად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 28 ოქტომბრის № 890 დადგენილება „მანქანებისა და მოწყობილობის იმ მაკომპლექტებელი კვანძებისა და დეტალების საბითუმო ფასების დაწესების მოწესრიგების შესახებ, რომლებსაც სპეციალიზებული საწარმოები და საამქროები ამზადებენ კოოპერაციის წესით მისაწოდებლად“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს.

2. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ ქარხანათშორისი კოოპერაციის ორგანიზაციის დროს უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ მანქანებისა და მოწყობილობის ცალკეული მაკომპლექტებელი კვანძებისა და დეტალების დამზადების მთავარი საწარმოებიდან სპეციალიზებული საწარმოებისა და საამქროებისათვის გადაცემას უნდა მოყვეს მათი წარმოების ხარჯების შემცირება იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანახარჯების დონესთან შედარებით, რაც მიღწეულია მთავარ საწარმოებში.

3. ნება დაერთოს, როგორც გამონაკლისი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს აანაზღაუროს 1965 წლის 1 იანვრიდან ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის ხარჯზე იმ მაკომპლექტებელი კვანძებისა და დეტალების წარმოების (სერიული დამზადების დაწყებამდე) ათვისებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელთა დამზადება გადაეცა ქარხანათშორისი კოოპერაციის წესით მთავარი საწარმოებიდან მომიჯნავე ქარხნებს.

4. „სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების, ტექნიკური პირობების, გადაზიდვისა და მომსახურების ტარიფების დადგენის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28 ივლისის № 473 დადგენილების მე-5 პუნქტის დამატებით უფლება მიენიჭოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს დააწესოს მაკომპლექტებელი კვანძებისა და დეტალების იმ საბითუმო ფასების ჩამოკლება, რომლებიც გათვალისწინებულია მოქმედი საერთო საკავშირო და რესპუბლიკური პრეისკურანტებით, ისეთ შემთხვევებში, როდესაც საწარმოების რაციონალური კოოპერაციის შედეგად შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნული პროდუქციის საბითუმო ფასების უფრო დაბალი დონე.

დაწესდეს, რომ საპრეისკურანტო ფასების ჩამოკლება ქარხანათშორისი კოოპერაციის წესით მანქანებისა და მოწყობილობის მაკომპლექტებელი კვანძებისა და დეტალების მიწოდების დროს სახალხო მეურნეობის საბჭოს შეუძლია სახალხო მეურნეობის საბჭოს ფარგლებში.

საპრეისკურანტო ფასების აღნიშნული ჩამოკლება უნდა დამტკიცდეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 მაისისა, შემოღებულ იქნას სამოქმედოდ მიმდინარე წლის მომდევნო 1 იანვრიდან და გათვალისწინებულ იქნას შემდეგი წლის გეგმითა და ბიუჯეტით.

5. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ორ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეამოწმონ ქარხანათშორისი კოოპერაციის ნაკეთობათა მუდმივი საბითუმო ფასების შეფარდების სისწორე და დროზე გამოასწორონ დადგენილი წესით ამ შემოწმების დროს გამოვლინებული მოძველებული ფასები, რომლებიც არ შეესაბამება წარმოების დანახარჯების მიღწეულ დონეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და სახალხო მეურნეობის საბჭომ მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 28 ოქტომბრის № 890 დადგენილების შესაბამისად შემუშავებული საინსტრუქციო მითითებანი მანქანებისა და მოწყობილობის კოოპერაციის წესით მისაწოდებელი მაკომპლექტებელი კვანძებისა და დეტალების საბითუმო ფასების დადგენისა და შეფარდების წესის შესახებ მტკიცედ იხელმძღვანელონ ამ მითითებებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 26 ნოემბერი, № 702.

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 890

1964 წლის 28 ოქტომბერი

მოსკოვი, კრემლი

მანქანებისა და მოწყობილობის იმ მაკომპლექტებელი კვანძებისა და დეტალების საბითუმო ფასების დაწესების მოწესრიგების შესახებ, რომლებსაც სპეციალიზებული საწარმოები და საამქროები ამზადებენ კოოპერაციის წესით მისაწოდებლად

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ქარხანათშორისი კოოპერაციის მიხედვით მანქანებისა და მოწყობილობის დამზადებაზე გადასვლის დროს ბევრ შემთხვევაში ადგილი აქვს ამ პროდუქციის თვითღირებულების გადიდებას, რადგან მაკომპლექტებელი კვანძებისა და დეტალების მიწოდებას მომიჯნავე საწარმოები ახორციელებენ იმ ფასებში, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატება მათი წარმოების დანახარჯების დონეს, რაც მიღწეული იყო წინათ მთავარ საწარმოებში. ასეთი პრაქტიკის შედეგად ხშირად არარაობად იქცევა ქარხანათშორისი კოოპერაციის ეკონომიური უპირატესობანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო მეურნეობის საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები ქარხანათშორისი კოოპერაციის და მისი ორგანიზაციის დროს მისაწოდებელი მაკომპლექტებელი კვანძებისა და დეტალების საბითუმო ფასების დაწესების საკითხების გადაწყვეტისას ხშირად სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მიღებულ გადაწყვეტილებათა ეკონომიურად დასაბუთებას და უშვებენ ქარხანათშორისი კოოპერაციის პირობებში დამზადებული პროდუქციის დაუსაბუთებელ გაძვირებას.

იმ მიზნით, რომ უფრო რაციონალურად მოეწყოს მანქანებისა და მოწყობილობის წარმოების ქარხანათშორისი კოოპერაცია მაკომპლექტებელი კვანძებისა და დეტალების დამამზადებელი სპეციალიზებული საწარმოებისა და საამქროების ბაზაზე, აგრეთვე იმისათვის, რომ მოწესრიგდეს აღნიშნულ ნაკეთობათა საბითუმო ფასების დაწესება, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა ქარხანათშორისი კოოპერაციის ორგანიზაციის დროს უნდა გაითვალისწინონ, რომ მანქანებისა და მოწყობილობის ცალკეული მაკომპლექტებელი კვანძებისა და დეტალების დამზადების გადაცემას მთავარი საწარმოებიდან სპეციალიზებული საწარმოებისა და საამქროებისათვის უნდა მოყვეს მათი წარმოების ხარჯების შემცირება იმ დანახარჯების დონესთან შედარებით, რაც მიღწეულია მთავარ საწარმოებში.

2. ნება დაერთოს, როგორც გამონაკლისი, სახალხო მეურნეობის საბჭოებს აანაზღაურონ 1965 წლის 1 იანვრიდან ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის ხარჯზე იმ მაკომპლექტებელი კვანძებისა და დეტალების წარმოების ათვისებასთან დაკავშირებული დანახარჯები (სერიული დამზადების დაწყებამდე), რომელთა დამზადება ქარხანათშორისი კოოპერაციის წესით მთავარი საწარმოებიდან გადაეცა მომიჯნავე ქარხნებს.

3. დაწესდეს 1965 წლის 1 იანვრიდან, რომ ორგანიზაციები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ ქარხანათშორისი კოოპერაციის საფუძველზე დამზადებული ახალი სახის მანქანებისა და მოწყობილობის საბითუმო ფასების დამტკიცება, მოვალენი არიან იმავდროულად დაამტკიცონ ამ მანქანებისა და მოწყობილობის ძირითადი მაკომპლექტებელი კვანძების საბითუმო ფასები.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც შესაბამისი მანქანების (მოწყობილობის) მუდმივი საბითუმო ფასები უნდა დაამტკიცოს ერთი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანომ, ხოლო ამ მანქანების (მოწყობილობის) მაკომპლექტებელ კვანძებს აწვდიან სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საწარმოები, მანქანების (მოწყობილობის) მუდმივი საბითუმო ფასების დამტკიცებამდე უნდა მოხდეს მაკომპლექტებელი კვანძების საბითუმო ფასების ურთიერთ შეთანხმება. ამ კვანძების შეთანხმებული საბითუმო ფასები გათვალისწინებულ უნდა იქნას მანქანების (მოწყობილობის) დამტკიცებული პრეისკურანტით. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მაკომპლექტებელი კვანძების მუდმივი საბითუმო ფასების საკითხებზე წამოჭრილ უთანხმოებას განიხილავს და გადაწყვეტს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი.

ცალკეულ მაკომპლექტებელ კვანძებში შემავალი დეტალების საბითუმო ფასები დამტკიცდება დადგენილი წესით სათანადო მაკომპლექტებელი კვანძის საბითუმო ფასების შესაბამისად.

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 30 მაისის № 533 დადგენილების მე-12 და 14 პუნქტების დამატებით, უფლება მიენიჭოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სახალხო მეურნეობის საბჭოებს დააწესონ მაკომპლექტებელი კვანძებისა და დეტალების იმ საბითუმო ფასების ჩამოკლება, რომლებიც გათვალისწინებულია მოქმედი საერთო საკავშირო და რესპუბლიკური პრეისკურანტებით, იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმოთა რაციონალური კოოპერაციის შედეგად შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნული პროდუქციის საბითუმო ფასების უფრო დაბალი დონე.

დაწესდეს, რომ საპრეისკურანტო ფასების ჩამოკლება შეუძლიათ შემდეგი წესით:

სახალხო მეურნეობის საბჭოებს — როდესაც წარმოებს მანქანებისა და მოწყობილობის მაკომპლექტებელი კვანძებისა და დეტალების მიწოდება ქარხანათშორისი კოოპერაციის წესით მოცემული სახალხო მეურნეობის საბჭოს ფარგლებში;

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს — როდესაც წარმოებს აღნიშნული მაკომპლექტებელი კვანძებისა და დეტალების მიწოდება მოცემული მოკავშირე რესპუბლიკის სხვადასხვა სახალხო მეურნეობის საბჭოების საწარმოებს შორის კოოპერაციის წესით.

დაწესდეს, რომ საპრეისკურანტო ფასების ჩამოკლება უნდა დამტკიცდეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 მაისისა, შემოღებულ იქნას სამოქმედოდ მიმდინარე წლის მომდევნო 1 იანვრიდან და გათვალისწინებულ იქნას შემდგომი წლის გეგმითა და ბიუჯეტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაწესდეს, რომ ორგანიზაციებმა, რომლებსაც დაკისრებული აქვთ ქარხანათშორისი კოოპერაციის ნაკეთობათა მუდმივი საბითუმო ფასების დამტკიცება, ორ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეამოწმონ ამ ფასების შეფარდების სისწორე და დროზე გამოასწორონ ამ შემოწმების დროს გამოვლინებული მოძველებული ფასები, რომლებიც არ შეესაბამებიან წარმოების დანახარჯების მიღწეულ დონეს.

6. იმ ლითონსაჭრელი ჩარხების ფასწარმოქმნის მოწესრიგების მიზნით, რომლებიც კოოპერაციის წესით მზადდება, დაეკისროს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს აგრეგატული ლითონსაჭრელი ჩარხების ნორმალიზებული კვანძების საბითუმო ფასების დამტკიცება, 1966 წლის 1 იანვრიდან დაწყებული.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს 1965 წლის 1 ივლისამდე შეიმუშაოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით (სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მეთოდურ მითითებათა შესაბამისად), აგრეგატული ლითონსაჭრელი ჩარხების ნორმალიზებული კვანძების პრეისკურანტის პროექტი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განიხილოს და დაამტკიცოს აღნიშნული პრეისკურანტი და შემოიღოს იგი სამოქმედოდ 1966 წლის 1 იანვრიდან.

7. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაონ ამ დადგენილების შესაბამისად და დაუგზავნონ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს 1964 წლის 1 დეკემბრამდე საინსტრუქციო მითითებანი მანქანებისა და მოწყობილობის იმ მაკომპლექტებელი კვანძებისა და დეტალების საბითუმო ფასების დადგენისა და შეფარდების წესის შესახებ, რომელთა მიწოდება კოოპერაციის წესით ხდება.

მითითებებში გაითვალისწინონ, რომ მაკომპლექტებელი კვანძებისა და დეტალების საბითუმო ფასების დაწესებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული გეგმური თვითღირებულება მათი წარმოებისა რაციონალურად ორგანიზებული კოოპერაციის პირობებში სპეციალიზებული საწარმოებისა და საამქროების ბაზაზე (ისე, რომ არ იქნას შეტანილი თვითღირებულებაში ის დანახარჯები, რომელთა ანაზღაურება წარმოებს ამ დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად) და რენტაბელობა არა უმეტეს 10 პროცენტისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნას მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **მ. სმირტიუკოვი.**

127 კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარების კანონის გატარებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის და საფინანსო ორგანოების შტატებში ცვლილებების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 15 ივლისის ბრძანებულებისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 12 ნოემბრის № 2382 განკარგულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სასოფლო რაიონების კოლმეურნე პენსიონერების რაოდენობა პირობით განისაზღვროს 217515 კაცით.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს და მისი ადგილობრივი ორგანოების შტატი გადიდდეს 303 ერთეულით, ხელფასის თვიური ფონდი 14333 მანეთით, მათ შორის: საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ცენტრალური აპარატი — 10 ერთეულით, ხელფასის თვიური ფონდი 700 მანეთი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების ცენტრალური აპარატი — 4 ერთეულით თითოეულს, ხელფასის თვიური ფონდი 247 მანეთით, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების შტატი 3 ერთეულით, ხელფასის თვიური ფონდი 198 მანეთით, თანახმად № 1 დანართისა, ხოლო სასოფლო რაიონების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილებათა შტატი — 282 ერთეულით, ხელფასის თვიური ფონდი — 12.941 მანეთით.

2. რესპუბლიკის 38 რაიონულ საფინანსო განყოფილებაში შემოღებულ იქნას კოლმეურნეობის წევრთა ცენტრალიზებული საპენსიო ფონდის აღრიცხვა-ანგარიშგების უფროსი ეკონომისტის თითო თანამდებობა, ამ მიზნით დამატებით გამოყოფილი შტატისა და ხელფასის ფონდის ანგარიშში.

დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს აცნობოს აღნიშნული შტატი და ხელფასის ფონდი სათანადო რაიონების საფინანსო განყოფილებებს.

3. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, სოციალური უზრუნველყოფის და საფინანსო ორგანოების 1964 წელს შტატების გადიდებით გამოწვეული ხარჯები 66,4 ათასი მანეთით, მათ შორის სოცუზრუნველყოფის ორგანოებისათვის 60 ათასი მანეთი, თანახმად № 2 დანართისა და გაიღოს რესპუბლიკური ბიუჯეტით 1964 წ. 1 ოქტომბრისათვის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა აუთვისებელი თანხებიდან.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ათი დღის ვადაში აცნობოს სასოფლო რაიონების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს სათანადო საშტატო განრიგები.

5. შეიცვალოს ნაწილობრივ სოციალური უზრუნველყოფის საქალაქო და სასოფლო რაიონული განყოფილებების მოქმედი ტიპიური შტატების № 1 დანართი და მის ნაცვლად დამტკიცდეს ახალი ტიპიური შტატები თანახმად № 3 დანართისა.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროს 1965 წლის 1 აპრილისათვის დააზუსტოს კოლმეურნე პენსიონერთა, აგრეთვე საერთო პენსიონერთა რაოდენობა რაიონებისა და ქალაქების მიხედვით და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით სოცუზრუნველყოფის ორგანოების შტატები მოიყვანოს ამ დადგენილების № 3 დანართით დამტკიცებული ტიპიური შტატების და საშტატო ნორმატივების შესაბამისობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს შეიტანონ 1964 წლის შრომის გეგმასა და ბიუჯეტში ამ დადგენილებიდან გამომდინარე სათანადო ცვლილებები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 28 ნოემბერი, № 709.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 28 ნოემბრის № 709
დადგენილების დანართი № 1

ნუსხა

საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროებისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის სოცუზრუნველყოფის განყოფილების შტატში დამატებული საშტატო ერთეულებისა ხელფასის თვიური განაკვეთების ჩვენებით

სამინისტროების, განყოფილებების და თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა	ხელფასის თანამდებობრივი განაკვეთი	სულ თვეში
1. საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტრო			
პენსიებისა და დახმარებათა განყოფილება			
უფროსი ინსპექტორი—განყოფილების უფროსის მოადგილე	1	83	83
უფროსი ინსპექტორი	1	80—50	80—50
ინსპექტორი	2	77	154
საექიმო შრომითი ექსპერტიზის და პროტეზირების განყოფილება			
ინსპექტორი — ექიმი	1	77	77
საგეგმო-საფინანსო განყ-ბა			
უფროსი ეკონომისტი	1	80—50	80—50
ბუღალტერია			
მთ. ბუღალტრის მოადგილე	1	83	83
მოლარე-მოანგარიშე	1	41	41
ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება			
არქივის გამგე	1	60	60
საქმის მწარმოებელი	1	41	41
სულ . . .	10	—	700

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროების, განყოფილებების და თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა	ხელფასის თანამდებობრივი განაკვეთი	სულ თვეში
II. აფხაზეთის ასსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტრო			
პენსიებისა და დახმარებათა განყოფილების უფროსი	1	73	73
უფროსი ინსპექტორი	1	60	60
ინსპექტორ-რევიზორი	1	57	57
ინსპექტორი	1	57	57
სულ . . .	4	—	247
III. აჭარის ასსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტრო			
პენსიებისა და დახმარებათა განყოფილების უფროსი	1	73	73
უფროსი ინსპექტორი	1	60	60
ინსპექტორ-რევიზორი	1	57	57
ინსპექტორი	1	57	57
სულ . . .	4	—	247
IV. სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის სოცუზრუნველყოფის განყოფილება			
უფროსი ინსპექტორი	2	69	138
ინსპექტორ-რევიზორი	1	60	60
სულ . . .	3	—	198
ჯამი . . .	21	—	1392

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 28 ნოემბრის № 709
დადგენილების დანართი № 2

დამატებითი ხარჯები

საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის რესპუბლიკური, ადგილობრივი ორგანოების და საფინანსო ორგანოებისა

	სულ ხარჯები (ათას მანეთებში)	მათ შორის			
		მუხლი 1	მუხლი 2	მუხლი 3—4	მუხლი 12
სულ . . .	66,4	26,2	1,3	11,2	27,7
მათ შორის:					
საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტრო	6	1,1	0,1	2,8	2
აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტრო და სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის სოცუზრუნველყოფის განყოფილება . . .	4,7	1	0,1	2,5	1,1
სასოფლო რაიონის აღმასკომების სოცუზრუნველყოფის განყოფილებები .	49,3	18,9	0,8	5	24,6
საფინანსო ორგანოები — სულ . . .	6,4	5,2	0,3	0,9	—

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 28 ნოემბრის № 709
დადგენილების დანართი № 3

ტიპიური შტატები

საქალაქო და სასოფლო რაიონული საბჭოს აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებისა

თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა
1. განყოფილების გამგე	1
2. უფროსი ბუღალტერი	1
დამატებითი შტატი	ნორმატივების მიხედვით:
1. ბუღალტერ-კონტროლიორი . . .	ერთი ერთეული ყოველ 7000 პენსიონერზე, ერთი ერთეული, თუ არის 400 და მეტი პენსიონერი, ერთი ერთეული ყოველი 2200 პენსიონერზე ქალაქებსა და საქალაქო რაიონებში და ერთი ერთეული ყოველ 2000 პენსიონერზე სასოფლო რაიონებში.
2. უფროსი ინსპექტორი	
3. ინსპექტორი	
4. უფროსი მოანგარიშე	ერთი ერთეული ყოველ 1450 პენსიონერზე ქალაქებსა და საქალაქო რაიონებში და ერთი ერთეული ყოველ 1200 პენსიონერზე სასოფლო რაიონებში.
5. საქმისმწარმოებელი	ერთი ერთეული, თუ არის 10.000 და მეტი პენსიონერი.

შენიშვნები: 1. რაიონული დაქვემდებარების ქალაქებში პენსიონერების მომსახურება წარმოებს სასოფლო რაიონების სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილების მიერ.

2. ქალაქებსა და საქალაქო რაიონებში, სადაც ითვლება 2200 პენსიონერზე ნაკლები, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების შტატში შეიძლება დაწესებულ იქნას ინსპექტორის თანამდებობა, თუ არის არანაკლებ 1900 პენსიონერისა.

3. სასოფლო რაიონებში, სადაც ითვლება 2000 პენსიონერზე ნაკლები, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების შტატში შეიძლება დაწესებულ იქნას ინსპექტორის თანამდებობა, თუ არის არანაკლებ 1700 პენსიონერისა.

4. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების სადგომის დალაგება წარმოებს რაიონული ან საქალაქო აღმასკომის მომსახურე პერსონალის მიერ. იმ შემთხვევაში, როდესაც სოციალური უზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნველყოფის განყოფილებას უკავია რაიონული ან საქალაქო
მასკომისაგან გამოცალკევებული სადგომი, შეიძლება დაწესებულ
იქნას დამლაგებლის თანამდებობა, განაკვეთი დამლაგებლის თა-
ნამდებობისათვის წესდება საფინანსო ორგანოებში რეგისტრირე-
ბული განაკვეთის დონეზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

128 კოლმეურნეობის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოების შექმნის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 3 სექტემბრის № 746 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

I. შეიქმნას კოლმეურნეობის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის საქართველოს სსრ საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

1. ვასილ ბესარიონის ძე ჯაბუა — სოციალისტური შრომის გმირი, მახარაძის რაიონის სოფ. კონჭკათის XX პარტყრილობის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
2. თამარ ანდროს ასული ყუფუნია — ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ზუგდიდის რაიონის სოფ. ახალსოფლის ლენინის სახ. კოლმეურნეობის ბრიგადირი.
3. ფრანცი არდაშინის ძე ლაკერბაია — აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის სოფ. დურიპშის კოლმეურნეობა „დურიპშის“ უფროსი აგრონომი.
4. გივი ვლადიმერის ძე სირაძე — ზესტაფონის რაიონის სოფ. ფუთის აკაკი წერეთლის სახ. კოლმეურნეობის წევრი.
5. მერი შაქროს ასული გოგიტიძე — აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფ. ხუცუბნის კოლმეურნეობის წევრი.
6. ალექსი ზაქარიას ძე ქორჩაშვილი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორი, გორის რაიონის სოფ. ძევერის კოლმეურნეობის სატრაქტორო პარკის მთავარი მექანიზატორი.
7. მიხეილ ლეონტის ძე ქვირია — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის სოფ. იკოთის „ლენინის გზით“ კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
8. გიორგი ბათლომეს ძე ონაშვილი — გურჯაანის რაიონის სოფ. ვაზისუბნის კოლმეურნეობის წევრი.
9. ივანე სამსონის ძე გოზალიშვილი — ახალციხის რაიონის სოფ. ვალეს მახარაძის სახ. კოლმეურნეობის წევრი.
10. მიხეილ ესტატეს ძე თოფურიძე — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი.
11. ბეჟან ალექსანდრეს ძე ჩხეიძე — საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე ჩაატარონ ყველა კოლმეურნეობაში კოლმეურნეობის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოების არჩევნები ღია კენჭისყრით, 5 წევრის შემადგენლობით;

ბ) კოლმეურნეობის გამგეობათა მიერ წამოყენებულ კოლმეურნეებისაგან ჩამოაყალიბონ კოლმეურნეობის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული საბჭო 7 წევრის შემადგენლობით, ხოლო საოლქო და რესპუბლიკური (ასსრ) საბჭოები — 9 წევრის შემადგენლობით;

გ) კოლმეურნეობის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული (საოლქო) საბჭოების წევრებად შეიყვანონ რაიონული (საოლქო) სოციალური უზრუნველყოფისა და საფინანსო განყოფილებათა გამგეები;

დ) კოლმეურნეობის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოების წევრებად შეიყვანონ სოციალური უზრუნველყოფის და ფინანსთა მინისტრები;

ე) კოლმეურნეობის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული, საოლქო და რესპუბლიკური (ასსრ) საბჭოები უზრუნველყონ შესაფერისი ბინებით, საჭირო ინვენტარით, საკანცელარიო ნივთებით და სხვ.

III. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს, შეუნარჩუნონ კოლმეურნეობის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული, საოლქო და რესპუბლიკური საბჭოების წევრებს საშუალო გამომუშავება იმ დროისათვის, როცა ისინი იღებენ მონაწილეობას საბჭოების მუშაობაში, აგრეთვე აუნაზღაურონ სამივლინებო ხარჯები.

IV. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წ. 6 ნოემბრის № 921 დადგენილება „კოლმეურნეობის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ“ სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს. დაევალოს მათ უზრუნველყონ აღნიშნული დებულებით რაიონული სოციალური უზრუნველყოფისა და საფინანსო განყოფილებები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო საქმიანობა მართველები, აგრეთვე კოლმეურნეობის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 15 დეკემბერი, № 722.

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 921

1964 წლის 6 ნოემბერი

მოსკოვი, კრემლი

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოების შესახებ.

2. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს შეუნარჩუნონ საშუალო ხელფასი კოლმეურნეებს, რომლებიც არიან კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული, საოლქო, სამხარეო ან რესპუბლიკური საბჭოების წევრები, იმ დროისათვის, როდესაც ისინი თავიანთ მოვალეობას ასრულებენ ამ საბჭოებში, აგრეთვე აუნაზღაურონ მათ მივლინების ხარჯები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 6 ნოემბრის № 921
დადგენილებით

დებულება

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოების შესახებ

ზოგადი დებულებანი

1. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოები შეიქმნება კოლმეურნეობებში (მათ შორის მეთევზეობის კოლმეურნეობებში), რაიონებში, ოლქებში, მხარეებში, ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკებში იმ საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც დაკავშირებულია კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნასთან და მიცემასთან.

2. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოები არიან კოლმეურნეობათა წარმომადგენლობითი ორგანოები, მოქმედებენ საზოგადოებრივ საწყისებზე და თავიანთ მუშაობაში ეყრდნობიან კოლმეურნეთა ფართო აქტივს.

3. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ კანონით კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარების შესახებ, დებულებით კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ, დებულებით კოლმეურნეობათა წევრი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ, დებულებით კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის შესახებ, დებულებით კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის შესახებ, ამ დებულებითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭო

4. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოს 5-11 კაცის შემადგენლობით აირჩევს კოლმეურნეთა საერთო კრება (რწმუნებულთა კრება) ღია კენჭისყრით, 2 წლის ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭო თავის შემადგენლობიდან აირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს.

5. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭო კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად:

ა) მოამზადებს დოკუმენტებს, რომლებიც საჭიროა პენსიებისა და დახმარების დანიშვნის შესახებ წარდგენების შესატანად, გამოითხოვს შესაბამის შემთხვევებში ამ დოკუმენტებს სხვა კოლმეურნეობებისაგან, საარქივო ორგანოებისა და სხვა ორგანიზაციებისაგან;

ბ) შეიტანს კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელ კომისიაში წარდგენებს პენსიებისა და დახმარების დანიშვნის შესახებ ან მისცემს დასკვნებს პენსიებისა და დახმარების დანიშვნის თაობაზე შეტანილ განცხადებათა გამო;

გ) გაგზავნის წარმომადგენლებს კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

6. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭო, კოლმეურნეობის გამგეობის მიერ შემდგომი დამტკიცებით:

ა) დაადგენს მოწმეთა ჩვენების საფუძველზე პენსიის დასანიშნავად საჭირო მუშაობის სტაჟს, იმ შემთხვევაში, თუ არ მოიპოვება საბუთები კოლმეურნეობაში 1965 წლამდე მუშაობის არსებული სტაჟის შესახებ და შეუძლებელია მათი მიღება საარქივო მონაცემების უქონლობის გამო, აგრეთვე განსაკუთრებულ შემთხვევებში დაადგენს მოწმეთა ჩვენების საფუძველზე კოლმეურნეობაში 1965 წლის შემდეგ მუშაობის სტაჟს, თუ სტაჟის შესახებ დოკუმენტები არ შენახულა სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით (ხანძარი, წყალდიდობა და სხვა);

ბ) გადაწყვეტს საკითხს საარსებო წყაროს უქონლობის შესახებ, როდესაც ეს წარმოადგენს მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის დანიშვნის ერთ-ერთ პირობას.

7. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭო:

ა) შეამოწმებს, თუ რამდენად სწორად წარმოებს კოლმეურნეობაში შრომის წიგნაკები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ კოლმეურნეთა მუშაობის სტაჟს და შემოსავალს;

ბ) დახმარებას გაუწევს კოლმეურნეობის გამგეობას იმ მხრივ, რომ მოიზიდოს არამომუშავე პენსიონერები, მათი სურვილისამებრ, კოლმეურნეობაში სამუშაოდ, თვალყურს ადევნებს იმას, რომ კოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის წევრ ინვალიდებს მიეცეთ სამუშაო საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, აწარმოებს პენსიონერთა აღრიცხვას, აგრეთვე იმ კოლმეურნეთა აღრიცხვას, რომლებიც მომავალ წელს მიაღწევენ მოხუცებულობის გამო პენსიის დასანიშნავად საჭირო ასაკს.

8. პენსიებისა და დახმარების დანიშვნის შესახებ წარდგენებს (დასკვნებს) მოამზადებენ კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭო და კოლმეურნეობის გამგეობა განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში, ხოლო დამატებითი საბუთების გამოთხოვის ან მოწმეთა ჩვენების საფუძველზე მუშაობის სტაჟის დადგენის შემთხვევაში — იმ დროიდან 10 დღის ვადაში, რაც მიღებულია სტაჟის დასადგენად საჭირო საბუთები.

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული საბჭო

9. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ საბჭოს შექმნის კოლმეურნეობათა წარმომადგენლებისაგან მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი 5-11 კაცის შემადგენლობით 2 წლის ვადით. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული საბჭოს შემადგენლობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით შედიან სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილების გამგე და რაიონული საფინანსო განყოფილების გამგე.

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული საბჭოს შემადგენლობაში კოლმეურნეობათა წარმომადგენლებს წამოაყენებენ შესაბამისი კოლმეურნეობათა გამგეობანი.

იმ რაიონში, სადაც სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება არ არის, კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული საბჭოს შემადგენლობაში შედის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ან მდივანი.

10. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული საბჭო:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოების მუშაობას, მოაწყობს მუშაობის გამოცდილების გაზიარებას და გაუწევს მათ დახმარებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) განსაზღვრავს დადგენილი წესით შესაბამისი კოლმეურნეობების წარმომადგენელთა მონაწილეობით კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში ანარიცხების ოდენობას თვითეული კოლმეურნეობის მიხედვით;

გ) შექმნის კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელ კომისიას და ხელმძღვანელობას გაუწევს მის მუშაობას;

დ) განიხილავს კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის გადაწყვეტილებებზე შემოტანილ საჩივრებს და ამ საჩივრების გამო გამოიტანს დადგენილებებს, რომლებიც საბოლოოა;

ე) განიხილავს კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის გადაწყვეტილებებს, რომლებიც საბჭოს უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად, იმ შემთხვევაში, როდესაც პენსიის ან დახმარების დანიშვნას ხმა მისცა კომისიის ორმა წევრმა;

ვ) გადაწყვეტს საკითხს კოლმეურნეობების გამგეობათა პასუხისმგებლობისა მათ მიერ აშკარად არასწორი საბუთების გაფორმებისათვის, რომლებითაც უკანონოდ იყო გაცემული პენსია ან დახმარება, აგრეთვე იმის საკითხს, რომ კოლმეურნეობათა გამგეობებმა აუნაზღაურონ კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდს უკანონოდ გაცემული პენსიების ან დახმარების თანხები;

ზ) წარუდგენს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საოლქო, სამხარეო ან რესპუბლიკურ საბჭოს წინადადებებს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური საბჭოები

11. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ საბჭოებს შექმნიან კოლმეურნეობათა წარმომადგენლებისაგან შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების საოლქო და სამხარეო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები 5-11 კაცის შემადგენლობით 4 წლის ვადით. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საოლქო, სამხარეო საბჭოს შემადგენლობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით შედიან სოციალური უზრუნველყოფის საოლქო, სამხარეო განყოფილების გამგე და საოლქო, სამხარეო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინანსო განყოფილების გამგე; კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რესპუბლიკური საბჭოს შემადგენლობაში შედიან შესაბამისი ავტონომიური ან მოკავშირე რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი და ფინანსთა მინისტრი.

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური საბჭოების შემადგენლობაში კოლმეურნეობათა წარმომადგენლებს წამოაყენებენ შესაბამის კოლმეურნეობათა გამგეობები.

12. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური საბჭოები:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევენ კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოების მუშაობას ოლქის, მხარის, რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მოაწყობენ მუშაობის გამოცდილების გაზიარებას და აღმოუჩენენ მათ დახმარებას;

ბ) განახორციელებენ იმისადმი კონტროლს, რომ სწორად დაენიშნოთ და მიეცეთ პენსიები და დახმარება კოლმეურნეებს, სწორად მოხდეს სახსრების გადარიცხვა კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში, აგრეთვე სწორად წარმოებდეს ამ სახსრების ხარჯვა;

გ) შეიტანენ წინადადებებს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოში, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საბჭო — მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში.

კ ო ლ მ ე უ რ ნ ე თ ა ს ო ც ი ა ლ უ რ ი უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ი ს ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ი ს წ ე ს ი

13. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოები უფლებამოსილი არიან მიიღონ გადაწყვეტილებანი, თუ საბჭოს სხდომაზე მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა ნახევარი მაინც. საბჭოს გადაწყვეტილებანი მიიღება დამსწრეთა ხმის უმეტესობით.

14. მასალებს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული, საოლქო, სამხარეო ან რესპუბლიკური საბჭოების მიერ განსახილველად მოამზადებენ შესაბამისად:

პენსიებისა და დახმარების დანიშვნასთან და მიცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე — სოციალური უზრუნველყოფის რაიონუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, საოლქო, სამხარეო განყოფილება, ავტონომიური ან მოკავშირე რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის შექმნასთან და გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე — რაიონული, საოლქო, სამხარეო საფინანსო განყოფილება, ავტონომიური ან მოკავშირე რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო;

15. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოების საქმისწარმოებას, მათ მომარაგებას საკანცელარიო ნივთებით და ა. შ. განახორციელებენ კოლმეურნეობათა გამგეობები.

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური საბჭოების საქმისწარმოებას განახორციელებენ სოციალური უზრუნველყოფის შესაბამისი განყოფილებები და სამინისტროები.

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ საბჭოებს საჭირო ინვენტარით, საკანცელარიო ნივთებითა და სხვ. მოამარაგებენ შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

16. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ საბჭოებს აქვთ შტამპი და ბეჭედი თავიანთი სახელწოდებით.

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოები საჭირო შემთხვევებში სარგებლობენ შესაბამისი კოლმეურნეობის შტამპითა და ბეჭდით.

129 სასკოლო საბავშვო სახლის წესდებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ

„არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულებაში ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 25 ნოემბრის გრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 27 თებერვლის № 270 დადგენილებით დამტკიცებული სასკოლო საბავშვო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლის წესდების მე-11 და მე-14 მუხლები მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 11. საბავშვო სახლში ბავშვის მიღებას აწარმოებს საბავშვო სახლის დირექტორი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზურით, რომელიც გაიცემა მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.“

„მუხ. 14. საბავშვო სახლიდან აღსაზრდელთა გაყვანას აწარმოებს საბავშვო სახლის დირექტორი მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 15 დეკემბერი, № 723.

130 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 5 ნოემბრის № 912 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა გაუქმებისა და აქედან გამომდინარე ცვლილებების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 5 ნოემბრის № 912 დადგენილებისა „იმის შესახებ, რომ შეიცვალოს და გაუქმდეს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი იმის გამო, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1964 წლის 21 მაისს მიიღეს დადგენილება № 499 „უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა მომზადების ვადებისა და მათი გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) პუნქტი 1 საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 6 იანვრის № 19 დადგენილებისა „ექიმთა მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საშუალო სამედიცინო სკოლების რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 11 ივნისის № 532 დადგენილების პირველი პუნქტის ქვეპუნქტები „ა“, „ბ“ და „გ“ და პუნქტი მე-3 იმ ნაწილში, რომელიც სწავლების ვადას შეეხება.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 5 ნოემბრის № 912 დადგენილებით:

ა) 22-ე პუნქტს დებულებისა სსრ კავშირის საშუალო სპეციალური სასწავლებლების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 1 მარტის № 185 დადგენილებით და დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 8 მარტის № 238 განკარგულებასთან ერთად, დაემატა აბზაცი შემდეგი შინაარსისა:

„საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შუამდგომლობით სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უფლება აქვს ჩამოართვას ცალკეულ შემთხვევებში საშუალო სპეციალური სასწავლებლების დამთავრების დიპლომები სპეციალისტებს, რომლებიც თავს არიდებენ სპეციალობის მიხედვით მუშაობას განაწილებისა და დადებული კონტრაქტების შესაბამისად და ამით არღვევენ თავიანთ მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე“;

ბ) მე-17 პუნქტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 21 მარტის № 251 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების შესახებ, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 31 მარტის № 337 განკარგულებასთან ერთად, დაემატა აბზაცი შემდეგი შინაარსისა:

„საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შუამდგომლობით სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უფლება აქვს ჩამოართვას ცალკეულ შემთხვევებში უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების დიპლომები სპეციალისტებს, რომლებიც თავს არიდებენ სპეციალობის მიხედვით მუშაობას განაწილებისა და დადებული კონტრაქტების შესაბამისად და ამით არღვევენ თავიანთ მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე“;

გ) ძალადაკარგულად ითვლება:

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 26 იანვრის № 5532 განკარგულება, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 31 იანვრის № 83 განკარგულებასთან ერთად;

— პუნქტი 3 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 4 აგვისტოს № 907 დადგენილებისა „უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ფორმებისა და ვადების და სტუდენტთა საწარმოო მუშაობისა და პრაქტიკის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 აგვისტოს № 674 დადგენილებასთან ერთად;

— პუნქტები 3 და 4 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 4 აგვისტოს № 908 დადგენილებისა „სწავლების ფორმებისა და ვადების და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 აგვისტოს № 675 დადგენილებასთან ერთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 24 დეკემბერი, № 730.

131 საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს და 1965 წლის 1 იანვრიდან შემოღებულ იქნას სამოქმედოდ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესები, წარმოდგენილი საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 24 დეკემბერი, № 732.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 24 დეკემბრის № 732
დადგენილებით

წესები

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლისა

1. თუ საცალო სავაჭრო ქსელში შეძენილ სამრეწველო საქონელს, რომლისთვისაც დაწესებულია ხმარების საგარანტიო ვადები, აღმოაჩნდა ნაკლი და დეფექტები, მყიდველი იმ პასპორტში (საგარანტიო ტალონში) აღნიშნული საგარანტიო ვადის გასვლამდე, რომელიც დართული აქვს საქონელს, მიმართავს დეფექტების უფასოდ გამოსწორებისათვის საგარანტიო რემონტის სახელოსნოს, ხოლო იმ პუნქტებში, სადაც ასეთი სახელოსნოები არ არის, — მაღაზიას საქონლის ყიდვის ადგილზე.

2. უწესივრო ნაწარმის გამოცვლა, რომლისთვისაც დაწესებულია ხმარების საგარანტიო ვადები, ხდება საგარანტიო ვადის გასვლამდე შემდეგი წესით:

ა) ერთჯერადი საგარანტიო რემონტის შემდეგ და თუ შეუძლებელია შემდეგში ნაკეთობათა დეფექტების გამოსწორება მყიდველის ოჯახში, უწესივრო ტელევიზორებს, რადიომიმღებებს, მაგნიტოლებს, რადიოკომბაინებს და სხვა რადიოაპარატებს გამოცვლის ახალზე ნაკეთობის ადგილსამყოფელის მიხედვით დამამზადებელი საწარმო, თუ იგი იმყოფება იმავე ქალაქში, სადაც მყიდველი ცხოვრობს, ან საგარანტიო რემონტის სახელოსნო.

იმ პუნქტებში, სადაც არ არსებობს ნაკეთობის დამამზადებელი საწარმო, ან საგარანტიო რემონტის სახელოსნო, ზემოჩამოთვლილ უწესივრო ნაკეთობებს ახალზე გამოცვლის ის მაღაზია, რომელშიც იგი ნაყიდია.

უწესივრო ნაკეთობათა გამოცვლა ახალზე წარმოებს იმ დროიდან არა უგვიანეს ერთი კვირის ვადისა, რაც დამამზადებელმა საწარმომ, საგარანტიო რემონტის სახელოსნომ ან მაღაზიამ მიიღო მყიდველის წერილობითი განცხადება;

ბ) ორგზის საგარანტიო რემონტის შემდეგ უწესივრო პიანინოებს, როიალებს, მაცივრებს, სარეცხ და საკერავ მანქანებს, უნივერსალურ სამზარეულო მანქანებს, ელექტროფირსაკრავებს, ბაიანებს, აკორდეონებს, გარმონებს, ფოტოაპარატებს, კინოკამერებს, კინო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტორებს, საათებს, ველოსიპედებს, ნავის მოტორებს, ელექტ-
რომრიცხველებსა და სხვა ნაკეთობებს, რომლებისთვისაც დაწესებუ-
ლია ხმარების საგარანტიო ვადები, საგარანტიო ვადის გასვლამდე
გამოცვლის ახალზე დამამზადებელი საწარმო, თუ იგი იმყოფება
იმავე ქალაქში, სადაც მყიდველი ცხოვრობს, ან საგარანტიო რემონ-
ტის სახელოსნო, ხოლო თუ ასეთები არ არის, — მაღაზია ამ ნაკე-
თობათა ყიდვის ადგილზე.

საწარმო, რომელმაც რემონტი ჩაატარა, შესრულებული საგა-
რანტიო რემონტის შესახებ გააკეთებს აღნიშვნას ნაწარმის პასპორ-
ტში (საგარანტიო ტალონზე).

ამ ნაკეთობათა გამოცვლისას საჭირო არ არის მყიდველის მიერ
სპეციალური დასკვნის მიღება შემდგომი რემონტის საჭიროების
შესახებ.

შენიშვნა: ოქროს კორპუსიანი საათის უწესივრობის დროს გამოიცვლება
მხოლოდ მექანიზმი;

გ) უწესივრო მსუბუქ ავტომობილებს, მოტოციკლებს და მოტო-
როლერებს ხმარების საგარანტიო ვადის გასვლამდე გამოცვლის და-
მამზადებელი ქარხანა, თუ იგი იმყოფება იმავე პუნქტში, სადაც
მყიდველი ცხოვრობს, ან საგარანტიო რემონტის სახელოსნო, თუ
ისინი ორგზის საგარანტიო რემონტის შემდეგ არ მოიყვანენ მსუბუქ
ავტომობილს, მოტოციკლს ან მოტოროლერს ტექნიკურად წესიერ
მდგომარეობაში.

ჩამოთვლილი მანქანების გამოცვლა ხდება იმ საექსპერტო კომი-
სიის დასკვნის საფუძველზე, რომელშიაც შედიან: დამამზადებელი
ქარხნის (ან საგარანტიო რემონტის სახელოსნო), სახელმწიფო საავ-
ტომობილო ინსპექციის და იმ მაღაზიის წარმომადგენლები, რომელ-
მაც მანქანა გაყიდა. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მანქანები შე-
ძენილია ისეთ მაღაზიებში, რომლებიც მყიდველის საცხოვრებელი
ადგილის გარეთ მდებარეობენ, კომისია შეიქმნება მაღაზიის წარმო-
მადგენლის მონაწილეობის გარეშე.

საექსპერტო კომისიას შექმნის დამამზადებელი ქარხანა ან საგა-
რანტიო რემონტის სახელოსნო და მოვალეა მისცეს დასკვნა მყიდვე-
ლის განცხადების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში.

უწესივრო მანქანების გამოცვლა წესიერ მანქანებზე წარმოებს
იმ დროიდან ორი კვირის ვადაში, რაც მიღებულია მყიდველის გან-
ცხადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. თუ აღმოჩნდა უწესივრობა ან დეფექტები დანარჩენ ნაკეთობებში, რომლებისთვისაც დაწესებულია ხმარების საგარანტიო ვადები და რომლებიც შეძენილია მყიდველის საცხოვრებელი ადგილის გარეთ მდებარე საცალო სავაჭრო ქსელში, უწესივრო ნაკეთობებს გამოცვლის დამამზადებელი საწარმო ან ის სახელოსნო, რომელმაც ეს ნაკეთობები მიიღო საგარანტიო მომსახურებისათვის, ამ წესების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

4. თუ ავეჯში აღმოჩნდა საწარმოო ხასიათის დეფექტები, მყიდველი ამას აცნობებს იმ მაღაზიას, რომელშიაც შეძენილია ავეჯი, და ეს უკანასკნელი მოვალეა გამოასწოროს ეს დეფექტები მყიდველის განცხადების მიღების მომენტიდან ერთი კვირის ვადაში.

თუ შეუძლებელია ავეჯის დეფექტის გამოსწორება აღნიშნულ ვადაში, მაღაზია მოვალეა ორი კვირის განმავლობაში გამოცვალოს მდარე ღირსების ნაკეთობა იმავე არტიკულის კარგი ღირსების ნაკეთობაზე ან საშუალება მისცეს მყიდველს შეარჩიოს სხვა არტიკულების ავეჯი, ან დაუბრუნოს საქონლის ღირებულება.

თუ დეფექტები აღმოჩენილია გარნიტურის შემადგენლობის ცალკეულ ნაკეთობებში, მყიდველის მოთხოვნით გამოიცვლება მთელი გარნიტური ან ცალკეული ნაკეთობები, რომლებიც ცუდი ხარისხის აღმოჩნდა.

მაღაზიას აგრეთვე უფლება აქვს, ექსპერტიზის აქტის საფუძველზე, მყიდველის თანხმობით მოახდინოს დეფექტიანი ავეჯის ჩამოფასება და მიხცეს ფასში არსებული განსხვავება.

5. მყიდველის მთელ ფაქტიურ ხარჯებს, რაც დაკავშირებულია ნაკეთობათა გადაზიდვასთან, ხმარების საგარანტიო ვადის პერიოდში, დამამზადებელ საწარმოში, საგარანტიო რემონტის სახელოსნოებში ან მაღაზიებში და უკან წაღებასთან, აანაზღაურებს საწარმო, სახელოსნო ან მაღაზია, სადაც იწარმოებს რემონტი ან გამოცვლა, ამასთან ეს ხარჯები გაიწევა დამამზადებელი საწარმოს ანგარიშში.

6. ხმარების საგარანტიო ვადის დასაწყისი ითვლება იმ დღიდან, რაც ნაკეთობა გაიყიდა საცალო სავაჭრო ქსელის მეშვეობით.

7. მყიდველს, რომელმაც აღმოაჩინა დეფექტი მის მიერ ნაყიდი იმ ნაკეთობის ხარისხში, რომლისთვისაც არ არის დაწესებული ხმარების საგარანტიო ვადა (ტანსაცმელი, ქსოვილები, ქურქბეწვეული, ხალიჩები და სხვა), უფლება აქვს გამოცვალოს იგი მაღაზიაში ყიდვის ადგილზე შვიდი დღის განმავლობაში (ყიდვის დღის ჩაუთვლელად) კარგი ღირსების საქონელზე. თუ გამოსაცვლელად არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოჩნდა სათანადო საქონელი, მდარე ღირსების საქონელს მიიღებს მაღაზია, ხოლო მყიდველს დაუბრუნდება ფული იმ თანხის ოდენობით, რაც მისგან მიიღო მაღაზიამ, რომელმაც უხარისხო საქონელი გაყიდა.

ცუდი ხარისხის საქონლის გამოცვლა ან მიღება წარმოებს რიგგარეშე, როგორც კი მას წარადგენენ მაღაზიაში მაღაზიის სასაქონლო ან საკასო ჩეკთან და ფაბრიკის იარლიყთან ერთად.

8. თუ ნაყიდ ნაკეთობას, რომელზედაც არ არის დაწესებული ხმარების საგარანტიო ვადა, აღმოაჩნდა ფარული დეფექტები (ესე იგი ისეთი ნაკლი, რომელიც არ შეიძლებოდა აღმოჩენილი ყოფილიყო ყიდვის მომენტში ჩვეულებრივი გასინჯვის დროს), რაც დადასტურებულია ლაბორატორიული ანალიზით ან საქონლის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნით, მაღაზია მოვალეა გამოცვალოს მდარე ხარისხის ნაკეთობა იმ დღიდან ერთი თვის განმავლობაში, რაც მას მყიდველმა მიმართა, თუ ეს მიმართვა მოხდა იმ ვადაში, რომელიც არ აღემატება 6 თვეს ყიდვის დღიდან.

9. საქონელი გამოიცვლება იმ წესით და იმ შემთხვევებში, რაც დადგენილია ამ წესებით, იმავე მარკის (არტიკულის) ნაწარმზე, ხოლო თუ იმავე მარკის (არტიკულის) ნაწარმი არ მოიპოვება — მყიდველის თანხმობით, ანალოგიური მარკის (არტიკულის) ასეთსავე საქონელზე, ღირებულების სათანადო გადაანგარიშებით.

10. საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი ცუდი ხარისხის ფეხსაცმლის გამოცვლა წარმოებს განსაკუთრებული წესების მიხედვით.

11. საქონელი, რომელზედაც არ არის დაწესებული ხმარების საგარანტიო ვადები (ზედა სამკერვალო და ტრიკოტაჟის ნაწარმი, თავსამკაული, ფეხსაცმელი, ცალობრივი ტექსტილი და ქალის ჩანთები), რომელიც არ მოეწონა მყიდველს ფორმის, ფასონის, ფერის ან ზომის მიხედვით, გამოიცვლება მაღაზიაში ყიდვის ადგილზე 7 დღის განმავლობაში (ყიდვის დღის ჩაუთვლელად), თუ იგი არ ყოფილა ხმარებაში, არ არის დაზიანებული, გაბინძურებული და შენარჩუნებული აქვს ფაბრიკის იარლიყი და მაღაზიის მიერ გაცემული სასაქონლო ან საკასო ჩეკი.

12. მყიდველებისაგან მიღებული ყველა მდარე საქონელი, გარდა იმპორტულისა, დაუბრუნდება შესაბამის დამამზადებელ საწარმოს ან მისი მითითებით ნაჩვენებ ორგანიზაციას. დამამზადებელი საწარმოსათვის უხარისხო საქონლის დაბრუნება ხდება იმ წესით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც გათვალისწინებულია დებულებით სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ, მიწოდების განსაკუთრებული პირობებით ან ხელშეკრულებებით.

საიმპორტო საქონლის დაბრუნების წესს განსაზღვრავს „სოიუზგლავტორგი“ ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის.

13. საიმპორტო სამრეწველო საქონლის გამოცვლა წარმოებს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ამ წესებით.

14. უფასო შეკეთება ან გამოცვლა არ შეიძლება ისეთი ნაკეთობებისა, რომელთა უწესივრობა წარმოიშვა იმის გამო, რომ მყიდველმა დაარღვია მათი სარგებლობის ან შენახვის წესები.

ეს დარღვევა დადასტურებულ უნდა იქნას ექსპერტიზის დასკვნით.

15. არ შეიძლება გამოცვლა ისეთი საქონლისა, რომელიც გაყიდულია დაკლებულ ფასებში ამ საქონლის მიერ პირვანდელი ხარისხის დაკარგვის გამო, აგრეთვე სრულფასოვანი ნაკეთობებისა პლატინისაგან, ოქროსაგან, ვერცხლისაგან, თეთრეულისა და ყოველგვარი სამრეწველო საქონლისა, რომელიც ნაყიდია საკომისიო მაღაზიებში და შესყიდულია ნივთების გასაყიდ მაღაზიებში.

132 მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) აღმასკომების შტატების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 23 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად ახალი ადმინისტრაციული რაიონების შექმნასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებისა და მათი განყოფილებების სტრუქტურა, შტატები და მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები, № 1 დანართის თანახმად.

შენარჩუნებულ იქნას გარდაბნის რაიონული საბჭოს აღმასკომთან არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილება 3 ერთეულის რაოდენობით, ხელფასის 306 მანეთის თვიური ფონდით.

მიეკუთვნოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები შრომის ანაზღაურების მხრივ ჯგუფებს, №№ 2 და 3 დანართების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების (რაიონული დაქვემდებარების) აღმასკომების სტრუქტურა, შტატები და მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები. № 4 დანართის თანახმად.

3. დაწესდეს სკოლის ინსპექტორების საერთო რაოდენობა 125 ერთეული ხელფასის 13.300 მანეთის თვიური ფონდით და დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გაანაწილოს ისინი რაიონებს შორის რაიონების თავისებურებათა და სკოლების რაოდენობის შესაბამისად და წარუდგინოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

4. განისაზღვროს სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებათა ტექნიკური და მომსახურე პერსონალის შტატის რაოდენობა 215 ერთეულით, ხელფასის 7.700 მანეთის თვიური ფონდით.

დაევალოს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს გაანაწილოს რაიონებს შორის ზემოაღნიშნული საშტატო რაოდენობა, ამასთან დაიცვას ხელფასის დაწესებული თვიური ფონდი, პენსიონერთა რაოდენობის გათვალისწინებით და წარუდგინოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

5. ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს მოახდინონ საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების ცენტრალიზაცია სახალხო განათლების განყოფილებებში.

დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, დაამტკიცოს შტატები და თანამდებობრივი განაკვეთები სახალხო განათლების განყოფილებებთან არსებული ცენტრალიზებული ბუღალტერიების მუშაკთათვის.

6. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, ცეკავშირის გამგეობამ ერთი დეკადის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეიქმნას რაიონებში მათი ორგანოები 1964 წლისათვის დამტკიცებულ ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 თებერვლის № 121 და 1963 წლის 27 ნოემბრის № 733 დადგენილებანი.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი რაიონების ბიუჯეტებსა და სახალხო-სამეურნეო გეგმებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 25 დეკემბერი, № 738.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 25 დეკემბრის № 738
დადგენილების დანართი № 1

საშტატო განრიგი

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებისა

სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება	I ჯგუფის რაიონები			II ჯგუფის რაიონები		
	შტატის რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი	ხელფასის თვიური ფონდი	შტატის რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი	ხელფასის თვიური განაკვეთი
თავმჯდომარე	1	210	210	1	190	190
აღმასკომის მდივანი	1	88	88	1	79	79
საერთო და საორგანიზაციო განყოფილების გამგე	1	55	55	1	55	55
ინსტრუქტორი	1	36	36	1	36	36
სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი	1	80	80	1	80	80
უფროსი ბუღალტერი	1	60	60	1	60	60
არქივარიუსი-საქმისმწარმოებელი	1	30	30	1	30	30
მდივანი-მემანქანე	1	30	30	1	30	30
მემანქანე	1	30	30	1	30	30
მსუბუქი ავტომანქანის შოფერი	1	58	58	1	58	58
დამლაგებელი-შიკრიკი	1	30	30	1	30	30
დამლაგებელი-ცეცხლფარეში	1	30	30	1	30	30
დარაჯი	1	30	30	1	30	30
სულ:	13	—	768	13	—	8738
სულ აღმასკომებში	442	—	26110	364	—	20660
სახალხო განათლების განყოფილება						
განყოფილების გამგე	1	88	88	1	79	79
			სკოლების რაოდენობის მიხედვით			
სკოლის ინსპექტორი	1	30	30	1	30	30
სტატისტიკოსი	1	41	41	1	41	41
მემანქანე-საქმისმწარმოებელი	1					
სულ:	3	—	159	3	—	150

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრუქტურულ ქვეგანყოფთა და თანამდებობათა დასახელება	I ჯგუფის რაიონები			II ჯგუფის რაიონები		
	შტატის რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი	ხელფასის თვიური ფონდი	შტატის რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი	ხელფასის თვიური ფონდი
სულ განყოფილებებში	102	—	5400	84	—	4200
კულტურის განყოფილება						
განყოფილების გამგე	1	88	88	1	79	79
ბუღალტერი	1	60	60	—	—	—
სულ	2	148	148	1	—	79
სულ განყოფილებებში	58	—	4430	28	—	2200
სოციალური უზრუნველ ყოფის განყოფილება						
განყოფილების გამგე	1	79	79	1	69	69
უფროსი ინსპექტორი	1	60	60	1	57	57
უფროსი ბუღალტერი	1	52—50	52—50	1	48—50	48—50
მარტოხელა და მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების მიცემის უფროსი ინსპექტორ-რევიზორი	1	60	60	1	57	57
სახელმწიფო დახმარების მიცემის ინსპექტორი	პენსიონერთა რაოდენობის მიხედვით					
ბუღალტერ-კონტროლიორი	„			„		„
ინსპექტორი	„			„		„
უფროსი მოანგარიშე	„			„		„
დამლაგებელი	დაწესდება იმ რაიონებში, რომლებშიაც სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები ცალკეულ შენობებშია მოთავსებული.					
საქმისმწარმოებელი	პენსიონერთა რაოდენობა					
სულ	4	—	251—50	4	—	231—50
მთლად განყოფილებებში	136	—	8550	112	—	6480
საგეგმო კომისია						
თავმჯდომარე	1	88	88	1	79	79
სულ საგეგმო კომისიებში	34	—	3000	28	—	2200
საგზაო განყოფილება						
განყოფილების გამგე	1	88	88	1	79	79

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრუქტურულ ქვეგანყოფთა და თანამდებობათა დასახელება	I ჯგუფის რაიონები			II ჯგუფის რაიონები		
	შტატის რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი	ხელფასის თვიური ფონდი	შტატის რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი	ხელფასის თვიური განაკვეთი
ბუღალტერი	1	55	55	1	55	55
სულ	2	—	143	2	—	143
სულ განყოფილებებში	68	—	4860	56	—	3750
ვაჭრობის განყოფილება						
განყოფილების გამგე	1	88	88	1	79	79
სულ განყოფილებებში	34	—	3000	28	—	2200
მმაჩის ბიურო						
მმაჩის ბიუროს გამგე	1	45	45	1	41	41
სულ მმაჩებში	34	—	1530	28	—	1150
ეძლევა დამატებით:						
ცხინვალის საქალაქო აღმასკომს	3	—	160	—	—	—
ჭიათურის, გორის საქალაქო აღმასკომებს	4	—	240	—	—	—
ტყიბულის საქალაქო აღმასკომს	3	—	160	—	—	—
სულ საქალაქო (რაიონულ) აღმასკომებსა და მათს განყოფილებებში	918	—	57440	728	—	42840

შენიშვნა: 1. აღნიშნულ გაანგარიშებებში შტატების მიხედვით არ შეიტანება სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების დამატებითი რაოდენობა, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 28 ნოემბრის № 709 დადგენილებით „კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარების კანონის გატარებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის და საფინანსო ორგანოების შტატებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

2. პირველი კატეგორიის რაიონების — ამბროლაურის, ბორჯომის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუშეთის, კასპის, ქობულეთის, ყვარლის, ხულოს, წყალტუბოს, თეთრიწყაროს და ლაგოდეხის რაიონების კულტურის განყოფილებებში ბუღალტრის თანამდებობა არ დაწესდება, ამ რაიონებში და მეორე კატეგორიის რაიონებში საბუღალტრო აღრიცხვას აწარმოებს შესაბამისი რაიაღმასკომის უფროსი ბუღალტერი.

3. ახალქალაქის, ახალციხის, გორის, ზუგდიდის, მახარაძისა და ცხაკაიას რაიონების აღმასკომების შტატებში დამატებით დაწესდება აღმასკომის ინსტრუქტორის თითო თანამდებობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 25 დეკემბრის № 738
დადგენილების დანართი № 2

ს ი ა

პირველი ჯგუფის რაიონებისა

1. ამბროლაურის
2. ახალქალაქის
3. ახალციხის
4. ბოლნისის
5. ბორჯომის
6. გარდაბნის
7. გორის
8. გაგრის
9. გალის
10. გურჯაანის
11. გუდაუთის
12. გულრიფშის
13. გეგეჭკორის
14. დუშეთის
15. ზესტაფონის
16. ზუგდიდის
17. კასპის
18. ქობულეთის
19. ყვარლის
20. ლაგოდეხის
21. მცხეთის
22. მარნეულის
23. მახარაძის
24. ოჩამჩირის
25. საგარეჯოს
26. სამტრედიის
27. სიღნაღის
28. თელავის
29. თეთრიწყაროს
30. ხულოს
31. ხაშურის
32. ცხაკაიას
33. წყალტუბოს
34. წითელწყაროს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 25 დეკემბრის № 738
დადგენილების დანართი № 3

ს ი ა

მეორე ჯგუფის რაიონებისა

1. ახმეტის
2. აბაშის
3. ბოგდანოვკის
4. ბათუმის
5. ვანის
6. დმანისის
7. ჯავის
8. ზნაურის
9. ყაზბეგის
10. ქარელის
11. ქედის
12. ლენტეხის
13. ლანჩხუთის
14. ლენინგორის
15. მაიაკოვსკის
16. მესტიის
17. ონის
18. ორჯონიკიძის
19. საჩხერის
20. თიანეთის
21. თერჯოლის
22. ხობის
23. წალკის
24. ცაგერის
25. წულუკიძის
26. წალენჯიხის
27. ჩოხატაურის
28. ჩხოროწყუს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 25 დეკემბრის № 738
დადგენილების დანართი № 4

საშტატო განრიგი

ზუგდიდის, ბორჯომის, ზესტაფონის, კასპის, სამტრედიის, თელავის, წყალტუბოს, გაგრის, ოჩამჩირისა და ქობულეთის საქალაქო საბჭოების აღმასკომებისა

	საშტატო ერთეულების რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი
1. აღმასკომის თავმჯდომარე	1	75
2. მდივანი	1	60
3. ბუღალტერი	1	50
4. საქმისმწარმოებელი-მემანქანე	1	45
5. შიკრიკი-დამლაგებელი	1	30
სულ	5	260
სულ ყველა აღმასკომში	50	2600

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

133 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 1 ოქტომბრის № 822 დადგენილება „კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების სრულიად საკავშირო ბანკის (სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის) წესდების დამტკიცების შესახებ“ დაეგზავნოს ცნობად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 9 ოქტომბერი, № 1398-გ.

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 822

1964 წლის 1 ოქტომბერი

მოსკოვი, კრემლი

კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების სრულიად საკავშირო ბანკის (სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის) წესდების დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების სრულიად საკავშირო ბანკის (სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის) თანდართული წესდება.

2. განისაზღვროს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საწესდებო ფონდი 250 მილიონი მანეთის ოდენობით.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ სსრ კავშირის სამშენებლო ბანკთან ერთად წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა ნუსხა, რომლებიც ძალადაკარგულად ითვლება ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **გ. სტეპანოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 1 ოქტომბრის № 822
დადგენილებით

წესდება

კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების სრულიად საკავშირო ბანკისა (სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი)

I. ზოგადი დებულებანი

1. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი წარმოადგენს სსრ კავშირის მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებისა და დაკრედიტების სახელმწიფო ბანკს.

2. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის ძირითადი ამოცანაა კონტროლი გაუწიოს, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესაბამისად, კაპიტალურ დაბანდებათა სწორად და ეფექტიანად გამოყენებას, საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებების, კაპიტალური მშენებლობის გეგმების, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების დავალებებისა და დაგროვებათა გეგმების შესრულებას, შიგასამეურნეო რეზერვების მობილიზაციას და კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად განკუთვნილი სახსრების დროულად შემოსვლას, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების, საგეგმო, საფინანსო და საგადამხდელო დისციპლინის დაცვას, აგრეთვე მშენებლობაში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას.

3. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი მონაწილეობას მიიღებს კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებაში.

მშენებლობათა სატიტულო სიების ანალიზის, კაპიტალური მშენებლობის გეგმებისა და მისი დაფინანსების გეგმების შესრულების შემოწმების შედეგების საფუძველზე, სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი შეიმუშავებს წინადადებებს, რომლებიც ითვალისწინებენ სახსრების კონცენტრაციას საექსპლუატაციოდ გადასაცემ მშენებლობებსა და ობიექტებზე, საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის დაჩქარებას, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებას და იმას, რომ დროზე იქნას უზრუნველყოფილი მშენებლობა ფულადი სახსრებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი დანერგავს კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებისა და დაკრედიტების უფრო სრულყოფილ მეთოდებს.

4. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საკრედიტო გეგმის შესაბამისად:

დააფინანსებს საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების კაპიტალურ დაბანდებებს, აგრეთვე სამშენებლო, სამონტაჟო, საპროექტო და გეოლოგიური ორგანიზაციების ძირითად საშუალებათა კაპიტალურ რემონტს;

მოიზიდავს სახსრებს, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური დაბანდებების, საოპერაციო ხარჯებისა და კაპიტალური რემონტის დასაფინანსებლად;

აწარმოებს მოკლევადიან და გრძელვადიან დაკრედიტებას;

მოაწყობს და განახორციელებს ანგარიშსწორებას მშენებლობაში;

დააფინანსებს მშენებლობას, რომელიც საზღვარგარეთ ხორციელდება, და დააკრედიტებს დანახარჯებს, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ საბჭოთა კავშირი ტექნიკურ დახმარებას უწევს უცხოეთის სახელმწიფოებს, სსრ კავშირის მთავრობის სამთავრობათაშორისო შეთანხმებებისა და გადაწყვეტილებების შესაბამისად.

5. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კანონებით, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით და ამ წესდებით.

6. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი არის იურიდიული პირი და მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე.

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი არ არის პასუხისმგებელი სახელმწიფოს ვალდებულებათა შესრულებისათვის, ისევე როგორც სახელმწიფო არ არის პასუხისმგებელი სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის ვალდებულებათა შესრულებისათვის.

7. იმ სახსრებზე, რომლებიც სსრ კავშირის სამშენებლო ბანკში ინახება დაფინანსების ანგარიშებზე, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე, გადახდევინება შეიძლება მიმართულ იქნას მხოლოდ სასამართლოების მიერ გაცემული აღსრულებითი ფურცლებით, არბიტრაჟის ორგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოების ბრძანებებით და სხვა აღსრულებითი დოკუმენტებით, ასევე ლო მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში— საფინანსო ორგანოების, სსრ კავშირის სამშენებლო ბანკისა და სხვა ორგანიზაციების მოთხოვნებით.

მშენებლობათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სახსრებს, რომლებიც სსრ კავშირის სამშენებლო ბანკში ინახება, ყადაღა შეიძლება დაედოს მხოლოდ სასამართლო, საარბიტრაჟო ან საგამომძიებლო ორგანოების დადგენილებებით.

8. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი და მისი დაწესებულებანი თავისუფლდებიან სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღების, აგრეთვე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

9. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის ყველა მოსამსახურე მოვალეა დაიცვას საიდუმლოება სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის და მისი კლიენტების ოპერაციებისა და ანგარიშების მიმართ.

ცნობები მშენებლობების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ოპერაციებისა და ანგარიშების შესახებ შეიძლება მიეცეთ თვით კლიენტებს და იმ ზემდგომ ორგანოებს, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფებიან კლიენტები, აგრეთვე სასამართლო, საგამომძიებლო და საფინანსო ორგანოებს, დადგენილი წესის დაცვით.

10. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს, მის კანტორებსა და განყოფილებებს აქვთ ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო გერბი.

II. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის ფონდები

11. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს აქვს საწესდებო ფონდი, სარეზერვო ფონდი, ძირითად საშუალებათა ფონდი, საამორტიზაციო ფონდი და გრძელვადიანი დაკრედიტების ფონდი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს შეიძლება ჰქონდეს სხვა სპეციალური ფონდებიც.

12. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საწესდებო ფონდი განისაზღვრება 250 მილიონი მანეთით და წარმოადგენს მის ვალდებულებათა უზრუნველყოფას. საწესდებო ფონდის ოდენობის შეცვლა მოხდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

13. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის სარეზერვო ფონდი შეიქმნება მისი მოგების ანარიცხების ხარჯზე და განკუთვნილია იმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის, რომ დაიფაროს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის ოპერაციების გამო მოსალოდნელი ზარალი.

სარეზერვო ფონდში ანარიცხების გადარიცხვა იწარმოებს იმ დრომდე, ვიდრე იგი მიაღწევდეს საწესდებო ფონდის თანაბარ ოდენობას. თუ სარეზერვო ფონდის ნაწილი ან მთლიანად ფონდი დაიხარჯება აღნიშნული ზარალის დასაფარავად, მაშინ ამ ფონდში ანარიცხები განახლდება და იწარმოებს იმ დრომდე, ვიდრე იგი დაწესებულ ოდენობას მიაღწევდეს.

14. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის მოგება წლიური ანგარიშის დამტკიცების შემდეგ განაწილდება შემდეგნაირად:

ა) 50 პროცენტი გადაირიცხება საკავშირო ბიუჯეტში;

ბ) მოგების დანარჩენი ნაწილი ჩაირიცხება სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის სარეზერვო ფონდში.

როდესაც სარეზერვო ფონდი მიაღწევს საწესდებო ფონდის ოდენობას, მოგების ეს ნაწილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით მოხმარდება სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საწესდებო ფონდის გადიდებას ან გადაირიცხება საკავშირო ბიუჯეტში.

15. გრძელვადიანი დაკრედიტების ფონდი შეიქმნება სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაღებულ ასიგნობათა ხარჯზე. ამ ფონდის ოდენობას ყოველწლიურად განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საკრედიტო გეგმის დამტკიცების დროს.

16. თავისუფალ სახსრებს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი ინახავს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში, რომელიც ახორციელებს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საკასო მომსახურებას.

III. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის ოპერაციები კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად

17. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი განახორციელებს დადგენილი წესით მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საბინაო და კომუნალური მეურნეობის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის იმ სხვა დარგების დაფინანსებას, რომელთა დაფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანსება სსრ კავშირის მთავრობის მიერ დაკისრებული აქვს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს.

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი განახორციელებს აგრეთვე მშენებლობასთან დაკავშირებული საოპერაციო ხარჯების და იმ სამშენებლო, სამონტაჟო, საპროექტო და გეოლოგიური ორგანიზაციების ძირითად საშუალებათა კაპიტალური რემონტის დაფინანსებას, რომლებსაც საანგარიშსწორებო ანგარიშები აქვთ სსრ კავშირის სამშენებლო ბანკში.

18. კაპიტალური დაბანდებების, საოპერაციო ხარჯებისა და კაპიტალური რემონტის დაფინანსებას სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი აწარმოებს საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან გაღებულ ასიგნობათა ხარჯზე და საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა იმ საკუთარი სახსრების ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია მათი საფინანსო გეგმებით.

19. კაპიტალური დაბანდებების, საოპერაციო ხარჯებისა და კაპიტალური რემონტის დაფინანსების დროს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი შეამოწმებს:

ა) მშენებლობების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ სახსრების მიზნობრივად გამოყენებას დამტკიცებული გეგმების, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების მტკიცე შესაბამისობით;

ბ) საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებების, კაპიტალური მშენებლობების გეგმების, სამშენებლო, სამონტაჟო და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების და საპროექტო და საძიებო სამუშაოთა ღირებულების შემცირების დავალებების შესრულებას;

გ) საექსპლუატაციოდ გადასაცემ მშენებლობებსა და ობიექტებზე სახსრების კონცენტრაციის ღონისძიებათა შესრულებას;

დ) მშენებლობებზე არსებულ დაუყენებელი მოწყობილობის გამოყენებას;

ე) მშენებლობების, საიჯარო და სხვა ორგანიზაციების მიერ ხელფასის სახსრების ხარჯვას საწარმოო გეგმების შესრულების და დამტკიცებული ფონდების შესაბამისად, აგრეთვე მათ მიერ ზედნადები და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების ნორმების დაცვას;

ვ) საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების უზრუნველყოფას დამტკიცებული პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით, აგრეთვე ისეთი დოკუმენტებით, რომლებიც ადასტურებენ ... ექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის მოხდენას;

ზ) რამდენად სწორად არის შეფარდებული მშენებლობების, საიჯარო და სხვა ორგანიზაციების მიერ შესრულებულ სამუშაოთა მიღების აქტებსა და ამ სამუშაოთა ანგარიშებში მასობრივი მშენებლობის ობიექტების საპრეისკურანტო ფასები, სამშენებლო, სამონტაჟო, გეოლოგიურ-სადაზვერვო, საპროექტო, ხაძიებო და სხვა სამუშაოთა ფასდებანი;

თ) თუ რაოდენ დროულად და სრულად გადარიცხავენ საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები საკუთარ სახსრებს, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური დაბანდებების, საოპერაციო ხარჯებისა და კაპიტალური რემონტის დასაფინანსებლად და რამდენად სრულდება შინაგანი რესურსების მობილიზაციის დაწესებული დავალებანი;

ი) სამეურნეო ანგარიშისა და საგადამხდელო დისციპლინის დაცვას მშენებლობაში.

20. საფინანსო ორგანოების მიერ სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის დაწესებულებებისათვის კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების და ამ გეგმების შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფულადი სახსრების გადარიცხვის შეტყობინების წესს, აგრეთვე სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის დაწესებულებების მიერ საფინანსო ორგანოებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებასთან დაკავშირებული ოპერაციების გამო ანგარიშების წარდგენის წესს დაადგენენ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი.

IV. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის ოპერაციები მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაკრედიტებისათვის

21. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი დადგენილი წესით დააკრედიტებს სამეურნეო ანგარიშზე მყოფ, საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფილ, დამოუკიდებელი ბალანსისა და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკში საანგარიშსწორებო ანგარიშის მქონე მოიჯარე და სხვა ორგანიზაციებს, მშენებლობებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელთა დაფინანსება დაკისრებული აქვს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებს, აგრეთვე მუშებსა და მოსამსახურეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის მიერ სესხის გაცემა წარმოების საკრედიტო გეგმის შესაბამისად პირდაპირი, მიზნობრივი, ვადიანი და დასაბრუნებელი დაკრედიტების წესით.

22. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი მოიჯარე ორგანიზაციებს აძლევს მოკლევადიან კრედიტს:

ა) საშენი მასალების, კონსტრუქციების, დეტალების, ბლოკების, საკაბელო პროდუქციის, სადენის, საწვავისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა დასამზადებლად ნორმატივის გადამეტებით, მომავალი პერიოდისათვის მათზე არსებული გეგმური მოთხოვნილების, სამუშაოთა მოცულობისა და სტრუქტურის, აღნიშნულ ფასეულობათა შემოზიდვისა და წარმოების პირობების გათვალისწინებით;

ბ) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დაუმთავრებელი წარმოების დანახარჯებისათვის, რომლებიც ხორციელდება შემკვეთებისათვის ობიექტებისა და სამუშაოთა ცალკეული ეტაპების ჩაბარების გეგმისა და დაწესებული ვადების შესაბამისად, იმ ნაწილში, რომელიც არ იფარება საკუთარი საბრუნავი სახსრებით;

გ) სამშენებლო მანქანების, ტრანსპორტის საშუალებებისა და სხვა ძირითადი საშუალებების კაპიტალური რემონტისათვის მომავალი საამორტიზაციო ანარიცხების ანგარიშში;

დ) გზაში მყოფ საანგარიშსწორებო დოკუმენტებზე, შესრულებული სამუშაოებისათვის მოიჯარე ორგანიზაციათა ანგარიშებზე, რომლებზედაც აქცეპტი მისცეს შემკვეთებმა და რომლებიც მიიღო ბანკმა გასანაღდებლად, იმ ანგარიშსწორებათა დასამთავრებლად, რომლებიც ემყარება ურთიერთმოთხოვნების ჩათვლას, და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მიზნებისათვის.

23. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი მისცემს მშენებლობებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს კრედიტს სამამულო მოწყობილობის, აგრეთვე იმ მოწყობილობისა და მასალების ასანაზღაურებლად, რომლებიც იმპორტის წესით შემოდის კაპიტალური მშენებლობისათვის.

24. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი მისცემს მოიჯარე ორგანიზაციებს და მშენებლობებს, რომლებიც სამეურნეო წესით ხორციელდება, კრედიტს მშენებლობაში ახალი ტექნიკის დანერგვის, წარმოების მექანიზაციისა და მისი ტექნოლოგიის გაუმჯობესების, რაციონალიზაციისა და საწარმოო პროცესების ინტენსიფიკაციის ხარჯებისათვის, რომლებიც არ არის გათვალისწინებული გეგმით და არ არის დაკავშირებული ახალ მშენებლობასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი მისცემს გრძელვადიან კრედიტს:

ა) საწარმოებსა და ორგანიზაციებს, სახალხო მოხმარების საქონლის, საშენი მასალებისა და სათბობის წარმოების გაფართოებისა და ორგანიზაციისათვის, მოსახლეობის სამომსახურეო საწარმოების აშენებლობისა და გაფართოებისათვის, აგრეთვე სავაჭრო, სამაცივრო მოწყობილობისა და ავტომატების ღირებულების გასანაღდებლად;

ბ) საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის;

გ) მუშებსა და მოსამსახურეებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და რემონტისათვის.

26. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის მიერ გაცემულ სესხთა თანხები შეიძლება ჩაირიცხოს საწარმოებისა და ორგანიზაციების საანგარიშსწორებო ანგარიშებზე ან მოხმარდეს წინათ გაცემულ სესხთა დაფარვას ან უშუალოდ მშენებლობების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების გადასახდელთა შეტანას სესხის მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად.

27. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი კრედიტებს გასცემს მსესხებელთა ვადიანი ვალდებულებებით ან წარდგენის ვადიანი ვალდებულებებით და უზრუნველყოფილი იქნება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა საწინდრით ან ზემდგომი ორგანიზაციების გარანტიებით.

გრძელვადიანი კრედიტები, რომლებიც მუშა-მოსამსახურეებს ეძლევათ საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და რემონტისათვის, უზრუნველყოფილი იქნება იმ შენობების საწინდარ ქვეშ, რომელთა აშენება და რემონტი წარმოებს ბანკის კრედიტის დახმარებით.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა საწინდრის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

28. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკისაგან მიღებულ სესხში მსესხებლები სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს უხდიან პროცენტებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი ოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის ოპერაციები მშენებლობაში ანგარიშსწორებათა გამო

29. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი მოაწყობს და აწარმოებს ანგარიშსწორებას მშენებლობებსა, საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის შესრულებული სამუშაოებისათვის მოწყობილობისა, კონსტრუქციებისა, მასალებისა და მომსახურებისათვის, აგრეთვე სხვა ანგარიშსწორებას.

საანგარიშსწორებო ოპერაციების მოხდენის დროს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი განახორციელებს იმისადმი კონტროლს, თუ როგორ იცავენ მშენებლობები, საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები საგადამხდელო და სახელშეკრულებო დისციპლინას.

30. იმ მშენებლობების, საწარმოების, სამშენებლო, სამონტაჟო, საპროექტო, გეოლოგიური და სხვა საწარმოებისა და დაწესებულებების ფულადი სახსრები, რომლებსაც სსრ კავშირის სამშენებლო ბანკში აქვთ საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები, აუცილებლად უნდა იქნას შენახული ამ ანგარიშებზე, გარდა ნაღდი ფულის გარდამავალი ნაშთებისა მათ სალაროებში დაწესებული ოდენობით. მშენებლობების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხვედრი გადასახდელები შემოდის მათ ანგარიშებზე სსრ კავშირის სამშენებლო ბანკში.

მშენებლობები, საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები აწარმოებენ ანგარიშსწორებას და ანაღდებენ ვალდებულებებს თავიანთი ანგარიშებიდან სსრ კავშირის სამშენებლო ბანკში.

31. ფულადი სახსრების შესანახად და ანგარიშწარმოებისათვის სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი გაუხსნის მშენებლობებს, საწარმოებს, სამშენებლო, სამონტაჟო, საპროექტო, გეოლოგიურ და სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, დაფინანსების წყაროებისა და მათი საქმიანობის ხასიათის მიხედვით, დაფინანსების ანგარიშებს, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს.

ანგარიშების გახსნისას სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი განახორციელებს იმისადმი კონტროლს, თუ როგორ არის დაცული მოქმედი კანონმდებლობა მშენებლობების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის დროს.

ანგარიშების გახსნისა და დახურვის წესს დაადგენს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

32. მშენებლობების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ანგარიშსწორება ხდება სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის მეშვეობით და მისი კონტროლით აქცეპტის, აკრედიტივისა და განსაკუთრებული ანგარიშის ფორმით, გზავნილების, დავალების, ჩეკების საშუალებით, აგრეთვე გეგმიანი გადასახდელების, ურთიერთმოთხოვნების ჩათვლებისა და ანგარიშსწორებათა სხვა ფორმების გამოყენების გზით.

33. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი მოაწყობს და განახორციელებს მუდმივ და ერთჯერად ანგარიშსწორებას მშენებლობების, საწარმოების, მოიჯარე და სხვა ორგანიზაციების ურთიერთმოთხოვნების ჩათვლის გზით, აგრეთვე კონტროლს გაუწევს ანგარიშსწორებას სამშენებლო ტრესტების სამეურნეო ანგარიშის ქვეგანაყოფებს შორის, ტრესტებთან არსებული ურთიერთანგარიშსწორების ბიუროს მეშვეობით.

ურთიერთმოთხოვნების ჩათვლა, რაც ნებადართულია სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის მიერ, წარმოებს დამოუკიდებლად იმისა, არსებობს თუ არა კრედიტორების პირველი რიგის პრეტენზიები ჩათვლის მონაწილეებისადმი.

VI. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის უფლებები

34. იმ ოპერაციების უზრუნველსაყოფად, რომლებსაც სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი ახორციელებს, და მასზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს ენიჭება უფლება:

ა) გამოსცეს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და მის შესასრულებლად თავისი კლიენტურისათვის სავალდებულო ინსტრუქციები და ბრძანებები:

ბ) მიიღოს მშენებლობებისაგან, საწარმოებისაგან, მოიჯარე და სხვა ორგანიზაციებისაგან, სახალხო მეურნეობის საბჭოებისაგან, სახელმწიფო კომიტეტებისაგან, სამინისტროებისაგან, უწყებებისაგან და მათი სამმართველოებისაგან, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სამმართველოებისაგან (განყოფილებებისაგან) კაპიტალური მშენებლობის დაწესებული ანგარიშგება, საპროექტო, საგეგმო და სხვა მასალები, რომლებიც საჭიროა დაფინანსებისა და დაკრედიტებისათვის, მიიღოს სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან, სახელმწიფო სტატი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოებისაგან დაწესებული ანგარიშგების მაჩვენებლების ჯამი.

გ) შეამოწმოს იმ მშენებლობების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ფულადი და საანგარიშსწორებო დოკუმენტები, საბუღალტრო ჩანაწერები, საკასო წიგნები და ოპერატიულ-სტატისტიკური მასალები, რომლებსაც ანგარიშები აქვთ სსრ კავშირის სამშენებლო ბანკში; შეამოწმოს — იყენებენ თუ არა ისინი მიზნობრივი დანიშნულებით სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის მიერ გაცემულ სესხებს და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკში მიღებულ ფულად სახსრებს, აგრეთვე შეამოწმოს იმ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა არსებული რაოდენობა და მათი შენახვის პირობები, რომლებიც სესხის გარანტიას წარმოადგენენ;

დ) აწარმოონ შესრულებული სამშენებლო, სამონტაჟო, გეოლოგიურ-სადაზვერვო, საპროექტო-საძიებო და სხვა სამუშაოების საკონტროლო აზომვა და მშენებლობების, მოიჯარე და სხვა ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გამოკვლევა;

ე) ჩამოსწერონ უდავო წესით საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მათი ზემდგომი ორგანიზაციების ანგარიშებიდან (ცენტრალიზებული ანგარიშსწორების დროს) საანგარიშო ბალანსებით დარიცხული, მაგრამ ვადაზე შეუტანელი საკუთარი სახსრები (მოგება, საამორტიზაციო ანარიცხები და სხვა), რომლებიც განკუთვნილია კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად და მოიჯარე და სხვა ორგანიზაციების საამორტიზაციო ანარიცხები, რომლებიც განკუთვნილია ძირითად საშუალებათა კაპიტალური რემონტის დასაფინანსებლად;

ვ) ვადამდე გადაახდევინოს სესხი იმ შემთხვევაში, თუ მიღებული სახსრები გამოყენებულია არამიზნობრივი დანიშნულებით, შექმნილია სესხთა არაუზრუნველყოფილი დავალიანება, დარღვეულია დაკრედიტების წესები, არადამაკმაყოფილებლად ინახება სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის მიერ გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად გამოყოფილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი, და ადგილი აქვს ბანკის კონტროლისათვის თავის არიდებას;

ზ) გადაახდევინოს დადგენილი წესით მშენებლობების, საწარმოების, მოიჯარე და სხვა ორგანიზაციების მიერ ზედმეტად მიღებული თანხები, რაც გამოვლინებულია შესრულებული სამუშაოების საკონტროლო აზომვის, ამ სამუშათა მიღების აქტებისა და სხვა დოკუმენტების შემოწმების შედეგად, რომლებიც წარმოადგენენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახსრების მიღების საფუძველს; დაადოს ჯარიმა დოკუმენტბრუნვის მოქმედი წესების დარღვევისათვის.

35. იმ მშენებლობებსა და მოიჯარე ორგანიზაციებს, რომლებიც მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმებს, კაპიტალური დაბანდებებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმებს, თვითღირებულების შემცირების დავალებებს და დაგროვების გეგმებს, სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი მიანიჭებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უპირატესობებსა და შეღავათებს.

36. იმ მშენებლობების, მოიჯარე და სხვა ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც მოქმედებენ უყაირათოდ, არღვევენ საფინანსო დისციპლინას, არასწორად იყენებენ საკუთარ საბრუნავ სახსრებს, უშვებენ ზარალს და სისტემატურად არ უხდიან გადასახდელებს მიმწოდებლებსა და ბანკს, სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს უფლება აქვს დადგენილი წესით:

ა) შეუწყვიტოს დაფინანსება სამეურნეო წესით წარმოებულ მშენებლობებს, აგრეთვე მშენებლობებს, რომლებიც საიჯარო წესით ხორციელდება, იმ დანახარჯების ნაწილში, რაც შენდებადი (მოქმედი) საწარმოების დირექციებს მიეკუთვნება;

ბ) შეწყვიტოს მთლიანად ან სესხის ცალკეულ სახეობათა მიხედვით, მშენებლობების, მოიჯარე და სხვა ორგანიზაციების დაკრედიტება და გადაიყვანოს ისინი დაკრედიტებაზე ზემდგომი ორგანიზაციების გარანტიით;

გ) გადაიყვანოს მოიჯარე სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციები დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების განსაკუთრებულ რეჟიმზე;

დ) გადახდის უუნაროდ გამოაცხადოს მოიჯარე სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციები, რომლებიც გადაყვანილი არიან დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების განსაკუთრებულ რეჟიმზე.

37. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს უფლება ენიჭება ვადამდე გადაახდევინოს სასამართლო წესით ინდივიდუალურ მსესხებლებს მიცემულ სესხთა მთელი დავალიანება იმ შემთხვევაში, თუ სესხი გამოყენებულია არამიზნობრივი დანიშნულებით ან ექვსი თვის განმავლობაში არ არის გადახდილი მორიგი გადასახდელები, ამასთან მიაქციოს გადახდევინება იმ სახლებზე, რომლებიც აშენებულია ან შეკეთებულია სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის სესხთა ხარჯზე, ხოლო საჭირო შემთხვევებში — მსესხებელთა სხვა ქონებაზე, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მიმართ მოქმედი კანონმდებლობით შეიძლება მიქცეულ იქნას გადახდევინება.

38. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის პრეტენზიების გამო, რომლებიც წამოიჭრა გადასახდელთა ვადის დადგომასთან ან ვადის გადაცილებასთან დაკავშირებით, აგრეთვე სესხის ვადამდე გადახდევინებასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი აწარმოებს გადახდევინებას უდავო წესით ვადიანი ვალდებულების ან წარდგენის ვადიანი ვალდებულების საფუძველზე.

თუ არ აღმოჩნდება სახსრები მოვალის ანგარიშზე სსრ კავშირის სამშენებლო ბანკში, გადახდევინება შეიძლება მიმართულ იქნას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით იმ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე, რომლებიც მოვალეს ეკუთვნის.

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკში დაგირავებულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გაყიდვა წარმოებს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის განკარგულებით. მოვალის დაუგირავებელი ქონების გაყიდვა ხდება სასამართლოს აღმასრულებლის მეშვეობით ვადაგასული დავალიანების გადახდევინების დროს — სანოტარო აღსრულებითი წარწერით, დავალიანების ვადამდე გადახდევინების დროს — აღმასრულებელი ფურცლით, რომელიც გაცემულია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ან არბიტრაჟის ბრძანებით.

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკში დაგირავებულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის შედეგად მიღებული სახსრები მოხმარდება სსრ კავშირის სამშენებლო ბანკისადმი საწინდრით უზრუნველყოფილი დავალიანების დაფარვას უპირატესობრივად სხვა პრეტენზიების წინაშე.

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის პრეტენზიები მისი საკრედიტო ოპერაციების გამო მათი დაკმაყოფილების რიგითობის მხრივ უთანაბრდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის პრეტენზიებს.

39. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკისადმი დავალიანების სრულად ან ნაწილობრივ დასაფარავად შეიძლება ჩათვლილ იქნას მოვალის მთელი ფულადი სახსრები, რომლებიც მას ერგება სსრ კავშირის სამშენებლო ბანკისაგან ყოველგვარი საფუძვლის მიხედვით.

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს შეუძლია განახორციელოს ჩათვლის უფლება იმ დავალიანების დაფარვის გზით, რომლის გადახდის ვადა ჯერ კიდევ არ დამდგარა, თუ მშენებლობა, საწარმო ან ორგანიზაცია ახდენენ თავისი საქმეების ლიკვიდაციას ან თუ მათ შეწყვიტეს გადასახდელების შეტანა თავიანთ ვალდებულებათა გამო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს უფლება აქვს აწარმოოს გაცემულ სესხთა ვადამდე გადახდევინება ან მისი ხვედრი თანხების გადახდევინება სხვა საფუძვლებზე.

40. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს შეუძლია შეიძინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით უცხოეთის ბანკებისა და საწარმოების აქციები და ობლიგაციები.

VII. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის პასუხისმგებლობა მისი ოპერაციებისათვის

41. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს პრეტენზიები წარედგინება იმ სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადის განმავლობაში, რაც დაწესებულია მოქმედი კანონმდებლობით.

42. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის მიერ ფულადი სახსრების უმართებულოდ გაცემის ან ანგარიშებზე მათი არასწორად ჩარიცხვის შემთხვევაში, სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი პასუხისმგებელია კლიენტებისადმი მიყენებული ზარალისათვის, არასწორად გაცემული ან ჩარიცხული ფულადი თანხების ფარგლებში, თუ არ იქნა დადასტურებული, რომ სახსრების ასეთი გაცემა ან ჩარიცხვა მოხდა კლიენტების მიზეზით.

ყველა დანარჩენ შემთხვევაში სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი პასუხისმგებელია კლიენტების წინაშე იმ წესითა და იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია დებულებით დოკუმენტბრუნვის წესების დარღვევისათვის ჯარიმების შესახებ.

VIII. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი მმართველობა

43. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი მთელი თავისი დაწესებულებებით შეადგენს ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას და ემორჩილება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე სამხარეო და საოლქო ცენტრებში სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს აქვს კანტორები, ხოლო რაიონულ ცენტრებში, ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში — განყოფილებები ან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებების რწმუნებულთა პუნქტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახლებულ პუნქტებში, სადაც არ არის სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის კანტორები და განყოფილებები, კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას, ბანკის სესხთა გაცემას და გამოძებნას აწარმოებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის დავალებით, დადებულ საკორესპონდენტო ხელშეკრულებათა საფუძვლებზე.

44. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რაოდენობას დაამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა დამტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

45. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკში შეიქმნება გამგეობა გამგეობის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის გამგეობის წევრთა შემადგენლობით, რომლებსაც დაამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

46. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის მთელ საქმიანობას;

ბ) გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად და შეამოწმებს მათ შესრულებას;

გ) დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის მუშაკებს დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით;

დ) დაამტკიცებს დებულებებს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის ცენტრალური აპარატის სამმართველოებისა და განყოფილებების, აგრეთვე დაწესებულებების შესახებ;

ე) ნებას დართავს, რომ გაიხსნას და დაიხუროს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის დაწესებულებები;

ვ) დადგენილი წესით გადაწყვეტს სესხთა დავალიანების დაფარვის განვადების საკითხებს.

47. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის გამგეობა განახორციელებს იმისადმი კონტროლს, თუ როგორ იცავენ სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის დაწესებულებანი სსრ კავშირის კანონებს, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, ამ წესდებას, სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის გამგეობა განიხილავს:

ა) სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის დაწესებულებების, აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მუშაობისადმი ხელმძღვანელობის საკითხებს;

ბ) კადრების შერჩევისა და მომზადების ღონისძიებებს;

გ) დაფინანსების, დაკრედიტების, ანგარიშსწორების, აღრიცხვის, ანგარიშგების და შიგასაბანკო კონტროლის ორგანიზაციის საკითხებს;

დ) სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის ინსტრუქციების პროექტებს და მუშაობის გეგმებს;

ე) სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საკრედიტო გეგმების პროექტებს;

ვ) სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის დაწესებულებათა ხელმძღვანელობის ანგარიშებს, აგრეთვე სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის ცენტრალური აპარატის სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსების ანგარიშებს;

ზ) სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის წლიურ ანგარიშსა და ბალანსს;

თ) კაპიტალური მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის გეგმების, შრომის გეგმების, აგრეთვე სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის ცენტრალური აპარატის, დაწესებულებების და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების შესანახი ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვების პროექტებს;

ი) სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის დაწესებულებათა რევიზიების შედეგებს;

კ) დაფინანსების, დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების მეთოდების სრულყოფისათვის ექსპერიმენტული მუშაობის ჩატარების პროგრამებსა და შედეგებს, აგრეთვე ღონისძიებებს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის ეკონომიური მუშაობის დონის ამაღლებისათვის;

ლ) სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის ოპერაციების პროცენტულ განაკვეთებს, რომლებიც დასამტკიცებლად წარედგინება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ) სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის დაწესებულებებისათვის საჭირო საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშის ფორმებს, აგრეთვე ფულად-საანგარიშსწორებო დოკუმენტების ფორმებს.

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის გამგეობის გადაწყვეტილებანი გაფორმდება ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, რომლებსაც ხელს მოაწერს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე.

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის თავმჯდომარესა და გამგეობას შორის უთანხმოების შემთხვევაში, გამგეობის თავმჯდომარე ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ აცნობებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ხოლო გამგეობის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აპელაციით მიმართონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

48. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის კანტორები უშუალოდ ახორციელებენ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას, დაკრედიტებას და ანგარიშსწორებას, აგრეთვე საფინანსო კონტროლს მშენებლობაში და ხელმძღვანელობას გაუწევენ სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის დაწესებულებათა მუშაობას შესაბამისი რესპუბლიკის, მხარის, ოლქის ან ქალაქის ტერიტორიაზე.

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის კანტორებსა და განყოფილებებს სათავეში უდგათ მმართველები.

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის კანტორებისა და განყოფილებათა მმართველების, აგრეთვე რწმუნებულების დანიშვნის წესს დაადგენს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი.

IX. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის ანგარიშგება და მისი დაწესებულებების საქმიანობის რევიზია

49. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის წლიური ანგარიში და ბალანსი დასამტკიცებლად წარედგინება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს არა უგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო 1 მაისისა.

50. გადასახდევინებლად უიმედო დავალიანების, სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის კუთვნილ მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისის და დანაკარგის, აგრეთვე შეწყვეტილი ან განუხორციელებელი მშენებლობის დანახარჯების ჩამოწერა სსრ კავშირის სამშე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებლო ბანკის ბალანსიდან წარმოებს იმ წესით, რაც დადგენილია საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისადმი.

51. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის დაწესებულებათა საქმიანობის რევიზიას ახორციელებს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის სარევიზიო აპარატი, სარევიზიო აპარატის ორგანიზაციას, მის დაქვემდებარებას, ბანკის დაწესებულებათა რევიზიების წესსა და პერიოდულობას დაადგენს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი.

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის რევიზორებს უფლება აქვთ მიიღონ მშენებლობებისაგან, საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან ცნობები და დოკუმენტების ასლები სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის იმ დაწესებულებათა ოპერაციების შესახებ, რომელთა რევიზია წარმოებს.

---

134 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 17 ოქტომბრის № 859 დადგენილება „კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიების დანიშვნისა და გაცემის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, ფინანსთა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროებს, სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს პროფსაბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 24 ოქტომბერი, № 1468-გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 859

1964 წლის 17 ოქტომბერი

მოსკოვი, კრემლი

კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარების კანონის შესაბამისად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება კოლმეურნეობის წევრებისათვის პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ და შემოღებულ იქნას იგი სამოქმედოდ 1965 წლის 1 იანვრიდან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. სტეპანოვი.**

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 17 ოქტომბრის № 859
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარების კანონის შესაბამისად, პენსიები ამ დებულების თანახმად დაენიშნებათ და მიეცემათ:

ა) კოლმეურნეობათა, მათ შორის მეთევზეობის კოლმეურნეობათა წევრებს;

ბ) გარდაცვლილ კოლმეურნეთა ოჯახების წევრებს — მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში.

2. ამ დებულების თანახმად პენსიები დაინიშნება:

ა) მოხუცებულობის გამო;

ბ) ინვალიდობის გამო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მარჩენალის დაკარგვის გამო.

3. მოქალაქეებს, რომელთაც ერთსა და იმავე დროს აქვთ სხვადასხვა პენსიების ან სხვადასხვა ორგანოებისაგან პენსიების მიღების უფლება, დაენიშნებათ ერთი პენსია მათი არჩევით.

4. კოლმეურნეობათა წევრებს და მათ ოჯახებს, რომლებსაც აქვთ უფლება მიიღონ პენსია ამ დებულების თანახმად, შეუძლიათ მიმართონ პენსიის დასანიშნავად ყოველ დროს პენსიის მიღების უფლების წარმოშობის შემდეგ, რაიმე ვადის განუსაზღვრელად.

5. პენსიის გაცემა უზრუნველყოფილი იქნება კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის სახსრების ხარჯზე კოლმეურნეობათა წევრების შემოსავლიდან რაიმე დაქვითვის გარეშე.

6. პენსიები არ იბეგრება გადასახადებით.

7. საპენსიო უზრუნველყოფას ამ დებულების მიხედვით ახორციელებენ კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოებისა და სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო ორგანოები.

II. მოხუცებულობის პენსიები

8. მოხუცებულობის პენსიის უფლება აქვთ კოლმეურნეობათა წევრებს:

მამაკაცებს — რომელთაც შეუსრულდათ 65 წელი და აქვთ მუშაობის სტაჟი არანაკლებ 25 წლისა.

ქალებს — რომლებსაც შეუსრულდათ 60 წელი და აქვთ მუშაობის სტაჟი არანაკლებ 20 წლისა.

9. კოლმეურნეობათა წევრ ქალებს, რომლებმაც შობეს ხუთი ან მეტი ბავშვი და აღზარდეს ისინი რვა წლის ასაკამდე, უფლება აქვთ მიიღონ მოხუცებულობის პენსია 55 წლის ასაკს მიღწევის შემდეგ და თუ აქვთ მუშაობის სტაჟი არანაკლებ 15 წლისა.

10. იმ რესპუბლიკებისა და ოლქების კოლმეურნეობათა წევრებს (უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დასავლეთი ოლქების, მოლდავეთის სსრ, ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ, ესტონეთის სსრ და სხვ.), რომლებშიაც კოლმეურნეობები იქმნებოდნენ უფრო გვიან, ვიდრე ქვეყნის სხვა რაიონებში, მოხუცებულობის პენსიები შეიძლება დაენიშნოთ უფრო ნაკლები სტაჟით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ამ დებულების მე-8 და 9 პუნქტებით. ამ შემთხვევებში საჭირო სტაჟი უნდა იყოს არანაკლები იმ წლების რიცხვისა, რომლებმაც განვლეს კოლმეურნეობის შექმნის წლიდან (ან კოლმეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობაში შესვლის წლიდან, თუ კოლმეურნე კოლმეურნეობაში შევიდა კოლმეურნეობის შექმნის დღიდან 12 თვის განმავლობაში) პენსიის დასანიშნავად მიმართვის წლამდე.

11. მოხუცებულობის პენსია კოლმეურნეობათა წევრებს დაენიშნებათ თვეში 50 მანეთამდე შემოსავლის 50 პროცენტის და, ამის ზევით, დანარჩენი შემოსავლის 25 პროცენტის ოდენობით.

მოხუცებულობის პენსიის მინიმალური ოდენობაა — 12 მანეთი თვეში.

მოხუცებულობის პენსიის მაქსიმალური ოდენობაა— 102 მანეთი თვეში.

12. კოლმეურნეობის წევრს, რომელსაც აქვს მოხუცებულობის პენსიის დასანიშნავად საჭირო ასაკი და სტაჟი, პენსია დაენიშნება დამოუკიდებლად იმისა, თუ როდის შეწყვიტა მან კოლმეურნეობაში მუშაობა.

13. მოხუცებულობის პენსია დაინიშნება სამუდამოდ, შრომისუნარიანობის მდგომარეობის მიუხედავად.

III. ინვალიდობის პენსიები

14. ინვალიდობის პენსია დაინიშნება I ან II ჯგუფის ინვალიდობის დროს.

15. ინვალიდობის მიზეზებსა და ჯგუფებს, აგრეთვე ინვალიდობის დაწყების დროს განსაზღვრავენ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები, რომლებიც მოქმედებენ ამ კომისიების დებულების საფუძველზე.

როდესაც შეუძლებელია ინვალიდობის დაწყების დროის გამორკვევა, ინვალიდობის დაწყების დღედ ითვლება მისი დადგენის დღე.

16. ინვალიდობის პენსია კოლმეურნეობათა წევრებს დაენიშნებათ დამოუკიდებლად იმისა, თუ როდის დაინვალიდდნენ ისინი: კოლმეურნეობაში მუშაობის დროს, კოლმეურნეობაში შესვლამდე თუ კოლმეურნეობაში მუშაობის შეწყვეტის შემდეგ.

17. ინვალიდობის პენსია კოლმეურნეობათა წევრებს დაენიშნებათ, თუ მათ დაკარგეს შრომის უნარი:

ა) შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების გამო;

ბ) საერთო დაავადების გამო.

18. როდესაც შრომის უნარი დაკარგულია დასახიჩრების გამო, რაც არ არის დაკავშირებული მუშაობასთან, პენსია დაინიშნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევე, როგორც შრომისუნარიანობის დაკარგვის დროს საერთო დაავადების გამო.

19. შრომითი დასახიჩრებით ან პროფესიული დაავადებით დაინვალიდების გამო კოლმეურნეობათა წევრებს პენსია დაენიშნებათ, დამოუკიდებლად მათი მუშაობის სტაჟისა.

საერთო დაავადების გამო ინვალიდობის პენსია დაინიშნება იმ შემთხვევაში, თუ პენსიის დასანიშნავად მიმართვის დროისათვის მთხოვნელს აქვს მუშაობის შემდეგი სტაჟი:

ასაკი	მუშაობის სტაჟი (წლები)	
	მამაკაცები	ქალები
20 წლამდე	1	1
20-დან 23 წლამდე . . .	2	1
23-დან 26 წლამდე . . .	3	2
26-დან 31 წლამდე . . .	5	3
31-დან 36 წლამდე . . .	7	5
36-დან 41 წლამდე . . .	10	7
41-დან 46 წლამდე . . .	12	9
46-დან 51 წლამდე . . .	14	11
51-დან 56 წლამდე . . .	16	13
56-დან 61 წლამდე . . .	18	14
61-დან და მეტი . . .	20	15

იმ რესპუბლიკებისა და ოლქების (უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დასავლეთი ოლქების, მოლდავეთის სსრ, ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ, ესტონეთის სსრ და სხვ.) კოლმეურნეობათა წევრებს, რომლებშიაც კოლმეურნეობები იქმნებოდნენ უფრო გვიან, ვიდრე ქვეყნის სხვა რაიონებში, ინვალიდობის პენსია შეიძლება დანიშნულ იქნას აგრეთვე მუშაობის ისეთი სტაჟის დროს, რაც საჭიროა მოხუცებულობის პენსიის დასანიშნავად (პუნქტი 10).

20. იმ შემთხვევებში, როდესაც ინვალიდობის დადგენის დღესა და პენსიისათვის მიმართვის დღეს შორის არ გასულა ერთ წელიწადზე მეტი, საჭირო სტაჟი განისაზღვრება ინვალიდობის დადგენის დროისათვის არსებული ასაკის მიხედვით.

21. შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების გამო ინვალიდობის პენსიიდან საერთო დაავადების გამო ინვალიდობის პენსიაზე გადაყვანის დროს საჭირო სტაჟი განისაზღვრება ინვალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობის თავდაპირველად დადგენის დროისათვის არსებული ასაკის მიხედვით.

22. კოლმეურნეობის წევრის ინვალიდობა შრომითი დასახიჩრებით გამოწვეულად ითვლება, თუ ინვალიდობის გამომწვევი უბედური შემთხვევა მოხდა:

ა) კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მუშაობის დროს (მათ შორის მივლინების პერიოდში), აგრეთვე კოლმეურნეობის ინტერესებისათვის რაიმე მოქმედების შესრულების დროს, თუნდაც კოლმეურნეობის დავალების გარეშე;

ბ) გზაში — სამუშაოზე წასვლის ან სამუშაოდან დაბრუნების დროს;

გ) სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულების დროს, აგრეთვე საბჭოთა, პარტიული ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სპეციალურ დავალებათა შესრულების დროს, თუნდაც ეს დავალებანი არ ყოფილა დაკავშირებული ძირითად სამუშაოსთან;

დ) ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, სოციალისტური საკუთრების დასაცავად, აგრეთვე სოციალისტური მართლწესრიგის დასაცავად სსრ კავშირის მოქალაქის მოვალეობის შესრულების დროს.

კოლმეურნეობის წევრის ინვალიდობა, რაც გამოწვეულია სადონორო ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით, გაუთანაბრდება ინვალიდობის შრომითი დასახიჩრების გამო.

პროფესიულ დაავადებათა სიას და მისი შეფარდების ინსტრუქციას დაამტკიცებს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად.

23. თუ შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების გამო ინვალიდობის პენსიის დანიშვნის შემდეგ ინვალიდობა ძლიერდება საერთო დაავადებასთან დაკავშირებით, პენსია გადაიანგარიშება ინვალიდობის უფრო მაღალი ჯგუფის მიხედვით, შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების გამო ინვალიდობის შემთხვევებისათვის დაწესებული ნორმების კვალობაზე.

24. საერთო დაავადების გამო ინვალიდობის პენსია კოლმეურნეობათა წევრებს დაენიშნებათ შემდეგი ოდენობით:

I ჯგუფის ინვალიდებს — 50 პროცენტი

II ჯგუფის ინვალიდებს — 40 პროცენტი

თვეში 50 მანეთამდე შემოსავლიდან და, ამის ზევით, 25 პროცენტი დანარჩენი შემოსავლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პენსიების მინიმალური ოდენობაა ინვალიდობის I ჯგუფისა — 15 მანეთი; II ჯგუფისა — 12 მანეთი თვეში;

პენსიების მაქსიმალური ოდენობაა ინვალიდობის I ჯგუფისა — 76 მან. 50 კაპიკი; II ჯგუფისა — 51 მანეთი თვეში.

25. შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების გამო ინვალიდობის პენსია დაინიშნება ამ დებულების 24-ე პუნქტით დაწესებული ოდენობით, რასაც დაემატება 20 პროცენტი.

პენსიების მინიმალური ოდენობაა: ინვალიდობის I ჯგუფისა — 18 მანეთი; II ჯგუფისა — 14 მან. 40 კაპიკი თვეში.

პენსიების მაქსიმალური ოდენობაა: ინვალიდობის I ჯგუფისა — 102 მანეთი; II ჯგუფისა — 76 მან. 50 კაპიკი თვეში.

26. ინვალიდებს — 65 წლის და მეტი ასაკის მამაკაცებს და 60 წლის და მეტი ასაკის ქალებს ინვალიდობის პენსიები დაენიშნებათ სამუდამოდ. ამ ინვალიდების ხელახლა შემოწმება მოხდება მხოლოდ მათი განცხადების თანახმად.

დანარჩენ ინვალიდებს ინვალიდობის პენსიები დაენიშნებათ მთელი იმ დროისათვის, რომელზედაც მათ დაუწესდათ I ან II ჯგუფის ინვალიდობა. მათი ხელახლა შემოწმების ვადებს განსაზღვრავენ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები, ამ კომისიების დებულების საფუძველზე.

27. ინვალიდობის ჯგუფის შეცვლის შემთხვევაში ახალი ოდენობის პენსია გაიცემა იმის მომდევნო თვიდან, რომელშიაც შეიცვალა ინვალიდობის ჯგუფი.

თუ ხელახლა შემოწმებულ პირს არ დაუწესდა I ან II ჯგუფის ინვალიდობა, პენსია მიეცემა იმ დღემდე, როდესაც გამოტანილია საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის დასკვნა, მაგრამ არა უმეტეს იმ ვადისა, რომელიც დანიშნული იყო ხელახლა შესამოწმებლად.

28. თუ ინვალიდი არ გამოცხადდა საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში ხელახლა შესამოწმებლად ამისათვის დანიშნულ ვადაში, მისთვის პენსიის მიცემა შეჩერდება და შეიძლება განახლდეს მხოლოდ იმ დღიდან, როდესაც იგი ახლად იქნება ცნობილი I ან II ჯგუფის ინვალიდად.

საპატიო მიზეზით ხელახლა შემოწმების ვადის გაშვების დროს პენსიის გაცემა, იმ შემთხვევაში, თუ ახლად დადგინდა I ან II ჯგუფის ინვალიდობა, წარმოებს აგრეთვე იმ დღიდანაც, რაც შეჩერებულ იქნა პენსიის გაცემა, ხელახლა შემოწმების დღემდე. ამ დროისათვის პენსიის გაცემა წარმოებს არა უმეტეს ერთი თვისა, ამას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან არ ჩაითვლება სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში (საავადმყოფო, სანატორიუმი და ა. შ.) ყოფნა. ამასთან თუ ხელახლა შემოწმების დროს ინვალიდი გადაყვანილია ინვალიდობის სხვა ჯგუფში (პირველიდან მეორეში ან პირიქით) პენსია აღნიშნული დროისათვის მიეცემა წინანდელი ჯგუფის მიხედვით.

29. თუ პენსიის მიცემა იმ პირისათვის, რომელმაც შრომის უნარი დაკარგა საერთო დაავადების გამო, შეწყდა, რადგან იგი არ იყო ცნობილი I ან II ჯგუფის ინვალიდად ანდა თუ იგი არ იღებდა პენსიას ხელახლა შემოწმებაზე საპატიო მიზეზის გარეშე გამოუცხადებლობის გამო, — მაშინ იმ შემთხვევაში თუ შემდგომ იგი ცნობილ იქნა I ან II ჯგუფის ინვალიდად, წინათ დანიშნული პენსიის მიცემა განახლდება იმ პირობით, თუ იმ დღიდან, რომლიდანაც პენსიის მიცემა შეწყდა გავიდა არა უმეტეს 5 წლისა. წინააღმდეგ შემთხვევაში პენსია შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ საერთო საფუძვლებზე.

30. იმ შემთხვევებში თუ ის პირი, რომელმაც პენსიის დასანიშნავად მიმართა, ინვალიდი გახდა მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებასთან დაკავშირებით, რომლისთვისაც მას მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა, ინვალიდობის პენსია დაენიშნება მხოლოდ ნასამართლობის მოხდის ან მოხსნის შემდეგ. ამასთან სტაჟში ჩაითვლება მხოლოდ მუშაობა სასჯელის მოხდის შემდეგ.

IV. პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო

31. მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის უფლება აქვთ გარდაცვლილი კოლმეურნის ოჯახის შრომისუუნარო წევრებს, რომლებიც მის კმაყოფაზე იყვნენ.

ოჯახის შრომისუუნარო წევრებად ითვლებიან:

ა) შვილები, ძმები, დები და შვილიშვილები, რომლებსაც არ შესრულებიათ 16 წელი (მოსწავლეებს — 18 წელი) ან ამ ასაკზე უფროსნი, თუ ისინი გახდნენ I ან II ჯგუფის ინვალიდები, ვიდრე მათ შეუსრულდებოდათ 16 წელი (მოსწავლეებს — 18 წელი), ამასთან ძმები, დები და შვილიშვილები — იმ შემთხვევაში, თუ მათ არა ჰყავთ შრომისუნარიანი მშობლები;

ბ) მამა, დედა, ცოლი, ქმარი, თუ მათ შეუსრულდათ: მამაკაცებს — 65 წელი, ქალებს — 60 წელი ან არიან I ან II ჯგუფის ინვალიდები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲣᲣᲜᲐᲠᲝ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲘᲡ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ, ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲛᲐᲠᲩᲔᲜᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲞᲔᲜᲡᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲐ, ᲗᲣ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲨᲘ ᲛᲐᲗ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ.

ᲐᲛ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲔᲡᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲡ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲕᲠᲪᲔᲚᲓᲔᲑᲐ (ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ) ᲣᲒᲖᲝ-ᲣᲙᲕᲚᲝᲓ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲗᲐ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲖᲔᲓᲐᲪ, ᲗᲣ ᲛᲐᲠᲩᲔᲜᲐᲚᲘᲡ ᲣᲒᲖᲝ-ᲣᲙᲕᲚᲝᲓ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲐ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ.

32. ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲘᲜᲐᲜ ᲛᲘᲡ ᲠᲩᲔᲜᲐᲖᲔ ᲛᲧᲝᲤᲐᲓ ᲗᲣ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲐᲖᲔ ᲐᲜ ᲘᲦᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲓᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ. ᲐᲠ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘᲡ ᲠᲩᲔᲜᲐᲖᲔ ᲛᲧᲝᲤᲐᲓ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ (ᲪᲝᲚᲘ, ᲥᲛᲐᲠᲘ), ᲨᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ, ᲑᲐᲑᲣᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲑᲘᲐ, ᲗᲣ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲣᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲘᲦᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲞᲔᲜᲡᲘᲐᲡ, ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲔᲜᲡᲘᲐᲖᲔ.

33. ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲐᲖᲔ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ, ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲐᲜ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲞᲔᲜᲡᲘᲐ ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘᲪ, ᲗᲣ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ.

34. ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ, ᲫᲛᲔᲑᲡ, ᲓᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲞᲔᲜᲡᲘᲐ ᲛᲘᲔᲪᲔᲛᲐᲗ ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲪ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲢᲘᲞᲔᲜᲓᲘᲔᲑᲡ ᲘᲦᲔᲑᲔᲜ.

ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲬᲚᲝᲕᲐᲜ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ, ᲫᲛᲔᲑᲡ, ᲓᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲠᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲮᲐᲠᲯᲖᲔ, ᲞᲔᲜᲡᲘᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲔᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐᲗ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲔᲜᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐ ᲨᲔᲩᲔᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲡᲔᲗ ᲠᲩᲔᲜᲐᲖᲔ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲐᲜ.

35. ᲛᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲞᲔᲜᲡᲘᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲑᲠᲐᲓ, ᲮᲝᲚᲝ ᲨᲕᲘᲚᲝᲑᲘᲚᲔᲑᲡ — ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲑᲠᲐᲓ.

ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲬᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲥᲕᲗ ᲛᲐᲠᲩᲔᲜᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲞᲔᲜᲡᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲔᲜ ᲐᲛ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲕᲘ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად აყვანის დროსაც.

36. მამინაცვალს და დედინაცვალს უფლება აქვთ მიიღონ პენსია მამის ან დედის თანაბრად, თუ ისინი იმყოფებოდნენ გარდაცვლილი გერის კმაყოფაზე არა ნაკლებ 10 წლისა.

გერებს, თუ ისინი არ იღებდნენ ალიმენტებს მშობლებისაგან, უფლება აქვთ მიიღონ პენსია ნამდვილი შვილების თანაბრად.

37. მეუღლის გარდაცვალების გამო დანიშნული პენსია დარჩება აგრეთვე პენსიონრის ახლად დაქორწინების დროსაც.

38. მარჩენალის დაკარგვის გამო პენსია დაენიშნებათ გარდაცვლილი კოლმეურნის ოჯახის წევრებს, დამოუკიდებლად იმისა, თუ როდის გარდაიცვალა მარჩენალი: მუშაობის პერიოდში თუ მისი შეწყვეტის შემდეგ. კოლმეურნეობის წევრთა რიცხვიდან პენსიონერთა ოჯახებს პენსია დაენიშნებათ, თუ მარჩენალი გარდაიცვალა პენსიის მიღების პერიოდში ან არა უგვიანეს 5 წლისა პენსიის მიცემის შეწყვეტის შემდეგ.

მარჩენალის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო პენსია დაინიშნება დამოუკიდებლად იმისა, თუ როდის იქნა დადგენილი მარჩენალის უგზო-უკვლოდ დაკარგვა.

39. შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების გამო გარდაცვლილ კოლმეურნეთა ოჯახებს, აგრეთვე კოლმეურნეობის წევრთა რიცხვიდან გარდაცვლილ პენსიონერთა ოჯახებს (დამოუკიდებლად პენსიის სახეობისა და პენსიონერის გარდაცვალების მიზეზისა) პენსია დაენიშნებათ მარჩენალის მუშაობის სტაჟის მიუხედავად.

კოლმეურნეთა ოჯახებს, რომლებიც გარდაიცვალნენ საერთო დაავადების ან დასახიჩრების გამო, რაც არ იყო დაკავშირებული მუშაობასთან, პენსიები დაენიშნებათ, თუ მარჩენალს სიკვდილის დღისათვის ჰქონდა სტაჟი, რომელიც მას სჭირდებოდა ინვალიდობის პენსიის დასანიშნავად (პუნქტი 19).

40. მარჩენალის დაკარგვის გამო პენსია დაინიშნება შემდეგი ოდენობით:

ოჯახის სამ ან მეტ შრომისუუნარო წევრზე — 50 პროცენტი	მარჩენალის 50 მანეთამდე შემოსავლიდან თვეში და, ამის ზევით,
ოჯახის ორ შრომისუუნარო წევრზე — 40 პროცენტი	მარჩენალის დანარჩენი შემოსავლის 25 პროცენტი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახის ერთ შრომისუუნარო წევრზე	მარჩენალის 50 მანეთამდე შემოსავლის 30 პროცენტი თვეში და, ამის ზევით, მარჩენალის დანარჩენი შემოსავლის 10 პროცენტი.

პენსიის მინიმალური ოდენობაა: ოჯახის სამ ან მეტ შრომისუუნარო წევრზე — 15 მანეთი; ოჯახის ორ შრომისუუნარო წევრზე — 12 მანეთი; ოჯახის ერთ შრომისუუნარო წევრზე — 9 მანეთი თვეში.

პენსიის მაქსიმალური ოდენობაა: ოჯახის სამ ან მეტ შრომისუუნარო წევრზე — 76 მან. 50 კაპიკი; ოჯახის ორ შრომისუუნარო წევრზე — 51 მანეთი; ოჯახის ერთ შრომისუუნარო წევრზე — 34 მანეთი თვეში.

41. შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების გამო გარდაცვლილ კოლმეურნეთა ოჯახებს პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო დაენიშნებათ იმ ოდენობით, რაც დაწესებულია ამ დებულების მე-40 პუნქტით, რასაც დაემატება 20 პროცენტი.

პენსიების მინიმალური ოდენობაა: ოჯახის სამ ან მეტ შრომისუუნარო წევრზე — 18 მანეთი; ოჯახის ორ შრომისუუნარო წევრზე — 14 მან. 40 კაპიკი; ოჯახის ერთ შრომისუუნარო წევრზე — 10 მან. 80 კაპიკი თვეში.

პენსიის მაქსიმალური ოდენობაა ოჯახის სამ ან მეტ შრომისუუნარო წევრზე — 102 მანეთი; ოჯახის ორ შრომისუუნარო წევრზე — 76 მან. 50 კაპიკი; ოჯახის ერთ შრომისუუნარო წევრზე — 38 მან. 25 კაპიკი თვეში.

42. კოლმეურნეთა ოჯახებს, თუ ოჯახის შემადგენლობაში შედიან ბავშვები, რომლებმაც დაკარგეს ორივე მშობელი (დედმამით ობლები) ან გარდაცვლილი მარტოხელა დედის შვილებს (რომლებსაც ჰქონდათ სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება), პენსიები, დამოუკიდებლად მარჩენალის გარდაცვალების მიზეზისა, დაენიშნებათ იმ ოდენობით, რაც დაწესებულია იმ ოჯახისათვის, რომლებმაც დაკარგეს მარჩენალი შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების გამო.

თუ ორივე გარდაცვლილი მშობელი კოლმეურნეობის წევრი იყო და შვილებს უფლება აქვთ მიიღონ პენსია თვითეული მათგანის დაკარგვის გამო, პენსია გამოიანგარიშება ორივე მშობლის შემოსავლის საერთო თანხიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

43. კოლმეურნეობის წევრთა რიცხვიდან გარდაცვლილი პენსიონერების ოჯახებს პენსია დაენიშნებათ შესაბამისად იმავე ნორმების მიხედვით, როგორც კოლმეურნეობათა გარდაცვლილი წევრების ოჯახებს. ამასთან იმ პენსიონერთა ოჯახებს, რომლებიც იღებდნენ ინვალიდობის პენსიას შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების გამო, პენსია დაენიშნებათ, პენსიონერის გარდაცვალების მიზეზის დამოუკიდებლად, იმ ოდენობით, რაც დაწესებულია კოლმეურნეობათა იმ წევრების ოჯახებისათვის, რომლებიც გარდაიცვალნენ შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების გამო.

44. მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიები დაენიშნებათ:

ა) არასრულწლოვან შვილებს, ძმებს, დებსა და შვილიშვილებს — ვიდრე მათ შეუსრულდებოდეს 16 წელი (მოსწავლეებს — 18 წელი);

ბ) მამაკაცებს, რომლებსაც შეუსრულდათ 65 წელი და ქალებს, რომლებსაც შეუსრულდათ 60 წელი — სამუდამოდ;

გ) ინვალიდებს, რომლებსაც არ მიუღწევიათ ამ პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში აღნიშნული ასაკისათვის, — I ან II ჯგუფის ინვალიდობის მთელი დროისათვის.

45. ოჯახის ყველა წევრზე, რომლებსაც აქვთ პენსიის მიღების უფლება, დაინიშნება ერთი საერთო პენსია.

ოჯახის თვითეული წევრის მოთხოვნით პენსიის მისი წილი გამოიყოფა (რისთვისაც პენსია თანაბრად გაიყოფა ოჯახის წევრთა რიცხვის მიხედვით) და მიეცემა მას ცალკე.

46. თუ შეიცვალა ოჯახის იმ წევრთა რიცხვი, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან პენსიით მარჩენალის დაკარგვის გამო (მაგალითად, როდესაც შვილებს შეუსრულდათ 16 წელი (მოსწავლეებს — 18 წელი), ოჯახის იმ წევრის შრომის უნარის აღდგენის შემთხვევაში, რომელიც წინათ იყო I ან II ჯგუფის ინვალიდი, პენსია გადაისინჯება ოჯახის იმ წევრთა რიცხვის მიხედვით, რომელთაც აქვთ პენსიის მიღების უფლება.

პენსიების ასეთივე გადასინჯვა ხდება იმ შემთხვევებშიც, როდესაც პენსიის მიცემა ოჯახის ერთ-ერთი წევრისათვის შეჩერებულია (მაგალითად, ბავშვის საბავშვო სახლში მოთავსების დროს) ან განახლდება იმ გარემოებათა გავლის შემდეგ, რომლებმაც გამოიწვიეს პენსიის შეჩერება.

47. ოჯახის იმ წევრებზე, რომლებიც ინვალიდები არიან, შესაბამისად ვრცელდება წესები, რაც აღნიშნულია ამ დებულების 14, 15, 26, 27 (აბზაცი 2), 28, 29 და 30 პუნქტებში.

V. სტაჟის გამოანგარიშება

48. მუშაობის სტაჟში, რაც იძლევა პენსიის მიღების უფლებას ამ დებულების თანახმად, ჩაითვლება ყოველგვარი მუშაობა კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში, კოლმეურნეობის წევრად, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა ხასიათის სამუშაოს ასრულებდა იგი, რამდენ ხანს და რამდენად ხანგრძლივი იყო შეწყვეტა.

კერძოდ, სტაჟში ჩაითვლება:

ა) მუშაობა სხვა კოლმეურნეობების საზოგადოებრივ მეურნეობაში მოცემული კოლმეურნეობის წევრად შესვლამდე; ბ) მუშაობა სარეწაო კოლმეურნეობათა წევრად; გ) მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კომუნების, მიწის ერთობლივი დამუშავების ამხანაგობების და თევზსარეწაო ამხანაგობების წევრად.

კოლმეურნეობის წევრებს, რომლებიც კოლმეურნეობებში შევიდნენ კოლექტივიზაციის პირველ წლებში, მაგრამ მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო შეწყვიტეს მუშაობა კოლმეურნეობაში, რის გამო არა აქვთ პენსიის დასანიშნავად საჭირო მუშაობის სტაჟი, — სტაჟში ჩაეთვლებათ აგრეთვე დრო კოლმეურნეობაში ყოფნისა მას შემდეგ, რაც მიაღწიეს ღრმა მოხუცებულობას ან დაინვალიდდნენ.

კოლმეურნეობათა გამგეობებს და კოლმეურნეთა პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელ კომისიებს (პუნქტი 69) უფლება ენიჭებათ არ ჩათვალონ პენსიის დასანიშნავად საჭირო მუშაობის სტაჟში ის პერიოდები, როდესაც კოლმეურნეობაში არსებული დოკუმენტების მიხედვით კოლმეურნე სისტემატურად არ გამოდიოდა სამუშაოზე საპატიო მიზეზების გარეშე, თავს არიდებდა საზოგადოებრივ შრომას.

მუშაობის იმ სტაჟის გამოანგარიშების დროს, რაც იძლევა პენსიის მიღების უფლებას, 1965 წლის შემდგომ პერიოდისათვის გამოირიცხება ის წლები, რომლებშიაც კოლმეურნეობის წევრს საპატიო მიზეზების გარეშე არ გამოუმუშავებია შრომადღეების (კაცდღეების, სამუშაო დღეების თევზის მოპოვებაზე) დაწესებული მინიმუმი ან არ ჰქონია სამუშაოზე გამოსვლის დაწესებული მინიმუმი.

49. კოლმეურნეობათა წევრებს, რომლებიც მუშაობდნენ კოლმეურნეობაში მტრის მიერ სსრ კავშირის ტერიტორიის სათანადო

ნაწილის დროებით ოკუპაციამდე დიდი სამამულო ომის პერიოდში მეტრის მიერ სსრ კავშირის ან სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე აგრეთვე იმ სახელმწიფოების ტერიტორიაზე ყოფნა, რომლებიც სსრ კავშირთან ომის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ჩაეთვლებათ მუშაობის სტაჟში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათ აღნიშნულ პერიოდში ჩაიდინეს დანაშაული სამშობლოს წინააღმდეგ.

50. კოლმეურნეობის წევრად მუშაობის გარდა, მუშაობის სტაჟში ჩაითვლება აგრეთვე მუშაობა მუშად ან მოსამსახურედ, სამსახური სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა შემადგენლობაში და პარტიზანულ რაზმებში ყოფნა, აგრეთვე სხვა პერიოდები, რომლებიც უნდა ჩაითვალოს მუშაობის სტაჟში სახელმწიფო პენსიების კანონის მიხედვით პენსიების დანიშვნის დროს.

51. მუშაობის სტაჟის დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენენ:

ა) კოლმეურნეობაში მუშაობის მხრივ — კოლმეურნეთა შრომის წიგნაკები და კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ არსებული დოკუმენტების საფუძველზე გაცემული ცნობები. აგრეთვე საარქივო დაწესებულებათა ცნობები;

ბ) მუშად ან მოსამსახურედ მუშაობის და სხვა საქმიანობის მხრივ, რაც უნდა ჩაითვალოს შრომის სტაჟში (პუნქტი 50), — დოკუმენტები, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 4 აგვისტოს № 1044 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ.

52. თუ არ მოიპოვება დოკუმენტები კოლმეურნეობაში 1965 წლამდე მუშაობის სტაჟის შესახებ და შეუძლებელია მათი მიღება საარქივო მონაცემების უქონლობის გამო, სტაჟს დაადგენენ ორი ან მეტი მოწმის ჩვენების საფუძველზე სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოები. კოლმეურნეობაში მუშაობის სტაჟი, 1965 წლიდან დაწყებული, გამოირკვევა მოწმეთა ჩვენების საფუძველზე განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ დოკუმენტები სტაჟის შესახებ არ შენახულა სტიქიურ უბედურებასთან (ხანძარი, წყალდიდობა და სხვ.) დაკავშირებით.

მოწმეთა ჩვენების საფუძველზე მუშაობის სტაჟის დადგენისას საჭიროა, რომ მოწმეები იცნობდნენ განმცხადებელს კოლმეურნეობაში მასთან ერთობლივი მუშაობით.

კოლმეურნეობის წევრის თხოვნით სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოს შეუძლია დაადგინოს დოკუმენტებით დაუდასტურებელი სტაჟი მოწმეთა ჩვენების საფუძველზე იმ პირობების დადგომამდეც, რომლებიც იძლევიან პენსიის მიღების უფლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას (მაგალითად, იმ ასაკის მიღწევამდე, რომელიც საჭიროა მოხუცებულობის პენსიის დასანიშნავად).

სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოს გადაწყვეტილებას მოწმეთა ჩვენების საფუძველზე მუშაობის სტაჟის დადგენის შესახებ დაამტკიცებს კოლმეურნეობის გამგეობა.

VI. პენსიების გამოანგარიშება

53. პენსიები გამოიანგარიშება კოლმეურნეობაში მუშაობისათვის საშუალო-თვიური ფაქტიური შემოსავლიდან ყოველი 5 წლისათვის ზედიზედ (იმ პირის არჩევით, რომელმაც პენსიისათვის მიმართა) უკანასკნელი 15 წლიდან იმ წლის წინ, როდესაც მან პენსიისათვის მიმართა (მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის დანიშვნის დროს — უკანასკნელი 15 წლიდან მარჩენალის გარდაცვალების წლის წინ).

5 წლის საშუალო-თვიური შემოსავალი განისაზღვრება შემდეგნაირად: კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში 5 კალენდარული წლის განმავლობაში მუშაობისათვის მიღებული შემოსავლის საერთო თანხა გაიყოფა სამოცზე.

სსრ კავშირის შეირაღებულ ძალთა შემადგენლობაში სამსახურის დრო არ შეიტანება ზემოაღნიშნულ 15 წლის ვადაში და არ ითვლება შეწყვეტად 5 წლის პერიოდში, რომლისთვისაც განისაზღვრება საშუალო-თვიური შემოსავალი.

იმ პირის სურვილით, რომელმაც პენსიისათვის მიმართა, ინვალიდობის პენსიის მიღების დროს არ შეიტანება 15 წლის ვადაში და არ ითვლება შეწყვეტად 5 წლის პერიოდში.

54. თუ ის პირი, რომელმაც პენსიის დასანიშნავად მიმართა, ირიცხება კოლმეურნეობის წევრად 5 კალენდარულ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, პენსია გამოიანგარიშება კოლმეურნეობაში ყოფნის მთელი სრული კალენდარული წლებისათვის ფაქტიურად მიღებული საშუალო-თვიური შემოსავლიდან, ხოლო თუ იგი ირიცხება კოლმეურნეობის წევრად ერთ კალენდარულ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, პენსია გამოიანგარიშება იმ თვეების რაოდენობის შემოსავლიდან, რომელთა განმავლობაში იგი არის კოლმეურნეობის წევრი. ამასთან საშუალო-თვიური შემოსავალი განისაზღვრება შემდეგნაირად: შესაბამისი პერიოდის საერთო შემოსავალი გაიყოფა ამ პერიოდის თვეების რიცხვზე, ასეთივე წესით გამოიანგარიშება კოლმეურნეობის გარდაცვლილი წევრის საშუალო-თვიური შემოსავალი მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის დანიშვნის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

55. შემოსავალში, რომლიდანაც გამოიანგარიშება პენსია ამ ბულების მიხედვით, შეიტანება ყველა სახის საზღაური კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მუშაობისათვის კოლმეურნეობაში არსებული დოკუმენტების საფუძველზე. ამასთან ნატურალური საზღაური იანგარიშება იმ პერიოდის სახელმწიფო საცალო ფასებში, როდესაც შრომის ანაზღაურება ხდებოდა.

56. პენსიონერებს კოლმეურნეობის წევრთა რიცხვიდან, რომლებსაც უმუშავნიათ კოლმეურნეობაში პენსიის დანიშვნის შემდეგ არანაკლებ 2 წლისა და ჰქონდათ უფრო მეტი შემოსავალი, ვიდრე ის, რომლისაგანაც გამოანგარიშებული იყო პენსია, დაენიშნებათ, პენსიონერის განცხადების თანახმად, ახალი პენსია ამ უფრო მაღალი შემოსავლის კვალობაზე.

პენსიის ახალი ოდენობის დასადგენად გათვალისწინებული იქნება საშუალო-თვიური ფაქტიური შემოსავალი შესაბამისი 2 წლისათვის, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად: 2 კალენდარული წლის შემოსავალი გაიყოფა 24-ზე.

პენსიონერის შემოსავლის შემდგომი ზრდის შემთხვევაში, წარმოებს, მისი განცხადების თანახმად, უფრო მაღალ შემოსავლიან სამუშაოზე მუშაობის ყოველი 2 წლის შემდეგ, პენსიის სათანადო ახალი გადაანგარიშება.

57. საშუალო-თვიური შემოსავლის გამოანგარიშებისა და პენსიის ოდენობის დადგენის დროს კაპიკების წილადი ნაწილები დამრგვალდება მთელ კაპიკამდე, ამასთან ნახევარ კაპიკზე ნაკლები სათვალავში არ მიიღება, ხოლო ნახევარი კაპიკი და მეტი დამრგვალდება ერთ კაპიკამდე.

VII. მიმართვა პენსიის დასანიშნავად

58. განცხადება პენსიის დანიშვნის შესახებ შეიტანება კოლმეურნეობის გამგეობაში.

კოლმეურნეობის გამგეობა და სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭო გააფორმებენ კოლმეურნეობის იმ წევრის სათანადო დოკუმენტებს მუშაობის სტაჟისა და შემოსავლის შესახებ, რომელმაც პენსიისათვის მიმართა, და შეტანილ განცხადებასთან და თავის წარდგენასთან ერთად გაუგზავნიან მას კოლმეურნეთა პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელ კომისიას (პუნქტი 69).

კოლმეურნეობათა წევრები, რომლებიც ფაქტიურად გასული არიან კოლმეურნეობიდან (გარდა იმ პირებისა, რომლებიც კოლმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეობებში შევიდნენ კოლექტივიზაციის პირველ წლებში, მაგრამ მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო შეწყვიტეს მუშაობა კოლმეურნეობაში), არ იქნებიან წარდგენილი პენსიის დასანიშნავად.

59. წარდგენაში აღინიშნება:

ა) კოლმეურნეობის დასახელება;

ბ) განმცხადებლის გვარი, სახელი და მამის სახელი;

გ) განმცხადებლის დაბადების წელი;

დ) კოლმეურნეობაში შესვლის თარიღი და კოლმეურნეობაში მუშაობის სტაჟი.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პერიოდები არ ჩაითვლება სტაჟში (პუნქტი 48), წარდგენაში აღინიშნება ის მიზეზები, რომლებითაც ეს პერიოდები გამორიცხულია კოლმეურნეობაში მუშაობის სტაჟიდან.

მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის დანიშვნის შესახებ წარდგენაში, გარდა ამისა, აღინიშნებიან ოჯახის შრომისუუნარო წევრები, რომლებიც იმყოფებოდნენ გარდაცვლილი კოლმეურნის კმაყოფაზე (პუნქტები 31, 32, 35, 36).

60. იმ შემთხვევებში, როდესაც კოლმეურნეობის წევრი არ ეთანხმება კოლმეურნეობის გამგეობის და სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოს გადაწყვეტილებას პენსიის დასანიშნავად მის წარდგენაზე უარის შესახებ, მას შეუძლია შეიტანოს განცხადება პენსიის დანიშვნის შესახებ უშუალოდ კოლმეურნეთა პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელ კომისიაში. კოლმეურნეობის გამგეობა და სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭო მოვალენი არიან მისცენ ამ შემთხვევებში დასკვნა იმ მიზეზების აღნიშვნით, რომლებითაც კოლმეურნეობის წევრს უარი ეთქვა პენსიის დასანიშნავად წარდგენაზე, აგრეთვე ცნობებისა, რომლებიც წარდგენაში შეიტანება (პუნქტი 59).

61. კოლმეურნეობის წევრისათვის მოხუცებულობის პენსიის დანიშვნის შესახებ წარდგენას უნდა დაერთოს:

ა) კოლმეურნეობის წევრის განცხადება პენსიის დანიშვნის შესახებ;

ბ) დოკუმენტები წლოვანებისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ (დაბადების მოწმობის ასლი, პასპორტის ამონაწერი, სასოფლო საბჭოს ცნობა და სხვ.);

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტები (პუნქტი 51);

დ) ცნობა შემოსავლის შესახებ.

62. ინვალიდობის პენსიის დანიშვნის შესახებ წარდგენას უნდა დაერთოს:

ა) კოლმეურნეობის წევრის განცხადება პენსიის დანიშვნის შესახებ;

ბ) დოკუმენტები წლოვანებისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ (დაბადების მოწმობის ასლი, პასპორტის ამონაწერი, სასოფლო საბჭოს ცნობა და სხვ.);

გ) მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტები (პუნქტი 51);

დ) ცნობა შემოსავლის შესახებ.

სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება წარდგენას დაურთავს საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში შემოწმების აქტის ამონაწერს, რომელიც განყოფილებამ მიიღო საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიისაგან.

თუ ინვალიდობის მიზეზი იყო შრომითი დასახიჩრება, წარედგინება აგრეთვე აქტი (ან სხვა ოფიციალური დოკუმენტი) უბედური შემთხვევის შესახებ.

63. მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის დანიშვნის შესახებ წარდგენას უნდა დაერთოს:

ა) განცხადება პენსიის დანიშვნის შესახებ;

ბ) მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოს მოწმობა ოჯახის მარჩენალის გარდაცვალების შესახებ (ან დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის უგზო-უკვლოდ დაკარგვას);

გ) დოკუმენტი ოჯახის მარჩენალის წლოვანების შესახებ (თუ წლოვანება არ არის აღნიშნული გარდაცვალების მოწმობაში);

დ) მარჩენალის მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ე) ცნობა მარჩენალის შემოსავლის შესახებ;

ვ) ცნობა სასოფლო საბჭოსი (ან სხვა დოკუმენტები) მარჩენალის ოჯახის იმ წევრთა შემადგენლობის შესახებ, რომლებიც მის კმაყოფაზე იყვნენ (პუნქტი 65);

ზ) სასოფლო საბჭოს ცნობა (ან სხვა დოკუმენტი) საცხოვრებელი ადგილის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ პენსიის დანიშვნის შესახებ წარდგენა ან განცხადება [illegible]ნება ფოსტით და ამასთან წარდგენილია აგრეთვე ყველა საჭირო დოკუმენტი, პენსიისათვის მიმართვის დღედ ითვლება თარიღი, რომელიც აღნიშნულია წარდგენის ან განცხადების გაგზავნის ადგილის საფოსტო შტემპელზე.

იმ შემთხვევებში, როდესაც წარდგენას ან განცხადებას არა აქვს დართული ყველა საჭირო დოკუმენტი, კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისია აცნობებს კოლმეურნეობის გამგეობას (ან შესაბამის შემთხვევებში — განმცხადებელს), თუ რა დოკუმენტები უნდა წარადგინოს მან დამატებით. თუ ეს დოკუმენტები წარდგენილ იქნა დამატებითი დოკუმენტების წარდგენის შესახებ უწყების მიღებიდან არა უგვიანეს 3 თვისა, პენსიისათვის მიმართვის დღედ ითვლება ის დღე, როდესაც მიღებულია წარდგენა ან განცხადება პენსიის დანიშვნის შესახებ ან წარდგენის ან განცხადების გაგზავნის ადგილის საფოსტო შტემპელზე აღნიშნული თარიღი.

მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება პენსიის დასანიშნავად საჭირო ყველა დოკუმენტი, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება მოამზადებს მასალებს კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის მიერ განსახილველად.

VIII. პენსიების დანიშვნა

69. პენსიებს დანიშნავენ კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიები კოლმეურნეობათა გამგეობებისა და სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოების ერთობლივი წარდგენით ან კოლმეურნეთა განცხადებებით, რომლებსაც უნდა ექნეს კოლმეურნეობის გამგეობის და სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოს დასკვნა (პუნქტი 60).

70. წარდგენას ან განცხადებას პენსიის დანიშვნის შესახებ განიხილავენ კოლმეურნეთათვის პენსიების და დახმარების დამნიშვნელი კომისიები იმ დროიდან არა უგვიანეს 10 დღისა, რაც მიღებული იქნება წარდგენა ან განცხადება მთელი საჭირო დოკუმენტებით ან იმის შემდეგ, რაც მიღებული იქნება დამატებითი დოკუმენტები (პუნქტი 68).

71. პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შემთხვევაში კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისია იმ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანის დროიდან არა უგვიანეს 5 დღისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისცემს ან გაუგზავნის კოლმეურნეობის გამგეობას ან განმცხადებელს ცნობას პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ, ამასთან აღნიშნავს უარის მიზეზებს, გასაჩივრების წესს და იმავდროულად დაუბრუნებს მთელ დოკუმენტებს.

72. კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ საბჭოში.

საპენსიო საქმეებზე აღძრული საჩივრები არ შეიძლება განხილულ იქნას სასამართლო ორგანოების მიერ.

73. პენსია დაენიშნება პენსიისათვის მიმართვის დღიდან (პუნქტი 68).

74. დანიშნული პენსიის გადაანგარიშებას მოახდენს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება შემდეგი ვადებიდან:

ა) როდესაც წარმოიშვა პენსიის გადიდების უფლება (მაგალითად, როდესაც მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიისათვის მიმართეს ოჯახის ახალმა წევრებმა, როდესაც ხდება პენსიის გადაანგარიშება უფრო მეტი შემოსავლიდან ამ დებულების 56 პუნქტის შესაბამისად) — იმ დღიდან, რაც პენსიონერმა შეიტანა შესაბამისი განცხადება მთელი საჭირო დოკუმენტებით;

ბ) ისეთი ვითარების შექმნისას, რაც იწვევს პენსიის შემცირებას. — ამ ვითარების შექმნის დროიდან.

ამ დებულების 27 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში პენსიების გადაანგარიშება წარმოებს ამ პუნქტში აღნიშნული ვადებიდან.

75. ერთი პენსიიდან მეორე პენსიაზე გადაყვანა ამ დებულების მიხედვით (მაგალითად, ინვალიდობის პენსიიდან მოხუცებულობის პენსიაზე) წარმოებს კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიების გადაწყვეტილებით.

გადაყვანა ხდება იმ დღიდან, რაც შეტანილია სათანადო განცხადება მთელი საჭირო დოკუმენტებით (თუ ასეთები საპენსიო საქმეში არ მოიპოვება).

ამასთან პენსია გაიცემა პენსიონერის სურვილით ან იმ შემოსავლიდან, რომლიდანაც დანიშნული ან შემდგომ გადაანგარიშებული იყო პენსია, რომელიც მას წინათ ეძლეოდა (საპენსიო საქმეში არსებული დოკუმენტების მიხედვით), ან ახალ პენსიაზე გადასაყვანად მიმართვის წინ არსებული შემოსავლიდან, რაც განისაზღვრება ამ დებულების 53 მუხლის წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

76. დოკუმენტები, რომელთა საფუძველზე დანიშნულია პენსია, აგრეთვე კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერი პენსიის დანიშვნის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილებით ინახება თვთეული პენსიონერის ცალკე საპენსიო საქმეში.

საპენსიო საქმეები ინახება სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებებში პენსიონერის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო იქ, სადაც ეს განყოფილებები არ არის, — მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში.

77. პენსიონერებს ეძლევათ „საპენსიო მოწმობა".

საპენსიო მოწმობების ფორმებს დააწესებენ მოკავშირე რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროები.

IX. პენსიების გაცემა

78. ამ დებულების შესაბამისად დანიშნულ პენსიებს გასცემენ სოციალური უზრუნველყოფის რაიონული (საქალაქო) განყოფილებები პენსიონერის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით კავშირგაბმულობის ორგანოების მეშვეობით იმ წესით, რაც დადგენილია არამომუშავე პენსიონერებისათვის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვიდან. იმ რაიონებში (ქალაქებში), სადაც არ არის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება, პენსიას აღნიშნულ პენსიონერებს მისცემენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

79. ამ დებულების შესაბამისად დანიშნული პენსიები გაიცემა მთლიანად, დამოუკიდებლად იმ შემოსავლისა, რასაც პენსიონერი კოლმეურნეობაში იღებს, ან შემოსავლისა — სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოში, მუშად ან მოსამსახურედ მომუშავე პენსიონერებს (გარდა კოლმეურნეობებში ან სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებში მომუშავეებისა), აგრეთვე პენსიონერებს, რომლებიც არიან არაკოოპერირებული შინამრეწველები ან თავისუფალი პროფესიის პირები, — პენსია არ მიეცემათ.

80. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებების მიერ პენსიების გაცემა წარმოებს ყოველთვიურად მათ მიერ დაწესებულ ვადებში, მაგრამ არა უგვიანეს იმის მომდევნო თვის 5 რიცხვისა, რომლისთვისაც ეძლევა პენსია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პენსიების მიტანა და გადაგზავნა წარმოებს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის სახსრების ხარჯზე.

81. პენსია მინდობილობით გაიცემა არა უმეტეს 3 თვისა ზედიზედ.

მინდობილობა უნდა დაამოწმოს ნოტარიუსმა ან კოლმეურნეობის გამგეობამ, ან სახლმმართველობამ (საბინაო-საექსპლუატაციო კანტორამ) პენსიონერის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ან იმ სტაციონარულმა სამკურნალო დაწესებულებამ, რომელშიაც პენსიონერი იმყოფება სამკურნალოდ. მინდობილობა დამოწმდება პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით და დაწესებულების ბეჭდის დასმით.

82. თუ პენსიონერი გადავიდა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე სხვა რაიონში (ქალაქში), პენსიის მიცემა გაგრძელდება ამ რაიონში (ქალაქში), მას შემდეგ, რაც სოციალური უზრუნველყოფის შესაბამისი ორგანო პენსიონერის ახალ საცხოვრებელ ადგილზე მიიღებს საპენსიო საქმეს. პენსიის გაცემა განახლდება იმ დროიდან, რომლიდანაც პენსიის გაცემა შეწყვეტილი იყო პენსიონერის წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე.

პენსიონერის წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე აღრიცხვიდან მოხსნის და ახალ საცხოვრებელ ადგილზე აღრიცხვაზე აყვანის წესს, აგრეთვე მათ საპენსიო საქმეების გაგზავნის წესს დაადგენენ მოკავშირე რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროები.

83. პენსიის დარიცხული თანხები, რომლებიც პენსიონერს დროზე არ მოუთხოვია, გაიცემა წარსული დროისათვის არა უმეტეს ერთი წლისა პენსიის მისაღებად მიმართვამდე.

პენსიის თანხები, რომლებიც დროზე არ ყოფილა მიღებული პენსიის დამნიშვნელი ან გამცემი ორგანოს მიზეზით, გაიცემა წარსული დროისათვის რაიმე ვადის განუსაზღვრელად.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში პენსიის თანხა, რომელიც პენსიონერს ერგება არა უმეტეს 12 თვისათვის, გაიცემა ერთდროულად, ხოლო დანარჩენი ნაწილი გაიცემა ყოველთვიურად თანაბარ ნაწილებად, რაც არ უნდა აღემატებოდეს თვიურ პენსიას.

84. ღრმა მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლებში მცხოვრებ პენსიონერებს ამ დებულების შესაბამისად დანიშნული პენსიები არ მიეცემათ.

ღრმა მოხუცებულთა და ინვალიდთა საკოლმეურნეო სახლებში მცხოვრებ პენსიონერთა ხვედრი პენსია გადაირიცხება კოლმეურნეობის შემოსავალში იმისათვის, რომ ანაზღაურებულ იქნას ღრმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცთა და ინვალიდთა სახლებში პენსიონერების შენახვის ხარჯები.

85. იმ დროისათვის, როდესაც პენსიონერი, რომელსაც კმაყოფაზე ჰყავს ოჯახის შრომისუუნარო წევრები (პუნქტები 31 და 32), იმყოფებოდა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში (საავადმყოფოში, კლინიკაში, ჰოსპიტალში და ა. შ.), პენსია გაიცემა საერთო საფუძვლებზე. მარტოხელა პენსიონერებს სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის დროს პენსია მიეცემათ არა უმეტეს 3 თვისა ზედიზედ.

ლეპროზორიუმებში მყოფ პენსიონერებს პენსია სრულად მიეცემათ.

86. იმ შემთხვევაში, თუ პენსიონერს სასამართლომ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა, დანიშნული პენსიის მიცემა შეჩერდება. მას შემდეგ, რაც პენსიონერი განთავისუფლებული იქნება პატიმრობის ადგილიდან სასჯელის მოხდის გამო, დანიშნული პენსიის მიცემა განახლდება იმ დღიდან, რაც მან პენსიის მისაღებად მიმართა.

87. პენსიიდან თანხების დაკავება შეიძლება მოხდეს:

ა) სასამართლოს გადაწყვეტილებებით, განჩინებებით, დადგენილებებითა და განაჩენებით (ქონებრივი გადახდევინების ნაწილში), საინტარო კანტორების აღსრულებითი წარწერებით და იმ სხვა გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების საფუძველზე, რომელთა სისრულეში მოყვანა, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოებს სასამართლო გადაწყვეტილებათა შესასრულებლად დადგენილი წესით.

ბ) კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიების გადაწყვეტილებათა საფუძველზე პენსიის იმ თანხების გადასახდევინებლად, რომლებიც ზედმეტად მიეცათ პენსიონერებს მათი მხრივ ბოროტმოქმედების ჩადენის გამო (მაგალითად, აშკარად არასწორი ცნობების შემცველი დოკუმენტების წარდგენა, იყო გასამრჯელოს ან სხვა შემოსავლის დაფარვა, ოჯახის წევრთა შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ ცნობების წარუდგენლობა).

არავითარი სხვა დაკავება პენსიებიდან, გარდა ზემოაღნიშნულისა, არ დაიშვება.

პენსიიდან დაკავების თანხის ოდენობა გამოიანგარიშება იმ თანხიდან, რაც პენსიონერს ერგება მისაცემად.

პენსიიდან შეიძლება დაკავებულ იქნას პენსიის არა უმეტეს 50 პროცენტისა: ოჯახის წევრების შესანახად (ალიმენტები), სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, კოლმეურნეობათა და სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონების დატაცების შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, იმ ზიანის ასანაზღაურებლად, რაც მიყენებულია დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით, ზედმეტად მიღებული ხელფასის თანხების დასაბრუნებლად კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ყველა დანარჩენი სახის გადახდევინების მიხედვით შეიძლება დაკავებულ იქნას არა უმეტეს 20 პროცენტისა.

თანხის დაკავება კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიების გადაწყვეტილებათა საფუძველზე, წარმოებს არა უმეტეს 20 პროცენტისა იმ დაკავების გადამეტებით, რაც სხვა საფუძვლებზე ხდება.

პენსიაზე გადახდევინების მიმართვის ყველა შემთხვევაში პენსიონერს შეუნარჩუნდება ხვედრი პენსიის სულ ცოტა 50 პროცენტი. ამასთან არა მომუშავე პენსიონერს შეუნარჩუნდება პენსია არანაკლებ 10 მანეთისა თვეში.

იმ შემთხვევაში, როდესაც შეწყდა პენსიის გაცემა (მაგალითად, შრომისუნარიანობის აღდგენის გამო), ვიდრე სრულად დაიფარებოდეს დავალიანება პენსიის ზედმეტად გაცემული თანხების გამო, რომელთა დაკავება კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიების გადაწყვეტილებათა საფუძველზე ხდება, — დარჩენილი დავალიანება გადახდევინებული იქნება სასამართლო წესით.

88. პენსიის თანხები, რომლებიც პენსიონერს ერგებოდა და მიუღებელი დარჩა მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, არ შეიტანება მემკვიდრეობის შემადგენლობაში და მიეცემა მისი ოჯახის იმ წევრებს, ვინც ეკუთვნის იმ პირთა წრეს, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან პენსიით მარჩენალის დაკარგვის გამო (პუნქტები 31, 35 და 36).

ოჯახის რამდენიმე წევრის მიმართვის დროს მათი ხვედრი პენსიის თანხა მათ შორის თანაბრად გაიყოფა.

ზემოაღნიშნული თანხები გაიცემა, თუ ისინი მოთხოვნილი იყო პენსიონერის გარდაცვალებიდან არა უგვიანეს 6 თვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

135 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 ნოემბრის № 920 დადგენილება „კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების, ფინანსთა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს პროფსაბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა გააცნონ კოლმეურნეობებს „დებულება კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 13 ნოემბერი, № 1594-გ.

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 920

1964 წლის 6 ნოემბერი

მოსკოვი, კრემლი

კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 6 ნოემბრის № 920
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის შესახებ

1. კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელ კომისიას შექმნის კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული საბჭო 2 წლის ვადით, კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული საბჭოს წევრის (კომისიის თავმჯდომარე), სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილების და რაიონული საფინანსო განყოფილების წარმომადგენლების შემადგენლობით.

იმ რაიონში, სადაც სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება არ არსებობს, კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის შემადგენლობაში შედის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ან მდივანი.

2. კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კანონით კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარების შესახებ, დებულებით კოლმეურნეობის წევრებისათვის პენსიების დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ, დებულებით კოლმეურნეობის წევრი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ, დებულებით კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის შესახებ, დებულებით კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოების შესახებ, ამ დებულებით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

3. კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისია:

ა) დაუნიშნავს კოლმეურნეობის წევრებს პენსიებს მოხუცებულობისა და ინვალიდობის გამო, ხოლო გარდაცვლილ კოლმეურნეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახის შრომისუუნარო წევრებს — პენსიებს მარჩენალის დაკარგვის გამო;

ბ) დაუნიშნავს კოლმეურნეობის წევრ ქალებს დახმარებას ორსულობისა და მშობიარობის გამო;

გ) გადაიყვანს პენსიონერებს ერთი პენსიიდან მეორეზე, კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარების კანონის შესაბამისად;

დ) მიიღებს გადაწყვეტილებებს პენსიების გაცემის ან გადაანგარიშების საკითხებზე იმ შემთხვევაში თუ პენსიონერი არ ეთანხმება სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილების გამგის განკარგულებას;

ე) განიხილავს გადაწყვეტილებებს პენსიებისა და დახმარების დანიშვნის ან მათი ოდენობის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ სოციალური უზრუნველყოფის რაიონულმა განყოფილებამ წარადგინა მასალები იმის შესახებ, რომ წინათ მიღებულ გადაწყვეტილებაში დაშვებული იყო შეცდომები; გამოიტანს გადაწყვეტილებებს, რომ დაკავებულ იქნას კოლმეურნეობის წევრებისათვის მათ მიერ ბოროტმოქმედების ჩადენის შედეგად ზედმეტად მიცემული პენსიებისა და დახმარების თანხები, აგრეთვე დახმარების ის თანხები, რაც ზედმეტად მიეცათ საანგარიშო (არითმეტიკული) შეცდომის გამო.

4. პენსიებისა და დახმარების დანიშვნის საკითხებს კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისია გადაწყვეტს იმ დროიდან 10 დღის ვადაში, რაც შემოვიდა კოლმეურნეობის გამგეობის და კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოს ერთობლივი წარდგენა ან დასკვნა, ხოლო დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვის შემთხვევებში — მათი მიღებიდან 10 დღის ვადაში.

5. კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებანი სრული შემადგენლობით.

კოლმეურნეებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის საკითხის განხილვის დროს კომისიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს გადამწყვეტი ხმის უფლებით შესაბამისი კოლმეურნეობის წარმომადგენელი.

6. კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის გადაწყვეტილებანი მიიღებიან ხმის უმრავლესობით. ხმების თანაბარი ოდენობის შემთხვევაში მიიღება გადაწყვეტილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

პენსიის ან დახმარების დანიშვნის შესახებ, რომელიც უნდა შესრულდეს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ.

7. კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის გადაწყვეტილებაში აღინიშნება ის პირი (პირები), რომელსაც დაენიშნა პენსია ან დახმარება, დანიშნული პენსიის ან დახმარების სახეობა, ვადა, რომლისთვისაც იგი დანიშნულია, და მისი ოდენობა.

პენსიის ან დახმარების დანიშვნაზე უარის თქმის დროს კომისიის გადაწყვეტილბაში აღინიშნება უარის მოტივები და გასაჩივრების წესი.

8. კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ საბჭოში, რომლის დადგენილება საბოლოოა.

იმ შემთხვევაში, თუ კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონულმა საბჭომ გააუქმა კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის გადაწყვეტილება, კომისია კვლავ განიხილავს მთელ მასალებს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული საბჭოს მითითებათა გათვალისწინებით და გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას.

9. კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის გადაწყვეტილებანი იმ მასალებთან ერთად, რომლებიც გახდა მათი გამოტანის საფუძველი, გადაეცემა შესასრულებლად სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებას.

10. კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელ კომისიას უფლება აქვს:

ა) მოთხოვოს კოლმეურნეობებს, საარქივო ორგანოებს და სხვა ორგანიზაციებს დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა პენსიის ან დახმარების დასანიშნავად და იმ სხვა საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც კომისიის გამგებლობაში შედის;

ბ) დაავალოს სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებას შეამოწმოს წარდგენილი დოკუმენტების სისწორე და გამოარკვიოს გარემოებანი, რომლებზედაც დამოკიდებულია გადაწყვეტა საკითხისა დახმარების ან პენსიის დანიშვნის შესახებ ან წინათ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ.

11. კოლმეურნეობის წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დასანიშნავად საჭირო მასალების მომზადება კოლმეურნეთათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელ კომისიებში განსახილველად, აგრეთვე კომისიების საქმისწარმოება, მათი მომარაგება საკანცელარიო ნივთებით და ა. შ. ეკისრება სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებებს.

12. კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელ კომისიაში მუშაობის დროისათვის კომისიის თავმჯდომარე კოლმეურნეობის წევრთა რიცხვიდან შეიძლება განთავისუფლდეს ძირითადი სამუშაოსაგან და მას მიეცემა ხელფასი მისი საშუალო შემოსავლის ოდენობით კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის სახსრების ხარჯზე.

13. კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის თავმჯდომარის ან წევრების გასვლის ან დროებით არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის დროებით შესრულება შეიძლება დააკისროს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონულმა საბჭომ კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული საბჭოს ერთ-ერთ წევრს, ხოლო კომისიის წევრის მოვალეობანი — შესაბამისად სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილების გამგემ და რაიონული საფინანსო განყოფილების გამგემ — ამ განყოფილებათა ერთ-ერთ მუშაკს.

14. კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისია სარგებლობს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული საბჭოს შტამპითა და ბეჭდით.

---

136 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 ნოემბრის № 919 დადგენილება „კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების, ფინანსთა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს პროფსაბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოებს აღმასკომებს გააცნონ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს „დებულება კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 13 ნოემბერი, № 1595-ბ.

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 919

1964 წლის 6 ნოემბერი

მოსკოვი, კრემლი

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 3 სექტემბრის № 746 დადგენილების 1 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, დაწესდეს, რომ 1965 წელს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში ანარიცხებს გადარიცხავენ კოლმეურნეობები კოლმეურნეობის საერთო შემოსავლის თანხიდან 1964 წლის წლიური ანგარიშით. 1964 წელს ამ ფონდში თანხების გადარიცხვა მოხდეს აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული წესით.

2. შეიქმნას სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში კოლმეურნეთა პენსიებისა და დახმარების განყოფილება.

ამასთან დაკავშირებით გადიდდეს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის შტატი 15 ერთეულით. ამ განყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილების შენახვის ხარჯები 1964 წელს გაწეულ იქნას 1964 წლის საკავშირო ბიუჯეტით მმართველობის ორგანოების შესანახი ხარჯების საერთო ეკონომიის ანგარიშში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **მ. სმირტიუკოვი.**

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 6 ნოემბრის № 919
დადგენილებით

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის შესახებ

ზოგადი დებულებანი

1. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდი შეიქმნება კოლმეურნეობათა საერთო შემოსავლის თანხების ანარიცხთა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურ ასიგნობათა ხარჯზე და განკუთვნილია იმ პენსიებისა და დახმარების გასაცემად, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარების შესახებ. ამ ფონდის სახსრების ხარჯზე დაიფარება აგრეთვე კოლმეურნეებისათვის პენსიებისა და დახმარების მიტანასთან და გაგზავნასთან დაკავშირებული ხარჯები, აგრეთვე კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიების თავმჯდომარეებისათვის დაწესებულ შემთხვევებში ხელფასის მიცემის ხარჯები.

2. ყველა კოლმეურნეობა, მეთევზეობის კოლმეურნეობათა ჩათვლით, გადარიცხავს ფულად თანხებს კოლმეურნეთა სოციალური უზურნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში თავისი საერთო შემოსავლიდან. კოლმეურნეობათა ფულადი ანარიცხების ოდენობას ყოველწლიურად დააწესებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინადადებებს ანარიცხთა ოდენობის შესახებ შეიმუშავებენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო მოკავშირე რესპუბლიკების კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოების აზრის გათვალისწინებით.

3. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის სახსრები ინახება განსაკუთრებულ ანგარიშზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში.

4. განმარტებებს ამ დებულების შეფარდების წესის შესახებ იძლევა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის შექმნის წესი

5. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში თანხებს გადარიცხავენ კოლმეურნეობები კოლმეურნეობის გასული წლის საერთო შემოსავლის თანხიდან, რომელიც გამოირკვევა კოლმეურნეობის წლიური ანგარიშის მიხედვით.

6. კოლმეურნეობათა გამგეობები კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ საბჭოს და რაიონულ საფინანსო განყოფილებას წარუდგენენ 15 თებერვლამდე კოლმეურნეობის საერთო შემოსავლის გაანგარიშებას გასული წლის ანგარიშის მიხედვით და კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში ანარიცხების გაანგარიშებას.

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული საბჭო განიხილავს კოლმეურნეობათა გაანგარიშებებს, აგრეთვე რაიონული საფინანსო განყოფილების დასკვნებს ამ გაანგარიშებათა გამო, გამოარკვევს შესაბამისი კოლმეურნეობის წარმომადგენლის მონაწილეობით კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში გადასარიცხავი თანხების ოდენობას და აცნობებს ამ თანხას 1 მარტამდე თვითეულ კოლმეურნეობას და რაიონულ საფინანსო განყოფილებას.

7. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის ანარიცხები კოლმეურნეობებს შეაქვთ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში შემდეგ ვადებში: 5 მარტისათვის — ანარიცხთა წლიური თანხის 15 პროცენტი, 15 მაისისათვის — 25 პროცენტი, 15 აგვისტოსათვის — 30 პროცენტი და 15 ნოემბრისათვის — 30 პროცენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობებს, თუ მათ ამის შესაძლებლობა მოეპოვებათ, შეუძლიათ ვადამდე შეიტანონ სახსრები კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში.

როდესაც კოლმეურნეობათა ძირითად მიმდინარე ანგარიშებზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში არ მოიპოვება სახსრები, — კოლმეურნეობათა დავალებებს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში სახსრების გადარიცხვის შესახებ მიიღებენ შესასრულებლად სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები და ეს დავალებანი შესრულდება იმ რიგითობის წესით, რაც დადგენილია სახელმწიფო სოციალური დაზღვევის გადასახდელებისათვის.

8. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის ანარიცხები, რომლებიც თავის დროზე არ გადაურიცხავთ კოლმეურნეობებს განსაკუთრებულ ანგარიშზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში, — გადახდევინებული იქნება რაიონული საფინანსო განყოფილების განკარგულებით უდავო წესით იმ რიგითობის მიხედვით, რაც დაწესებულია სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანების გადასახდევინებლად.

9. სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილებები და რაიონული საფინანსო განყოფილებები კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ საბჭოებთან ერთად განსაზღვრავენ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობის მიხედვით ნავარაუდევ ხარჯებს კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების მისაცემად მიმდინარე წლის დამლევამდე და მომავალი წლისათვის.

10. შეჯამებული მონაცემები კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში ანარიცხთა თანხების და კოლმეურნეებისათვის პენსიებისა და დახმარების მიცემის ხარჯების შესახებ წარედგინება ზემდგომ ორგანოებს იმ წესით, იმ ვადებში და იმ ფორმების მიხედვით, რომლებსაც დაადგენს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის სახსრების ხარჯვის წესი

11. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებს აცნობებს იმ დოტაციის ოდენობას, რაც სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიცემა კოლმეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეებისათვის პენსიებისა და დახმარების მისაცემად და საჭირო შემოსავლიანობა
თხვევებში შეატყობინებს იმ თანხების ოდენობას, რასაც კოლმეურ-
ნეობები გადარიცხავენ კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველ-
ყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში, რომლებიც გადანა-
წილებულ უნდა იქნას მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

12. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო მოკავშირე რესპუბლი-
კების ფინანსთა სამინისტროებს და სსრ კავშირის სახელმწიფო
ბანკს აცნობებს იმ ხარჯების მოცულობას, რაც მოკავშირე რესპუ-
ბლიკებმა უნდა გასწიონ კოლმეურნეებისათვის პენსიებისა და დახ-
მარების მისაცემად შემდგომ წელს, კოლმეურნეთა სოციალური უზ-
რუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის სახსრების
ხარჯზე.

მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები აცნობებენ
რესპუბლიკურ (ასსრ), სამხარეო და საოლქო საფინანსო ორგა-
ნოებს და სოციალური უზრუნველყოფის შესაბამის ორგანოებს ხა-
რჯების წლიურ თანხებს კვარტალობრივი განაწილებით იმის გათვა-
ლისწინებით, რომ უზრუნველყოფილ იქნას პენსიებისა და დახმა-
რების შეუფერხებლივ გაცემა.

რესპუბლიკური (ასსრ), სამხარეო და საოლქო საფინანსო ორ-
განოები და სოციალური უზრუნველყოფის შესაბამისი ორგანოები
აცნობებენ აღნიშნულ მონაცემებს რაიონულ საფინანსო განყოფი-
ლებებს და სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ განყოფილე-
ბებს.

რაიონული საფინანსო განყოფილებები და სოციალური უზრუ-
ნველყოფის რაიონული განყოფილებები 1 იანვრამდე აცნობებენ
სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს კოლმეურნეთა-
თვის პენსიებისა და დახმარების მისაცემად საჭირო ხარჯების
წლიურ თანხებს (კვარტალობრივი განაწილებით).

13. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალი-
ზებული საკავშირო ფონდის ხარჯზე სახსრებს გასცემენ პენსიებისა
და დახმარების მისაცემად სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწე-
სებულებები სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფი-
ლებების დავალებებით კვარტალისათვის საჭირო ხარჯების შეტყო-
ბინებული თანხების ფარგლებში, კოლმეურნეებისათვის პენსიებისა
და დახმარების მიცემის ცალკეული ანგარიშიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შემთხვევაში, თუ საკმარისი არ აღმოჩნდა კვარტალისათვის დაწესებული თანხები, სახსრების გაცემა კოლმეურნეებისათვის პენსიებისა და დამხარების მისაცემად წარმოებს შემდგომი კვარტალის თანხების ანგარიშში. საჭიროების დროს ყოველი წლის პირველ კვარტალში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები ასრულებენ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებების აღნიშნულ დავალებებს, დამოუკიდებლად იმისა მიღებულია თუ არა ცნობები გამოყოფილი თანხების შესახებ.

იმ რაიონებში, სადაც სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები არ არის, სახსრების გაცემას აწარმოებენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების დავალებებით.

14. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის სახსრების აღრიცხვისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებთან ამ ფონდის გამო ანგარიშსწორების რეგულირების წესს დაადგენს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან შეთანხმებით.

15. კოლმეურნეობათა გამგეობებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მათ მიერ იმ აშკარად არასწორი დოკუმენტების გაფორმებისათვის, რომლებითაც უკანონოდ იყო დანიშნული პენსიები და დახმარება.

უკანონოდ გაცემული პენსიებისა და დახმარების თანხები ამ შემთხვევებში კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებით უნდა დააბრუნონ კოლმეურნეობათა გამგეობებმა კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის განსაკუთრებულ ანგარიშზე, თუ ეს თანხები არ გადაუხდევინებიათ უშუალოდ პენსიის ან დახმარების მიმღებისათვის.

16. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში სახსრების სწორად გადარიცხვისადმი, აგრეთვე ამ სახსრების სწორად ხარჯვისადმი კონტროლს განახორციელებენ კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური საბჭოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

137 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 4 ნოემბრის № 915 დადგენილება „კოლმეურნეობის წევრი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების, ფინანსთა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს პროფსაბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს.

დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს გააცნონ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს „დებულება კოლმეურნეობის წევრი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

ქ. თბილისი. 1964 წ. 13 ნოემბერი. № 1597-გ.

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 915

1964 წლის 4 ნოემბერი

მოსკოვი. კრემლი

კოლმეურნეობის წევრი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარების კანონის შესაბამისად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება კოლმეურნეობის წევრი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშვნისა და მიცემის წესის შესახებ და შემოღებულ იქნას ამგ. სამ. მოქმედად 1965 წლის 1 იანვრიდან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **მ. სმირტიუკოვი.**

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 4 ნოემბრის № 915
დადგენილებით

დებულება

კოლმეურნეობის წევრი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარების კანონის შესაბამისად, კოლმეურნეობის (მათ შორის მეთევზეობის კოლმეურნეობის) წევრ ქალებს უფლება აქვთ მიიღონ დახმარება ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებაში ყოფნის დროს, მუშაობის სტაჟის დამოუკიდებლად.

2. ამ დებულების შესაბამისად დახმარება გაიცემა კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის ხარჯზე, ისე, რომ არ მოხდეს რაიმე დაქვითვა კოლმეურნეობის წევრთა შემოსავლიდან. დახმარება გადასახდით არ იბეგრება.

3. კოლმეურნეობის წევრ ქალებს ეძლევათ 56 კალენდარული დღის შვებულება მშობიარობამდე და 56 კალენდარული დღისა მშობიარობის შემდეგ, ხოლო არანორმალური მშობიარობის ან ორი, ან მეტი ბავშვის დაბადების შემთხვევაში შვებულება მშობიარობის შემდეგ მიეცემა 70 კალენდარული დღის ხანგრძლიობით.

ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება მიეცემა საავადმყოფო ფურცლის საფუძველზე, რომელიც გაიცემა შესაბამისად პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიატის ინსტრუქციით გათვალისწინებული წესებისა „დაზღვეულ თათვის საავადმყოფო ფურცლების მიცემის წესის შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 14 აგვისტოს № 1382 დადგენილებით.

სოფელ ადგილებში, სადაც არ არიან მკურნალი ექიმები, კოლმეურნეობის წევრი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების მისაცემად საავადმყოფო ფურცლების გაცემის უფლება შეიძლება მიეცეს მეან ქალს, ფერშალ-მეან ქალს, ფერშალს, სამედიცინო პუნქტის, საფერშლო-სამეანო პუნქტის, სამეანო პუნქტის, საკოლმეურნეო სამშობიარო სახლის გამგეს იმ ანგარიშით, რომ ამას შემდგომი კონტროლი გაუწიოს საექიმო უბნის გამგემ.

აღნიშნულ თანამდებობის პირთა სიას, რომელთაც ნება ეძლევათ გასცენ საავადმყოფო ფურცლები ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების მისაცემად, დააწესებენ ჯანმრთელობის დაცვის საოლქო (სამხარეო) განყოფილებები, ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები ან იმ მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ.

4. თუ იმ დღიდან, რაც კოლმეურნეობის წევრი ქალი განთავისუფლებულია სამუშაოდან ორსულობის გამო შვებულების მიცემასთან დაკავშირებით, მშობიარობის დღემდე განვლო მშობიარობამდელი შვებულების დაწესებული ვადის მეტმა ან ნაკლებმა დღემ, დახმარება გაიცემა ყველა იმ დღეებისათვის, რომლებიც ფაქტიურად გატარებულია მშობიარობამდელ შვებულებაში. მშობიარობის შემდგომი შვებულება გამოიანგარიშება მშობიარობის დღიდან, მშობიარობის დღის ჩათვლით.

5. იმ შემთხვევაში, თუ ორსულობის გამო შვებულების ვადა დადგა იმ პერიოდში, როდესაც კოლმეურნეობის წევრი ქალის თხოვნით მას კოლმეურნეობის გამგეობის მიერ მიცემული ჰქონდა უხელფასო შვებულება, დახმარება შვებულების ასეთი დღეებისათვის არ გაიცემა. თუ ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება გრძელდება უხელფასო შვებულების დამთავრების შემდეგაც, დახმარება გაიცემა იმ დღიდან, რაც ეს შვებულება დამთავრდა, განაღდებული შვებულების დღეებისათვის დახმარება არ გაიცემა.

6. მუცლის მოწყვეტის შემთხვევაში, რასაც ადგილი ჰქონდა ორსულობის 196 დღის გასვლის შემდეგ, კოლმეურნეობის წევრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალებს ორსულობის გამო დახმარება მიეცემათ საერთო წესით.

7. თუ კოლმეურნეობის წევრი ქალი სისტემატურად არ გამოდიოდა სამუშაოზე არასაპატიო მიზეზით, და თავს არიდებდა საზოგადოებრივ შრომას, მას შეიძლება უარი ეთქვას დახმარების მიცემაზე.

II. დახმარების ოდენობა

8. კოლმეურნეობის წევრ ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების დროისათვის დახმარება მიეცემათ შემდეგი ოდენობით:

სრული შემოსავლის ოდენობით შვებულების მთელი პერიოდისათვის:

ა) რომელთაც აქვთ მუშაობის სტაჟი არანაკლებ 3 წლისა;

ბ) რომლებსაც არ შესრულებიათ 18 წელი და აქვთ მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ ერთი წლისა;

გ) ყოფილ პარტიზანებსა და სამამულო ომის ინვალიდებს;

დ) რომლებსაც ორდენი აქვთ;

ე) ნოვატორ ან საკოლმეურნეო წარმოების მოწინავე ქალებს, რომლებსაც აქვთ მუშაობის სტაჟი არანაკლებ ერთი წლისა;

შემოსავლის ორი მესამედის რაოდენობით შვებულების მთელი პერიოდისათვის — კოლმეურნეობის წევრ დანარჩენ ქალებს.

ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარება, რაც კოლმეურნეობის წევრ ქალებს ეძლევათ, ყველა შემთხვევაში არ შეიძლება იყოს 40 კაპიკზე ნაკლები ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების ერთი კალენდარული დღისათვის.

III. დახმარების გამოანგარიშება

9. კოლმეურნეობის წევრი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარება გამოიანგარიშება კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მუშაობისათვის მიღებული ფაქტიური შემოსავლიდან, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორია შრომის ანაზღაურების ფორმა.

შემოსავლის თანხაში შეიტანება ყველა სახის შემოსავალი (მათ შორის დამატებითი საზღაური), გარდა შემოსავლის იმ სახეობებისა, რომლებიც აღნიშნულია მე-10 პუნქტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. კოლმეურნეობის წევრი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების გამოანგარიშების დროს შემოსავლის თანხაში არ შეიტანება:

ა) საზღაური შვებულების, სასწავლო შეკრების ან სახელმწიფო, ან საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულების დროისათვის;

ბ) დახმარება შრომის დროებითი უუნარობის გამო, დახმარება ორსულობისა და მშობიარობის გამო;

გ) პრემიები (მათ შორის პრემიები ნატურით), რომლებიც არ არის გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების სისტემით.

დ) დღიურები მივლინების დროს;

ე) ყოველგვარი ერთდროული დახმარება.

11. კოლმეურნეობის წევრი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების გამოანგარიშების დროს ნატურალური საზღაური იანგარიშება იმ წლის სახელმწიფო საცალო ფასებში, რომლისთვისაც წარმოებს შემოსავლის განსაზღვრა.

12. კოლმეურნეობის წევრ ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარება გამოეანგარიშებათ მათი ფაქტიური შემოსავლიდან იმ კალენდარული წლისათვის, რომელიც წინ უძღოდა იმ წელიწადს, რომელშიაც მიცემული აქვს შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო.

საშუალო დღიური შემოსავალი დახმარების გამოსაანგარიშებლად განისაზღვრება შემდეგნაირად: წარსული კალენდარული წლის შემოსავალი გაიყოფა იმავე წლის კალენდარული დღეების რიცხვზე.

ამასთან არ შეიტანება იმ დღეების რიცხვში, რომლებზედაც წლიური შემოსავალი იყოფა, შრომის დროებითი უუნარობის დღეები, ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების დღეები, სამუშაოზე გამოუსვლელობის დღეები, რომელთა განმავლობაში შემოსავალი ინახებოდა მთლიანად ან ნაწილობრივ (ანაზღაურებული შვებულების, სასწავლო შეკრების, სახელმწიფო ან ზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულების დღეები).

13. ქალებს, რომლებიც კოლმეურნეობის წევრებად შევიდნენ იმავე წელს, რომელშიაც მათ მიეცათ შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო, აგრეთვე ქალებს, რომლებიც კოლმეურნეობის წევრებად იყვნენ იმ სრული კალენდარული წლის ნაკლები დროის განმავლობაში, რომლისთვისაც ირკვევა შემოსავალი ამ დებულების მე-12 პუნქტის პირველი აბზაცის თანახმად, დახმარების გამოსაანგარიშებლად მხედველობაში მიიღება შემოსავალი კოლმეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობაში მუშაობის მთელი დროისათვის შვებულების დაწყების დღემდე.

საშუალო დღიური შემოსავალი ამ შემთხვევებში გამოირკვევა შემდეგნაირად: მუშაობის მთელი დროისათვის მიღებული შემოსავალი გაიყოფა იმ კალენდარული დღეების რიცხვზე, რომელთა განმავლობაში ქალი კოლმეურნეობის წევრად ირიცხებოდა, ამასთან იმ დღეების რიცხვში, რომლებზედაც შემოსავალი გაიყოფა, აგრეთვე არ შეიტანება მე-12 პუნქტის მესამე აბზაცში აღნიშნული პერიოდები.

თუ კოლმეურნეობაში წარმოებს საავანსო ანაზღაურება შემდგომი გადაანგარიშებით (პერიოდების მიხედვით, წლის დამლევს), ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარება ამ შემთხვევაში გამოიანგარიშება იმ ავანსიდან, რაც მიღებულია ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების დადგომის დღისათვის; კოლმეურნეობის წევრი ქალისათვის შემოსავლის გამო ანგარიშის გასწორების შემდეგ ხდება დახმარების გადაანგარიშება.

თუ კოლმეურნეობის წევრ ქალს შრომის ანაზღაურება ფულად (ან ნატურით) ყოველთვიურად არ ეძლევა, არამედ ერიცხება შრომადღეები, მაშინ თუ ორსულობის ან მშობიარობის გამო შვებულების ვადა დადგა შრომადღეების მიხედვით შრომის ანაზღაურების დღემდე, დახმარება მიეცემა მინიმალური ოდენობით (პუნქტი 8); შრომა-დღეების მიხედვით შრომის ანაზღაურების შემდეგ წარმოებს დახმარების გადაანგარიშება.

14. საშუალო დღიური შემოსავლის (პუნქტები 12 და 13) საფუძველზე და დახმარების დანიშნული ოდენობის მიხედვით (პუნქტი 8) გამოიანგარიშება კოლმეურნეობის წევრი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დღიური დახმარება.

დახმარების საერთო თანხა გამოირკვევა შემდეგნაირად: დღიური დახმარება გამრავლდება ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების კალენდარული დღეების რიცხვზე.

15. კოლმეურნეობის წევრ ქალებს დახმარება მიეცემათ წინდაწინ მთელი მშობიარობამდელი შვებულებისათვის. დახმარება მშობიარობის შემდგომი შვებულების მთელი დროისათვის გაიცემა მშობიარობის შემდეგ.

თუ წინდაწინ ანაზღაურებული შვებულება ორსულობის გამო (მშობიარობამდელი) ფაქტიურად აღმოჩნდება დაწესებულზე ნაკლები, მაშინ ამასთან დაკავშირებული მეტგადანახადი ჩაირიცხება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობიარობის შემდგომი შვებულების დროისათვის დახმარების ანგარიშში.

თუ შვებულება ორსულობის გამო (მშობიარობამდელი) აღმოჩნდება ფაქტიურად დაწესებულზე მეტი, იწარმოებს შესაბამისი დამატება.

IV. დახმარების დანიშვნა და მიცემა

16. კოლმეურნეობის წევრ ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარებას დაუნიშნავენ კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიები კოლმეურნეობათა გამგეობებისა და კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოების ერთობლივი წარდგენით. დახმარების დანიშვნის საკითხის განხილვის დროს კომისიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს გადამწყვეტი ხმის უფლებით შესაბამისი კოლმეურნეობის წარმომადგენელი.

იმ შემთხვევაში, როდესაც კოლმეურნეობის გამგეობას და სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოს არ ექნებათ იმის საფუძველი, რომ წარადგინონ კოლმეურნეობის წევრი ქალი ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების დასანიშნავად, მას შეუძლია მიმართოს განცხადებით ამ დახმარების დანიშვნის შესახებ უშუალოდ კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელ კომისიას. კოლმეურნეობის გამგეობა და სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭო მოვალენი არიან მისცენ ამ შემთხვევებში დასკვნა იმ მიზეზების აღნიშვნით, რომლებითაც კოლმეურნეობის წევრ ქალს უარი ეთქვა დახმარების დასანიშნავად წარდგენაზე.

წარდგენებს ან განცხადებებს კოლმეურნეობის წევრი ქალებისათვის დახმარების დანიშვნის შესახებ განიხილავენ კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიები იმ დროიდან არა უგვიანეს 10 დღისა, რაც მიღებული იქნება წარდგენა ან განცხადება მთელი საჭირო საბუთებით.

17. ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარება კოლმეურნეობის წევრ ქალებს დაენიშნებათ და მიეცემათ მხოლოდ საავადმყოფო ფურცლებით (შრომის უუნარობის ფურცლებით). სხვა საბუთები არ შეიძლება მიღებულ იქნას დახმარების გაცემის საფუძვლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. საავადმყოფო ფურცელს კოლმეურნეობის წევრი ქალი წარადგენს კოლმეურნეობის გამგეობაში.

კოლმეურნეობის გამგეობა შეავსებს საავადმყოფო ფურცლის პირველ და მეორე განაყოფებს (შვებულების ვადა, მუშაობის სტაჟი) და სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოსთან ერთად მოამზადებს წარდგენას კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელ კომისიაში, ამ წარდგენაში დასაბუთებულ უნდა იქნას წინადადება კოლმეურნეობის წევრი ქალისათვის დახმარების დანიშვნის შესახებ.

საავადმყოფო ფურცლის განაყოფები, რომლებსაც კოლმეურნეობის გამგეობა შეავსებს, დამოწმდება კოლმეურნეობის თავმჯდომარის ხელმოწერით და კოლმეურნეობის ბეჭდის დასმით.

წარდგენა საავადმყოფო ფურცელთან ერთად ჩაბარდება ხელწერილის ქვეშ ან შეკვეთილი საფოსტო გზავნილით გაეგზავნება სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას იმ მომენტიდან არა უგვიანეს 10 დღისა, რაც მიღებული იქნება საავადმყოფო ფურცელი.

საავადმყოფო ფურცელთან ერთად კოლმეურნეობის გამგეობა გაგზავნის ცნობა-გაანგარიშებას შემოსავლის შესახებ, რომლიდანაც გამოანგარიშებულ უნდა იქნას დახმარება.

19. კოლმეურნეობის წევრი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების დასანიშნავად საჭირო მასალებს მოამზადებენ კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის მიერ განსახილველად სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილებები.

20. კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისია გამოარკვევს ამ დებულების შესაბამისად კოლმეურნეობის წევრი ქალის უფლებას ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარებაზე, აგრეთვე დახმარების ოდენობას, ასანაზღაურებელი დღეების რიცხვს, დახმარების საერთო თანხას; კომისიის გადაწყვეტილება შეიტანება საავადმყოფო ფურცელში კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით და დამოწმდება ბეჭდის დასმით.

დახმარების დანიშვნაზე უარის თქმის შემთხვევაში სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება კომისიის გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უგვიანეს 5 დღისა გაუგზავნის კოლმეურნეობის გამგეობას ან განმცხადებელს უწყებას დახმარების დანიშვნაზე უარის შესახებ, ამასთან აღნიშნავს უარის მიზეზებს და გასაჩივრების წესს.

21. კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის გადაწყვეტილება კოლმეურნეობის წევრი ქალისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების დანიშვნის ან დახმარებაზე უარის თქმის შესახებ გაფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს მოაწერენ კომისიის წევრები და სათანადო კოლმეურნეობის წარმომადგენლები.

22. ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების დასანიშნავად კოლმეურნეობის წევრ ქალს შეუძლია მიმართოს იმ დღიდან არა უგვიანეს 6 თვისა, რაც დამთავრდა შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო.

23. ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარებას კოლმეურნეობის წევრ ქალებს მისცემენ სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილებები კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალური საკავშირო ფონდის სახსრების ხარჯზე, კავშირგაბმულობის საწარმოების მეშვეობით, საფოსტო გზავნილებით დახმარების მიმღების სახელზე, იმ დროიდან არა უგვიანეს 5 დღისა, რაც გამოტანილ იქნა კომისიის გადაწყვეტილება დახმარების დანიშვნის შესახებ.

იმ რაიონებში, სადაც სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება არ არის, მასალების მომზადებას კოლმეურნეობის წევრი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების დასანიშნავად კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელ კომისიაში განსახილველად, აგრეთვე დახმარების მიცემას განახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

24. კოლმეურნეობის წევრი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების მიტანისა და გაგზავნის ხარჯები ანაზღაურდება კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის სახსრების ანგარიშში.

25. იმ შემთხვევებში, როდესაც დაუსაბუთებლად უთხრეს უარი დახმარების დანიშვნაზე, სწორად არ იყო გამორკვეული დახმარების ოდენობა ან ასანაზღაურებელი დღეების რიცხვი, დაწესებული იმ დროიდან არა უგვიანეს 6 თვისა, რაც დამთავრდა შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო, კოლმეურნეობის წევრ ქალებს დახმარება წარსული დროისათვის მიეცემათ (მთლიანად ან ნაწილობრივ) კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის გადაწყვეტილებით.

26. ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების თანხები, რაც ზედმეტად მიეცათ კოლმეურნეობის წევრ ქალებს, შეიძლება დაუკავდეთ მათ იმ შემთხვევაში, თუ ზედმეტი თანხის მიცემა მოხდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. კოლმეურნეობის წევრი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების დანიშვნის დროს მუშაობის სტაჟს დაადგენს კოლმეურნეობის გამგეობა კოლმეურნეობის წევრი ქალის შრომითი საქმიანობის შესახებ არსებული დოკუმენტების შესაბამისად.

VI. კონტროლი დახმარების სწორად დანიშვნისა და გაცემისადმი

30. სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილება პასუხისმგებელია იმისათვის, რომ სწორად და დროზე მოამზადოს კოლმეურნეობის წევრი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების დანიშვნისათვის საჭირო მასალები კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის მიერ განსახილველად, აგრეთვე იმისათვის, რომ სწორად და დროულად გაიცეს დანიშნული დახმარება.

31. იმისადმი კონტროლს, რომ სწორად დაენიშნოთ და მიეცეთ ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარება კოლმეურნეობის წევრ ქალებს, განახორციელებენ კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური საბჭოები.

იმისადმი კონტროლს, რომ სწორად გაიცეს ის დოკუმენტები, რომლებსაც კოლმეურნეობები იძლევიან დახმარების დასანიშნავად (მუშაობის სტაჟისა და შემოსავლის შესახებ), განახორციელებენ კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული საბჭოები.

32. კოლმეურნეთათვის პენსიებისა და დახმარების დამნიშვნელი კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ საბჭოში, რომლის დადგენილება საბოლოოა.

კოლმეურნეობის წევრი ქალებისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების დანიშვნის, გამოანგარიშებისა და გაცემის საკითხები არ შეიძლება განხილულ იქნას სასამართლო ორგანოების მიერ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4 за 1964 год

გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/III-65 ქაღალდის ზომა 60×90. ქაღალდი 47500. ნაბეჭდი თაბახი 19,0, სააღრიცხვო თაბახი 17,0

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

თარგმნილია რუსულიდან

ტირაჟი 2500 შეკვეთა № 76

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
თბილისი, რუსთაველის გამზ. № 8.

b 21/13
ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲡ — 76187